Следует отметить ряд интересных наблюдений Т. В. Гамкрелидзе и в области сравнительно-исторической морфологии картвельских языков. Так, им сформулировано положение об исконном префиксальном моноперсонализме (одноличности) грузинского глагола, с позиций которого рассматривается древнейший облик личных показателей (в частности, субъективный показатель I лица восстанавливается им в виде \*хи-) [7, с. 44-50]. В связи с обсуждав-

шейся в другой его работе специальной фонологической проблематикой автор реконструирует древнейшую словообразовательную структуру общекартвельских личных и притяжательных местоимений 1 и 2 лица, а также трактует противопоставление инклюзива ~ эксклюзива как одну из проекций глубинного бинаризма картвельской языковой системы прошлого [6, с. 36-50].

Давая общую оценку работам Т. В. Гамкредидзе в области сравнительной грамматики картвельских языков, необходимо подчеркнуть, что они стимулируют научный поиск не только в сфере последней, но и далеко за ее пределами. Как показывает практика, они имеют немало важное значение для дальнейшего прогресса этимологических штудий. Например, учет аблаутных отношений позволяет теперь идентифицировать основы, представлявшиеся ранее несвязанными, а установление основных моделей фонологической структуры картвельского корня сообщает исследованию дополнительные ориентиры в разграничении исконного и неисконного материала. Еще существеннее то обстоятельство, что эти работы имеют вполне определенные выходы как в типологическую, так и в ареальную проблематику кавказоведения.

Об этом свидетельствует, в частности, то обстоятельство, что с выявлением в этих работах стабильной тенденции к элиминации структурных признаков, характеризовавших так называемый „символически-агглютинативный“ общекартвельский языковой тип, выразившейся в выравнивании словоформ с альтернирующими гласными и в парадигматической унификации глагольных и именных основ, получило свое более строгое обоснование ранее высказывавшееся в науке мнение о постепенном возрастании в контролируемой истории картвельских языков удельного веса элементов агглютинативного строя. Можно сказать, что вообще по целой совокупности дифференциальных признаков структурно-типологического плана древнейшее общекартвельское состояние весьма существенно отличается от позднейшего. Если первое находит свою ближайшую типологическую параллель в языках Северо-Западного Кавказа, то последнее обнаруживает не менее очевидные точки соприкосновения со строем индоевропейских языков. Так результаты реконструкции морфонологических отношений для позднего общекартвельского состояния (класс сонантов, модели аблаута, фонологическая структура корня) поставили науку перед интересной картиной далеко идущего структурного параллелизма между соответствующими системами картвельских и индоевропейских языков. Сопостав-

ление материала приводит Т. В. Гамкрелидзе и его соавтора к заключению об изоморфности поздней общекартвельской морфонологической системы общеиндоевропейской (как она представлена в работах Э. Бенвениста). Естественно, что этот изоморфизм ставит ряд новых вопросов об отношении картвельских языков к индоевропейским. В частности, „отнесение картвельского и индоевропейского языков к общему типологическому классу дает основание рассматривать эти языки как члены некоего общего языкового союза в рамках евразийской группы языков“ ([3, с. 474]; ср. [8]). Подчеркивая особый интерес этого важного вывода для индоевропейского языкознания, У. Леман писал в своей рецензии на книгу Т. В. Гамкрелидзе и Г. И. Мачавариани, что „если индоевропейский имел тесные контакты с пракартвельским, то мы обретаем разительное свидетельство в пользу прародины индоевропейцев (в древней Передней Азии к югу от Закавказья – Г. К.) со стороны более фундаментального компонента лингвистической структуры, чем словарь“, и указывал, что это лингвистическое свидетельство совпадает с выводами, к которым в недавнее время пришла археология [9, с. 406].

Если становление далеко идущих структурно-типологических совпадений между картвельскими и индоевропейскими языками обусловлено древними ареальными контактами их носителей, то должен быть понятен интерес Т. В. Гамкрелидзе к выявлению в картвельских языках и лексических индоевропеизмов. В фундаментальном труде, созданном им позднее в соавторстве с Вяч. Вс. Ивановым [10, с. 877-879], содержится опыт обобщения известного науке к началу 80-х годов материала этого рода, а также предлагается несколько новых соположений. На стр. 904-909 этой же монографии обращает на себя внимание раздел, посвященный сопоставлению группы греческих лексем неясного происхождения (нередко трактующихся в индоевропеистической литературе в качестве ингредиентов так называемого догреческого слоя) с их аналогами в картвельском корнеслове, по-видимому, свидетельствующих о достаточно ранних греко-картвельских контактах, отраженных, в частности, в известном греческом мифе об аргонавтах. Продолжающиеся в настоящее время исследования, характеризующиеся дальнейшим приростом материала, подтверждают перспективность поисков новых индоевропейско-картвельских лексических параллелизмов ареальной природы.

В свете знаний современной науки наиболее общие пространственно-

временные параметры древней истории картвельских языков выглядят в изложении Т. В. Гамкрелидзе следующим образом: „Общекартвельский (южнокавказский) язык следует датировать периодом IV-III тысячелетий до н. э. Дифференциация общекартвельского языка относится по глоттохронологическим данным к самому началу II тысячелетия до н. э. (а, возможно, и значительно ранее), когда из него выделяется сванский язык и общекартвельский распадается на два обособленных ареала – сванский и грузинско-занский, с последующим делением этого последнего на собственно грузинский и занский (или колхский) языки... Общекартвельский язык перед его распадом можно локализовать, судя по археологическим, лексическим и топонимическим данным, в горных местностях западной и центральной части Малого Кавказа... Сванский язык был постепенно оттеснен к северу, к хребтам Большого Кавказа следующей миграционной волной, последовавшей примерно девятью столетиями позже... Диалекты общекартвельского языка, оставшиеся в пределах Западного Малого Кавказа – этого древнейшего очага картвельских племен, легли в основу грузинского языка, носители которого уже в историческую эпоху распространились в западном направлении, наслоившись на определенной территории на носителей колхского языка, что вызвало разделение его на два самостоятельных диалекта и образование в дальнейшем мегрельского и чанского (лазского) языков, а также в северном и северо-восточном направлениях, оттеснив распространенные здесь языки восточнокавказского типа“ [10, с. 880-881].

Среди синхронных картвелистических исследований Т. В. Гамкрелидзе необходимо упомянуть статью, в которой обсуждаются некоторые общие принципы организации грузинского глагола, а также более крупную работу о закономерностях фонологической синтагматики в мегрельском. В первой из них [7, с. 33-43] автор эксплицирует понятия глагольной валентности (как синтаксической категории глагола) и глагольной персональности (как его собственно морфологической категории) и устанавливает очевидную асимметрию этих параметров грузинского (resp. картвельского) глагола. Во второй, созданной в соавторстве с Т. Е. Гудава [12], было продолжено исследование в направлении, начатом в свое время известными работами Г. С. Ахвледiani. Здесь на основании детального дистрибутивного анализа фонологической структуры консонантных групп в мегрельском выявлены основные правила сочетаемости согласных как в пределах единой морфемы, так и на морфемных швах, и предложена их бинарная клас-

сификация на канонические и неканонические. Здесь же охарактеризованы основные синхронно протекающие процессы преобразования таких групп в условиях взаимодействия основы со словоизменительными аффиксами (в частности, при присоединении падежных показателей имени и личных показателей глагола) и определены правила фонетического освоения консонантных групп, содержащихся в мегрельских словарных заимствованиях из грузинского.

В обсуждении проблемы генетических взаимоотношений картвельских и северокавказских (абхазско-адыгских и нахско-дагестанских) языков Т. В. Гамкрелидзе последовательно придерживается строгих принципов, сформулированных классической компаративистикой. Подчеркивая, что структурно-типологические параллелизмы между языками, насколько бы далеко они ни заходили, нерелевантны для решения проблем генетического порядка, он настаивает на необходимости применения кавказоведами испытанной временем процедуры поиска закономерных соотношений в их материале. В одной из своих работ автор пишет: „Если бы между картвельскими и северо-кавказскими языками прослеживалась общность закономерного характера (т. е. не являющаяся результатом случайных совпадений или заимствования) в субстанции значимых элементов – корневых и аффиксальных морфем – то они бы с необходимостью проявились в наличии регулярных звуковых (фонемных) соответствий между картвельскими и северокавказскими языками. Поскольку такого рода фонемные соответствия между отдельными группами кавказских языков не выявлены..., утверждения о существовании между ними „материальной общности морфем“ носят во всяком случае преждевременный характер“ [13, с. 44]. Очевидное отсутствие на сегодняшний день почвы для сколько-нибудь убедительного обоснования иберийско-кавказской гипотезы приводит его к осторожному заключению, что „так называемые иберийско-кавказские языки включают по крайней мере три в структурно-типологическом и генетическом отношениях вполне детерминированные языковые группы. Это – южнокавказская группа, или картвельские языки, северо-западная группа, или абхазско-адыгские языки, и северо-восточная группа, или нахско-дагестанские языки“ [1, с. 29]; также [14, с. 1011].

Исходя из такого положения вещей, Т. В. Гамкрелидзе обращает внимание на серьезный методический просчет предшествовавшей научной парадигмы сравнительного картвельского языкознания, стремившейся к истолкованию истории картвельских языков с ориентацией на грам-

матическую структуру, засвидетельствованную в современных абхазско-адыгских или нахско-дагестанских языках. „Положение о генетической общности „иберийско-кавказских языков“ и обусловленная им направленность сравнительных штудий картвельских языков на установление этого родства, — читаем в одной из его работ, — привели к тому, что с вопросов внутреннего сравнения картвельских языков внимание было перенесено на их внешнее сравнение и сопоставление с северо-кавказскими языками — со всеми вытекающими отсюда методологическими последствиями“ [1, с. 27].

Наконец, еще одно направление картвелистических исследований Т. В. Гамкрелидзе составляет изучение проблемы происхождения грузинской письменности. В недавно опубликованной работе [15] древнегрузинское заглавное письмо „Асомтаврули“ включено им на основании набора структурных признаков (а также с учетом характерной для него функции обслуживать местную культуру христианской ориентации) в единую типологическую группу вместе с коптской, готской, древнеармянской и старославянской письменностями как базирующимися на общем для них историческом прототипе — греческой системе письма. При этом автором отмечается реализованный в древнегрузинской письменности принцип парадигматической зависимости от прототипа, отражающийся, в частности, в последовательности обозначений определенных фонем и в характере закрепленных за графемами числовых значений, особенно сближающий ее с коптской и готской алфавитными системами.

Ограничения объема настоящей статьи не позволяют, к сожалению, остановиться здесь на множестве частных наблюдений и соображений Т. В. Гамкрелидзе, касающихся самых различных вопросов структуры и истории картвельских языков, которые щедро рассыпаны в его всегда насыщенных материалом и стимулирующих научную мысль работах.

### Литература

1. *Гамкрелидзе Т. В.* Современная диахроническая лингвистика и картвельские языки. 1 // ВЯ. 1971, № 2.
2. *Гамкрелидзе Т. В.* Дезаффрикатизация в сванском. „Правила переписывания“ в диахронической фонологии. Тбилиси, 1968, с. 39 (на груз. и русск. яз.).

3. Гамкрелидзе Т. В., Мачавариани Г. И. Система сонантов и аблаут в картвельских языках. Типология общекартвельской структуры. Тбилиси, 1965 (на груз. и русск. яз.).
4. Gamkrelidze Th. V. A typology of Common Kartvelian // Language. 1966. V. 42, № 1.
5. Церетели Г. В. О теории сонантов и аблаута в картвельских языках // Гамкрелидзе Т. В., Мачавариани Г. И. Система сонантов и аблаут в картвельских языках. Типология общекартвельской структуры. Тбилиси, 1965.
6. Гамкрелидзе Т. В. Сибилянтные соответствия и некоторые вопросы древнейшей структуры картвельских языков. Тбилиси, 1959 (на груз. яз.).
7. Гамкрелидзе Т. В. „Валентность“ и „персональность“ глагола // Лингвистический Сборник. Тбилиси, 1979 (на груз. яз.).
8. Gamkrelidze Th. V. Kartvelian and Indo-European: A typological comparison of reconstructed linguistic systems // To honour Roman Jakobson. I. The Hague – Paris, 1967.
9. Lehmann W. P. // Language. 1968. V. 44. № 2. P. 406. Rev.: Gamkrelidze Th. V. and Machavariani G. I. The system of sonants and ablaut in Kartvelian languages: a typology of common Kartvelian structure / With a preface by Tseretheli George V. Tbilisi, 1965.
10. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры. С предисловием Р.О. Якобсона, ч. I-II, Тбилиси, 1984.
11. Климов Г. А. Об ареальной конфигурации протоиндоевропейского в свете данных картвельских языков // ВДИ, 1986, N 3.
12. Гудава Т. Е., Гамкрелидзе Т. В. Комплексы согласных в мегрельском // Акакию Шанидзе, Тбилиси, 1981 (на груз. яз.).
13. Гамкрелидзе Т. В. Современная диахроническая лингвистика и картвельские языки. 2 // ВЯ. 1971, N 3, с. 44.
14. Gamkrelidze Th. V. (in part). Caucasian languages // Encyclopaedia Britannica. 15<sup>th</sup> ed., L., 1974. P. 1011.
15. Гамкрелидзе Т. В. Алфавитное письмо и древнегрузинская письменность. Тбилиси, 1989 (на груз. и русск. яз.).



## სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი\*

### წინასიტყვაობა

ეს ნარკვევი ეხება ქართველურ ენათა ისტორიული ფონოლოგიის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასში მორფოლოგიურ-სინტაქსურ პრობლემებს, წარმოშობილს ქართველურ ენათა ფონოლოგიურ ანალიზთან დაკავშირებით, რომელმაც კვლევის პროცესში ბუნებრივად მიგვიყვანა ქართველური გრამატიკული სისტემის სტრუქტურულ საკითხთა განხილვამდე.

აქ წარმოდგენილ ფონოლოგიურ საკითხთა კომპლექსი ჩამოყალიბდა ქართველური ენების თანხმოდანთა სისტემის შედარებითი ანალიზის შედეგად. ამ სისტემათა შეფარდება, რომელიც ძირითადად სპირანტებისა და აფრიკატების რიგებს შორის არსებული შესატყვისობებით განისაზღვრება, ავლენს რიგ გადახრებს საერთო ქართველურ სიბილანტურ ფონემათა კანონზომიერი რეფლექსებისაგან ისტორიულად დამოწმებულ ქართველურ ენებში. ეს არსებითად შეეხება ქართველური /*\*შ*/ ფონემის (ქართ. /*შ*/) არაცალსახა წარმოდგენას ზანურსა (მეგრულ-ჭანურსა) და სვანურში /*შქ*/ (სვან. /*შგ*/) და /*სქ*/ (სვან. /*სგ*/) კომპლექსთა სახით.

ამ კომპლექსთა დისტრიბუციული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ /*სქ*/ (სვან. /*სგ*/) კომპლექსი, ქართული /*შ*/ ფონემის შესატყვისად წარმოდგენილი დასავლურ-ქართველურ ენებში, ამოსავალი /*შქ*/ (სვან. /*შგ*/) კომპლექსის კომბინატორულ ვარიანტს წარმოადგენს. ამგვარი ანალიზი საშუალებას იძლევა, დადგინდეს იქნეს ზანურ-სვანური არეალისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური კანონზომიერება, რომელიც გამოიხატებოდა ამოსავალი /*შქ*/ (resp. /*ჯგ*/) კომპლექსის სისინა /*სქ*/ (resp. /*ძგ*/) კომპლექსად ქცევაში მომდევნო ბაგისმიერი /*ჟ*/ ფონემის გავლენით.

ამ ფონეტიკური კანონზომიერების თვალსაზრისით, ქართ. /*შ*/ სპირანტისა და შიშინა რიგის აფრიკატების ზანურ-სვანურ შესატყ

\* პირველად გამოქვეყნდა 1959 წელს: თ გამყარელიძე, *სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი*: «საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა», თბილისი, 1959.

ვისობათა კომპლექსი განხილულ უნდა იქნეს როგორც რთული სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა შედარებით გვიანდელი კომბინატორული ხასიათის ფონეტიკური კანონზომიერების დართვის შედეგად უძველეს კანონზომიერ თანხმომავანთ შეფარდებათა მოდელზე.

ხსენებული ფონეტიკური კანონზომიერება ფორმალურ ფონეტიკურ კრიტერიუმს გვაწვდის რიგ ქართველურ სახელურ და ზმნურ ფორმათა რეკონსტრუირებისათვის: ისტორიულად დამოწმებული /შ/ - /სქ/ შესატყვისობა გულისხმობს ამ ერთეულთა განაწილებას /ჩ/ ფონემის წინ, ამ უკანასკნელის შესაძლებელი დაკარგვით წინამავალ შიშინა კომპლექსში კომბინატორული ფონეტიკური ცვლილების დასრულების შემდეგ.

შინაარსობლივი ინტერპრეტაცია ფორმალურად რეკონსტრუირებულ ერთეულთა, რომელნიც ქართველურ ენათა განვითარების უძველეს ეტაპებს ასახავენ, საფუძველს იძლევა ვიმსჯელოთ ობიექტთა ორ ძირითად კატეგორიას (კლასს) შორის (ადამიანი - ნივთი) არსებული სემანტიკური დაპირისპირების სტრუქტურული გამოხატვის შესახებ ქართველურ გრამატიკულ სისტემაში.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ქართველურ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა ფორმალურად რეკონსტრუირებული სისტემის ინტერპრეტაციას, სადაც წარმოდგენილია -ჟე- კლას-დეტერმინანტი პირველი და მეორე პირის ფორმებში საპირისპიროდ „არაპერსონალური“ მესამე პირის არამარკირებული ფორმებისა.

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელური ფორმების ამგვარი მორფოლოგიური დაპირისპირებით „არაპერსონალური“ მესამე პირის ფორმებთან აიხსნება აგრეთვე ქართველურ ნაცვალსახელურ სისტემაში შინაგანად რეკონსტრუირებული ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის არსებობა. ეს ნაცვალსახელური კატეგორია სტრუქტურულად მოტივირებულია გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული (ორობითი) სისტემით. ბინარული სტრუქტურის გრამატიკულ კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემა [ადამიანი - ნივთი (ე.ი. არაადამიანი); სულიერი - უსული] გულისხმობს ინკლუზიურ-ექსკლუზივის კატეგორიის არსებობას ნაცვალსახელურ სისტემაში\*. ეს მორფოლოგიური დაპირისპირება აისახა აგრეთვე ქართველური მიცემითი ბრუნვის ფუნქციებშიც (ძველი ქართულის მონაცემების მიხედვით).

\* სულიერისა და უსულოს ბინარული დაპირისპირებით ინდოევროპულ მორფოლოგიურ სისტემაში უნდა აიხსნებოდეს ი.-ე. პრონომინალურ სისტემაში ინკლუზიურ-ექსკლუზივის ფუნქციონირება.

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ამგვარი ორობითი დაპირისპირება ენობრივ სისტემაში, რაც ენის პირველად ბინარულ სტრუქტურას ასახავს, შინაგანად განსაზღვრავს პარადიგმატული და სინტაგმატური რიგის სტრუქტურულ თავისებურებათა არსებობას. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული სისტემის დარღვევა (სისტემის გართულების შედეგად ახალი გრამატიკული კლასების გაჩენის გზით ან კლას-კატეგორიათა სრული მოშლის გამო), შეპირობებული ენის შინაარსობლივ სისტემაში მომხდარი ცვლილებებით, იწვევს ამ თავისებურებათა სტრუქტურულ გარდაქმნას და მის მიერ მოტივირებულ გრამატიკულ კატეგორიათა ცვლას.

ქართველურ ენათა გრამატიკულ სისტემაში ორი ძირითადი სტრუქტურული ფენა გამოიყოფა: კატეგორიათა სისტემა, მოტივირებული გრამატიკულ კლასთა ბინარული სტრუქტურით და კატეგორიათა სისტემა, მოტივირებული ზმნური პოლიპერსონალიზმით. კატეგორიათა ის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა გრამატიკულ კლასთა ბინარული სტრუქტურის საფუძველზე, ქართველურ ენათა უბეღეს სტრუქტურულ ფენას ქმნის. შემდგომი კვლევა-ძიება ქართველური ენობრივი სისტემისა, ეჭვს გარეშეა, გამოავლენს კიდევ მეტ სტრუქტურულ თავისებურებებს, მოტივირებულს ორი გრამატიკული კლასის [აღამიანი – ნივთი] მორფოლოგიური დაპირისპირებით.

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა სისტემის თანდათანობითმა რღვევამ ქართველურში გამოიწვია მოშლა პირველი და მეორე პირის მორფოლოგიური დაპირისპირებისა „არაპერსონალურ“ მესამე პირთან და ამ დაპირისპირებით მოტივირებული ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის გაქრობა ნაცვალსახელურ სისტემაში. სვანური პოლიპერსონალური ზმნის სისტემაში ინკლუზიურ-ექსკლუზიურის ჩამოყალიბება ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა ამ კატეგორიის სტრუქტურულად შეპირობებული დაკარგვისა ნაცვალსახელურ სისტემაში.

ქართველურ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა რეკონსტრუირებულმა სისტემამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ტიპოლოგიური ინფორმაცია მოგვაწოდოს მთის კავკასიური ენების ნაცვალსახელურ სისტემათა რიგი სტრუქტურული თავისებურების გარკვევისათვის [პირის ნაცვალსახელურ ფუძეებში არსებული (ან აღსადგენი) ზ/უ ფონემის განხილვა როგორც კლას-დეტერმინანტის გაქვევებული ფორმისა (შდრ. ქართვ. {-ზე-}); ნაცვალსახელურ სისტემაში ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის შინაგანი მოტივირება

მთის კავკასიურ ენათათვის ისტორიულად დამახასიათებელი გრამატიკული კლასების ბინარული სტრუქტურით; ამ ნაცვალსახელური კატეგორიის გაქრობა ზოგიერთ ენაში გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული სტრუქტურის დარღვევის შედეგად და სხვ.]

ეს ნაშრომი მიზნად არ ისახავს მთის კავკასიურ ენათა ზემოდასახელებულ თავისებურებათა განხილვასა და გარკვევას. ეს ამოცანა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის არსებულ მიმართებათა გაშუქებისათვის, შეიძლება განხორციელდეს მთის კავკასიურ ენათა ნაცვალსახელური სისტემის დეტალური სტრუქტურული ანალიზის შედეგად რეკონსტრუირებულ ქართველურ ნაცვალსახელურ სისტემასთან შედარებით.

### I. ერთი გამონაკლისი შიშინა თანხმოვანთა შესატყვისობიდან

§ 1. ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიულმა შესწავლამ გამოავლინა ის მეტად საყურადღებო ფაქტი, რომ თანხმოვანთა სისტემაში ფონოლოგიური გადაწვევები ძირითადად და განსაკუთრებით სისინა და შიშინა სპირანტებისა და აფრიკატების რიგებში გვაქვს. თანხმოვანთა გადაწვევა ქართველურ კონსონანტურ სისტემაში ძირითადად ამ რიგებს შეეხება. ქართულ სისინა რიგის სპირანტებსა და აფრიკატებს ზანურში შეეფარდება შიშინა რიგის შესატყვისის სპირანტები და აფრიკატები. ქართულის წყება სისინაა, ჭანურისა და მეგრულისა კი შიშინა<sup>1</sup>. სვანურის მონაცემები ამ მხრივ ზანურის რიგისაა.

ქართ. /ს/ - ზან. /შ/ - სვან. /შ/:

ქართ. სვან-ი: მეგრ.-ჭან. შონ-ი; სვან. მუშუან.

ქართ. ას-ი: მეგრ.-ჭან. ოშ-ი; სვან. აშ-ირ (ლექსიკონი, გვ. 219).

ქართ. სე-ენ- (გან-ი-სე-ენ-ე): ჭან. შე-აჯ- (მოიშვაჯამან „ისვენებენ“), მეგრ. შე-ანდ- || სე-ანჯ- || სე-ანდ- (იქვე, გვ. 361)<sup>2</sup>; სვან. იშემინე „ისვენებს“, ლი-შემინ-ე „დამშვიდება, დასვენება“.

ქართ. სე- || ძვ. ქართ. სუ- (სუ-მა, არა შე-ე-სუ, მ. C 24.42; სუ-თ, მ. C 26.27); ჭან. შე- < შუ- (ოშუ „დალია“, ოშეეს „დალიეს“), მეგრ. შე-<შუ- (წყარი გეშუ „წყალი დალია“, ღვინი შუ „ღვინო სვა“)

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 6 (შემდგში შემოკლებით: არნ. ჩიქობავა, ლექსიკონი).

<sup>2</sup> სისინა ვარიანტი მეგრულ ფორმებში დისიმილაციურად უნდა იყოს მიღებული: \*შე-ანჯ- > სე-ანჯ-.

### 2. თ. გამყრელიძე

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბ ი ბ ლ ი ო თ ე ა  
№: \_\_\_\_\_



(იქვე, გვ. 360); სვან. *მწჷა* „მისვამს“, ნწჷმ „ნასვამი“.

ქართ. *სე-ელ-*: ჭან. *შე- || შე-ელ-* || *შოლ-* „დასველება“ (დოშოლაფან „დაასველებენ“; *შველარე* „დაზელ [ვჭვილს]“, „დაასველებ“), მეგრ. *შოლ-* (დოშოლუ „დასველდა“) (იქვე, გვ. 362); სვან. *შეელ* „სველი“<sup>1</sup>.

ქართ. /ზ/ - ზან. /ჟ/ - სვან. /ჟ/:

ქართ. *ზე-და* || *ზე*: ზან. *ჟი*; სვან. *ჟი*.

ქართ. *მზე*: ჭან. *მე-ორ-ა*, მეგრ. *ბუა*; სვან. *მიჟ* (ლექსიკონი, გვ. 202).

ქართ. /ძ/ - ზან. /ჯ/ - სვან. /ჯ/ || /ჟ<sup>2</sup>/:

ქართ. *ძალ-ღ-ი*: მეგრ.-ჭან. *ჯოღ-ორ-ი*; სვან. *ჟალ-ჟ* (მიც. ბრ.) (იქვე, გვ. 82).

ქართ. *ძმა* || <*ძამა*: ჭან. *ჯუმ-ა*, მეგრ. *ჯიმა*; სვან. *ჯემ-ილ* (იქვე, გვ. 25 შმდ.).

ქართ. *ძე-ელ-ი*: ჭან. *მ-ჯე-ეში* || *ნ-ჯე-ეში* მეგრ. *ჯე-ეში*; სვან. *ჯჷ-ინ-ელ* (იქვე, გვ. 238).

ქართ. *ძე-ალ-*: ზან.-სვან. *ჯი-ჯჷ* < \**დი-ჯჷ*<sup>3</sup>.

ქართ. /ც/ - ზან. /ჩ/ - სვან. /შ/:

ქართ. *კაც-ი*: მეგრ.-ჭან. *კოჩ-ი*; სვან. *ჭაშ*<sup>4</sup>.

ქართ. *ხუც-ეს-ი*: მეგრ. *უჩაში* „უფროსი“; სვან. *ხო-შა* „დიდი, უფროსი“, *მა-ხჷში* „უფროსი“ (ნ. მარი)<sup>5</sup>.

ქართ. /წ/ - ზან. /ჭ/ - სვან. /ჭ/:


<sup>1</sup> ს. ე ლ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 129.

<sup>2</sup> სვანური /ჟ/, ქართ. /ძ/ და ზან. /ჯ/ ფონემების შესატყვისად წარმოდგენილი, მომდინარეობს პირვანდელი /ჯ/ ფონემის სპირანტიზაციის (დებაფრიკატიზაციის) გზით. ეგვემ შეეხება სვანურ /შ/-ს, რომელიც ქართ. /ც/: ზან /ჩ/ ფონემებს შეეფარდება (გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 47); დებაფრიკატიზაციის შესახებ სვანურში იხ. აგრეთვე ს. ე ლ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 180 შმდ.

<sup>3</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ძვალ-ფუძის ზანური შესატყვისისათვის: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 1, № 1, 1940, გვ. 93 შმდ.

<sup>4</sup> Н. Я. Марр, *Тубал-кайнский вклад в сванском*: Известия Императорской Академии Наук, 1912, I, გვ. 1094.

<sup>5</sup> შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. III: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XV, 1940, გვ. 48 შმდ.



ქართ. წყრთა: მეგრ. ჭყითა || ჭყირთა; სვან. ჭითხ<sup>1</sup>.

ქართ. ანწ-ლი: ჭან. ინჭ-ირ-ი, მეგრ. ინჭ-ირ-ია; სვან. განჭჷ (შდრ. ლექსიკონი, გვ. 132).

ქართ. წაბ-ლ-ი: ჭან. ჭუბ-ურ-ი || ჭუბ-რ-ი, მეგრ. ჭუბ-ურ-ი (იქვე, გვ. 127).

ასეთსავე კანონზომიერ ხასიათს ატარებს ქართული შიშინა აფრიკატებისა და /შ/ სპირანტის შესატყვისობანი ზანურსა და სვანურში<sup>2</sup>. ქართულ /შ/ ფონემასა და შიშინა რიგის აფრიკატებს ამ ენებში, როგორც წესი, ორწევრიანი თანხმოვანთკომპლექსი შეეფარდება, რომლის პირველი კომპონენტი შესატყვისი შიშინა სპირანტი ან აფრიკატი (სვანურში ამგვარი აფრიკატი შესატყვის სპირანტში გადადის დეზაფრიკატიზაციის შედეგად), ხოლო მეორე წევრი – უკანაენისმიერი ხშული. ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად მეგრულში დასტურდება /შქ/ (ჭანურში /შქ/ კომპლექსის ნაცვლად ხშირად /შკ/ გვაქვს), სვანურში – /შგ/, რომელიც მომდინარეობს თავდაპირველი /შქ/-საგან სვანურისათვის დამახასიათებელი დისიმილაციური გამჟღერების შედეგად<sup>3</sup>.

ქართ. /შ/ – ზან. /შქ/ – სვან. /შგ/:

ქართ. შეიდ-ი: ჭან. შექით-ი || შეით-ი, მეგრ. შექით-ი; სვან. ი-შგჷიდ<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ს. ჯ ღ ე ნ ტ ი, ხსენ. ნაშრ., გვ. 131.

<sup>2</sup> ქართველური სისინა რიგის სპირანტები უპირისპირდებიან ერთმანეთს კორელაციურად მჟღერობა-სიყრუის თვალსაზრისით. ამგვარი კორელაცია არა გვაქვს შესატყვისი შიშინა რიგში, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ /შ/ ფონემა; /შ/ ფონემის მჟღერი კორელატი არ იყო დამახასიათებელი ქართველური კონსონანტური სისტემისათვის. /ჟ/ ფონემა ქართულში მეორეული წარმოშობისაა (გ. ა ხ ვ ღ ე ღ ი ა ნ ი ჯუდ T. Г о н и ა ш в и ლ ი, *К истории одного звука в грузинском языке*: ენიმკის შობე, II, 1937, გვ. 111, შნშ. 2). ამგვარი წვერნაკლი თანხმოვანთრიგებისა და მათი შევსების შესახებ ენათა ისტორიული განვითარების პროცესში იხ. A. Martinet, *Économie des changements phonétiques*, Berne, 1955, გვ. 79 შმდ.; შდრ. ანალოგიური ვითარება /x/ ფონემის შემთხვევაში ინდოევროპულში (H. Pedersen, *Die gemeinindoeuropäischen und die vorindoeuropäischen Verschlusslaute*: Det kgl. Danske Videnskabernes Selskab, XXXII, 5, København, 1951, გვ. 10 შმდ.).

<sup>3</sup> დისიმილაციური გამჟღერების შესახებ სვანურში იხ. ს. ჯ ღ ე ნ ტ ი, ხსენ. ნაშრ., გვ. 167 შმდ.; შდრ. გ. ა ხ ვ ღ ე ღ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 383 შმდ.

<sup>4</sup> ამ ფორმათა შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

- ქართ. *მო-ა-შო-ო*: ჭან. *დო-შქეიდ-უ* მეგრ. *დ-შქეიდ-ჟ* სვან. *ა-შგჟიდ*<sup>1</sup>.  
 ქართ. *ლა-ში* „ბაგე, ტუჩი“, „პირის ქვედა ბაგე“ (საბა): ჭან. *ლე-შქ-ი*  
 მეგრ. *ლე-ჩქე-ი*<sup>2</sup> (ლექსიკონი, გვ. 51).  
 ქართ. *ში-ა*: ჭან. *შქირ-ონ-ს* მეგრ. *შქირ-ენ-ს* (ლექსიკონი, გვ. 368).  
 ქართ. *შინ-* („ნუ გეშინინ“): ჭან. *ა-შქურ-ინ-უ* „შეეშინა“, მეგრ. *დ-შქურ-ინ-უ* „შეაშინა“ (იქვე, გვ. 369).  
 ქართ. *შე-შა* (<\**სე-შა*): ჭან. *დი-შქ-ა* || *დი-შე-ა*; მეგრ. *დი-შქ-ა* (იქვე, გვ. 157).  
 ქართ. *ვაშ-ლ-ო*: ჭან. *ოშქურ-ი* || *უშქურ-ი* მეგრ. *უშქურ-ი*; სვან. *ჟისგ-ჟ*  
 (იქვე, გვ. 121).  
 ქართ. *შე-* (*გა-შე-ებ-ა*): ჭან. *მე-ვა-შქე-ი* „დავტოვე“, მეგრ. *გეიაშქე*  
 „აუშვა“ (მაგ. დაბმული ხარი) (იქვე, გვ. 366).  
 ქართ. *შუ-ა*: ჭან. *შქ-ა* || *შე-ა* მეგრ. *შქ-ა* „შუა“; სვან. *ი-სგ-ა*.  
 ქართ. *მ-შვილ-დ-ი*: მეგრ. *შქვილ-ი*; *შქვილ-ან-ს* „მშვილდავს; ბამბას  
 პენტავს“<sup>3</sup>.  
 ქართული შიშინა /ჯ/, /ჩ/, /ჭ/ აფრიკატებს ზანურსა და  
 სვანურში შეეფარდება შესაბამისად /ჯგ/, /ჩქ/, /ჭკ/ კომპლექსები,  
 რომლებიც სვანურში შესატყვის დეზაფრიკატიზაციას განიცდიან:  
 ქართ. /ჯგ/ – ზან. /ჯგ/;  
 ქართ. *ჯ-ობ-ნ-*: ჭან. *(რ)-ჯგ-ინ-*, მეგრ. *რ-ჯგ-ინ-* (ლექსიკონი, გვ. 435).  
 ქართ. /ჩ/ – ზან. /ჩქ/ – სვან. /შგ/;  
 ქართ. *ჩემ-ი*: ჭან. *ჩქიმი* || *შქიმი*, მეგრ. *ჩქიმი* || *ჩქემი*; სვან. *მ-ი-შგჟ-ი*.  
 ქართ. \**ჩიჩჟ-ილ* (>ძვ. ქართ. *ჩჩვლ-ი*): ჭან. *ჩუჩქე* || *ჩიჩქე*, მეგრ.  
*ჩქიჩქე*; სვან. *მჟ-შგჟ-ე* (იქვე, გვ. 242).  
 ქართ. *უ-ჩ-ა(ნ)-ს* „მისთვის ჩანს, შესაცნობია“: ჭან. *უ-ჩქ-ინ* || *უ-შქ-უნ-*  
 მეგრ. *უ-ჩქ-უ(ნ)* „იცის“ (იქვე, გვ. 379).  
 ქართ. /ჭ/ – ზან. /ჭკ/ – სვან. /შკ/;  
 ქართ. *ჭედ-ვა*, *მ-ჭედ-ელ-ი*: ჭან. *ჭკად-* (*ნოჭკადამან* „მიაჭედავენ“),

<sup>1</sup> ამ ფორმათა შესახებ დაწვრილებით - ქვემოთ.

<sup>2</sup> მეგრ. *ლე-ჩქ-ე-ი* ფორმაში -გ- მეორეული წარმოშობისა ჩანს. იგი არ არის წარ-  
 მოდგენილი არც ქართულსა და არც ჭანურ ფორმაში; შდრ. ამ მხრივ ქართ. *ნა-შხ-*  
*ირ-ი* || *ნა-ხ-ში-რ-ი*; ჭან. *ნო-შქ-ერ-ი*, მაგრამ მეგრ. *ნო-შქ-ერ-ი* || *ნო-შქ-ე-ერ-ი* (ლექსი-  
 კონი, გვ. 160).

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში,  
 თბილისი, 1942, გვ. 99 (შემდეგში – არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება).

მეგრ. ჭკად-უ „მჭედელი“; სვან. ლი-შკაძ-ი „ჭედვა“, მგ-შკიდ „მჭედელი“ (შდრ. ლექსიკონი, გვ. 412).

ქართ. ჭარ-|| ჭერ-(გა-ჭარ-ი|| გა-ჭერ-ი): ჭან. ჭკორ-|| ჭკირ-(დო-ჭკორ-უ-დაჭრა“), მეგრ. ჭკირ-(დო-ჭკირ-უ) (იქვე, გვ. 417).

ქართ. ჭა-მა: მეგრ.-ჭან. ჭკომ-უ (იქვე, გვ. 415).

ამ მაგალითების საფუძველზე შეიძლება ნათლად იქნეს წარმოდგენილი ის სქემა, რომელიც ქართული სისინა და შიშინა სპირანტებისა და აფრიკატების შესატყვისი ზანურსა და სვანურ ფონემებთან ან თანხმოვანთკომპლექსებთან შეფარდებისას ჩამოყალიბდება: ქართულ სისინა რიგს ამ ენებში შეესატყვისება შიშინა რიგი, ხოლო ქართულ შიშინა რიგის ფონემებს – შესატყვისი შიშინა თანხმოვნები უკანაენისმიერი ხშულის დართვით<sup>1</sup>. ქართული ენა მასში წარმოდგენილი ქართველური სპირანტებისა და აფრიკატების რეფლექსთა თვალსაზრისით სისინა რიგისაა, ხოლო ზანური და სვანური შიშინა წრეს განეკუთვნება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> რიგი ისეთი ფორმები, რომლებშიც ქართულ შიშინა თანხმოვანს ზანურში შიშინავე შესატყვისება (და არა შიშინა + უკანაენისმიერი ხშული), ქართულიდან უნდა იყოს შესული ზანურში სესხების გზით; მაგ. ქართ. ჩალა: ჭან. ჩალა, მეგრ. ნაჩალა; ქართ. ჭრა (და-იჭრა): მეგრ.- ჭან. ჯრა (დი-ჯრა); ქართ. ჭირ- (მ-ჭირ-დ-ებ-ა): მეგრ.-ჭან. ჭირ- (მეგრ. მოჭირ-უ[ნ]) და სხვ. ზოგიერთ პირველად შიშინათანხმოვანიან მეგრ.-ჭან. ფორმაში (მაგ. ქართ. ლეჭა: მეგრ. ლაჭაუა; ქართ. ს-კვინა: მეგრ.-ჭან. კვინა-ა/ი და სხვ.) შიშინა თანხმოვნის შემდეგ მოსალოდნელი უკანაენისმიერი ხშული დაკარგული (ან განუვითარებელი?) ჩანს, – საფიქრებელია, ველარ თანხმოვანთა დისიმილაციური გავლენით (გ. მ ა ჭ ა რ ი ა ნ ი).

<sup>2</sup> არ მოგვეპოვება არც ერთი მაგალითი, რომელიც საპირისპირო შეფარდებას ამტკიცებდეს აფრიკატების რიგში, ე. ი. ისეთი ფორმები, რომლებშიც ქართ. შიშინა აფრიკატებს ზანურში შესატყვისი სისინა აფრიკატები (და არა ბგერათკომპლექსები!) შეეფარდებოდეს. ამგვარი შესატყვისობა, ერთი შეხედვით, თითქმის წარმოდგენილია ფორმებში: ქართ. ჯაგარი: მეგრ. ძაგარი; ქართ. ფ-რ-ჩხ-ილ-ი: ჭან. ბუ-ცხ-ა, მეგრ. ბი-რ-ცხ-ა და ქართ. ჭ ი პ-ი: მეგრ. ჭ ი პ-ი, ჭან. „წ ი პ ა“ (ლექსიკონი, გვ. 69). მაგრამ საქმე ისაა, რომ შიშინა ვარიანტები ქართულში შედარებით გვიანდელი ფორმებია და შესატყვისი სისინა ვარიანტებისგან უნდა მომდინარეობდნენ. ჯ ა გ ა რ- ფორმის პარალელურად ქართულში მოგვეპოვება ძ ა გ ა რ- ფორმა, რომელიც ნასესხები ჩანს მეგრულში ძ ა გ ვ ა რ- ფორმის სახით (არ დასტურდება ხმოვანთშესატყვისობა!); ჭან. ბუ-ცხ-ა, მეგრ. ბი-რ-ცხ-ა კანონზომიერად შეეფარდება ქართ. ფ-რ-ცხ-ილ ფორმას (შდრ. ლექსიკონი, გვ. 61), ხოლო ჭან. „წ ი პ ა“, რომელიც ნ. მარს აქვს დადასტურე-

ქართული შიშინა რიგის ფონემების შესატყვისად, შიშინავე რიგის ფონემათა დადასტურება უკანაენისმიერ ხშულთან კომპლექსში ზანურსა და სვანურში სვამს საკითხს ამ ენებში ამგვარ დეცეპსიურ კომპლექსთა წარმოშობის შესახებ. სავსებით ბუნებრივია დავუშვათ ამ ბგერებთან უკანაენისმიერი თანხმოვნების განვითარება თავდაპირველი შიშინა რიგის ფონემათათვის დამახასიათებელი ლაბიო-ველარიზებული არტიკულაციის შედეგად<sup>1</sup>. მაგრამ ქართველურ შიშინა თანხმოვანთა ეს ფონეტიკური თავისებურება არ უნდა ყოფილიყო ამ ფონემათა ფონოლოგიურად რელევანტური ნიშანი. ქართულს, რომელმაც შიშინა რიგის ფონემები მარტივი სახით შემოინახა, ამ მხრივ უძველესი მდგომარეობა დაუცავს ზანურთან და სვანურთან შედარებით.

ბული ათინურში, კანონზომიერი შესატყვისი უნდა იყოს ქართ. ჭიპ-ი ფორმის სისინა ვარიანტისა, რომელსაც განსხვავებული მნიშვნელობა შერჩა (clitoris). ამგვარი მონაცვლეობა ერთი ენის ფარგლებში სისინა და შიშინა თანხმოვნებს შორის (შდრ. აგრეთვე ძვ. ქართ. დაკსვა || დაკშვა; სხამი || შხამი (საბა); ისხარი „ჩქარი წვიმა ადრე მომდარებელი“ || ქარი შხალი „წვა ქარიანი მძაფრი“ (საბა); ხიწვი || ხიჭვი და სხვ.) ხშირად კომბინატორულ ხასიათს ატარებს (ს→შ აქ მოყვანილ ფორმებში შეპირობებული ჩანს უკანაენისმიერი სპირანტის მეზობლობით (შდრ. ანალოგიური ვითარება გერმანულ ენებში). რიგ შემთხვევაში (ე. წ. „ხალხური წარმოების“ სიტყვებში, „formations populaires“ – ა. მ. ე. ე) იგი ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს: შდრ. ჭან. წუტა || ჭუტა; სვან. კოტროლ || კოწოლ || კოჭოლ „პატარა, პაწია“ და სხვ. (ექსპრესიული ბგერათმონაცვლეობის შესახებ ქართულში შდრ. Fr. Neisser, *Studien zur georgischen Wortbildung: Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes*, XXXI, 2, Wiesbaden, 1953, გვ. 7 შმდ.). ქართ. ჭიპ-ი: ჭან. „წიპა“-ს შემთხვევაში მას, საფიქრებელია, ევფემისტური საფუძველი აქვს.

ყველა ამ ხასიათის სპორადული თანხმოვანთმონაცვლეობა, ცალკეულ ენათა ნიადაგზე წარმოქმნილი, ამ ენათა შედარებით გვიანდელ ფონეტიკურ სინამდვილეს განეკუთვნება და არ წარმოადგენს ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის კვლევის ობიექტს. ამგვარი ფონეტიკური ცვლილებები ვერ არღვევს იმ კანონზომიერ შეფარდებათა სქემას, რომელიც ქართველურ შიშინა და სისინა აფრიკატთა რიგებს შორის ჩამოყალიბდება.

<sup>1</sup> შდრ. ს. ჟღენტე, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 89 შმდ.; მისივე, ლაბილიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 188; მისივე, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 138 შმდ.

მაგრამ რიგ შემთხვევაში შიშინა თანხმოვნების შესატყვისობათა ეს მწყობრი სურათი ირღვევა. განსაკუთრებით ეს შეეხება /შ/ სპირანტის შესატყვისებს ზანურსა და სვანურში. ქართული /შ/ ფონემის შემცველ ფორმათა მცირე ნაწილი ავლენს ზანურის (resp. სვანურის) ეტიმოლოგიურად ეკვივალენტურ ფორმებში არა შიშინა სპირანტისათვის მოსალოდნელ /შქ/ (resp. /შგ/) კომპლექსს, არამედ ამ კომპლექსის სისინა /სქ/ (resp. /სგ/) ვარიანტს. ერთადერთ შემთხვევაში (მხოლ. რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელურ ფორმაში) ქართული /შ/ ფონემის შესატყვისად გვაქვს /ს/. ეგევე შეეხება ქართული /ჯ/ ფონემის შესატყვისებს ზანურსა და სვანურში. კანონზომიერ /ჯგ/ კომპლექსის გვერდით დასტურდება მისი სისინა /ძგ/ (სვან. /სგ/) ვარიანტი. ამგვარ ვითარებაში გასარკვევია, თუ რატომ აქვს ქართ /შ/ (resp. /ჯ/) ფონემას ორგვარი შესატყვისი ზანურსა და სვანურში. მომდინარეობს ამგვარი /სქ/ კომპლექსი იმავე ფონემისაგან, რომელმაც სხვა შემთხვევაში კანონზომიერად /შქ/ კომპლექსი მოგვცა, თუ წარმოადგენს იგი რეფლექსს სულ სხვა ფონემისა, რომელიც ქართულში /შ/ სპირანტის სახით იქნა წარმოდგენილი და შიშინა რიგს დაემთხვა? /შქ/ (resp. /შგ/) და /ჯგ/ კომპლექსები ვერ ჩაითვლება ქართული /შ/ და /ჯ/ ფონემების კანონზომიერ შესატყვისად ზანურსა და სვანურში, სანამ არ იქნება მოცემული დამაკმაყოფილებელი ფონეტიკურ-ფონოლოგიური ახსნა ამ შესატყვისობათა დარღვევისა, რაც შ - სქ/სგ, ჯ - ძგ/სგ შესატყვისობებში იჩენს თავს. ამ გამონაკლისების ახსნა (ე. ი. გარკვევა იმისა, თუ რატომ გვაქვს ერთ შემთხვევაში შ - შქ/შგ, ჯ - ჯგ, ხოლო მეორე შემთხვევაში შ - სქ/სგ, ჯ - ძგ/სგ) ამგვარ შესატყვისობას კანონზომიერი ფონეტიკური ტენდენციის განხორციელებად დასახავდა.

<sup>1</sup> /სგ/ კომპლექსი სვანურში მიღებულია თავდაპირველი /\*ძგ/ კომპლექსისაგან სისინა აფრიკატის სპირანტიზაციისა და დისიმილაციური დაყრუების შედეგად (შდრ. გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 48).

ჰ. გრასმანის მიერ წამოყენებული დისიმილაციის კანონის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მისი საშუალებით ფონეტიკური საფუძველი მოეძებნა და აიხსნა რიგი გამონაკლისები, რომლებიც შეინიშნებოდა ხშირ თანხმოვანთა შესატყვისობებში სხვადასხვა ინდოევროპულ ენათა შორის. ამიერიდან ეს შესატყვისობები მტკიცედ დადგენილ კანონზომიერებდ იქცა. ვევე შეეხება კ. ვერნერის მიერ აღმოჩენილ კანონს გერმანული ყრუ სპირანტების გამჟღერების შესახებ, რამაც სრული კანონზომიერება დაამყარა ინდოევროპულ ხშირ თანხმოვანთა კომპლექსურ ფონეტიკურ ცვლილებათა ახსნაში, რომელიც „გრიმის კანონის“ სახით ჩამოყალიბდა<sup>1</sup>.

აქამდე არსებული ახსნა **შ-სქ** შესატყვისობისა იმ ზოგად დებულებას ემყარებოდა, რომ სისინა-შიშინა თანხმოვნების შეფარდებაში ამოსავალი ვითარება სისინა ვარიანტს აქვს დაცული. მაშასადამე, **შ-სქ** შეფარდებაში აღდება თავდაპირველი **\*ს**, რომელიც ქართულში შეიცვალა **შ**-თი, მეგრულ-ჭანურში კი შენახულია, ოღონდ მის შემდეგ განვითარებულია **ქ**<sup>2</sup>. ამის თაობაზე გ. როგავა წერს: „ზოგჯერ შეიმჩნევა საწინააღმდეგო შემთხვევაც, როცა ზანურის სისინა ბგერებს ქართულში შეესატყვისება შიშინა ბგერები. ასეთ შემთხვევაში ამოსავალი ვითარება ზანურს აქვს დაცული...“

ასეთ შემთხვევაში ნაწილობრივი ცვლილება ზანურმაც განიცადა სათანადო უკანაენისმიერი (**გ-ქ-კ**) ბგერების განვითარების სახით<sup>3</sup>. ამავე ნაშრომში გ. როგავას მოყვანილი აქვს რამდენიმე რიგი, რომლებიც გამოიყოფა სპირანტებისა და აფრიკატების შესატყვისობებიდან სამივე ენის მონაცემთა გათვალისწინებით. ამ რიგების განხილვისას ბუნებრივად იბადება კითხვა, რატომ მოხდა ქართ. *ვაშლი*: ზან. *უშქური*: სვან. *ჟისგჟ* რიგის შესატყვისობაში ამოსავალი **/\*ს/** სპირანტის შიშინაში გადაწევა ზანურ ფორმაში, მაშინ როდესაც ქართ. *შენი*: ზან. *სქანი*: სვან. *ისგჟი* რიგის მაგალითებში ზანურს, ისე როგორც სვანურს, ქართულისაგან განსხვავებით, უძველესი ვითარება აქვს დაცული.

<sup>1</sup> შდრ. K. Verner, *Eine Ausnahme der ersten Lautverschiebung*: Zeitschrift für vergleichende Sprachforschung auf dem Gebiete der indogermanischen Sprachen, 23, 1877, გვ. 97 შმდ.

<sup>2</sup> არნ. ჩი ქო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 7 შმდ.

<sup>3</sup> გ. როგავა, ხსენ. ნაშრ., გვ. 43.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას ის ფაქტი იქცევს, რომ ამგვარი გადახრა ზანურისა და სვანურის მონაცემებში, რომლებიც, სპირანტებისა და აფრიკატების შესატყვისობათა თვალსაზრისით, ერთ სიბრტყეზე დგანან და ქართულს უპირისპირდებიან, სწორედ ისეთ კომპლექსში გვაქვს, რომელიც ქართულ /შ/ ფონემას შეესატყვისება (შდრ. აგრეთვე ქართ. შუა: ზან. შქა: სვან. ი-სგა). რით უნდა აიხსნებოდეს ამგვარი გადახრები? რამ შეაპირობა შ-შქ/შგ შესატყვისობის გვერდით შ-სქ/სგ შეფარდების არსებობა?

თუ იმ დებულებიდან ამოვალთ, რომ შ-სქ/სგ შეფარდებაში პირველადია სქ/სგ (←ს), რამდენადაც იგი სისინა სპირანტს შეიცავს, უნდა დავუშვათ, რომ ქართულში, რომელიც სისინა წრის ენაა, ეს სისინა /\*ს/ სპირანტი შესატყვისის შიშინაში გადავიდა, მაშინ როდესაც ზანურსა და სვანურში, რომლებიც შიშინა წრის ენებია, ამავე ფონემას არ მოუცია შიშინა რეფლექსი. ამგვარი ფონეტიკური ცვლილება შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ იგი ვერ ჩაითვლებოდა სპონტანური ხასიათის ბგერათცვლილებად, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლობით უნდა დაგვეშვა არსებული /\*ს/ ფონემისაგან (ე. ი. იმ ფონემისაგან, რომელიც ქართულში წარმოდგენილია /ს/, ხოლო ზანურსა და სვანურში /შ/ სპირანტის სახით) ფონოლოგიურად განსხვავებული მეორე სისინა სპირანტის არსებობა, რომელმაც ქართულში მოგვცა შიშინა /შ/ სპირანტი, ხოლო ზანურსა და სვანურში კანონზომიერი რეფლექსი სქ/სგ კომპლექსის სახით. მაგრამ ამგვარი სპირანტის პოსტულირებისათვის ქართველურ კონსონანტურ სისტემაში ჩვენ საკმაო ფონოლოგიური საფუძველი არ მოგვეპოვება<sup>1</sup>. მაშასადამე, გადასვლა შ←/\*ს/→სქ/სგ ქართველურ ენებში უნდა მომხდარიყო მხოლოდ ფონეტიკურ ნიდაგზე, გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში. რა იყო მიზეზი ამ ამოსავალი /\*ს/ სპირანტის სისინა წრის ენაში რიგ ფორმებში შიშინა სპირანტში გადასვლისა, ხოლო შიშინა წრის ენებში სისინა

<sup>1</sup> ამგვარივე შესატყვისობანი უნდა ჰქონოდა ქართველურ ენებში ამავე რიგის მეორე წევრს, მელერ /ზ/ ფონემას. ანალოგიური სურათი მოსალოდნელი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში სისინა აფრიკატთა რიგის ყველა წევრის მიმართ.

ამავე მიზეზების გამო ჩვენ ვერ დავუშვებთ ორი განსხვავებული რიგის არსებობას შიშინა სპირანტებსა და აფრიკატებში.

სპირანტად დარჩენისა? ამაზე პასუხი არავის გაუცია; ალბათ იმიტომ, რომ ამგვარი ფონეტიკური პირობები, რომლებსაც უნდა განესაზღვრა ამოსავალი **/\*ს/** ფონემის ქართულში **/შ/**-დ ქცევა და **სქ/სგ** კომპლექსში გადასვლა ზანურსა და სვანურში, არ არსებობს. ამგვარი **/შ/** ქართულში, რომელიც თითქოს **/\*ს/**-დან მომდინარეობს და რომელიც ზანურსა და სვანურში **სქ/სგ** კომპლექსს გვაძლევს, გვხვდება ისეთსავე ფონეტიკურ გარემოცვაში, როგორშიც ის **/ს/** სპირანტი, რომელსაც ზანურსა და სვანურში შიშინა **/შ/** ფონემა შეეფარდება. მეორე მხრივ, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ზანურისა და სვანურის ფორმებში ამგვარად პოსტულირებულმა **/\*ს/** სპირანტმა უკანაენისმიერი ხშული განივითარა? აქაც კომბინატორული მიზეზებია საძიებელი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამგვარი ფონეტიკური მიზეზები კომბინატორული ხასიათისა არა ჩანს: **სქ/სგ** კომპლექსი ზანურ-სვანურში ისეთ ფონეტიკურ გარემოცვაში გვხვდება, რომელიც ქართული **/ს/** ფონემის შესატყვისად არსებული შიშინა **/შ/** სპირანტისათვის დასტურდება რიგ ფორმებში.

ამგვარი ორმხრივი შედარების საფუძველზე გამოირიცხება ქართული **/შ/** ფონემის შესატყვისად დადასტურებული **სქ/სგ** კომპლექსის წარმომავლობა თავდაპირველი **/\*ს/** სპირანტისაგან. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ზანურსა და სვანურში არ არსებობს პირველადი **სქ/სგ** კომპლექსი, რომლის შესატყვისად ქართულში **/ს/** სპირანტი იყოს წარმოდგენილი. უკანაენისმიერი ხშული ზანურსა და სვანურში დასტურდება მხოლოდ ისეთ **/ს/** სპირანტთან, რომლის შესატყვისად ქართულში **/შ/** სპირანტი გვაქვს. მაშასადამე, ამ მხრივ სრული იდენტობა არსებობს იმ თავდაპირველ შიშინა სპირანტთან, რომელიც ზანურსა და სვანურში უკანაენისმიერ ხშულს იჩენს და რომელიც ქართულში შიშინა **/შ/** სპირანტის სახით არის წარმოდგენილი. ეს გარემოება გადამწყვეტია **შ-შქ/შგ** და **შ-სქ/სგ** შესატყვისობათა სწორ შეფასებაში. რამდენადაც ქართ. **/შ/** ფონემის შესატყვისად ხმარებული **სქ/სგ** კომპლექსის წარმომავლობა თავდაპირველი სისინა სპირანტისაგან გამოირიცხებულია, რჩება ერთი შესაძლებლობა – **შქ/შგ** და **სქ/სგ** კომპლექსთა ერთ სიბრტყეზე დაყენება და მათი მიჩნევა თავდაპირველი შიშინა **/შ/** სპირანტის კანონზომიერ რეფლექსად ზანურსა და სვანურში. ეს შიშინა სპირანტი ქართულში დარჩა უცვლელად, ხოლო ზანურსა და სვანურში მან განივითარა უკანაენისმიერი ხშული

თანხმოვანი. მაშასადამე, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად ზანურსა და სვანურში სქ/სგ კომპლექსი დასტურდება, ამოსავალია ისევ ქართულის ვითარება, როგორც ამას ადგილი აქვს შ-შქ/შგ შეფარდებაში<sup>1</sup>.

შქ/შგ და სქ/სგ კომპლექსთა ერთი და იმავე ფონემის რეფლექსებად მიჩნევა, ერთი და იმავე რიგის მოვლენად განხილვა ბუნებრივად სვამს საკითხს მათ შორის არსებული სხვაობის შესახებ. რა მიზეზებმა შეაპირობა ამგვარი სახეობა, რით არის გამოწვეული ამ კომპლექსთა სისინა და შიშინა ვარიანტების არსებობა, თუკი ისინი ზანურსა და სვანურში ერთი და იმავე ფონემის რეფლექსებად გვევლინება, რომელიც ქართულში შიშინა /შ/ სპირანტის სახით არის წარმოდგენილი? რამდენადაც შქ/შგ და სქ/სგ კომპლექსები ერთი და იმავე ფონემის რეფლექსებად ივარაუდება, მათ შორის არსებული სხვაობა, ბუნებრივია, მეორეული ხასიათისა უნდა იყოს, იმ ფონეტიკური გარემოცვით შეპირობებული, რომელშიც ამოსავალი /შ/ ფონემა იხმარებოდა<sup>2</sup>. შ-შქ/შგ შეფარდების დისტრიბუციული ანალიზის<sup>3</sup> შედეგად ვრწმუნდებით, რომ შქ/შგ კომპლექსის ჩამოყალიბება თავდაპირველი შიშინა /\*შ/ ფონემისაგან სპონტანური ბუნებისაა და არ არის გამოწვეული კომბინატორული ხასიათის ფონეტიკური მიზეზებით. სულ სხვა სურათი ვლინდება ამ თვალსაზრისით სქ/სგ კომპლექსის შემთხვევაში: იგი შეეფარდება ქართულში ისეთ შიშინა /შ/ სპირანტს, რომელსაც, როგორც წესი, ბაგისმიერი /გ/ ან /ჟ/ ფონემა მოსდევს<sup>4</sup>. ეგვე შეეხება ქართ. /ჯ/ ფონემის შესატყვისებს ზანურსა და სვანურში, რომელსაც აქ ძგ/სგ კომპლექსი შეეფარდება:

ქართ. /შგ/ჟ/ – ზან. /სქე-/ – სვან. /სგჟ/:

<sup>1</sup> ის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად ს/ გვაქვს ზანურსა და სვანურში (შდრ. ქართ. შენ: ზან. სი; სვან. სი), ამავე რიგის მოვლენაა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

<sup>2</sup> შდრ. ს. ე დ ე ნ ტ ი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 91.

<sup>3</sup> დისტრიბუციული ანალიზის შესახებ იხ. Zellig S. Harris, *Methods in Structural Linguistics*, Chicago, 1955, გვ. 5. შმდ.

<sup>4</sup> [ვ] და [ჟ] ბგერებს შორის განსხვავება ისტორიულად პოზიციურ ხასიათს ატარებდა. წარმოშობით ისინი ერთი და იმავე ფონემის კომბინატორულ ვარიანტებს წარმოადგენენ, რომელთაც დროთა ვითარებაში ფონოლოგიზაცია განიცადეს. ძვ. ქართულში ისინი უკვე ფონემურ ერთეულებად გვევლინება.

ქართ. *შუენ-ი-ს; შუენ-ი-ერ-* „მშვენიერი“; ჭან. *მეგომსქუ* „გშვენის“; *მ-სქე-ა < მ-სქე-ან* „ლამაზი, მშვენიერი“; მეგრ. *მოსქუ(ნ)<მ-ო-სქე-უ(ნ)* „მშვენი“, *სქეამ-ი* „ლამაზი“ (ლექსიკონი, გვ. 230; 315); სვან. ბქვ. ხ-ე-სგუიჟი „შვენის“, *მუსგუჟენ* „მშვენიერი“, ბზ. *მა-სგუჟ-ა* „შესაფერისი, სარგო“.

ქართ. *შე-ელ-ი*: ჭან. *მ-სქე-ერ-ი* || *მ-სკე-ერ-ი*, მეგრ. *სქე-ერ-ი* (იქვე, გვ. 91); შდრ. ოსურ. *sk'e*<sup>1</sup>.

ქართ. *შა-შ-გი < \*სა-შ-გი* (ძვ. ქართ. *შაშე*): ჭან. *მ-ზე-სქუ < \*მ-ზე-სქე-ი*, მეგრ. *ზე-სქე-ი* (იქვე, გვ. 105).

ქართ. *შე-ილ-ი*: ჭან. *სქ-ირ-ი* || *სკ-ირ-ი < \*სქე-ირ-ი* „შივილი“, მეგრ. *სქ-რ < სქ-ირ-ი < \*სქე-ირ-ი* „ვაუიშივილი (საქებური)“ (იქვე, გვ. 21).

ქართ. /*ჯუ* – ზან. /*ძგვ* – სვან. /*სგუ*:

ქართ. *მარჯუენ-ე*: მეგრ. *მარძგვან-ი*; სვან. *ლე-რსგუჟენ*.

ქართ. *ჯგ* „ბარეთ გასვლა“, „*испражняться*“: მეგრ. - ჭან. *ძგვ* (იქვე, გვ. 388); სვან. *სგ < \*სგუ*; ჩბხ., ლხმ. *ლა-სგ-არ* „საპირფარეშო“.

ქართული *შე-ილ-*: ზან. *სქე* ფორმები ადასტურებს იმ დებულებას, რომ ქართული /*შე*/ კომპლექსის შესატყვისად არსებული /*სქე*/ კომპლექსი ზანურში არ უნდა წარმოადგენდეს შიშინა /*\*შ*/ სპირანტისაგან რაღაც განსხვავებული ფონემის რეფლექსს. საგულისხმო ამ მხრივ ის არის, რომ ქართული /*შე*/ კომპლექსი ამ ფორმაში მეორეულია და მიღებულია თავდაპირველი *შეე*- ძირისაგან (შდრ. *მე ვ-შეე შენ ვ-შეე მან შე-ა*) ძირისეული ე-ხმოვნის რედუქციის შედეგად: შდრ. ქართ. *შე-ა < \*შეე-ა*: მეგრ. *ქოსქუ < \*ქო-სქე-უ* ჭან. *ქო-დოსქუ < \*ქო-დო-სქე-უ* „კვერცხი დაღო“; მეგრ. *მასქუალი ქოთომი* „ქათამი, რომელიც კვერცხსა დებს“ (ლექსიკონი, გვ. 315 შმდ). გეგვე შეეხება *შა-შ-ე*: ჭან. *მ-ზე-სქუ* მეგრ. *ზე-სქე-ი* ფორმებს, რომლებშიც არნ. ჩიქობავა გამოყოფს ძირეულ -*შ*- თანხმოვანს და -*ვ*- დეტერმინანტ-სუფიქსს<sup>2</sup>.

ქართული *შე/ჟ* კომპლექსის ზანურ-სვანურ *სქე/სგუ* კომპლექსთან შედარება ნათლად წარმოგვიდგენს *სქ/სგ* კომპლექსის ბუნებასა და გენეზისს. ქართული /*შ*/ ფონემის კანონზომიერ შესატყვისად ზანურსა და სვანურში უნდა მიგვეღო *შქ/შგ* კომპლექსი, რო-

<sup>1</sup> В. И. Абаев, *Мегрелизмы в осетинском*, Осетинский язык и фольклор. М.-Л., 1949, გვ. 327.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 105.

მელიც ბაგისმიერ ვ/წ ფონემასთან უშუალო კონტაქტში შესატყვის სისინა ვარიანტში გადადიოდა: ქართ. /შ/: ზან. /შქ/: სვან. /შგ/, მაგრამ ქართ. შვ/წ: ზან. /შქვ/→/სქვ/: სვან. /შგუ/→/სგუ/. ეგევე შეეხება /ჯგ/-/ძგ/ კომპლექსთა ურთიერთობას: /ძგ/ კომპლექსი მიღებულია ზანურსა და სვანურში თავდაპირველი კანონზომიერი /ჯგ/ კომპლექსისაგან მომდევნო ვ/წ ფონემის გავლენით: ქართ. ჯვ/უ: ზან. /ჯგვ/→/ძგვ/ (სვან. /სგწ/). მაშასადამე, შქ/შგ და სქ/სგ კომპლექსთა შეფარდებაში ამოსავალია შქ/შგ კომპლექსი, რომელიც შიშინა /შ/ სპირანტის კანონზომიერ რეფლექსს წარმოადგენს დასავლურ-ქართველურ ენებში, ხოლო სქ/სგ მიღებულია პირველადი შქ/შგ კომპლექსისაგან გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში, სახელდობრ, ბაგისმიერ ვ/წ ფონემასთან უშუალო კონტაქტში.

§ 2. ამ დებულების საფუძველზე საშუალება გვძლევდა ამ ფონეტიკური პროცესის რელატიური ქრონოლოგიის დადგენისა ქართველურ ენებში. იგი უნდა დაწყებულიყო მას შემდეგ, რაც მოხდა თავდაპირველი შიშინა სპირანტისა და აფრიკატების გადაწევა, ანუ მათ რეფლექსებად შესატყვისი შიშინა-ხშულთანხმოვნიან კომპლექსთა ჩამოყალიბება, რამდენადაც ქართველურ ენებში არ დასტურდება მაგალითები /შწ/→/სწ/ რიგის გადაწევებისა. მაშასადამე, ის ფონეტიკური პროცესი, რომელიც სქემატურად შეიძლება შქ/შგ-ვ/წ→სქ/სგ-ვ/წ ფორმულის სახით წარმოვიდგინოთ, საკუთრივ ზანური და სვანური რიგის მოვლენაა, მხოლოდ ამ ენათათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის სვანური ენა, სადაც აშკარად შეინიშნება ტენდენცია თუნდაც მეორეული წარმოშობის /შგ/ კომპლექსის შესატყვის სისინა /სგ/ კომპლექსში გადასვლისა, თუკი მასთან უშუალო კონტაქტში მომდევნო ბაგისმიერი წ/უ ფონემა აღმოჩნდა. სვანურის მონაცემები ამ მხრივ რიგ შემთხვევაში ზანურისაგან დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს, რაც გვაგარაუდებინებს ამ ფონეტიკური პროცესის მოქმედებას საკუთრივ სვანურში, მისი დამოუკიდებელი განვითარების გარკვეულ პერიოდში.

აქ წარმოდგენილი დებულება სვანურის შემდეგ მონაცემებს ემყარება:

1. ქართული *ვაშლ-ი* ზანურში კანონზომიერად შეესატყვისება *ოშქ-ურ-ი* || *ოშქ-ურ-ი* || *უშქ-ურ-ი* ფორმებს. თავკიდური ბაგისმიერი *ჯ*-ს გავლენით *ო*→*უ* ქართ. *[-აქლ- დეტერმინანტი* კანონზომიერად შეეფარდება ზან. *-ორ*→*-ურ* სუფიქსს (შდრ. ლექსიკონი, გვ. 121). სვანურში ამ ფორმათა შესატყვისად გვაქვს ბზ. *ჟისგ-ჟ* ლშხ. *უსკ-ჟ* სვანურ ფორმაში გამოიყოფა *-ჟ* დეტერმინანტი-სუფიქსი<sup>1</sup> (შდრ. *ძალ-ლ-ი*: მეგრ. *ჯოლ-ორ-ი*; სვან. მიც. ბრ. *ქალ-ჟ*), რომლის გავლენით ქართ. /შ/ სპირანტის შესატყვისად მოსალოდნელი კანონზომიერი /შგ/ კომპლექსი სისინა /სგ/ კომპლექსში გადავიდა<sup>2</sup>.

2. ქართ. *ექეს-ი* (ძვ. ქართ. *ექუს*): ჭან. *აშ-ი* || *ანშ-ი* მეგრ. *ამშე-ი*: სვან. *უსგ-ჟ-ა*; *მჟ-ჟისგ-ჟ-ე* „მეექვსე“. ჭანურ ფორმაში დაკარგულია *-ჟ*: *აშ-ი* || *ანშ-ი* \**აშე-ი* || \**ანშე-ი* მეგრ.-ჭან. *მ* | *ნ* განვითარებულია შს წინ<sup>3</sup>, რომელიც ქართული /ს/ თანხმოვნის კანონზომიერი შესატყვისია.

ზანურ ფორმათა გათვალისწინებით ამ რიცხვითი სახელის არქეტიპი აღდგება როგორც \**ექსჟ*, რომელმაც მოგვცა ისტორიულად დამოწმებული ჭან. *აშ-ი* \**აშე-ი*: *-ქს*- კომპლექსი ზანურში გამარტივდა *-ქ* თანხმოვნის დაკარგვის შედეგად (შდრ. *ქსოვს*: ჭან. *შუმს*, მეგრ. *შუნს*)<sup>4</sup>. სვანურ ფორმაში მოსალოდნელი /შ/ სპირანტის ნაცვლად გვაქვს /ს/. სვანური *უსგ-ჟ-ა* ფორმა ამოსავალი \**უქსჟ*-ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს. ამ ფორმებში (*ე-ქსჟ* || *უ-ქსჟ*) შესაძლებელია ისეთსავე მონაცვლეობასთან გექონდეს საქმე, როგორც ქართ. *ერთ-ი* || *ურთ-ი* ან სვან. *ე-შხუ* „ერთი“, *უ-შხუდ* „ერთად“; *უ-შხჟ-არ* „ერთმანეთს“ ფორმების შემთხვევაში<sup>5</sup>. ეს ამოსავალი

<sup>1</sup> -ჟ დეტერმინანტი-სუფიქსის შესახებ სვანურში იხ. არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 85 შმდ.

<sup>2</sup> სვანური ფორმის ვოკალიზმისათვის: \**ჟასგ-ჟ* > (*ჟ*)*უსგ-ჟ* > *ჟისგ-ჟ* იხ. გ. ი. მ ა ჩ ა ვ ა რ ი ა ნ ი, *Случаи лабиализации гласного „а“ в сванском языке* (Сообщения АН Груз. ССР, XVII, 4, 1956, გვ. 366).

<sup>3</sup> ამგვარი მ || ნ თანხმოვნის განვითარების შესახებ მეგრულ-ჭანურში იხ. ს. ქ დ ე ნ ტ ი, *ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა*, თბილისი, 1953, გვ. 91 შმდ.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 216.

<sup>5</sup> შდრ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 292. თავკიდური უ-ხმოვნის გაჩენა ამ სვანურ ფორმაში ე-ხმოვნის ნაცვლად, რომელიც დამახასიათებელია ქართული და ზანური (ა←ე) ფორმებისათვის, შესაძლებელია აგრეთვე მომდევნო ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით

\*უქსჷ- ფორმა სვანურში მოგვეცემდა \*უქშჷ- ფორმას. -ქშ- კომპლექსში მომხდარი მეტათეზისის შედეგად მივიღეთ სვანურისათვის შეტად ბუნებრივი დეცესიური რიგის შქ→შგ კომპლექსი: \*უქშჷ→\*უშგჷ-ა<sup>1</sup>. -შგ- კომპლექსის გასისინების შედეგად მომდევნო ბაგისმიერი ჴს გავლენით ჩამოყალიბდა სვანურში ისტორიულად დამოწმებული უსგჷ-ა ფორმა.

3. ქართ. თქუენ-ი: მეგრ.-ჭან. თქენ-ი: სვან. ი-სგჷე-ი მეგრ.-ჭანური თქენ-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა ქართული თქუენ-ი ფორმის კანონზომიერი შესატყვისია, სვანურ ფორმაში გაუგებარია /ს/ სპირანტის გაჩენა ქართული და ზანური /თ/ ფონემის შესატყვისად. ქართულ /თ/-ს სვანურში შეესატყვისება /თ/ ფონემა: შდრ. ქართ. თხ-ელ-ი ჭან. თი-თხ-უ მეგრ. თხი-თხ-უ: სვან. დგ-თხ-ელ<sup>2</sup>; ქართ. თეთრ-ი: სვან. თჷეთნე || თეთჷნე; ნ-თთჷენ-ი „სითეთრე“<sup>3</sup>. ამგვარი შეფარდების საფუძველზე მოსალოდნელი იყო ქართ. თქუენ- ნაცვალსახელის შესატყვისად სვანურში თქჷ- კომპლექსიანი ფორმა ანლაუტში, მით უმეტეს, რომ -თქჷ- კომპლექსიანი ფორმები დასტურდება სვანურში: შდრ. მითქჷ „ჩეგვა“, ითქჷ „მარცვალი“ და სხვ.

აიხსნებოდეს; შდრ. იმჷწჷჷი || უმჷწჷჷი. „როგორც“ (ა. შ ა ნ ი ძ ე და ვ. თ ო ფ უ - რ ი ა, სვანური პროზაული ტექსტები, თბილისი, 1939, გვ. 272<sub>28</sub>), იმჷწჷ > უმჷწჷ (იქვე, გვ. 294<sub>32</sub>) (შდრ. ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 116). უ-ზმოვნის მიღების შესახებ სვანურში ბაგისმიერი თანზომონის გავლენით იხ. გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ხსენ. ნაშრ., გვ. 36 შმდ.

<sup>1</sup> მეტათეზისის გზით აქცესიური რიგის კომპლექსთა სუპერაციის შესახებ იხ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 334 შმდ. აქცესიური - ქშ- კომპლექსის სუპერაციის შედეგი უნდა იყოს, აგრეთვე ქ კომპონენტის დაკარგვა ჭან. ა შ ვ-ი ფორმაში, რომელიც \*ე ქ ს ჴ-ფორმისაგან მომდინარეობს. ქართული ექუს < \*ე ქ ს ჴ- ფორმაში მომხდარი მეტათეზისი აქცესიური -ქს- კომპლექსის სუპერაციით უნდა აიხსნებოდეს. ირკვევა, რომ ერთსა და იმავე \*ე ქ ს ჴ-ფორმაში ქართულურ ენათა მიხედვით სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესებს ჰქონდა ადგილი იმ ზოგადი ფონეტიკურ-ფიზიოლოგიური ტენდენციის განსახორციელებლად, რომელსაც გ. ახვლედიანმა აქცესიურ კომპლექსთა სუპერაცია უწოდა.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 177.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 245.

მაშასადამე, *თქუე-ნ*- ნაცვალსახელში თავიკიდური *თ-* თანხმოვანი არ ასახავს იმ ფონემას, რომელსაც სვანურში /თ/ შესატყვისება. გვრჩება მეორე შესაძლებლობა: ნაცვალსახელურ *თქუე-ნ*- ფორმაში წარმოდგენილია ის ფონემა, რომლის შესატყვისად სვანურში *-შდ-* კომპლექსი გვაქვს: შდრ. ქართ. *ათო*: სვან. *დეშდ*; ქართ. *და-თ-ფ-ი*: ჭან. *მ-თუ-თ-ი*, მეგრ. *თუ-ნ-თ-ი*: სვან. *დ-შდ-ჟ* || ლშხ. *დე-შდ-ჟ*; ქართ. *თხ-ილ-ი*: სვან. *შდიხ*; ძვ. ქართ. *თ-თუე* -|| *თუ-თ-ე* „თვე“: მეგრ.-ჭან. *თუ-თ-ა* „თვე; მთვარე“: სვან. *დო-შდ-ულ* „მთვარე“; ქართ. *თაკუ* : სვან. *შდუგ ჟ* და სხვ<sup>1</sup>. მაშასადამე, *თქუე-ნ*- ნაცვალსახელის კანონზომიერ შესატყვისად სვანურში უნდა გექონოდა \**შდქუე*-. ანლაუტში ოთხთანხმოვნიანი ბგერათკომპლექსის თავიდან ასაცილებლად ჩავარდა *-დ-* თანხმოვანი<sup>2</sup>, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სვანურისათვის მეტად ბუნებრივი დეცესიური რიგის *-შგ-* კომპლექსი, რომელიც მომდევნო ბაგისმიერი *ჟ-ს* გავლენით შესატყვისის სისინა *-სგ-* კომპლექსში გადავიდა. ანლაუტში მოქცეულ *სგ ჟ* < *შგ ჟ* კომპლექსს დაერთო პროთეტული *ი-ხმოვანი*<sup>3</sup>, რის შედეგადაც მივიღეთ ისტორიულად დამოწმებული *ი-სგ ჟე*- ფორმა როგორც ქართ. *თქუე-ნ*, მეგრ.-ჭან. *თქვა-ნ*- ფორმათა კანონზომიერი შესატყვისი.

გვევე შეეხება სვან. *სგან* „თქვენ“ პირის ნაცვალსახელის წარმომავლობას; *სგან* იმავე *თქუე-ნ* ფორმას შესატყვისება. სვანური ფორმის ვოკალიზმი და *ჟ-ს* გაუჩინარება (\**სგ ჟე* > *სგან*) განსაზღვრა

<sup>1</sup> ვ. თოფურიძე, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, 1: „მიომზილველი“, თბილისი, 1926, გვ. 201, შმდ.; შდრ. არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 174 შმდ.

<sup>2</sup> შდრ. დ-ს დაკარგვა *-რდგ* კომპლექსში: ურდგილ „უადგილო“, მაგრამ „ურ-გილ არგილას“ „უადგილო ადგილას“ (ა. შანიძე, ვ. თოფურიძე, მ. გუჯეჯიანი, სვანური პოეზია, I, თბილისი, 1939, გვ. 194). დ-ს ჩავარდნის შემთხვევები ბგერათკომპლექსში დასტურდება აგრეთვე ლახამულურში: ნ-ბნერი, შდრ. ნაბდნიერი (ლშხ). „ნაბდნიერები“; ლეგმერდე, შდრ. ლეგმერდე (ჩხხ.) „ავადმყოფი“ (მ. ქალდანი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 173).

<sup>3</sup> სვანურისათვის უცხო ანლაუტში თანხმოვანთა ერთად შეყრა. ამის თავიდან ასაცილებლად ენა ხშირად ამგვარ ფორმებში პროთეტულ ხმოვანს აჩენს: შდრ. ქართ. შენ-ი, მეგრ.-ჭან. სქან-ი: სვან. ი-ს გ უ || ი-ს-გჟ-ი; ქართ. შუა, მეგრ.-ჭან. შქა: სვან. ი-ს-გა (შდრ. ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 189 შმდ.).

პირველი პირის ნაბ „ჩვენ“ ნაცვალსახელთან ანალოგიამ.

4. ქართული შუბ-ღ-ი ფორმის შესატყვისია სვანურში ბზ. სგუბ-ინ ბქვ სგებ-ინ „წინ“. \*შუბ ფუძის კანონზომიერი შესატყვისი სვანურში უნდა ყოფილიყო \*შქუბ->\* შგუბ- ფორმები. მომდევნო უ-ს გავლენით თავიკიდური შგ-კომპლექსი გადავიდა შესატყვის სისინა ვარიანტში: \*შგუბ-ინ>\*სგუბ-ინ \*სგუბ-ფუძეს შეენაცვლა სგობ- ფორმა (შდრ. ლშხ. სგობ-ინ)? სგობ-ინ ფორმაში ო-ხმოვანმა მომდევნო ო-ს გავლენით გამოწვეული უმლაუტის შედეგად განიცადა დიფთონგიზაცია<sup>3</sup> და მივიღეთ სგუბ- ფუძე, რომელიც წარმოდგენილია ისტორიულად დამოწმებულ ბალსზემოურ ფორმაში<sup>4</sup>. ბალსქვემოურში -უე- დიფთონგის გამარტივების<sup>5</sup> შედეგად მივიღეთ სგებ-ინ ფორმა.

5. -ეშგ- და -ესგ- სუფიქსები გამოიყოფა სვანურ ზმნაში როგორც დროთა პირველი ჯგუფის თემატური ნიშანი. ამათგან -ეშგ-სუფიქსი აწმყოს ფუძეში ამჟამად მხოლოდ ერთ ზმნაში გვხვდება: ბზ. ხოდ-ეშგ-ი, ბქვ. ხოდ-ეშგ, ლშხ. ხოდ-ეშ „ართმევს“ - ზ. სგ. ლშხ. ოთ-ღ-ე (<\*ად-ხოდ-ე) „წაართვა“; ნამყო უსრ. ხოდ-წშგ-ღანს „ვართმევდი“, ხოდ-წშგ-ღა „ართმევდა“<sup>6</sup>. -ესგ- სუფიქსი ზმნის აწმყოს ფუძეში შედარებით უფრო გავრცელებულია, რამდენიმე ზმნაშია დამოწმებული დროთა პირველი ჯგუფის ფორმებში: ბზ. ღ-ეშესგ-ი

<sup>1</sup> სგუბ-ინ სგებ-ინ ფორმაში -ინ ნაწილაკი იმავე რიგისაა, რაც ქართ. გუშ-ინ, -მღ-ინ ფორმებში (შდრ. ვ. თოფურიან, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 11, № 1-2, 1941, გვ. 192).

<sup>2</sup> უ→ო პროცესისათვის სვანურში შდრ. ქართ. ხ-უ-ც-ე-ს-ი, მეგრ. უჩ-ა-შ-ი: სვან. ხ-ო-შ-ა.

<sup>3</sup> ო ხმოვნის უმლაუტის შესახებ იხ. ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957, გვ. 367 შმდ.

<sup>4</sup> აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მეორეული უ ბგერის წინ, ე.ი. ო ან უ ხმოვნის უმლაუტის შედეგად მიღებული დიფთონგიკული უ-ს წინ, -შგ- კომპლექსი არ განიცდის გასისინებას: შდრ. იშგუბემ „ითხოვს“; ნ. უსრ. ი-შგომ-და; ლა-შგომ „სათხოვი“ და სხვ. შგუ > სგუ- ფონეტიკური პროცესი, როგორც ჩანს, აღარ მოქმედებდა იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო ო და უ ხმოვნების დიფთონგიზაცია უმლაუტის შედეგად, რაც თანამედროვე სვანური დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი.

<sup>5</sup> ამგვარი ფონეტიკური მოვლენის შესახებ სვანურში იხ. ვ. თოფურიან, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, 1928, გვ. 337 შმდ.; შდრ. ს. ქლენტი, ხსენ. ნაშრ., გვ. 109 შმდ.

<sup>6</sup> ვ. თოფურიან, სვანური ენა, I, ზმნა, თბილისი, 1931, გვ. 167.

„ვღებ“ – ნ. უსრ. *ღ-ჟ-წგ-ღანს ან-წგ-ი*, „მიაქვს, მიყავს“ – ნ. უსრ. *ან-წგ-და; ხანწგ-წგ-ი*, „ახვედრებს (ნიშანს)“ – ნ. უსრ. *ხანწგ-წგ-და* ბალსქვემოურში *-წგ-* სუფიქსის პარალელურად *-ისგ* არის გამოყენებული: *ხწგ-წგ | ხწგ-ისგ* „ვარჩენ“ (მაგ. *ოჯახს*); მიმაქვს, წავიღებ“ – ნ. უსრ. *ხწგ-ანსგ-ჟ; ან-ღ-ისგ* (შდრ. ბზ. *ღ-წგ-ი*) „ღებს“ – ნ. უსრ. *ან-ღ-ანსგ-ჟ* (*ა-ღ-ანსგ-ჟ*)<sup>1</sup>. გ. მაჭავარიანის მიერ გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ *-ესგ (> -ისგ)* სუფიქსი როგორც აწმყოს თემატური ნიშანი ძველად უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო სვანურში<sup>2</sup>. ბალსქვემოურში დღესაც შეინიშნება ტენდენცია აწმყოს ფუძეში *-წგ-* და *-წგ-* სუფიქსების უგულვებელყოფისა: შდრ. *ი-ღ-ი || ი-ღ-წგ-ი* „ღებს, იცვამს“; *ხოლ-ი || ხოლ-წგ-ი* „ართმევს“<sup>3</sup>. რით უნდა აიხსნებოდეს *-წგ-* და *-წგ-* სუფიქსების პარალელური არსებობა სვანურში? ბუნებრივია, რომ ისინი ჩვენ ერთი და იმავე სუფიქსის ვარიანტებად მივიჩნით. ამოსავალ ფორმად ჩვენ *-ეშგ-* სუფიქსი გვესახება. როდესაც *-ეშგ-* სუფიქსით გაფორმებული აწმყოს ფუძე ნამყო უსრულში, რომელიც აწმყოს ფუძისაგან იწარმოება, ნამყო უსრულის მაწარმოებელ *-ჟ* ფორმანტს დაირთავდა<sup>4</sup>, ვიღებდით *-აშგ-ჟ || აშგ-ჟ* კომპლექსს<sup>5</sup>, რომელიც კანონ-

<sup>1</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ხსენ. ნაშრ., გვ. 93.

<sup>2</sup> გ. მაჭავარიანი, ნამყო უსრული სვანურში და მისი ადგილი ქართველურენათა უღვლილების სისტემაში: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის 1957 წლის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, გვ. 11 შმდ.

<sup>3</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ხსენ. ნაშრ., გვ. 167.

<sup>4</sup> სვანურში რამდენიმე პირველადი ნამყო უსრულის მაწარმოებელი სუფიქსი გამოიყოფა: *-ა* (*-ე* თემისნიშნით ფორმებში), *-ღნ*<sup>1</sup> (თანხმოვნით დაბოლოებულ ზმნათა ფორმებში), *-ღნ* (ნულსუფიქსიან ზმნათა რიგ რელატიურ-გარდაუვალ ფორმებში) და *-ჟ* ფორმანტი. ამათგან *-ჟ* სუფიქსი ამჟამად მხოლოდ ბალსქვემოურ კილოკავებში, განსაკუთრებით ეცერულში, გვხვდება (შდრ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ხსენ. ნაშრ., გვ. 89 შმდ). *-ღნ*<sup>1</sup> სუფიქსიანი ტიპი ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული ბალსქვემოურსა, ლენტეხურსა და, განსაკუთრებით, ბეჩოურში, მაშინ როდესაც ეცერულისა და ლახამულურისათვის იგი ნაკლებ დამახასიათებელია. ამგვარი განაწილება *-ჟ* და *-ღნ*<sup>1</sup> სუფიქსებისა სვანურ დიალექტებში მეორეული მოვლენა უნდა იყოს და აიხსნებოდეს ძველთაგანვე ყველა სვანურ დიალექტში მეტნაკლებად არსებული *-ჟ* და *-ღნ*<sup>1</sup> სუფიქსების უნიფიკაციის ტენდენციით სხვადასხვა დიალექტების მიხედვით (იხ. გ. მაჭავარიანი, ხსენ. ნაშრომი, გვ. 11 შმდ.)

<sup>5</sup> *-აშგ-ჟ || -აშგ-ჟ* ელემენტები ნამყო უსრულში აწმყოში წარმოდგენილი *-ეშგ-* სუფიქსის ნაცვლად იმავე ხმოვანთმონაცვლეობის შედეგადაა მიღებული, რომელიც სხვა ფორმებშიც დასტურდება: შდრ. ბზ. ა გ ე მ „აგებს“ – ნ. უსრ. ა გ ა მ – და <

ზომიერად -ასგ-ჟ || ანგ-ჟ კომპლექსში გადადიოდა. ნამყო უსრულში სუფიქსის დართვისას, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო იშვიათად იყო გამოყენებული -ჟ სუფიქსთან შედარებით, -ეშგ- || -აშგ || -ანგ სუფიქსი უცვლელი რჩებოდა. ამგვარად, აწმყოს ფუძეში თემის ნიშნად მხოლოდ -ეშგ- ელემენტი იყო წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ნამყო უსრულის ფორმებში ზმნის ფუძე ხან -აშგ- || -ანგ- და ხან -ასგ- || -ანგ- სუფიქსის სახით გვევლინებოდა იმისდა მიხედვით, თუ ნამყო უსრულის რომელი მაწარმოებელი ელემენტი ერთვოდა ზმნის ფუძეს. წარმოიშვა ერთგვარი დარღვევა -ეშგ- სუფიქსით გაფორმებული ზმნის პარადიგმისა. ამის თავიდან ასაცილებლად ენაში მოხდა ანალოგიური ტრანსგრესია -ესგ- სუფიქსისა აწმყოს ჯგუფის იმ ზმნურ ფორმებში, რომელთა -ეშგ- თემის ნიშანი ნამყო უსრულში კანონზომიერად -ასგ-ჟ || -ანგ-ჟ კომპლექსს გვაძლევდა მომდევნო ჟ-ფორმანტის გავლენით. A/a:b შეფარდება შეიცვალა სიმეტრიული A:B/a:b პროპორციით. რამდენადაც b შემთხვევები (ე.ი. აშგ-ჟ > ანგ-ჟ) საგრძნობლად აღემატებოდა a შემთხვევებს (ე.ი. აშგ-და), მოხდა შესაბამისად -ესგ- ელემენტის გავრცელება ზმნის აწმყოს ფორმებში თავდაპირველი -ეშგ- სუფიქსის ხარჯზე, რომელიც დროთა ვითარებაში თითქმის მთლიანად განდევნილ იქნა და ადგილი -ესგ- ფორმანტს დაუთმო.

-ეშგ- თემის ნიშნისა და ნამყო უსრულის -ჟ ფორმანტის ფართო გავრცელებას ძველად სვანური ზმნის პარადიგმაში მოწმობს აგრეთვე ის მეტად შნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ამგვარი -ასგჟ | -ანგჟ < -აშგ-ჟ ელემენტი ფართოდ არის წარმოდგენილი თანამედროვე სვანურ დიალექტებში ნამყო უსრულის ფორმებში, სადაც იგი უფუნქციოდ ერთვის ნამყო უსრულის მაწარმოებელი გარკვეული სუფიქსით გაფორმებულ ზმნის ფორმებს: შდრ. მაგ. ე თემისნიშნიან ზმნათა ნამყო უსრულის ფორმები: ბზ. ლშხ. ხუამარ-ე ბქვ. ლნტ. ხუამარ-ე „გამზადებ“ - ნ., უსრ. ეცრ. 1. ხუამარ 2. ხამარ 3, ამარ-ა ბეჩ. 1. ხუამარ-ასგჟ 2. ხამარ-ასგჟ 3. ამარ-ა

ეცერულ კილოკავში პირველისა და მეორე პირის ფორმებში წარმოდგენილია ნამყო უსრულის მაწარმოებელი ნულ-სუფიქსი, მესამე პირში - ა სუფიქსი. ბენოურში ნულ-სუფიქსიან ფორმებს

\* აგამ-ი-და; აბემ „აბამს“ - ნ. უსრ. აბამ-და < \* აბამ-ი-და. აქ საფიქრებელია, ერთგვარ აბლაუტთან უნდა გვქონდეს საქმე (შდრ. ვ. თოფურიანი, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 310. შმდ.; მისივე, სვანური ენა, 1, ზმნა, თბილისი, 1931, გვ. 80 შმდ.).

დართული აქვს -ასგჷ ელემენტი. ეგევე შეეხება -დ სუფიქსით წარმოებულ ნამყო უსრულის ფორმებს. ბერძნულ კილოცაგში პირველი და მეორე პირის ფორმებში აქაც -ასგჷ სუფიქსი გამოიყოფა, რომელიც უფუნქციოდ ერთვის ნამყო უსრულის მაწარმოებელ -დ სუფიქსიან ფორმებს: შდრ. პრი, ლშხ. არი „არის, არსებობს“ – ნ. უსრ. ეცრ. ლნტ. 1. ხჷარ-დ, 2. ხარ-დ, 3. არ-დ-ა, მაგრამ ბქ. 1. ხჷარ-დ-ასგჷ 2. ხარ-დ-ასგჷ 3. არ-დ-ა.

-ასგჷ ელემენტის ამგვარი დართვა ნამყო უსრულის მაწარმოებელი სუფიქსით გაფორმებულ ზმნის ფორმაზე გასაგები ხდება, თუ დაგუშვებთ -ეშგ- || -ესგ- თემის ნიშნის ფართო გავრცელებას სვანური ზმნის დროთა პირველი ჯგუფის უძველეს პარადიგმაში. ნამყო უსრულის ფორმებში წარმოდგენილი -აშგჷ || -აშგჷ > -ასგჷ || -ასგჷ ელემენტი გადატანილ იქნა ანალოგიით ზოგიერთ სვანურ დიალექტში ნამყო უსრულის პირველი და მეორე პირის იმ ფორმებზედაც, რომლებიც ისტორიულად სპეციალური, -ჷ სუფიქსისაგან განსხვავებული ფორმანტით იყო წარმოებული<sup>1</sup>. ამ გზით მიღებული -ასგჷ || -ასგჷ ფორმანტი, რომლის გაჩენა ანალოგიური ტრანსგრესიის შედეგი იყო სვანური ზმნის პარადიგმაში და რომელიც ამდენად მოკლებული იყო ფუნქციონალურ დანიშნულებას, ადვილად განიცდიდა დაშლას ფონეტიკური მიზეზების გამო. ამ პროცესის სინქრონული სურათი ნათლად ჩანს ბალსქვემოურის ბერძნულ კილოცაგში, სადაც -ასგჷ -დ-ასგჷ ფორმანტების პარალელურად, რომლებსაც, როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, ხანში შესულები მიმართავენ ნამყო უსრულის საწარმოებლად, გვხვდება -ასგჷ -დ-ასგჷ ფორმანტებიც (შედარებით ახალგაზრდების მეტყველებაში), მაშინ როდესაც ახალი თაობა -ასჷ -დ-ასჷ ბოლოსართებს აბატონებს. ახალგაზრდათა მეტყველებაში დამოწმებულია აგრეთვე -ასჷ -დ-ასჷ და იშვიათად -ასგგ, -დ-ასგგ ფორმანტებიც<sup>2</sup>.

ამგვარად, ბალსქემოური -ას და -დას ფორმანტები, ნამყო უსრულის მხ. რიცხვის პირველისა და მეორე პირის ფორმებში რომ

<sup>1</sup> ანალოგიური ვითარება შეინიშნება ზოგიერთ სვანურ დიალექტში ნამყო უსრულის მაწარმოებელი -და სუფიქსის მიმართაც, რომელიც ანალოგიით დავრთვის -ენ სუფიქსით წარმოებულ ნამყო უსრულის ფორმებს: შდრ. ბზ. მ ა ლ ა ნ ტ „მიყვარს“: ნ. უსრ. მ ა ლ ტ-ენ || მ ა ლ ტ-ენ-და; ხ ა ს კ უ რ ე ლ „უყვირს“: ნ. უსრ. ხ ა ს კ უ რ ა ლ-ენ || ხ ა ს კ უ რ ა ლ-ენ-და და სხვ. (ვ. თოფურია, სვანური ენა, 1, ზმნა, თბილისი, 1931, გვ. 85).

<sup>2</sup> ვ. თოფურია, ხსენ. ნაშრ., გვ. 95 შმდ.

გვხვდება ბალსკეემოური (ბეჩოური) -ასგჷ და -დ-ასგჷ ფორმანტე-ბის ეკვივალენტური ფუნქციით<sup>1</sup>, სხვა არაფერია, თუ არა ამოსავალი -ასგჷ ელემენტის ფონეტიკური სახესხვაობა, რომელიც ანალოგიით ერთვოდა ნამყო უსრულის მაწარმოებელი გარკვეული სუფიქსით გაფორმებულ ზმნის ფორმებს: დ-ასგჷ || დ-ასგჷ > დ-ასჷ > დ-ას (ბოლოკიდური -ჴს მოკვეციით).

ამგვარად აღდგენილი პირველადი -ეშ- სუფიქსი სვანურში შესატყვისის პოვებს ქართულ მორფოლოგიურ ინვენტარში -ეშ სუფიქსის სახით, რომელიც ისტორიულად ფუძედრეკად ფორმებში გამოიყოფა.

## II. შიშინა თანხმოვნები და ქართველური პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები

§1. ზემოთ განხილული მაგალითები ადასტურებენ შგ-ჴ→სგ-ჴ ფონეტიკური პროცესის არსებობას საკუთრივ სვანურ, ზანურისაგან განსხვავებულ ფორმებში. ის ზანური და სვანური ფორმები, რომელთათვისაც საერთოა სისინა კომპლექსები ქართული შიშინა სპირანტისა და აფრიკატების შესატყვისად, განხილულ უნდა იქნენ როგორც შედეგი ზანურ-სვანური არეალისათვის დამახასიათებელი საერთო ფონეტიკური ტენდენციისა – სისინა-ხშულთანხმოვნინან კომპლექსთა ჩამოყალიბებისა შესატყვისი შიშინა კომპლექსებისაგან მომდევნო ვჴ ფონემის გავლენით. ეს ფონეტიკური პროცესი, რომელიც ზანურ-სვანურ არეალში წარმოიშვა, გაგრძელდა შემდგომ, დამოუკიდებლად ზანურისა, სვანურ ენაში, რის შედეგადაც აქ ცალკეულ ფორმებში ზანურისაგან განსხვავებული სისინა კომპლექსები ჩამოყალიბდა. ეს პროცესი სვანურში უფრო რეგულარულად არის გატარებული.

ზემოთ წარმოდგენილი დებულების საფუძველზე მოსალოდნელია ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად დადასტურებულ ყოველ სქ/სგ კომპლექსთან ზანურსა და სვანურში მომდევნო ბაგისმიერი ვჴ ფონემის არსებობა, რომლის გავლენით თავდაპირველი შიშინა

<sup>1</sup> შდრ. ბზ. ა-ჟნ-ი (< ა-ჟნ-ი) „ხნავს“ – ნ. უსრ. 1. ხჴ-ა-ჟნ-დს, 2. ხ-ა-ჟნ-დს; 3. ა-ჟნ-და: ზ. სვან. (ბეჩ.) ა-ჟნ-ი „ხნავს“ – ნ. უსრ. 1. ხჴ-ა-ჟნ-ი-დასგჷ, 2. ხ-ა-ჟნ-ი-დასგჷ, 3. ა-ჟნ-ი-და და სხვ.

სპირანტისაგან წარმომდგარი შქ/შგ კომპლექსი შესატყვისის სისინა ვარიანტში უნდა გადასულიყო. რიგ შემთხვევაში ამგვარი ვ/წ შესატყვისი გარკვეული მიზეზების გამო დაკარგულიყო წინამძღვარი სისინა კომპლექსის ჩამოყალიბების შემდეგ.

ამ თვალსაზრისით გადასინჯვას საჭიროებს პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა ურთიერთმიმართებისა და უძველესი სტრუქტურის საკითხები ქართველურ ენებში<sup>1</sup>.

§2. ქართულ მხოლ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებით *შენ-ი* ნაცვალსახელს ზანურში *სქან-ი* ფორმა შეესატყვისება. ამგვარი შესატყვისობა ქართულსა და ზანურს შორის გასაგები ხდება, თუ ჩვენ კუთვნილებითი ნაცვალსახელის უძველეს ფორმაში დავუშვებთ ბაგისმიერი ჟ-ს არსებობას *სქ* კომპლექსთან უშუალო მეზობლობაში: *სქან-ი* < \**სქენ-ი* < \**სქენ-ი*<sup>2</sup>. კუთვნილებითი ნაცვალსახელის ეს უძველესი ფორმა, რომელიც აღდგება მხოლოდ ქართულ და ზანურ ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე, დასტურდება სვანურში *ი-სგუ* || *ი-სგუ-ი* ნაცვალსახელის სახით, რომელშიც შემონახულია ეს პოსტულირებული -ჟ- ფონემა. მაშასადამე, ქართველურ ენებში ისტორიულად არსებულ მხოლ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა არქეტიპი რეკონსტრუირებულ უნდა იქნეს როგორც \**შენ-ი*, რომელშიც გამოიყოფა {-*ნ*} ელემენტი როგორც დეტერმინანტი-სუფიქსი<sup>3</sup>. ქართულში უ-ს დაკარგვის შედეგად მივი-

<sup>1</sup> ქართველურ ნაცვალსახელთა შესწავლის ისტორიისათვის იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 428 შმდ.

<sup>2</sup> -*სქენ* → -*სქენ*- პროცესი, რომელიც საერთოა ზანურისა და სვანურისათვის, წინ უსწრებდა ეგრეთწოდებულ ზანურ ხმოვანთგადაწვევას: \**ე* → *ა*, \**ა* → *ო* და სხვ. ისტორიულად დამოწმებული თანხმოდანთშესატყვისობა ქართველურ ენებში ხმოვანთგადაწვევაზე უფრო ადრინდელ ეპოქაში მომხდარი ბგერათცვლილებების ანარეკლს წარმოადგენს (შდრ. არნ. ჩიქობავა, ქართულ-ზანურ ბგერათშესატყვისობათა ისტორიისათვის. თეზისები: ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესია. თბილისი, 1954, გვ. 11 შმდ.)

ყველა აქ და ქვემოთ მოყვანილი ლინგვისტური ფორმულა მხოლოდ სქემატურ ხასიათს ატარებს და გაგებულ უნდა იქნეს როგორც შესატყვისი გზა ისტორიულად დამოწმებულ ფორმათა მიღებისა.

<sup>3</sup> ისტორიულად ეს -*ნ* ან -*ნა* დეტერმინანტი (შდრ. ჩუენა<sup>1</sup>, თქუენა<sup>1</sup> და სხვ), რომელიც აგრეთვე ადგილის აღმნიშვნელ ზმნისართებში იჩენს თავს (შდრ. არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათ-

დეთ ისტორიულად დამოწმებული შენ-ი\*შუენ- ფორმა<sup>1</sup>. ამოსავალმა \*შუენ- ფორმამ დეტერმინანტი-სუფიქსის მოკვეციტ მოგვცა სვანურში კანონზომიერი \*ი-შ-გუ || \*ი-შგჷ-ი, სადაც -შგ კომპლექსი მომდევნო ჴ-ს გავლენით შესატყვის სისინა კომპლექსში გადავიდა, ისევე როგორც ეს ზანური ფორმისათვის არის სავარაუდებელი, რის შედეგადაც მივიღეთ სვანურში ისტორიულად დამოწმებული ი-სგუ || ი-სგჷ-ი ფორმა მხოლ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელისა. სვანურმა ფორმამ ამ თვალსაზრისით უძველესი ვითარება შემოგვინახა.

მხოლ. რიცხვის მეორე პირის შე-ნ || შე-ნა ნაცვალსახელის შესატყვისად ზანურსა და სვანურში წარმოდგენილია სი ფორმა. ამ ნაცვალსახელის სახით დასტურდება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ქართულ შიშინა /შ/ სპირანტს ზანურსა და სვანურში სისინა /ს/ სპირანტი (და არა სქ/სგ კომპლექსი!) შეეფარდება. თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი, ამგვარი შეფარდების იზოლირებული ხასიათი საეჭვოს ხდის შ-ს შესატყვისობის პირველადობას. ამგვარი შეფარდების ჩამოყალიბება მეორე პირის ნაცვალსახელის ფორმაში მეორეული, შედარებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს შედეგი იმ ფონეტიკურ ცვლილებათა, რომლებიც ამ ნაცვალსახელის უძველეს ფორმას განუცდია. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქართულში, მხოლ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის გარდა, პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. კუთვნილებითი ნაცვალსახელები ქართულში არსებითად სხვა არაფერია, თუ არა იგივე პირის ნაცვალსახელები, გარკვეული ბრუნვის ნიშნებით გაფორმებულნი. ქართულს ამ მხრივ უძველესი ვითარება აქვს დაცული. ზანურში ეგვევ ვითარება დასტურდება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმებში:

ვის: „სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში“. I, თბილისი, 1956, გვ. 26), ნაცვალსახელურ ფორმებში, საფიქრებელია, ლოკატიური მნიშვნელობის განსაზღვრელ დეიქტურ ნაწილაკს წარმოდგენდა [გენეზისურად ეს ნაცვალსახელები შესაძლებელია სივრცის პრიმიტიულ წარმოდგენებს უკავშირდებოდნენ; შდრ. ესტონ. mi-na „მე“ (~ მე აქ), si-na „შენ“ (~შენ აქ) და სხვ., იხ. V. T a u l i, *The Structural Tendencies of Languages*, Helsinki, 1958, გვ. 11 შმღ].

<sup>1</sup> ჴ-ს დაკარგვისათვის ქართულში შდრ. ძვ. ქართ. უკაუეთუ: ახ. ქართ. უკეთუ; ძვ. ქართ. უკანაქელი: ახ. ქართ. უკანასქელი და სხვ.

მხოლ. რიცხვი  
 ქართ. 1. —  
 2. შე-(ნ): შე-ნი

ზან. 1. —  
 2. სი-(ნ): სქა-ნი

მრავლ. რიცხვი

1. ჩუე-ნ: ჩუე-ნი  
 2. თქუე-(ნ): თქუე-ნი

1. ჩქუე-(ნ): ჩქუე-ნი  
 2. თქვა-(ნ): თქვა-ნი

ამ პროპორციის საფუძველზე კანონზომიერია ვივარაუდოთ, რომ მხოლ. რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელი ზანურში არსებული იგივე იყო, რაც კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა. ბითად იგივე იყო, რაც კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა. რამდენადაც მხოლ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის უძველესი ფორმა აღდგება როგორც \*შუე-ნ, ეგვევ ფორმა უნდა დასდებოდა საფუძველად ისტორიულად დამოწმებულ ქართულ შე-(ნ) და ზანურ-სვანურ სი-(ნ) პირის ნაცვალსახელურ ფორმებს. ამოსავალი \*შუე-ნ<sup>1</sup> ზანურში მოგვეცემდა კანონზომიერ \*შქუე-ნ>\*სქუე-ნ>\*სქუ-(ნ) ფორმებს [შდრ. ქართ. ჩუე-ნ: ზან. ჩქუე-(ნ)]. ამგვარად მიღებული \*სქუ-(ნ) ფორმა უს რედუცირების შედეგად გადავიდოდა \*სქე-(ნ) || \*სქი-(ნ) ფორმებში (შდრ. ჭან. ჩქუნ-ი: მეგრ. ჩქენ-ი || ჩქინ-ი).

სვანურში ამოსავალი \*შუე-ნ<sup>1</sup> ფორმა მოგვეცემდა კანონზომიერ \*შგუე-ნ> \*სგუე>\*სგე ფორმებს. ბაგისმიერი -ჭ- დაიკარგა, საფიქრებელია, მხოლ. რიცხვის პირველი პირის მი ნაცვალსახელის გავლენით, ისე როგორც ეს მოხდა მრავლ. რიცხვის მეორე პირის სგან „თქვენ“ ფორმაში, სადაც -ჭ- გაუჩინარდა მრავლ. რიცხვის პირველი პირის ნან „ჩვენ“ ფორმის გავლენით. \*სგე ფორმაში უმახვილო ოხმოვნის რედუცირების შედეგად მივიღეთ ოხმოვანი, ისე როგორც ეს მხოლ. რიცხვის პირველი პირის მი ფორმის შემთხვევაში დასტურდება (შდრ. ქართ. მე ზან. მა). სქ და სგ- კომპლექსთა გამარტივების შედეგად ზანურსა და სვანურში<sup>1</sup> ჩამოყალიბდა ისტორიულად და-

<sup>1</sup> სქ- კომპლექსის ს-დ გამარტივების მაგალითი უნდა გვექონდეს მეგრ. სასირ- ფორმაში, რაც ნიშნავს „ქვევრის ამოსაშრობ ჩვარს, ჯოხზე წამოძმულს“. ამ სიტყვის ს ქ ი რ- ფუძესთან (ო-ს ქ ი რ-უ ა ნ ს „აშრობს“) ეტიმოლოგიური კავშირი უდავოა: სასირი, ე. ი. „აშრობი“ (შდრ. გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 43 შმდ). სვანურში ეგვევ მოვლენა დასტურდება ლი-ს ელ „დარჩენა“ სიტყვაში, რომელიც \*ს გ ე ლ ფორმისაგან მომდინარეობს (შდრ. ჭან. ს ქ უ ლ- || ს ქ ი ლ-, მეგრ. ს ქ ი ლ-) (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). შდრ. აგრეთვე ს-გ კომპლექსის გამარტივება ლაშხურში: -ი ს გ ა „-ში“ - ლშხ.-ი ს ა: ზ ა ე ს ა „წილში“; ლშხ.

მოწმებული სი ფორმა<sup>1</sup>.

მეორე პირის ნაცვალსახელის თავდაპირველი ფორმის ამგვარი ცვლილებები ზანურსა და სვანურში გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ ამ ნაცვალსახელის სემანტიკურ ბუნებას და ამასთან დაკავშირებით მისი ხმარების სტატისტიკურ მონაცემებს. ნაცვალსახელური ელემენტები და განსაკუთრებით პირის ნაცვალსახელები, ისე როგორც ნაწილაკები და სხვა დამხმარე სიტყვები, ისეთი ენობრივი ელემენტებია, რომელთა ხმარების ალბათობა მეტყველების განუწყვეტელ ნაკადში საგრძნობლად აღემატება სემანტიკურად დატვირთული ელემენტების საშუალო სიხშირეს. G. K. Zipf-ის მიერ ჩატარებულმა სტატისტიკურმა გამოკვლევებმა გამოავლინა მეტად მნიშვნელოვანი უკუპროპორციული შეფარდება, რომელიც მეტყველების ნაკადის უმცირესი სემანტების სიხშირესა და მათ სირთულეს შორის არსებობს. ამ ზოგად პრინციპს, რომელიც ვლინდება არა მარტო ენაში, არამედ ყველა დანარჩენ საკომუნიკაციო სისტემაში<sup>2</sup>, „უმცირესი ძალვის პრინციპი“ ეწოდა<sup>3</sup>.

ლნტ. ცხეკისა „ტყეში“; ქორისა „სახლში“; ლნტ. ქალწქისა „ქალაქში“ და სხვ.

<sup>1</sup> შეიძლება ზან. სი-(ნ) ფორმის განვითარების სხვა სქემაც წარმოგვედგინა. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი ფაქტორი იქნებოდა შესატყვის სვანურ და ზანურ ფორმათა განვითარების პარალელიზმი, რასაც ნაწილობრივ კუთვნილებითი სქან-ნაცვალსახელის განვითარება უქერს მხარს. ამოსავალი \*უქე-ნ<sup>1</sup> მოგვეცემა ზანურში \*უქე-ნ<\*სქე-ნ ფორმას, სადაც უს-ს ჩავარდნის შედეგად მივიღებდით \*სქე-(ნ) ფორმას. ამ ფორმაში უმახვილო ე-ხმოვანი, შესატყვისი სვანური ფორმის მსგავსად, განიცდიდა რედუქციას და გადავიდოდა ი-ხმოვანში ჭერ კიდევ ზანურ ხმოვანთგადაწევამდე. როგორი უნდა ყოფილიყო თანმიმდევრობა იმ პროცესებისა, რომელთა შედეგად ზან. \*სქე-(ნ) (resp. სვან. \*სგე) ფორმა ისტორიულად დამოწმებულ სი-(ნ) ფორმაში გადავიდა? მაშასადამე, \*სქე-(ნ) > \*სქი-(ნ) > სი-(ნ), თუ \*სქე-(ნ) > \*სე-(ნ) > სი-(ნ)? ამის დასადგენად ჩვენ არავითარი მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ ამ პროცესთა თანმიმდევრობის დადგენას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა სი-(ნ) ნაცვალსახელის გენეზისის გარკვევისათვის.

კერძო ცნობით, სი ნაცვალსახელის \*სქი ფორმისაგან წარმომავლობას ვარაუდობდა ა. შან იძე თავის საუნივერსიტეტო ლექციებში.

<sup>2</sup> C. Cherry, *On Human Communication*, New York, 1957, გვ. 100 შმდ.

<sup>3</sup> შლრ. G. K. Zipf, *Human Behaviour and the Principle of Least Effort*, Cambridge, Mass., 1949.

დიაქრონიული თვალსაზრისით G. K. Zipf-ის მიერ დადგენილი შეფარდება გულისხმობს ხშირად ხმარებული ფონემებისა და ბგერათკომპლექსების მოსალოდნელ გამარტივებას. მეტყველების ნაკადში ხშირად ხმარებული სეგმენტები ენერგიის ნაკლები დაძაბვით, არამკაფიოდ გამოითქმის, რამდენადაც ამგვარი სეგმენტების დისტინქციური ძალა ისედაც ცხადია მსმენელთათვის. ამ ფაქტორმა კი შესაძლებელია გამოიწვიოს საგრძნობი ფონეტიკური ცვლილებები ამგვარ სეგმენტებში, მათ სრულ დაკარგვამდე. ამიტომ, ხშირად, სტერეოტიპულად ხმარებულ სიტყვებში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ ფონეტიკურ ცვლილებებს, რომლებიც არ არის დამახასიათებელი ამავე სეგმენტებისათვის სხვა ვითარებაში<sup>1</sup>. ეს პრინციპი, რასაკვირველია, ფონეტიკურ ცვლილებათა უნივერსალურ პრინციპად ვერ ჩაითვლება. ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება განვითარება საწინააღმდეგო მიმართულებით. არცთუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ფონეტიკური ცვლილებები წარმართება ფონემათა გართულების გზით, მაგრამ ამგვარი შემთხვევები ვერ დაარღვევს ამ პრინციპის არსს, რამდენადაც მისი ხვედრითი წონა ფონეტიკურ ცვლილებათა პროცესში მეტად მნიშვნელოვანია<sup>2</sup>.

ამ პრინციპის საფუძველზე ადვილი ასახსნელია ის საგრძნობი ფონეტიკური ცვლილებები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი სიტყვებისაგან წარმომდგარი თანდებულები, წინდებულები და სხვა დამხმარე სიტყვები განიცდიან. ამავე პრინციპის საფუძველზე გასაგები ხდება, თუ რა მიზეზებმა შეაპირობა ზანურსა და სვანურში მხოლ. რიცხვის მეორე პირის *სი* ნაცვალსახელის ჩამოყალიბება თავდაპირველი \**შქუე-ნ* > \**სქუე-ნ* ფორმისაგან, განსხვავებით კუთვნილებითი ნაცვალსახელის ზან. *სქან-ი*, სვან. *ი-სგუ* || *ი-სგუ-ი* ფორმისა, რომელიც ამავე \**შქუე-ნ* > \**სქუე-ნ* ფორმისაგან მომდინარეობს. ამგვარი განსხვავება ერთი და იმავე ამოსავალი ფორმისაგან წარმომდგარ პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელებს შორის განსაზღვრა მათმა სემანტიკამ და, ამასთან დაკავშირებით, ხმარების განსხვავებულმა სიხშირემ. პირის ნაცვალსახელის ხმარების შემთხვევები, რომელიც ხშირად უმახვილო ნაწილაკის,

<sup>1</sup> შლრ. M. Grammont, *Traité de phonétique*, Paris, 1933, გვ. 367.

<sup>2</sup> შლრ. A. Martinet, *Économie des changements phonétiques*, Berne, 1955, გვ. 132 შმდ.

ერთგვარი პროკლიტიკის ფუნქციითაც გამოიყენებოდა (შდრ. ქართ. „შე კაცო!“, სვან. „სი მწრე!“ და სხვ.), აღმატებოდა სემანტიკურად უფრო დატვირთული კუთვნილებითი ნაცვალსახელის ხმარების შემთხვევებს, რის შედეგადაც უძველესმა პირის ნაცვალსახელურმა ფორმამ საგრძნობი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა, „გაცვდა“, მაშინ როდესაც იგივე ფორმა კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციით შედარებით სტაბილური აღმოჩნდა და უკეთ იქნა შემონახული. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმები ქართულსა და ზანურში ყოველთვის {-ნ-} დეტერმინანტი-სუფიქსით არის გაფორმებული, მაშინ როდესაც პირის ნაცვალსახელთა ფუნქციით ამავე ფორმებს შეიძლება -ნ ფორმანტი მოეკვეცოს, რაც ჩვეულებრივი ვითარებაა ზანურისათვის, ხოლო ქართულში გარკვეულ პირობებში ვლინდება: შდრ. „შე კაცო!“, „თქვე დალოცვილებო!“ და სხვ.<sup>1</sup>

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველურ ენებში ისტორიულად დამოწმებული მხოლოდ რიცხვის მეორე პირის კუთვნილებითი და პირის ნაცვალსახელები მომდინარეობს ამოსავალი \*შუე-ნ> ზან. / სვან. \*შქუე-ნ-> \*სქუე-ნ-ფორმისაგან, რომლის ბაგისმიერი -ჭ ელემენტი მხოლოდ სვანურმა შემოინახა კუთვნილებითი ი-სგუ || ი-სგუ-ი ნაცვალსახელის ფორმაში. ამ მხრივ სვანურის ვითარება უძველესია.

ქართული კუთვნილებითი ჩუენ-ი ნაცვალსახელის ეკვივალენტად ზანურში გვაქვს ჩქუნ-ი (>მეგრ. ჩქენ-ი || ჩქინ-ი), სვანურში - გუ-შეუე-ე || ბქვ. ვუ-ი-შე (ინკლ.) / ნ-ი-შეუე-ე (ექსკლ.), რომლებიც კანონზომიერი შესატყვისია ამოსავალი \*ჩუე-ნ-ფორმისა. ებევე ფორმა დასტურდება სვანურში მხოლოდ. რიცხვის პირველი პირის კუთვნილებითი მ-ი-შეუე-ი ნაცვალსახელისათვის, რომელსაც ქართულში ჩემ-ი, მეგრ.-ჭანურში ჩქემ-ი || ჩქიმ-ი ფორმები შეეფარდება<sup>2</sup>. სვანურ მ-ი-შეუე-ი ფორმაში გაუგებარია ბაგისმიერი ჟ-ს არსებობა, თუ ამოსავლად ქართულში ისტორიულად დამოწმებული ჩემ-ი ფორმა ვივარაუდეთ. იმ ფაქტიდან, რომ სვანურ მხ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებით ი-სგუ / ი-სგუ-ი ნაცვალსახელში ბაგისმიერი ჟ- ელემენტი მხოლოდ სვანურში დაცული მეორე პირის ნაცვალსა-

<sup>1</sup> შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 72.

<sup>2</sup> შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, 1, ზნა, თბილისი, 1931, გვ. 27.

ხელური ფორმის უძველესი კუთვნილება აღმოჩნდა, ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს -ჟ- ელემენტის არსებობის დაშვება მხოლ. რიცხვის პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის უძველეს ფორმაშიც, რომლისგანაც სვან. *მ-ი-შგჟ-ი* ნაცვალსახელი მომდინარეობს<sup>1</sup>. მაშასადამე, უნდა გვქონოდა \**ჩუე-მ* ფორმა, რომელმაც მოგვცა ქართულში ისტორიულად დამოწმებული *ჩემ-ი*<sup>2</sup>, ზანურში – \**ჩქუ-მ-ი > ჩქე-მ-ი* || *ჩქი-მ-ი* (შდრ. \**ჩუე-ნ* > ჭან. *ჩქუნ-ი*, მეგრ. *ჩქენ-ი* || *ჩქინ-ი* < \**ჩქუნ-ი*), ხოლო სვანურში – *მ-ი-შგჟ-ი*, უძველესი -ჟ- ელემენტის დაცვით, როგორც ამას მეორე პირის ფორმაში აქვს ადგილი.

სვანური *მ-ი-შგჟ-ი* და გუ-შგჟე-ე || *ნ-ი-შგჟე-ე* ფორმები საშუალებას იძლევა დავადგინოთ -*შგჟ* → -*სგჟ*- პროცესის მოქმედების ზემო ქრონოლოგიური ზღვარი სვანურში. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ -*შგ* კომპლექსი სვანურში, რომელიც ქართულ /ჩ/ ფონემას შეესატყვისება და, მაშასადამე, თავდაპირველი /*\*ჩქ*/ კომპლექსისაგან მომდინარეობს და დეზაფრიკატიზაციის გზით (იხ. ზემოთ), არ განიცდის მომდევნო ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით -*სგ*-კომპლექსში გადასვლას. ამავე რიგისაა -*შგჟ* კომპლექსი *მე-შგჟე-ე* „რბილი“ ფორმაში, რომელიც შეესატყვისება ძვ. ქართ. *ჩჩვლ-ი*, ჭან. *ჩუჩქუ/ჩიჩქუ* || მეგრ. *ჩქიჩქუ* ფორმებს (იხ. ზემოთ). მაშასადამე, -*შგჟ* → -*სგჟ*- პროცესი აღარ მოქმედებდა სვანურში მას შემდეგ, რაც მასში დეზაფრიკატიზაციის პროცესი დაიწყო, რომელიც სვანური ფონეტიკის შედარებით გვიანდელ მოვლენას წარმოადგენს.

§ 3. ამგვარად რეკონსტრუირებული ქართველური პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების უძველესი ფორმები ყურადღებას იპყრობს უპირველეს ყოვლისა სტრუქტურული მოდელის იდენ-

<sup>1</sup> ჩვენ ვერ ჩავთვლით -ჟ- ელემენტს მხ. რიცხვის პირველი პირის მ-ი-შგჟ-ი ფორმაში შესატყვისის მეორე პირის ი-სგუე || ი-სგჟ-ი ფორმის ანალოგიით გაჩენილად. საქმე ისაა, რომ -ჟ- ელემენტი მ-ი-შგჟ-ი ფორმაში ისტორიულად რომ არ არსებულყო, მოსალოდნელი იქნებოდა ანალოგიის მოქმედება სწორედ საწინააღმდეგო მიმართულებით – ჟ-ს დაკარგვა მეორე პირის ფორმაში, როგორც ეს ს გ ა დ „თქვენ“ ფორმაში მოხდა შესატყვისის პირველი პირის ნ ა დ ფორმის გავლენით (იხ. ზემოთ).

<sup>2</sup> შდრ. R. Lafon. *Sur les pronoms personnels de 1<sup>er</sup> et de 2<sup>e</sup> personnes dans les langues kartvèles*: Bulletin de la Société de Linguistique de Paris, t XXX, fasc. 2, 1930, გვ. 156.

ტობით. თითოეული მათგანი ხასიათდება -*შე* ელემენტით, რომელიც უშუალოდ მოსდევს თავიკიდურ ძირეულ თანხმოვანს ან თანხმოვანტოკმპლექსს<sup>1</sup>. ეს -*შე* ელემენტი ძირისეულად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც იგი დამახასიათებელია ორივე პირის ნაცვალსახელური ფორმისათვის როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში. ალბათობა იმისა, რომ სხვადასხვა მნიშვნელობის ნაცვალსახელურ ფორმებში ერთი და იგივე სიმეტრიულად განლაგებული ძირისეული ელემენტი აღმოჩნდება, მეტად მცირეა. ვერც პირვანდელ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსებად მივიჩნევთ -*შე* ელემენტიან კომპლექსებს ამ ფორმებში, რამდენადაც გაუგებარი იქნებოდა ენაში ორივე პირის ოთხივე ფორმისათვის ძირისეულ მასალად მხოლოდ ლაბიალიზებულ ფონემათა გამოყენება.

მაშასადამე, {-*შე*-} ელემენტის სახით უძველეს ნაცვალსახელურ ფორმებში საქმე უნდა გვქონდეს რაღაც მნიშვნელ ფორმანტთან, რომელიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა და იწვევდა პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა გაერთმნიშვნელიანებას. ნაცვალსახელურ ფუძეთა ეს საერთო {-*შე*-} მორფემა მათ ერთ კატეგორიად აერთიანებდა და უპირისპირებდა მესამე პირის ფორმებს, რომლებიც წარმოშობით ჩვენებით ნაცვალსახელებს წარმოადგენენ.

ნაცვალსახელურ ფუძეებში არსებული {-*შე*-} ელემენტის ამგვარი ინტერპრეტაცია საფუძველს გვაძლევს იგი ადამიანთა კლასის ექსპონენტად მივიჩნიოთ. ნიშანდობლივი ამ მხრივ ის არის, რომ {-*შე*-} მორფემა თავს იჩენს მხოლოდ იმ ფორმებში, რომლებიც მოსაუბრისა და მსმენელის, ე. ი. სამეტყველო კომუნიკაციის სუბიექტთა, მხოლოდ ადამიანთა სახელნაცვალია, მაშინ როდესაც „არაპერსონალური“ მესამე პირის აღმნიშვნელ ნაცვალსახელებში, რომლებიც აერთიანებენ ადამიანისა და ნივთის კლასებს, {-*შე*-} ფორმანტი არ არის წარმოდგენილი. მესამე პირის ნაცვალსახელური ფორმები პირთა კორელაციის არამარკირებულ წევრებს გამოხა-

<sup>1</sup> შდრ. არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების საკითხი ძველქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 60.

ტავდა<sup>1</sup>. აქ აშკარად იგრძნობა მორფოლოგიური დაპირისპირება *ვინ*- და *რა*-ჯგუფის სახელებს შორის.

ამგვარად აღდგენილ {-ჟე-} მორფემას ნაცვალსახელურ ფორმებში შეიძლება კლას-დეტერმინანტი ვუწოდოთ, რომელიც იმავე რიგის სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს, რაც სუბსტანტივებში არსებული კლასის ნიშნები. ამგვარი ელემენტები იხმარებოდა *ვინ*- და *რა*-ჯგუფის სახელთა მორფოლოგიური დეტერმინაციისათვის, ანუ ამა თუ იმ ნომინალური (resp. პრონომინალური) ძირის მორფოლოგიური მიკუთვნებისათვის ადამიანთა ან ნივთთა კლასისადმი. {-ჟე-} ელემენტი ქართველურ ნაცვალსახელურ ფორმებში ამ უკანასკნელთა „პერსონიფიცირებას“ იწვევდა.

რამდენადაც {-ჟე-} ელემენტი დასტურდება ყველა პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელურ ფორმაში, გარდა პირველი პირის *მე* ფორმისა, რაც ერთგვარად არღვევს ქართველური პრონომინალური სისტემის სტრუქტურულ სურათს, საფუძველი გვეძლევა {-ჟე-} ელემენტის შინაგანი რეკონსტრუირებისა ამ ნაცვალსახელურ ფორმაშიც. მაშასადამე, უნდა გვქონოდა \**მ-ჟე-ნა* ფორმა, რომელმაც მოგვცა ისტორიულად დამოწმებული *მე-(ნა) /ჟ/* ფონემის დაკარგვის შედეგად წინამავალ ბაგისმიერ /მ / ფონემასთან უშუალო მეზობლობაში.

პირველი სუბიექტური პირის *ვ*-პრეფიქსი (*ვ-არ*, *ვ-ზი*, *ვ-დგა*...) წარმოშობით ადამიანთა კლასის ფორმანტად არის მიჩნეული<sup>2</sup>. ეგევე პრეფიქსი თავს იჩენს *გ-ჟ*-ფორმანტში, რომელიც ძველ ქართულში *მ*-პრეფიქსის პარალელურად იხმარებოდა პირველი ობიექტური პირის აღსანიშნავად მრ. რიცხვში (*გუაქუს* || *მაქუს ჩუენ*). აქ *გ*-ფონეტიკური დანართია, რომელსაც თავდაპირველად არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნდა<sup>3</sup>. ეს *ვ-ჟ*-პრეფიქსი, პირველი

<sup>1</sup> პირთა ურთიერთმიმართების შესახებ სამეტყველო კომუნიკაციის პროცესში იხ. E. Benveniste, *La nature des pronoms: For Roman Jakobson. Essays on the Occasion of his Sixtieth Birthday*. The Hague, 1956, გვ. 34 შმდ.

<sup>2</sup> შდრ. არნ. ჩიქობავა, ხსენ. ნაშრ., გვ., 51 შმდ.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 91 შმდ. *გ*→*გვ* ფონეტიკური პროცესის შესახებ იხ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 231 შმდ.

სუბიექტ-ობიექტური პირის ფორმანტად რომ გამოიყოფა, შესაძლებელია იგივე {უ} ელემენტი იყოს, რომელიც ქართველურ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა ფორმებში აღდგება როგორც ადამიანთა კლას-დეტერმინანტი<sup>1</sup>.

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა თანდათანობითმა მოშლამ ქართველურში შეაპირობა {-ჟე-} ფორმანტის დანიშნულების დაჩრდილვა პირის ნაცვალსახელურ ფორმებში, რის შედეგადაც იგი უფუნქციო ელემენტად იქცა და ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანად დაიკარგა სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით. ამგვარად უნდა დაკარგულიყო -ჟე- ფორმანტი ქართულ და ზანურ ნაცვალსახელთა მხოლოდობითი რიცხვის ფორმებში; ქართულში მხოლ. რიცხვის პირველი პირის \*ჩ-ჟე-მ და მეორე პირის \*შ-ჟე-ნს/ \*შ-ჟე-ნ- ფორმებში /ჟ/ ფონემა უნდა დაკარგულიყო პირველი პირის მე < \*შ-ჟე-ნს<sup>1</sup> ფორმის გავლენით, სადაც [ჟ] ბგერის დაკარგვას წმინდა ფონეტიკური საფუძველი გააჩნდა. სვანურში {-ჟე-} ფორმანტი ნაცვალსახელურ ფორმებში შედარებით უკეთ იქნა დაცული (შდრ. ი-სგ უ || ი-სგ ჟ-ი და ქართ. შენ-ი, ზან. სქან-ი; მ-ი-შგ ჟ-ი და ქართ. ჩემ-ი, მეგრ.-ჭან. ჩქე მ-ი || ჩქიმ-ი; თუმცა აქაც დასტურდება შემთხვევა ამგვარი ჟ-ს დაკარგვისა: შდრ. სგ ან „თქვენ“ ფორმა, სადაც ბაგისმიერი ჟ-საგსებით დაკარგულია მრ. რიცხვის პირველი პირის ნან „ჩვენ“ ფორმის გავლენით). მაგრამ აქ თავი იჩინა ბოლოკიდური სადეტერმინაციო ელემენტისა და გარკვეულ შემთხვევაში ფუძისეული ო-ხმოვნის რედუცირების ტენდენციამ:

მხ. რიცხვი 1. \*ჩ-ჟე-მ > სვან. მ-ი-შგ უ || მ-ი-შგ ჟ-ი

2. \*შ-ჟე-ნ-> სვან. ი-სგ უ || ი-სგ ჟ-ი

მრ. რიცხვი 1. \*ჩ-ჟე-ნ-> სვან.  $\left\{ \begin{array}{l} გუ-შგ ჟე || გუ-შგ ჟე-ე \\ ნ-ი-შგ(უ)ე || ნ-ი-შგ ჟე-ე \end{array} \right.$

2. \*თქ-ჟე-ნ > სვან. ი-სგ ჟე || ი-სგ ჟე-ე

მხოლოდობითი რიცხვის ფორმებში უმახვილო ე-ხმოვნის რედუ-

<sup>1</sup> ამავე რიგისა უნდა იყოს ჟ/უ ფონემა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა პირის ნაცვალსახელურ ფორმებში, რომელიც აქ გამოიყოფა როგორც ფუძისეული ელემენტი. ქართველურ პირის ნაცვალსახელთა ზემომოყვანილი ანალიზი საფუძველს გვაძლევს ეს ჟ/უ ელემენტი ამ ნაცვალსახელებშიც ადამიანთა კლას-დეტერმინანტის გაქვევებულ ფორმად მივიჩნიოთ.

ცირების შედეგად /ჟ / ფონემა წარმოდგენილია როგორც ხმოვანი სახესხვაობა უმარცვლო [ჟ]-სი, რომელიც აღდგება სახ. ბრუნვის -ი ფორმანტის დართვის შემთხვევაში. მრავლობითი რიცხვის ფორმებში შემონახულია ფუძისეული ე-ხმოვანი, რომელიც განასხვავებს მათ მხოლ. რიცხვის ფორმებისაგან. სემანტიკურმა ფაქტორმა შეაპირობა აქ ე-ხმოვნის შენარჩუნება.

§ 4. სვანურ მრ. რიცხვის პირველი პირის ნაწ ნაცვალსახელს არ ექებნება ეტიმოლოგიური შესატყვისი ქართველურ პირის ნაცვალსახელთა შორის. ისმის კითხვა, რით უნდა იყოს გამოწვეული ამგვარი სხვაობა მრ. რიცხვის პირველი პირის ფორმაში სვანურსა, ერთი მხრით, და ქართულსა და ზანურს შორის, მეორე მხრით, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელურ ფორმაში კანონზომიერი შესატყვისობა ვლინდება ქართველურ ენათა ფარგლებში?

ერთი შეხედვით, ნაწ ნაცვალსახელი უცხო ენობრივი ფენიდან მომდინარე ჩანს. მაგრამ რამ გამოიწვია სვანურში ნაწ ნაცვალსახელით შეცვლა თავდაპირველი, ყველა ქართველური ენისათვის საერთო მრ. რიცხვის პირველი პირის \*ჩ-ჟე-ნა<sup>1</sup> ნაცვალსახელისა, რომელიც აქ თავს იჩენს კუთვნილებითი ნ-ი-შეჟე-ე || გუ-შეჟე-ე ნაცვალსახელის ფორმით, რაც გვაპარაუდებინებს, რომ საერთო ქართველური \*ჩ-ჟე-ნა<sup>1</sup> ნაცვალსახელი უნდა არსებულებოდა სვანურში ენის განვითარების უძველეს ეპოქაში? ძნელი დასაშვებია, რომ პირველი პირის ნაცვალსახელური ფორმა სვანურში უცხო ენობრივი ფენიდან მომდინარეობდეს, მით უმეტეს, რომ აფხაზურ-ადიდურ ენებს, რომელთა ფენა სვანურში გამოიყოფა<sup>1</sup>, არ გააჩნია მრ. რიცხვის პირველი პირის აღმნიშვნელი ნა- ნაცვალსახელი. ამგვარად, ნაწ ნაცვალსახელი, რომელიც ისტორიულად მხოლოდ სვანურში დასტურდება, ქართველურ ენათა უძველეს საერთო კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელური ფორმები საერთო ქართველურში წარმოდგენილი იყო \*ნა- და \*ჩ-ჟე-ნა<sup>1</sup> ნაცვალსახელების სახით. ამათგან \*ნა- შერჩა მხოლოდ სვანურს, ხოლო \*ჩჟე-ნა<sup>1</sup> ფორმა, რომლის კვალი სვან-

<sup>1</sup> არნ. ჩიკობავა, *Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик*: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, 1948, გვ. 261 შმდ.

ურში გუ-შეჟე-ე || ნ-იშეჟე-ე ფორმებში ჩანს, მხოლოდ ქართულმა და ზანურმა შემოინახა. გასარკვევია, თუ რა ფუნქციებს ასრულებდა თავდაპირველად ეს ნაცვალსახელები. ორი ნაცვალსახელური ფორმის არსებობა პარალელურად მიუთითებს მათ ფუნქციონალურ სხვაობაზე, რომელიც წარიშალა დროთა ვითარებაში. პარალელური ფორმების არსებობა მხოლოდ მრავლ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელში ბუნებრივად წარმოშობს საკითხს ამ ფორმებში მრავლობითობის ინკლუზიური და ექსკლუზიური ვარიანტების ოდინდელი გარჩევისა ქართველურ ნაცვალსახელში. ამათგან \*ჩ-ჟე-ნწ' ფორმა, რომელიც სტრუქტურულად იდენტურია მეორე პირის ფორმისა და იმავე (აღამიანთა) კლას-დეტერმინანტს შეიცავს, მრავლ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის ინკლუზიური ვარიანტი უნდა ყოფილიყო (მე და შენ, resp. თქვენ, ე. ი. მხოლოდ აღამიანთა კლასის წარმომადგენლები), ხოლო \*ნა- ფორმა, რომელიც მოკლებულია აღამიანთა კლას-დეტერმინანტს, მის ექსკლუზიურ ვარიანტს წარმოადგენდა, რამდენადაც იგი აერთიანებდა პირველ პირთან, ინკლუზიური ფორმის საპირისპიროდ, განზოგადებული კლასის (ვინ- და რა- ჯგუფის) წარმომადგენელ „არაპერსონალურ“ მესამე პირს (მე და იგი, resp. ივინი).

ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების გარჩევა მხ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელურ ფორმაში შინაგან კავშირშია აღამიანთა და ნივთთა კლასების დაპირისპირებასთან, იგი არსებითად კლას-კატეგორიათა ბინარული მორფოლოგიური სისტემით არის მოტივირებული. ექსკლუზიური შინაარსის ნაცვალსახელი, რომელიც ნივთთა კატეგორიას, რა- ჯგუფის სახელებსაც გულისხმობს, ვერ იქნებოდა იდენტური ინკლუზიური შინაარსის ნაცვალსახელისა, რომელიც მხოლოდ აღამიანთა კლასის, ვინ- ჯგუფის სახელებს აერთიანებს. კლას-კატეგორიათა ამ მორფოლოგიურმა გარჩევამ ქართველურში თავი იჩინა შესაბამისად \*ნა- და \*ჩ-ჟე-ნწ' ნაცვალსახელურ ფორმებში.

\*ჩ-ჟე-ნწ' და \*ნა- ნაცვალსახელთა უძველესი ფუნქციის ამგვარ განსაზღვრას მხარს უჭერს სვანური ზმნის ობიექტურ ფორმათა ინკლუზიური და ექსკლუზიური ვარიანტები: გჷ-აჷ „გვიყავს“ (მე და შენ || თქვენ) – ნ-აჷ „გვიყავს“ (მე და მას || მათ); გჷ-აღაწტ „გვიყვარს“ (მე და შენ || თქვენ) – ნ-აღაწტ „გვიყვარს“ (მე და მას || მათ).

არნ. ჩიქობავამ გაარკვია, რომ ინკლუზიურ-ექსკლუზიურ ფორმათა გარჩევა სვანურ ზმნაში მეორეული მოვლენაა. მრავლობითობის ამგვარ ვარიანტთა გარჩევა არ იყო დამახასიათებელი ქართველური ზმნის უძველესი სტრუქტურისათვის<sup>1</sup>. ეს თვალსაზრისი მრავლობითობის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ვარიანტების გვიანდელი ჩამოყალიბების შესახებ სვანური ზმნის სისტემაში ლოგიკურად გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ ქართველური ზმნის სისტემა ისტორიულად მხოლოდ კლას-კატეგორიებს განარჩევდა. ბინარული სტრუქტურის კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემა (აღამიანი – ნივთი; სულიერი – უსული), რომელიც ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევას გულისხმობს ნაცვალსახელში, გამოირიცხავს ამგვარ დაპირისპირებას ზმნაში, რამდენადაც ზმნის ფორმები ამ სისტემაში არ განირჩევა პირის მიხედვით.

მაგრამ რა შინაგან ფაქტორებს უნდა გამოეწვია ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების გაჩენა სვანური ზმნის სისტემაში, რამ შეაპირობა ქართველური ზმნის ამოსავალი სტრუქტურისათვის არადამახასიათებელი ფორმების ჩამოყალიბება ერთ-ერთ ქართველურ ენაში? მრავლობითობის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ვარიანტების წარმოქმნა სვანური ზმნის სისტემაში გასაგები ხდება, თუ დავუშვებთ ამგვარი გარჩევის ოდინდელ არსებობას თვით პირველი პირის ნაცვალსახელში, რაც ქართველურ ნაცვალსახელურ ფორმათა შინაგანი მონაცემების საფუძველზე ივარაუდება (იხ. ზემოთ). ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის მოშლამ ნაცვალსახელში, რაც გარკვეულ კავშირშია გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული სისტემის მოშლასთან<sup>2</sup>, გამოიწვია ფუნქციონალურად ჰეტე-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 91 შშდ.

<sup>2</sup> გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული სისტემის რღვევამ შეაპირობა ამ სისტემაში არსებული მორფოლოგიური დაპირისპირების მოშლა პირველი და მეორე პირისა „არაპერსონალურ“ მესამე პირთან, რომლითაც სტრუქტურულად მოტივირებული იყო ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის ფუნქციონირება ნაცვალსახელურ სისტემაში.

ანალოგიურ სტრუქტურულ მიმართებებს უნდა ჰქონოდა ადგილი მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში. ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა ამ ენათა პრონომინალურ

როგენულ \*ნა- და \*ჩ-ყენ-ნა ცვალსახელთა გაიგივება და აღრევა, რასაც შედეგად მოჰყვა ერთ-ერთი მათგანის დაკარგვა. სვანურმა შემოინახა გაფართოებული მნიშვნელობით \*ნა, ხოლო ქართულმა და ზანურმა – \*ჩ-ყენ-ნა ფორმა, რომლის კვალი სვანურში კუთვნილებით გუ-შე-ყენ-ნა ცვალსახელში დასტურდება.

ინკლუზიურ-ექსკლუზიურ კატეგორიათა მოშლამ ქართველურ ნაცვალსახელურ ფორმებში სვანურში – ერთ-ერთ ქართველურ ენაში, რომელიც კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემის ნაშთთა შენარჩუნების თვალსაზრისით ყველაზე არქაულია<sup>1</sup> – საპირისპირო მოვლენა გამოიწვია: ინკლუზიურ-ექსკლუზიურ კატეგორიათა ჩამოყალიბება ზმნის სისტემაში, რის წყალობითაც ენაში ერთგვარი სტრუქტურული წონასწორობა დამყარდა.

ამგვარი გარჩევა სვანური ზმნის სისტემაში შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართველურ ზმნაში პირის კატეგორია ჩამოყალიბდა და ისტორიულად არსებული კლას-კატეგორიათა ექსპონენტები რეინტერპრეტირებულ იქნენ როგორც პირის ნიშნები<sup>2</sup>. ექსკლუზიური ნ-აყა, რომლის ნ ფორმანტი ისტორი-

---

სისტემაში შეპირობებული იყო მათი მორფოლოგიური სისტემისათვის ისტორიულად დამახასიათებელი ორი გრამატიკული კლასის არსებობით (აღამიანი-ნივთი). ზნარული სტრუქტურის კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემის გართულებამ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, ხოლო გარკვეულ შემთხვევაში ამ კატეგორიათა სრულმა მოშლამ (იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფუძის აგებულება, გვ. 258) ბუნებრივად გამოიწვია ზოგიერთ ამ ენათაგანში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დაკარგვა პრონომინალურ სისტემაში. იმ მთის კავკასიურ ენებში, რომლებიც ამჟამად არ განარჩევენ ინკლუზივ-ექსკლუზივს ნაცვალსახელში, ამ ისტორიულად არსებული პრონომინალური კატეგორიის კვალია საძიებელი.

<sup>1</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფუძის აგებულება, გვ. 261.

<sup>2</sup> ქართველური ზმნის სისტემაში ყველაზე გვიან მორფოლოგიურად უნდა გაფორმებულიყო მესამე პირის ფორმა. მესამე პირის სუფიქსი ზმნაში შედარებით ახალი ფორმაციისაა (იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიშის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 13 შმდ.). ამგვარი ქრონოლოგიური სხვაობა მესამე პირისა და პირველ-მეორე პირის ფორმებს შორის იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ მესამე სუბიექტური პირის მორფოლოგიური ჩამოყალიბება ქართველური ზმნის სისტემაში შეიძლებოდა დაწყებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოიშალა მორფოლოგიური დაპირისპირება ვინ- და რა- ჯგუფის სახელებს შორის და „არაპერსონალური“ მესამე პირი პირველ და მეორე პირს გაუთანაბრდა.

ულად ექსკლუზიური \*ნა- ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს, დაუპირისპირდა გჷ-აყა ფორმას, რომლის გჷ ფორმანტი გააზრებული იყო როგორც მრავლობითობის ინკლუზიური ვარიანტის მანკენებელი ზმნის მრ. რიცხვის პირველი პირის ფორმაში. წარმოშობით ეს გჷ ფორმანტი იგივეა, რაც პირველი სუბიექტური პირის ხჷ პრეფიქსი (ხჷ-პრი „ვარ“ – ხჷ-პრი-დ „ვართ“), რომელიც ეტიმოლოგიურად ქართ. S<sub>1</sub> გ და O<sub>1</sub> გჷ ფორმანტებს უკავშირდება<sup>1</sup>. ებგეე გჷ და ნ- ფორმანტები გამოყენებულ იქნა კუთვნილებით ნაცვალსახელთან პრონომინალურ სისტემაში ისტორიულად არსებული ინკლუზიურ-ექსკლუზიური დაპირისპირების გასატარებლად და ძველი სისტემის საკომპენსაციოდ: გჷ-შგჷე-ე „ჩვენი“ (ჩემი და შენი || თქვენი) და ნ-ი-შგჷე-ე „ჩვენი“ (ჩემი და მისი || მათი)<sup>2</sup>. ამ ფორმათა ანალოგიით იქნა მიღებული მხოლ. რიცხვის პირველი პირის მი-შგუ || მი-შგჷი ფორმა, რომელიც \*ჩ-უე-მ- ფორმისაგან მომდინარეობს მხ. რიცხვის პირველი ობიექტური პირის მ- პრეფიქსის (მ-გ-ტხე „მაბრუნებს“) დართვით. მაშასადამე, მი-შგჷ-ე და გჷ-შგჷე-ე || ნ-ი-შგჷე-ე ფორმები სვანურში გაჩნდნენ მას შემდეგ, რაც ზმნის სისტემაში მრავლობითობის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ვარიანტების გარჩევა ჩამოყალიბდა.

§ 5. შინაგანი რეკონსტრუქციის გზით ამგვარად აღდგენილი ქართველურ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა უძველესი ფორმები ქმნიან მწყობრ სისტემას, რომელიც ნაწილობრივ დაიშალა სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ცალკეულ ენათა ისტორიული განვითარების პროცესში. ეს სისტემა სქემატურად შემდეგ ტაბულაშია წარმოდგენილი:

მხ. რ. პირის    კუთვნილებითი	მრ. რ. პირის    კუთვნილებითი
1. მ-ჷე-ნა <sup>1</sup>    ჩ-ჷე-მ	1. { ჩ-ჷე-ნა <sup>1</sup> (ინკლ.)    ჩ-ჷე-ნ-
2. შ-ჷე-ნა <sup>1</sup>    შ-ჷე-ნ-	2. თქ-ჷე-ნა <sup>1</sup>    თქ-ჷე-ნ-

ამ სქემაში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კუთვნილებითი

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 120 შმდ.

<sup>2</sup> შდრ. ვ. თოფურიძე, სვანური ენა. I, ზმნა, გვ. 27, შნშ. 1.

ნაცვალსახელები სტრუქტურულად პირის ნაცვალსახელთა იდენტურნი არიან. კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა სხვა არაფერია, თუ არა ატრიბუტულად გამოყენებული შესატყვისი პირის ნაცვალსახელი, რომელსაც საზღვრული სახელისათვის დამახასიათებელი ბრუნვის ნიშანი ერთვის. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მხ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელური ფორმები, სადაც ერთგვარი სუპლექტივიზმი შეინიშნება: კუთვნილებითი ნაცვალსახელისათვის გამოყენებულია სხვა ფუძე, რომელიც ემთხვევა სტრუქტურულად მრავლობითი რიცხვის ინკლუზიურ ფორმას. განსხვავებას მხოლოდ სადეტერმინაციო -მ/-ნ- ელემენტები ქმნიან<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ქართველურ პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელთა ეს სისტემა ტიპოლოგიურად იდენტურია რეკონსტრუირებული ინდოევროპული პირის ნაცვალსახელური სისტემისა. პირის ნაცვალსახელური ფორმები ინდოევროპულში, ისე როგორც ქართველურში, არსებითად უბრუნველ ფუძეთა დაჯგუფებას წარმოადგენს. ინდოევროპული პირის ნაცვალსახელური სისტემა შეიცავს მხოლოდ პირველი და მეორე პირის ფორმებს. მესამე პირისათვის გამოყენებულია ჩვენებითი ნაცვალსახელები. კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმოადგენენ პირის ნაცვალსახელური ფუძეებისაგან გარკვეული სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავ სახელებს. ამ მხრივ პირველი პირის ფორმაში, ისე როგორც ქართველურ ნაცვალსახელურ სიასტემაში, შეინიშნება სუპლექტივიზმი: სახელობითში გამოყენებულ \*eǵō (m) ფუძეს (ლათ. eǵō, ბერძნ. ἔγω(ν), სკრ. ahám <\*eǵh-e/om) ირიბ ბრუნვებში \*me- ძირი ენაცვლება (ლათ. mē, ბერძნ. ἐμέ და სხვ.), რომლისგანაც ნაწარმოებია კუთვნილების გამომხატველი ადიექტიური ფორმები: ლათ. meus<\*mei-os, გოთ. meins<\*me-īno- და სხვ. ეგვევ m- ძირი გამოყენებულია ინდოევროპულში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელური ფორმის საწარმოებლად; შდრ. ძვ. სლავ. МЯ, ლიტ. mes. ამავე პირისათვის განსხვავებული \*we- ძირის არსებობა (სკრ. vayám, გოთ. weis), რომელიც თავს იჩენს აგრეთვე მრ. რიცხვის მეორე პირის ფორმაშიც: \*we/o- (ლათ. vōs, ძვ.სლავ. вы, სკრ. वास- და სხვ.), სვამს საკითხს ინდოევროპულ ნაცვალსახელში მრავლობითობის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ვარიანტების ოდინდელი გარჩევის შესახებ (შდრ. Э. Прокош, *Сравнительная грамматика германских языков*. Перевод с английского. Москва, 1954, გვ. 308 შმდ.). ინკლუზიურ-ექსკლუზივი ინდოევროპულ პრონომინალურ სისტემაში ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ინდოევროპულისათვის ისტორიულად დამახასიათებელ მორფოლოგიურ დაპირისპირებას სულიერ და უსულსაგანთა აღმნიშვნელ სახელებს შორის (ამგვარი დაპირისპირების შესახებ ინდოევროპულში იხ. L. Hjelmslev, *Animé et inanimé, personnel et non-personnel*. Travaux de l'Institut de Linguistique. I. Paris, 1956, გვ. 155 შმდ.).

### III. სქ/სვ კომპლექსიანი ფორმები ზანურსა და სვანურში

§ 1. /სვ/ კომპლექსი სვანურში ქართული შიშინა /შ/ სპირანტის შესატყვისად წარმოდგენილია აგრეთვე სახელებში ბზ. ნ<sup>1</sup>-სვა || ღნტ. ნე-სკა და ი-სვა || ი-სვ „შუა“: ნ<sup>1</sup>სვა ლადელ, ბზ. ისვ-ლაღანდ „შუადლე“; ისვ-ღნთ „შუაღამე“. ეგვიპე ნ<sup>1</sup>-სვა || სკა ფუძე გამოყენებულია სვანურში პრევერბად და თანდებულად: შდრ. უშგ. მიჩა გეზალს ისვრთდე || სვრთდე კად(წ)თე „მის შვილს ჩაუდვა მუცელში“; ეცრ. ღსმ. ისგაჩანდ „შევიდა“ და სხვ. პრევერბის ფუნქციით ნ<sup>1</sup>-სვა || სკა- სვანურში მიმართულების (და ასპექტის) გამომხატველია, ისე როგორც შესატყვისი წინდებულები დანარჩენ ქართველურ ენებში. თანდებულად ხმარებული -ისვა სახელს მიცემით ბრუნვაში მართავს: შდრ. ბზ. ფხულაღსვა „თითში“, ჭვ შხისვა „ფეხში“; ეცრ. ლგცღისვა „წყალში“ და სხვ. ლაშხურში საერთო სვანური ი-სვა წარმოდგენილია -ისა ფორმით: ღაშხისა „ლაშხეთში“, ცხკეისა „ტყეში“ და სხვ<sup>1</sup>. ვ. თოფურია სავესებით სამართლიანად მიიჩნევს სვან. ი-სვა ფორმის ეკვივალენტად მეგრულში შქა-ს და ქართულში ში-ნა (თუ: შივა>შუა) ფორმებს<sup>2</sup>. გასარკვევია ოღონდ, თუ რატომა გვაქვს ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად ზანურში კანონზომიერი /შქ/ კომპლექსი, ხოლო სვანურში - /სვ/.

ყველა ეს ფორმა უნდა მომდინარეობდეს \*შოვ ფუძისაგან, რომელიც დასტურდება ისტორიული ხანის ქართულში:

1. შოვ-ა: ...იყო კუაღად ნავი იგი შო ვა (E შუვა) ოდენ ზღუასა მას (მარკ. D 6,47); ...და მივიდეს მისა შო ვა (E შუვა) ღამეს (ლუკ. D 11, 5);

2. სა-შოვ-ალ: ...იყო ნავი სა შო ვა ღ ზღუასა (მარკ. C 6, 47; შდრ. DE 6, 47); ...სადა ჯუარს-აცუეს იგი, და მის თანა ორნი სხუანი, იმიერ და ამიერ და სა შო ვა ღ იესუ (იოვ. C 19,18).

ამოსავალმა \*შოვ-ა ფორმამ მოგვცა ქართულში ისტორიულად დამოწმებული შუა || შუვა, რაც მეტად ბუნებრივი ფონეტიკური

<sup>1</sup> ვ. თოფურია, სვანური ენა. 1, ზმნა, თბილისი, 1931, გვ. 52 შმდ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 65.

პროცესია ქართულისათვის: შდრ. *მთოვარე* > *მთუარე*, *ცხოვარი* > *ცხუარი*, *სანოვაგე* > *სანუაგე*, *გოვარი* > *გუარი*<sup>1</sup>.

\**შოე*- ფუძე, რომელიც საფუძვლად დაედო ყველა ზემოთ განხილულ ქართველურ ფორმას, თავის მხრივ \**შე-აე*- ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს. \**შე-აე*- ფორმის აღდგენა სრულ სტრუქტურულ პარალელიზმს ამყარებს ისეთ ფუძეებთან, როგორიცაა *გზ-აე* || *გზ-ალ*, *ქე-აე* || *ქე-ალ* და სხვ. ამგვარად პოსტულირებულ \**შე-აე*- ფორმას უნდა მოეცა ისტორიული ხანის *შოე*- ფუძე, ისე როგორც \**ქე-ალ*- ფორმამ მოგვცა *ქალ*:- *ჩა-ქალ-ვა* < \**ჩა-ქე-ალ-ვა*<sup>2</sup>. ამ თვალსაზრისით ძვ. ქართული *შოვრის* > *შორის* ზმნისართი, რომელიც ნანათესაობითარ სახელს წარმოადგენს, სტრუქტურულად იდენტური აღმოჩნდება *მ-გზ-აე-რ*- ფორმისა: *შოვრის* < \**შე-აე-რ-ის*.

\**შე-აე* > \**შოე*- პროცესი უნდა მომხდარიყო ჯერ კიდევ საერთო ქართველურში, რამდენადაც ყველა ამ სიტყვასთან დაკავშირებული ისტორიულად დამოწმებული ქართველური ფორმა \**შოე*- ფუძისაგან მომდინარეობს.

ზანურ-სვანურ არეალში \**შოე-ა* ფორმამ მოგვცა კანონზომიერი \**შქოე-ა*, რომელმაც შემდგომ დამოუკიდებელი განვითარება განიცადა ზანურსა და სვანურში.

სვანურში \**შქოვა* || \**შგოვა* ფუძეს დაერთო *ნე*- პრეფიქსი და გარკვეულ შემთხვევებში პროთეტული *რ*- ხმოვანი: \**ნე-შგოვა*, \**რ-შგოვა*. ამ ფორმათა შემდგომი განვითარება მახვილმა განსაზღვრა, რომლის გავლენითაც სვანურში მარცვალთა რაოდენობის შემცირება ხდება: შდრ. ბზ. *დედფაღ* < *დედოფალ-ი*; ბზ. *მაცხუნ* < *მაცხოვარ-ი*, ლშხ. *ანგლოზ* < *ანგელოზ-ი* და სხვ<sup>3</sup>. მაშასადამე, გვქონდა \**ნე-შგოვა* || \**რ-შგოვა* > \**ნე-შგუა* || *რ-შგუა* > \**ნე-სგუა* || \**რ-სგუა*.

-*შე* კომპლექსი კანონზომიერად გადავიდა შესატყვის სისინა-სგ- კომპლექსში ბაგისმიერი *ჴ*-ს გავლენით, რომელიც შემდგომ

<sup>1</sup> შდრ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართულის ლექსიკიდან. გოვარი > გუარი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 363-369.

<sup>2</sup> შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფუძის აგებულება, გვ. 13 შმდ.

<sup>3</sup> ს. ე ღ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 111 შმდ.; შდრ. აგრეთვე G. Deeters, *Das kharthwelische Verbum*, Leipzig, 1930, გვ. 17 შმდ.

გაუჩინარდა ამ ფორმათა ნაწილაკების ფუნქციით ხშირად ხმარების გამო. ჭ-ს დაკარგვა, როგორც ცნობილია, არ არის უცხო სვანური ფონეტიკისათვის<sup>1</sup>. ამგვარად მიღებული *ო-სგა* თანდებული იმავე მიზეზების გამო შემდგომ გამარტივებას განიცდის ლაშხურსა და ლენტეხურში, სადაც იგი *-ისა* ფორმით არის წარმოდგენილი (იხ. ზემოთ). კომპოზიტებში *ისგა* სახელს ბოლოკიდური *-ა* ხმოვანიც ეკვეცება: შდრ. *ისგლჷთ* „შუაღამე“, ბქვ. ლშხ. *ისგლადელ* „შუადღე“, *ისგდორობ* „შუა პურის ჭამა“ და სხვ.

ამოსავალ \**შოე-ა* სახელს ზანურში უნდა მოეცა კანონზომიერი \**შქოე-ა*. ბოლოკიდური სუფიქსისეული *-ა* არ იძლევა ზანურში კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს *ო-* ხმოვნის სახით, როგორც ეს სხვა ფორმებშიც დასტურდება: შდრ. *ძმ-ა* < *ძამ-ა*: მეგრ. *ჯიშ-ა*, ჭან. *ჯუშ-ა*; *მამ-ა*: მეგრ. *მუშ-ა*; *ტბ-ა* < *ტაბ-ა*: მეგრ. *ტობ-ა* და სხვ<sup>2</sup>.

\**შქოე-ა* ფორმაში ბაგისმიერი *ჟ-*ს დასუსტება-დაკარგვის შედეგად<sup>3</sup> უნდა მიგვეღო \**შქოა* ფორმა. *-ოა-* კომპლექსი მეგრულ-ჭანურში, ისე როგორც ქართულის ზოგიერთ კილოში, *-ჭა-* საფეხურის გავლით *-ა-* ხმოვანს იძლევა<sup>4</sup>: შდრ. ჭან. *დასვეს* < *დო-ასვეს* „წაეცხოთ, წაესვათ“; *ქამაფთი* < *ქო-ამაფთი* „დავდექი, ამოვედი“; *ქამიყონეს* < *ქო-ამიყონეს* „მიიღეს (სკოლაში)“; *ქომადუ* (< *ქომო-ადუ*) *თელი* „მოედო მავთული“ და სხვ<sup>5</sup>.

ანალოგიური განვითარება უნდა გვექონოდა \**შქო-ა* > *შქა* ფორმაში. აქ, შესაძლებელია, აღსადგენია გარდამავალი \**შქჷა* საფეხური, მაგრამ ამგვარი *-ჷ-* ზანურის განვითარების გვიანდელ ეპოქაში ვეღარ გადაიყვანდა წინამავალ *შქ* კომპლექსს შესატყვის სინა *სქ* კომპლექსში, რამდენადაც ეს ფონეტიკური პროცესი აღარ

<sup>1</sup> შდრ. სვანური ნაცვალსახელური ფორმები. შდრ. აგრეთვე სვან. არა < \* არჷა: ქართ. რ ვ ა, მეგრ. რ უ ო; ქართ. ჯ ვ - „испражняться“, მეგრ.-ჭან. ძ გ ვ -: სვან. ს გ < \* ს გ ჷ - და სხვ.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფუძის აგებულება, გვ. 7 შმდ.

<sup>3</sup> შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 24.

<sup>4</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 25 შმდ.; შდრ. ი. შ. ა ს ა თ ი ა ნ ი, *Провербы в занском (мегрельско-чанском) языке*. Автореферат диссертационной работы, представленной на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси, 1953, გვ. 7.

<sup>5</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 35.

მოქმედებდა ზანურში, განსხვავებით სვანურისაგან, სადაც იგი უფრო რეგულარულად არის გატარებული შედარებით გვიანდელ პერიოდშიც.

ამგვარად მიღებული *შქა* ზანურში აღნიშნავდა „შუა“-ს (შდრ. მეგრ. *შქა-ღლა* „შუადღე“; *შქა-კითი* „შუათითი“; *სქა-სერი* „შუაღამე“<sup>1</sup>) და „წელ“-ს, „поясница“, რაც სემანტიკურ კავშირშია ძირითად მნიშვნელობასთან (შდრ. სვან. ლშხ. *ისგ-გ/უნგი* „წელსზევით“ და *ისგ-გ/უნჩუ* „წელსქვევით“). აქედან არის ნაწარმოები სხვადასხვა აფიქსების საშუალებით ზედსართავის ფორმები: მეგრ. *ო-შქალო-ი* || *ო-შქარ-ი* „შუათანა“; ჭან. *ო-შქენ-ონ-ი* || *ო-შქენ-ან-ი* „შუათანა, საშუალო“<sup>2</sup>, ჭანურის *შკა* ვარიანტი მეორეულია: *შკა* < *შქა*<sup>3</sup>.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ სვანურში პრევერბისა და თანდებულის ფუნქციით გამოყენებული *ნსგა* ფორმა წარმომავლობით იგივეა, რაც სახელური ფუძისაგან მომდინარე *ნსგა* || *ისგა*.

ანალოგიური ვითარება უნდა გვქონოდა ქართულში, ოდღონდ აქ *შუ* პრევერბმა და *შინა* თანდებულმა ისეთი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა, რომ მათი ეტიმოლოგიური კავშირი ამოსავალ *შოვა* სახელთან დაჩრდილულ იქნა. ცნობილია, რომ ძველ ქართულში *შინა* თანდებული, რომელიც სახელს მიცემით ბრუნვაში მართავს, *შინა* ზმნისართისაგან მომდინარეობს<sup>4</sup>. ისმის კითხვა, რა წარმომავლობისა უნდა იყოს თვით ეს *შინა* ზმნისართი? სვანურის მასალა ჩვენ სრულ უფლებას გვაძლევს *შინა* ზმნისართი სახელურ ფუძედ მივიჩნიოთ და იგი იმავე \**შოვა*-ს სახელს დავუკავშიროთ, რომლისგანაც სვანური ფორმები მომდინარეობს. ძვ. ქართულში *შოვა* > *შუვა* ფორმა ზმნისართის ფუნქციითაც იხმარებოდა: შდრ. წარმოდებ *შუ ვ ა !* (მარკ. C 3,3. შდრ. ბერძნ. *ἔχειρε εἰς τὸ μέστω*). თანდებ-

<sup>1</sup> მეგრ. ს ქ ა - ს ე რ ი ფორმაში მომხდარია თავკიდური შ-ს ასიმილაციური გასისინება. შდრ. აგრეთვე ს ქ ა - ს ქ ე რ ი (И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка*, С.-Петербург, 1914, გვ. 317.

<sup>2</sup> არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 246; შდრ. მ ი ს ი ვ ე, ფუძის აგებულება, გვ. 197.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, გვ. 68.

<sup>4</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებულები ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 217 შმდ.; მ ი ს ი ვ ე, წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII, 1956, გვ. 41 შმდ.

ბულის ფუნქციით ხმარებისათვის შდრ. „და რომელნი იყვნენ შუგამისა, განივლტოდედ“ (ლუკ. C 21,21; შდრ. ბერძნ.  $\chi\alpha\iota\ \sigma\acute{\iota}\ \acute{\epsilon}\nu\ \mu\acute{\epsilon}\tau\phi\ \acute{\alpha}\nu\tau\eta\varsigma\ \xi\alpha\chi\alpha\rho\acute{\epsilon}\iota\tau\alpha\sigma\alpha\nu$ ). აშკარაა, რომ შოვა > შუვა სახელის გაქვევებული ფორმა, რომელსაც ლოკატივის მნიშვნელობა ჰქონდა, ძველ ქართულში ზმნისართისა და თანდებულის ფუნქციითაც იხმარებოდა, თუმცა მაგალითები ამისა შედარებით იშვიათია. ამ ფუნქციით ძველ ქართულში ძირითადად შინა ფორმა არის წარმოდგენილი, რომელიც \*შოვ-ა-ნა ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს<sup>1</sup>. -ნა სუფიქსი აქ იმავე რიგისაა, რაც ქუე-ნა, ზე-ნა ფორმებში. ამოსავალი \*შოვ-ა-ნა ფორმა მოგვეცემდა \*შუ-ა-ნა > \*შა-ნა ფორმებს<sup>2</sup>. უმახვილო ახმოვნის დავიწროების შედეგად მივიღეთ \*შე-ნა<sup>3</sup> > ში-ნა. შემთხვევითი არაა, რომ შინა თანდებული სახელს მართავს მიცემითში, რომელიც ამ შემთხვევაში ლოკატივის ფუნქციას ასრულებს. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ შინა ზმნისართი, რომელიც წარმოშობით ლოკატივის გამოხატველი სახელური ფუძეა, dativus-locativus-ში დასმულ სახელს ასინდენტურად დაერთვის და ამით მეტად აკონკრეტებს მას<sup>4</sup>. ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ხშირად ადგილის გარემოება მარტო მიცემითი ბრუნვით არის გამოხატული, შინა თანდებულის გარეშე. შდრ. „...ოდეს გიხილეთ შენ... საპყრობილესა“ (მ. DE 25,44) და „...ოდეს გიხილეთ შენ... საპყრობილესა შინა“ (მ. C 25,44; შდრ. ბერძნ.  $\dots\pi\acute{o}\tau\epsilon\ \sigma\epsilon\ \epsilon\acute{\iota}\theta\omicron\mu\epsilon\nu\dots\ \acute{\epsilon}\nu\ \phi\upsilon\lambda\alpha\chi\eta\acute{\iota}$ )<sup>5</sup>. მაშა-

<sup>1</sup> ამ მხრივ მეტად საგულისხმოა შინა < \*შოვ-ა-ნა და შოვ-რ-ის თანდებულთა იდენტობა: შდრ. შორის სახლსა დავითის, ლ. C 1, 69 (= სახლსა შინა, შდრ. ბერძნ.  $\acute{\epsilon}\nu\ \iota\acute{\nu}\chi\phi\ \Delta\alpha\upsilon\iota\delta$ ); შესაკრებელსა შორის მათსა (მ. D 4, 23) || შესაკრებელთა შინა მათთა (მ. C 4,23) (შდრ. ბერძნ.  $\acute{\epsilon}\nu\ \tau\alpha\acute{\iota}\varsigma\ \sigma\upsilon\nu\alpha\gamma\alpha\upsilon\acute{\alpha}\iota\varsigma\ \acute{\alpha}\nu\tau\omega\nu$ ).

<sup>2</sup> ჟეს-დაკარგვისათვის შდრ. უკუანა > უკანა, უკუეთუ > უკეთუ და სხვ. (იხ. ზემოთ).

<sup>3</sup> შდრ. უკუან > ხევს. უკვენ; ქარ- (გურ. და-ვ-ქარ-ი; ხევს. ნაქარ-ი; ზან. ქკარ-) > ქერ- (და-ვ-ქერ). ა-> პროცესისათვის ქართულში შდრ. გ. მ ა ჰ ა ვ ა - რ ი ა ნ ი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 69, 1958, გვ. 269 შმდ.

<sup>4</sup> შდრ. ა. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, 1, თბილისი, 1956, გვ. 379.

<sup>5</sup> მაგალითები იხ. ა. კიზირია, ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 102 შმდ.

სადამე, „საპყრობილესა“ ისტორიულად ნიშნავდა „საპყრობილეში“, ხოლო „საპყრობილესა შინა“ – „საპყრობილეში, (მის) შიგნით, შუაში“<sup>1</sup>.

ამავე \*შოვ-ა ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს შუ პრეფერბი ქართულში, რომლის ფუნქციაა მიმართულების გამოხატვა გარედან

არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ უძველეს ეპოქაში „შინა“ თანდებული ვინ- ჯგუფის აღმნიშვნელ სახელებთან ნათესაობით ბრუნვას მოითხოვდა (ი. ი მ - ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 325 შმდ). ანალოგიური ვითარება გვაქვს ძველ ქართულში „შოვრის“, „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა შემთხვევაში: სულიერ საგანთა აღმნიშვნელ სახელებთან გამოყენებულია, როგორც წესი, ნათესაობითი ბრუნვა, უსულო საგანთა აღმნიშვნელ სახელებთან კი – მიცემითი (კ. კ ე კ ე - ლ ი ძ ე, „წინაშე“, „თანა“, და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში: საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, III, 1942, № 2, გვ. 179–182; № 3, გვ. 283–287). ამგვარი სინტაქსური სხვაობა ლოკატიური მნიშვნელობის გამომხატველ თანდებულთა ხმარებაში იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ მიცემით ბრუნვაში დასმული ვინ- ჯგუფის აღმნიშვნელი სახელი ქართველურში მხოლოდ ობიექტის (პირდაპირისა ან ირიბის) გამომხატველი იყო, განსხვავებით რა-ჯგუფის აღმნიშვნელი სახელისაგან, რომელიც მიცემით ბრუნვაში ლოკატიური მნიშვნელობითაც იხმარებოდა. Dativus-locativus-ი მხოლოდ რა-ჯგუფის გამომხატველ სახელთათვის იყო დამახასიათებელი. ამგვარ ვითარებაში ადგილის გარემოების საწარმოებლად რა- ჯგუფის სახელებთან გამოყენებული იყო მიცემითი ბრუნვა, რომელსაც გარკვეულ შემთხვევაში ადგილის დაკონკრეტებისათვის ლოკატიური მნიშვნელობის გამომხატველი სახელები ერთვოდა. ვინ- ჯგუფის აღმნიშვნელ სახელთა შემთხვევაში ამავე კატეგორიის წარმოქმნა მხოლოდ ლოკატიური მნიშვნელობის მქონე თანდებულების საშუალებით იყო შესაძლებელი, რომლებიც ისტორიულად დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სახელებს წარმოადგენდნენ და რომლებიც ასეთ შემთხვევაში სინტაქსურად საზღვრულის ფუნქციით გვევლინება.

<sup>1</sup> ტიპოლოგიურად იდენტური წარმოება გვაქვს აქადურ ენაში. ლოკატიურ-ადვერბიალური -u(m) სუფიქსით გაფორმებული დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სახელები libbum „გული, შუაგული“ და qerbum „შუაგული“, „Inneres“ წინდებულების ფუნქციით იხმარება, რომლებიც ქართ. შინა თანდებულის ეკვივალენტია: შდრ. qerbum Bābilim, qerbum Akkadim, „ბაბილონსა შინა“, „აქადსა შინა“ (litt. „გულსა ბაბილონისასა, აქადისასა“); libbu ālim „ქალაქსა შინა“ (litt. „გულსა ქალაქისასა“) და სხვ. ეგვევ სიტყვები შეიძლება ნახმარი იყოს პრეპოზიციური ფუნქციით პირველად ina წინდებულთან: ina libbi āli, ina qereb āli „ქალაქსა შინა“ (შდრ. W. von Soden, *Grundriss der Akkadischen Grammatik*, Roma, 1952, გვ. 164 შმდ.).

შიგნით: \*შოვა- > \*შუა > შა<sup>1</sup> > შე<sup>2</sup>. ამგვარად, შე პრევერბი და შინა თანდებული უკავშირდებიან ერთმანეთს მათი საერთო წარმო-  
მავლობით \*შოვა სახელისაგან.

ქართული შე პრევერბის ეკვივალენტია ზანურში -შა წინდე-  
ბული. თუ სწორია ჩვენი მოსაზრება შე პრევერბის წარმომავლო-  
ბის შესახებ შოვა > შუა ფორმისაგან, მოსალოდნელია, რომ ზან-  
ური -შა- წინდებული ამავე \*შოვა > შქა || შუა ფორმას დაუკაფ-  
შირდეს, რაც, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, სვანურის ვი-  
თარებას ასახავს. ასეთ შემთხვევაში სრული პარალელიზმი გვე-  
ქნებოდა ამ თვალსაზრისით სამსავე ქართველურ ენაში.

-შა ნაწილაკი ზანურში იხმარება როგორც მეორე კომპონენტი  
რთული პრევერბისა. -შა ნაწილაკიანი რთული წინდებულები თით-  
ქმის ყოველთვის აღნიშნავენ მიმართულებას, მოძრაობას შიგნით ან  
შიგნიდან: შდრ. ჭან. ე: ჯუშუ ვა ეხთუ „მარილი არ აღმოცენდა“  
(„არ ავიდა, არ ამოვიდა“), მაგრამ ე-შა: მამული ქეშაფუთხუ „მა-  
მალი ამოფრინდა“ (შიგნიდან ზევით აფრინდა); მე-შა: ფაცხა დოვეუ  
დო ქომეშახედუ „ფაცხა გააკეთა და შიგ დაჯდა“ (მი-შიგ-ჯდა); გო-  
-შა: ...ნკოლი ჰექ გოშახენ „...კალია იქ ზის“ (გა-შიგ-ზის); გე-შა:

<sup>1</sup> შა- ფორმა დასტურდება მთის კილოებში და კახურში. ა-ხმოვნის ე-დ დავიწროების  
შედეგად მივიღეთ ძვ. ქართულში დადასტურებული შე-ფორმა. შა-ფორმის სიძ-  
ველის შესახებ შდრ. აგრეთვე G. Deeters, *Das kharthwelische Verbum*, Leipzig,  
1930, გვ. 10 შმდ.

<sup>2</sup> უმახვილო ნაწილაკებად ხმარებული წინდებულებისა და თანდებულების ფონეტი-  
კურ ცვლილებათათვის ქართულში შდრ. მაგ. -მ დ ე, -მ დ ის თანდებული, რომლის  
პირვანდელი სახე უნდა ყოფილიყო შესაბამისად მი-დ ღ ე-დ და მი-დ ღ ის (იხ.  
ა. შ ა ნ ი ძ ე, -მ დ ე თანდებულის გენეზისისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის მოამბე, 111, № 4, 1942, გვ. 369 შმდ). შდრ. აგრეთვე -დამ თანდებული,  
რომელიც და ღ მა ზმნისართისაგან მომდინარეობს: -და ღ მა || და ღ მე > -და მე  
(|| და მა) > -და მა (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში:  
ენიკის მოამბე, 1, 137, გვ. 55 შმდ). ა. შ ა ნ ი ძ ის აზრით, წ ი ა ღ- ზმნისწინი მომდინარე-  
ობს წ ყ ღ ი ს-ა ღ-ისაგან, ხოლო და- პრევერბი და ბ- ნაწილაკისაგან (შდრ. ქართ.  
და ბ-ა, მ-დ ა ბ-ა ღ-ლ) (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, თბილისი,  
1953, გვ. 268-269). ამგვარ მნიშვნელოვან ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზებისათ-  
ვის ხშირად ხმარებულ სიტყვებში იხ. ზემოთ.

–ჭუი ქოვემადგესდორენ დაჩხუის „...ქვაბი ჩაუდგამთ ცეცხლში“ და სხვ<sup>1</sup>.

ჭანურის ათინურ კილოკავში ე-შა- და მე-შა- წინდებულები წარმოდგენილია ე-შქა- || ე-შკა- და მე-შკა- ფორმების სახით. მნიშვნელობით ეს პრეფიქსები სავსებით ემთხვევა ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის ე-შა- და მე-შა- პრევერბებს<sup>2</sup>: შდრ. ნეკრაში ჯინდო მეშკაფდარე (არნ. ჩიქ., გვ. 122. 16–17) „კარების ზემოდან შევალ“; დოლოხე გუდაშა ქომეშკახთუ (არნ. ჩიქ., გვ. 137. 16–17). „შიგ გუდაში შევიდა“; პიმ ბიჭი-თი პიმ შეეფე ქეშქიღუ (არნ. ჩიქ., გვ. 127, 22–23) „იმ ბიჭმაც ის ნივთები ამოიღო“; ბიჭი-თი კაღათიშე ქეშკახთუ (არნ. ჩიქ., გვ. 127. 25) „ბიჭიც კაღათიდან ამოვიდა“; ეშქიღამს ბერჯითე (არნ. ჩიქ., გვ. 95.17) „ამოიღებს თოხით“ და სხვ.

ეს გარემოება უდავოს ხდის -შა- პრევერბის ეტიმოლოგიურ კავშირს შქა სიტყვასთან და მის წარმომავლობას მათთვის საერთო \*შოვა ფორმისაგან. ათინურ კილოკავს არქაული ე-შკა-, მე-შკა- ფორმები შემოუნახავს, მაშინ როდესაც ჭანურის დანარჩენ კილოკავებში და მეგრულში -შქ კომპლექსმა ამ ფორმაში გამარტივება განიცადა უკანაენისმიერი ხშული თანხმოვნის დაკარგვით: -შქა- > -შა-. აქ იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, რაც სვან. -ისგა თანდებულის შემთხვევაში, რომელიც ლაშხურსა და ლენტეხურში -ისა ფორმით არის წარმოდგენილი. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ -შა- პრევერბი მეგრულ-ჭანურში ქართულიდან არის ნასესხები<sup>3</sup>.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 117 შმდ.

<sup>2</sup> შდრ. არნ. ჩიქობავა, სხენ. ნაშრ. გვ. 121.

<sup>3</sup> G. Deeters, *Das kharthwelische Verbum*, Leipzig, 1930, გვ. 14. გამართლებული არ ჩანს აგრეთვე ეშკა- პრევერბის დაშლა როგორც ე-შ-კა, სადაც -კა იმავე ნაწილაკად არის მიჩნეული, რაც ჭან. მე-კა, მო-კა, ე-კა- და მეგრ. მი-კო, მუ-კო და ე-კო- პრევერბებში (იხ. Арн. Чикобава, *Морфологические встречи абхазск. языка с картвельскими языками*: ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 157 შმდ.). -კა- ნაწილაკი გამოიყოფა ჭანურში ყოველთვის როგორც რთული პრევერბის მეორე კომპონენტი. ე-შ-კა პრევერბის შემთხვევაში გვექნებოდა ერთადერთი მაგალითი, სადაც რთული პრევერბი სამი კომპონენტისაგან შედგება. ეშკა- პრევერბში -კა ელემენტი იგივე რომ იყოს, რაც რთული პრევერბების მეორე კომპონენტი -კა, რომელიც პროდუქტიული ნაწილაკია როგორც ჭანურში, ისე მეგრულში, მოსალოდნელი იქნე-

პრევერბული წარმოების ფართო გავრცელებამ ზანური ზმნის სისტემაში შეაპირობა ენაში თანდებულების მეტად შეზღუდული გამოყენება. ქართული თანდებულების ფუნქციას აქ პრევერბები ასრულებს<sup>1</sup>. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეგევე -შქა- || -შა- ელემენტი არ არის ზანურში წარმოდგენილი თანდებულის სახით, ისე როგორც ეს ქართულსა და სვანურში გვაქვს.

§ 2. „ძის, ვაჟიშვილის“ აღსანიშნავად სვანურში დასტურდება ჩბხ. *გმსგე გმსგოლ*; ლხმ. *გმსგე*; ბზ. *სგე* ფორმები. შდრ. აგრეთვე ჩბხ., ლხმ. *ღგმსგე* „შვილებიანი“; *ღგმსგეჲ* „(ბევრი) შვილებისა და შვილიშვილების პატრონი“.

ყველა ეს ფორმა კანონზომიერი შესატყვისია ქართული -მშო მიმღეობისა, რომელიც ძვ. ქართულში *პირმშო* „პირველშობილი“ სიტყვაში დასტურდება: და შვა ძმ იგი მისი პირმშო (ლუკ. DE 2,7) (შდრ. ბერძნ.  $\kappa\alpha\iota \ \xi\tau\epsilon\lambda\epsilon\nu \ \tau\acute{o}\nu \ \sigma\acute{\iota}\delta\omicron\nu \ \alpha\upsilon\tau\eta\varsigma \ \tau\acute{o}\nu \ \pi\alpha\tau\epsilon\rho\tau\omicron\chi\omicron\nu$ ). -მშო მიმღეობა ქართულში მომდინარეობს \*მ-შე-ე (< შეე-) ფორმისაგან (პრეფიქსულ-სუფიქსური ტიპი; წარმოებისათვის შდრ. *გან-მ-გ-ე, მ-წიფ-ე*). მიმღეობის მაწარმოებელი -ე სუფიქსის შერწყმის შედეგად ფუძისეულ -გ- თანხმოვანთან მივიღეთ ისტორიულად დამოწმებული -მშო ფორმა (შდრ. *სა-თნ-ო < \*სა-თნ-ეე-ე; სა-ს-ო < \*სა-ს-აე-ე და სხვ.*)<sup>2</sup>. ეს ამოსავალი \*მ-შე-ე მიმღეობა საფუძვლად დაედო ზემომოყვანილ სვანურ ფორმებს. \*მ-შე-ე სახელს სვანურში უნდა მოეცა კანონზომიერი \*მ-შეჲ-ე > \*მ-სგჲ-ე ფორმა, რომელშიც ჩავარდა ბა-

ზოდა მისი ხმარება -შა- პრევერბის შემდეგ ყველა სხვა შემთხვევაშიც როგორც ჭანურში, ისე მეგრულში. -შქა- || -შკა- პრევერბები კი არამც თუ სხვა რთულ პრევერბებთან არ გვხვდება, გარდა ე-შკა-, მე-შკა ფორმებისა, არამედ მათი ხმარება შემოფარგლულია მხოლოდ ჭანურის ათინური კილოკავით, და აქ ისინი იმავე მნიშვნელობით იხმარებიან, რაც სხვა კილოკავებისა და მეგრულის ე-შა- და მე-შა- წინდებულები. ამკარაა, რომ აქ შესაბამისად ორი ერთმანეთის მონაცვლე ფორმაა წარმოდგენილი. ე-შა- და მე-შა- პრევერბები უფრო არქაული ე-შქა- და მე-შქა- ფორმების გამარტივებულ სახესხვაობას წარმოადგენს. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ათინურ კილოკავს, რომელიც ზანურის გავრცელების მარგინალურ არეალშია მოქცეული, -შა- პრევერბის არქაული -შქა- || -შკა- ვარიანტი შემოუნახავს.

<sup>1</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 130.

<sup>2</sup> G. Deeters, *Das kharthwelische Verbum*, Leipzig, 1930, გვ. 231; შდრ. E. A. О с и д з е, *Образование причастий в грузинском языке*. Автореферат диссертационной работы на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси, 1958, გვ. 5.

გისმიერი -ჟ- ბგერა. ანლაუტში მოქცეულ მსგ- კომპლექსს გასუბ-სტანტივებულ \*მსგე ფორმაში დაერთო პროთეტული გ- ხმოვანი. გმსგე ფორმის პარალელურად გეხვდება სგე || სგედ ფორმა, რომელშიც თავიკიდური თანხმოვანთკომპლექსი გამარტივებულია სხვა საშუალებით: ისტორიულად მიმდებობის მაწარმოებელი გ პრეფიქსის მოკვეციტ, რომელიც აღდგება ამ სიტყვისაგან ნაწარმოებ ნასახელარ ზმნაში, როგორც კი -მსგ- კომპლექსისათვის სათანადო ფონეტიკური პირობები შეიქმნება: შდრ. ბზ. სგედ „შვილი“, მაგრამ ლომსგან || ლომსგანჟ „ვაჟიშვილის შექენა“<sup>1</sup>.

ქართ. შე-ილ- ფორმის ეტიმოლოგიური შესატყვისი, რომელიც იმავე შე- ფუძისაგან ნაწარმოებ გასუბსტანტივებულ მიმდებობას წარმოადგენს, სვანურში არ მოგვეპოვება. აქ მას შეენაცვლა უცხო (?) წარმოშობის გეხალ სიტყვა.

ქართ. შე-ილ- ფორმის კანონზომიერი შესატყვისია ზანურში ჭან. სქირ-ი || სე-ირ-ი-<sup>\*</sup>სქე-ირ-ი, მეგრ. სქ-ი <სქ-ირ-ი „ვაჟიშვილი (საქებური)“<sup>2</sup>. ისმის კითხვა, რა წარმოებისაა იმავე გარდამავალი \*შე- ფუძისაგან წარმომდგარი სქუა ფორმა, რომელიც ერთადერთი სიტყვაა „შვილისათვის“ მეგრულში? ეს ფორმაც, ეჭვს გარეშეა, პარტიციპიალური წარმოშობისა უნდა იყოს. ქართულისა და სვანურის შესატყვის ფორმათა გათვალისწინებით შესაძლებელი ჩანს სქუა ფორმის ეტიმოლოგიურად დაკავშირება იმავე \*მ-შე-ე მიმდებობასთან, რომელიც საფუძვლად დაედო ქართ. (პირ)მშო და სვან. გმსგე || სგედ ფორმებს. ეს ამოსავალი \*მ-შე-ე ფორმა ზანურში მოგვეცემდა კანონზომიერად \*მ-შქე-ე > \*მ-სქე-ე > \*მ-სქუ-ა<sup>3</sup> ფორმებს. ანლაუტში მოქცეულ თანხმოვანთკომპლექსში გს მოკვეცის შედეგად<sup>4</sup>, რომელიც აღარ გაიგებოდა როგორც მიმდებობის მაწარმოებელი, მივიღეთ მეგრულში ისტორიულად დამოწმებული სქუა ფორმა. მრავლობითი რიცხვის სქუ-ალ-ეფ-ი ფორმაში -ალ- სუფიქსი იჩენს თავს, რამდენადაც სქუა ფორმა გააზრებულ იქნა როგორც -ალ<sup>7</sup> სუფიქსიანი სახელი იმ ფორმათა გავლენით, სადაც იგი კანონზომიერადაა წარმოდგენილი: შდრ. მეგრ. ჯიმ-ა; ჭან. ჯუმ-ა „ძმა“:

<sup>1</sup> ბალსზემოური ფორმები მომაწოდა მ. გ უ ჯ ე ჯ ი ა ნ შ ა.

<sup>2</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 21.

<sup>3</sup> ე-ჟ პროცესისათვის შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 2, 1942, გვ. 194.

<sup>4</sup> შდრ. მეგრ. ჭ კ ა დ-უ/ჯ: „მ-ჭედელი“, სვან. მ ჯ-შ კ ი დ. ქართ. მ-წყემ-სი, ჭან. მ-ჭკ-ემ-ი: მეგრ. ჭყ-ემ-ი; ქართ. მ-ჭლ-ე: მეგრ. ჭ კ ო ლ-ა; შდრ. აგრეთვე სვან. ჯ მ ს გ ე და ს გ ე დ.

მრ. რ. მეგრ. *ჯიმ-ალ-ეფ-ი*, ჭან. *ჯუმ-ალ-ეფ-ე*; მეგრ.-ჭან. დ-ა „და“: მრ. რ. მეგრ. *დ-ალ-ეფ-ი*, ჭან. *დ-ალ-ეფ-ე*; მეგრ.-ჭან. *მოთ-ა* „შვილიშვილი“: მრ. რ. მეგრ. *მოთ-ალ-ეფ-ი*, ჭან. *მოთ-ალ-ეფ-ე* და სხვ. ამგვარი ანალოგიური გადატანა -*ალ-* სუფიქსისა აშკარაა ისეთ ფორმაში, როგორიცაა ჭან. *ნუსა*, მეგრ. *ნოსა* || *ნისა* „რძალი“. ეს სიტყვა, რომელიც ქართულშიც დასტურდება სახელში *ნუსადია* „ბიძას-ცოლა“ (საბა), უცხო წარმოშობისა<sup>1</sup>. მრავლობითი რიცხვის ფორმაში ანალოგიით -*ალ-* სუფიქსი იჩენს თავს: ჭან. *ნუსალეფე*, მეგრ. *ნოსალეფი* || *ნისალეფი*; შდრ. აგრეთვე მეგრ. *პაპა*: მრ. რ. *პაპალეფი* და სხვ.

მაშასადამე, ქართულსა და ზანურში დასტურდება გარდამავალი \**შეე-* ფუძისაგან ნაწარმოები ორი პარტიციპიალური ფორმა – სუფიქსური (ქართ. *შეილი-ი* – ჭან. *სქირ-ი* < \**სქე-ირ-ი*, მეგრ. *სქრ* < *სქირ-ი*) და პრეფიქსულ-სუფიქსური (ქართ. (*პირ*)*მშო*, მეგრ. *სქუ-ა* < \**მ-სქუ-ა*). ზვანურში მხოლოდ პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება შემოგვრჩა, რომელიც უფრო არქაული ჩანს: \**მ-შე-ე* > *გ-მ-სე-ე* || *სე-ე-ა*.

§ 3. *სქ/სგ* კომპლექსი ზანურსა და ზვანურში ქართული /*შ*/ სპირანტის შესატყვისად გვხვდება აგრეთვე რიგ სხვა ფორმებში. ყველა ამ შემთხვევაში *სქ/სგ* კომპლექსი თავდაპირველი ქართული /*შ*/ სპირანტის კანონზომიერ შესატყვისად წარმოდგენილი *შქ/შგ* კომპლექსისაგან უნდა მომდინარეობდეს მომდევნო ბაგისმიერი ზ-ს გავლენით, რომელიც გარკვეულ ფორმებში გაუჩინარდა.

ჭან. *სქურ-* || *სქირ-* (*მე-სქურ-უ* „დაშრა“, *დო-სქირ-ინ-ეს* „დააშრეს“); მეგრ. *სქირ-* (*დო-სქირ-უ* „დაშრა“, *ო-სქირ-უ-ან-ს* „აშრობს“) ფუძეები დაკავშირებულია ქართ. შრ- ძირთან (*და-შრ-ა*). ჭანურში

<sup>1</sup> შდრ. არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 39. მეგრ. ნოსა || ნისა, ჭან. ნუსა ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელიც თითქმის მთელ კავკასიურ ენობრივ სამყაროში გვხვდება: შდრ. ხუნძ. ნუს, არჩ. ნუსთთურ, ბაცბ. ნუს, ჩაჩნ. ნუს-ქულ, ინგუშ. ნუსქალ, ჩერქ. ნუსე, ოსურ. (დიგ.) *nostæ*, სოზბ. *нун* (В. И. Абаев, *Происхождение и культурное прошлое осетин по данным языка: Осетинский язык и фольклор*, М.-Л., 1949, გვ. 90). სიტყვა ინდოევროპულია წარმოშობით: შდრ: ლათ. *nurus* (ხალხ. ლათ. *nora* < \**nosa*). ბერძნ. *νύξ*, სკრ. *snusā*, ძვ. ინგლ. *snoru*, რუს. *сноха* და სხვ. (A. Ernout et A. Meillet, *Dictionnaire étymologique de la langue latine*, Paris, 1951, გვ. 802). ოსური *nostæ* წარმოადგენს -*t* სუფიქსით გაფორმებულ ძვ. ირანულ \**snaušā* ფორმას (В. И. Абаев, *О некоторых словообразовательных суффиксах с ограниченной продуктивностью: Осетинский язык и фольклор*, М.-Л., 1949, გვ. 572).

ეს ფუძე „ქრობას, შრეტა“-საც ნიშნავს (*მე-სქურ-უნ* „ქრება“)<sup>1</sup>.

ვ. თოფურიამ *შრ*- ფორმის უძველესი სახე ეგრეთწოდებული III ტიპის (ანუ უნიშნო) ვნებითის ზმნათა ანალოგიით სავსებით კანონ-ზომიერად აღადგინა როგორც \**შერ*- (\**გან-ე-შერ*, \**გან-ჰ-შერ*, *გან-შრ-ა*). ამ ტიპის ზმნათათვის დამახასიათებელი ფუძისეული *ე* ხმოვანი რედუქციას განიცდიდა მესამე პირის ფორმაში (*გან-შრ-ა*). ეს რედუქცირებული ფუძე ისტორიულ ხანაში პირველისა და მეორე პირის ფორმებზეც გავრცელდა<sup>2</sup>.

ამ ფორმაში გამოიყოფა ძირი *შ* და ძირს შეზრდილი *-ერ* სუფიქსი. ამ ტიპის ზმნათათვის დამახასიათებელ *ე*-ხმოვანს ზანურში *ო*-ხმოვანი შეესაბამება: \**და შერ* — ჭან. *მესქური*, მეგრ. *დოსქირი* „დაში“: \**შერ* — ზან. \**სქორ* — ჭან. *სქურ* — სქირ — მეგრ. *სქირ*<sup>3</sup>.

ქ. ლომთათიძე და არნ. ჩიქობავა ვარაუდობენ, რომ ეგრეთწოდებული უნიშნო ვნებითის ტიპის ზმნები ისტორიულად დინამიკურ უგვარო ზმნებს წარმოადგენდნენ, რომელთა ვნებითად გაგება მას შემდეგ მოხდა, რაც ზმნის სისტემაში გვარი ჩამოყალიბდა და შეიქმნა საპირისპირო მოქმედებით-ვნებითი ფორმების გარჩევა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 318 შმდ.

<sup>2</sup> ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1929, გვ. 9 (298) შმდ.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9, 1942, გვ. 965 შმდ. გ. მაჭავარიანი ე—ო შესატყვისობის ასახნვლად ამოსავალ /\*ა/ ფონემას ვარაუდობს, რომელმაც ქართულსა და სვანურში მოგვცა ე—, ხოლო ზანურში — *ო*- ხმოვანი (იხ. მისი ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 265 შმდ).

<sup>4</sup> ქ. ლომთათიძე, უნიშნო ვნებითის ისტორიისათვის ქართულში: აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1949, გვ. 10-11; მისივე, *თბება* ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 75 შმდ; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.1, თბილისი, 1950, გვ. 60.

სვანურში არსებული ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც გარდამავალ-გარდაუვალ ფორმებს ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით უპირისპირებენ (ე. წ. II უღვლილე-ბის ზმნები: შდრ. 3. პ. აწმყო: ტ ე ხ-ნი „ბრუნდება“, აორ. ა-ტ უ ხ, გარდამ. 3. პ. აწმყო:

ქართ. \*შერ-: ზან. \*სქორ- შეფარდებაში გასარკვევია ქართ. /შ/ სპირანტის შესატყვისად ზანურში /სქ/ კომპლექსის არსებობა. ამგვარი შესატყვისობა გასაგები ხდება, თუ ვივარაუდებთ სქ კომპლექსთან უშუალო კონტაქტში ბაგისმიერი -წ- თანხმოვნის არსებობას, რომლის გავლენით ამოსავალი /შქ/ კომპლექსი ისტორიულად დამოწმებულ /სქ/ კომპლექსში გადავიდოდა. მაშასადამე, უნდა დავუშვათ \*შწერ->\*შქწერ >\*სქწორ-> \*სქურ.

ტიხე-ე „აბრუნებს“, აორ. ა-ტიხ; იხ. ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1, თბილისი, 1957, გვ. 340 შმდ.) და რომელთა გარდაუვალ ფორმებს ქართულში სტრუქტურულად ე.წ. უნიშნო ენების ფორმები შეეფარდება ვ-ღ ე ბ ი, ვ-თ ბ ე ბ ი ტიპისა, გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ამ ტიპის ზმნის ფუძე გვარობის თვალსაზრისით ნეიტრალური იყო; ზმნის გარდამავალი და გარდაუვალი ვარიანტები გაირჩეოდა მხოლოდ ფუძისეული ხმოვნის ალტერნაციის საშუალებით. აქ ჩვენ ერთგვარ ფუნქციონალურ აბლაუტთან უნდა გვჭონდეს საქმე, რომელიც ისტორიულად, შესაძლებელია, ფონეტიკური მიზეზებით იყო შეპირობებული (შდრ. არნ. ჩიქობავა, შესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიშკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 36 შმდ). ფლექსიური ტიპი გარდამავლობას გამოხატავდა, უფლექსიო კი შესატყვის გარდაუვალ ფორმებს წარმოგვიდგენდა. ეს სავარაუდებელია თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ყველა ის სუფიქსი, რომელიც ე. წ. III ტიპის (უნიშნო) ენების ფორმებში გამოიყოფა, თავს იჩენს აგრეთვე გარდამავალი ზმნის ფუძედრეკად ფორმებში (ამ ზმნათა შესახებ იხ. ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, III, 1, 1936, გვ. 227 შმდ). ამ ჯგუფის ზმნებში სვანურს ქართველური ზმნის უძველესი სტრუქტურული ტიპი შემოუნახავს. ფუძის ფლექსიის საშუალებით ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის გარჩევა ვერ კიდევ პროექტირებულია სვანურში. იგი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ისტორიულად დანარჩენი ქართველური ენებისთვისაც. ისტორიული ხანის ქართულში ამ ტიპის წარმოება მხოლოდ გადმონათის სახით დასტურდება: კ რ ე ბ-ს/კ რ ი ბ-ა, მაგრამ შე-კ რ ბ-ა < \*შ ე-კ ე რ ბ-ა: „შემოკერბით“ (იე ბოლნ. 2411); დ რ ე კ-ს/დ რ ი კ-ა, მაგრამ შე-დ რ კ-ა < \*შ ე-დ ე რ კ-ა (შდრ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1929, გვ. 12 (301) შმდ.). ისტორიულ ხანაში რიგმა ამ ტიპის ფორმებმა შესატყვისი გარდამავალი, ფუძედრეკადი ვარიანტები დაკარგა. ასეთ ვითარებაში გარდამავალ ფორმათა წარმოსაქმნელად ენამ კაუზატიურ წარმოებას მიმართა (შ რ-ე ბ-ა: ა-შ რ-ო ბ-ს). საწინააღმდეგო შემთხვევაში შესატყვისი გარდაუვალი ვარიანტის საწარმოებლად პასიური კონსტრუქცია იქნა გამოყენებული (კ რ-ე ბ-ს/კ რ ი ბ-ა: ი-კ რ ი ბ-ე ბ-ა/შ ე-ი -კ რ ი ბ-ა; შდრ. ძვ. ქართ. \*შ ე-კ ე რ ბ-ს).



ფორმებს. სწორედ ამ ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით უნდა მიგველო ჭან-ურში უ-ხმოვანი თავდაპირველი ო-ხმოვნისაგან, რომელიც ამ ტიპის ზმნებში ქართული უ-ხმოვნის კანონზომიერი შესატყვისია (შდრ. ქართ. *გა-ქერ*: ჭან, *ქორ-უ* „გაცივდა“; *გა-წყერ*: მეგრ. *გო-ჭყორ-ი*; *გან-კემ*: მეგრ. *გო-ხომ-ი*; *ხომ-ილა* „ხმელი“; ქართ. \**ღებ*-, \**ღა-ღ[ე]ბ-*ა; ჭან. *ღო-ღობ-ინუ* „დაღბობა“ და სხვ.). მაშასადამე, გვექონდა ზან. \**სქჷორ*- > ჭან. *სქურ*<sup>1</sup>. ამ ჭანურ ფორმაში წარმოდგენილია აგრეთვე -ო ხმოვანი, რომელიც -უ ხმოვნისაგან მომდინარედ არის მიჩნეული: *სქურ*- > *სქირ*-. ეგვევ ო-ხმოვნისანი ფორმა დამახასიათებელია მეგრულისათვის<sup>2</sup>.

მაშასადამე, მეგრ.-ჭან. *სქურ*- || *სქირ*- მომდინარეობს თავდაპირველი \**შჷერ*- ფორმისაგან, რომლის უღაბივალ ვარიანტი ქართულში *შრ*- < \**შერ*- ფუძის სახით დასტურდება. ამ \**შჷერ*- ფუძემ ზანურში დაკარგა „დადლის, დაქანცვის“ მნიშვნელობა, რომელიც წარმოდგენილია ამავე ფორმისაგან მომავალ ქართ. შუერ- ფუძეში. ამ

<sup>1</sup> შდრ. ბაგისმიერი ბ-თანხმოვნის გავლენა ო-ხმოვანზე ჭან. ტ უ ბ- ფორმაში: დ ო-ტ უ ბ-უ ნ „ვათებება“, ტ უ ბ-უ „თბილი“, რომელიც \*ტ ო ბ- ფორმისაგან მომდინარეობს: ქართ. \*გ ა ნ-ვ-ტ ე ფ: ზან. \*ტ ო ბ- > ჭან. ტ უ ბ-. ბაგისმიერი თანხმოვნის მეზობლობაში ო → უ ჩვეულებრივი მოვლენაა მეგრულ-ჭანურში: შდრ. ქართ. მ ა ტ ლ ი – მეგრ. მ უ ნ ტ უ რ ი < \*მ ო ნ ტ უ რ ი; მ ა მ ა ლ ი – მეგრ. მ უ მ უ ლ ი < \*მ ო მ ო ლ ი; მ ა ჩ ვ ი – მეგრ. მ უ ნ ჩ ქ ვ ი < \*მ ო ნ ჩ ქ ვ ი და სხვ. (შდრ. ს. ე ლ ე ნ ტ ი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 41 შმდ).

<sup>2</sup> უ → ი პროცესისათვის მეგრ-ჭან. შდრ. გ. რ ო გ ა ვ ა, უ-ს რეფლექსები ზანურში და ლაბიალიზებულ კომპლექსთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში (თეზისები, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია 1958 წლის 10–11 ნოემბერს, თბილისი, 1958, გვ. 11 შმდ). ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რიგ ისეთ ფორმებში, სადაც უ-ხმოვანი არ გადადის გ → ი-ში, შესაძლებელია გაუჩინარებული ჟ ბგერის აღდგენა. ამის საფუძველზე გ. რ ო გ ა ვ ა აღადგენს ისეთ ლაბიალიზებულ კომპლექსებს, როგორიცაა ზან. შ უ რ < \*შ ვ უ რ, ქართ. ს უ ლ < \*ს ვ უ ლ- და სხვ. მაგრამ არ იქნებოდა სწორი გ. როგავას მიერ წამოყენებული დებულების შეტრიალება და მტკიცება იმისა, რომ ისეთ ზანურ ფორმებში, რომლებშიც შეინიშნება უ → ი პროცესი, გამორიცხულია წინამავალი ბაგისმიერი ჟ-ს არსებობა. ეს აშკარაა თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ჩ უ ე ნ- ნაცვალსახელის შესატყვისად, რომელიც შეიცავს ლაბიალიზებულ ჩ ჟ- კომპლექსს, ჭანურში ჩ ქ უ, ჩ ქ უ ნ- ფორმები მოგვეპოვება, რომლის უ-ხმოვანი ზოგ კილოკავში ი- ხმოვანში გადადის. შდრ. ჭან. ჩ ქ ი, მეგრ. ჩ ქ ე || ჩ ქ ი; ჩ ქ უ ნ ი || ჩ ქ ი ნ ი და სხვ.

მნიშვნელობის აღსანიშნავად მეგრულ-ჭანურში სულ სხვა ფუძე იქნა გამოყენებული: მეგრ. *შულადა* „დაღლა“, *დო-შურ-დ-უ* „დაღალა, დაიქანცა“ (ფუძეა *შურ/ღ-*: ქართ. *სულ-*); ჭან. *და-ჭკინ-დ-უ* „დაიღალა“ (ფუძეა *ჭკინ-დ-*: ქართ. *წყინ-დ-*)<sup>1</sup>. \**შურ-* ფუძის მიერ დაღლის, დაქანცვის“ მნიშვნელობის დაკარგვა ზანურში შედარებით გვიანდელ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს, რაზედაც მეგრულსა და ჭანურში ამ მნიშვნელობის გამოსახატავად განსხვავებულ ფორმათა არსებობა მიუთითებს.

ამგვარად, ირკვევა, რომ მეგრ.-ჭან. *სქურ* || *სქირ*- ეტიმოლოგიური შესატყვისია არა ქართული \**შერ-* > *შრ-*, არამედ *შურ-* ფორმისა, რომელმაც ქართულში „დაღლის, დაქანცვის“ მნიშვნელობა შეძინა.

ამოსავალი \**შურ-/შერ-* ფუძე იხმარებოდა აგრეთვე „ქრობის, შრეტის“ მნიშვნელობით, რაც სემანტიკურ კავშირშია ამ სიტყვის ძირითად მნიშვნელობასთან. \**შურ-* ფორმის ეს მნიშვნელობა შეინახულია ჭანურში: *ლამპა მესქურუნ* „ლამპა ქრება“. ამავე მნიშვნელობას გამოხატავდა *-ეჭ* (← *-ედ*) სუფიქსით გაფორმებული უღაბილი \**შერ* ფორმა გარდამავალი და გარდაუვალი მნიშვნელობით: გარდამ. \**შერეტ-*: ქართ. *შრეტ-/შრიტ-*: (...პატრუკი მბნდუნვარძ არა და შრიტოს; მ. E 12,20); მეგრ. *შქირიტ-* (*დო-შქირიტ-უ* „და-შრიტა“; მეგრული ფორმის ვოკალიზმი შეპირობებულია \**შერეტ-* ფორმის გარდამავალი, ფუძედრეკალი ვარიანტით): გარდაუვ. \**შერეტ-*: *და-შერეტ, და-შ-შერეტ, და-შრეტ-* (სადა... ცეცხლი მათი არა და შრეტების; მარკ. C 9,48); მეგრ. *შქირტ-*: (*დო-შქირტ-უ* „და-შრტა“). მეგრული ფორმა კანონზომიერი შესატყვისია ქართული *შრეტ-* ფუძისა (*შ-შქ*), რამდენადაც ორივე ფორმა ამოსავალი ძირის უღაბილი ვარიანტისაგან მომდინარეობს. ვ. თოფურიას მიერ გამოთქმული მოსაზრება *სქირ-* და *შქირტ-* ფუძეების ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ<sup>2</sup> დასტურდება ზემომოყვანილ დებულებათა საფუძველზე. *შქ* კომპლექსიანი ძირი მეგრულში მომდინარეობს უღაბილი \**შერ-* ფორმისაგან (ქართ. *შრ-* < \**შერ-*; *შრ-ეჭ* < \**შერ-ეჭ*), ხოლო *სქ* კომპლექსიანი ძირს ამოსავალი ფორმის ლაბიალური \**შურ-*

<sup>1</sup> ნ. ჩიბაძე, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 414-415.

<sup>2</sup> თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9, 1942, გვ. 968.

ვარიანტი დაედო საფუძვლად (ქართ. *შუერ-: და-ვ-შუერ*).

ამგვარად, ქართველურმა \**შეერ-/\*შერ-* ფუძემ ისტორიულად დამოწმებულ ქართველურ ენებში სემანტიკური დიფერენციაცია განიცადა. ამ ფორმათა არათანაბარი შინაარსობრივი დისტრიბუციის შედეგად მივიღეთ ქართულსა, ერთი მხრით, და მეგრულ-ჭანურში, მეორე მხრით, ისეთი სემანტიკური კორელატები, რომლებიც ამოსავალი ფუძის განსხვავებული ვარიანტებისაგან მომდინარეობენ<sup>1</sup>.

§ 4. ანალოგიური აღნაგობისა უნდა ყოფილიყო *შო-* ფუძე (*და-შო-ენ-ა*), რომელსაც ზანურში შეესატყვისება \**სქოდ->*ჭან. *სქუდ-* || *სქიდ-* (*დო-სქუდ-უ* „დარჩა“), მეგრ. *სქიდ-* (*ქოდო-სქიდ-უ* „დარჩა“) ფორმები, სვანურში – *ლი-სედ* „დარჩენა“; *სედ-ნი* „რჩება“<sup>2</sup>.

ვ. თოფურიამ *შო-/შდ-* ფუძის უძველესი ტიპი \**შედ-* ფორმის სახით აღადგინა. უნდა გვქონოდა \**და-ვ-შედ*, \**და-ჰ-შედ*. მესამე პირის ფორმაში ფუძისეული *ჰ-ხმოვანი* რედუქციას განიცდიდა: *და-შდ-ა* < \**და-შედ-ა*. მქლერი *დ-* წინამავალი ყრუ ფშვინვიერი სპირანტის გავლენით *თ-*ში გადავიდა: *შდ->* *შო-*. მესამე პირის რედუქციებული ფუძე პირველი და მეორე პირის ფორმებზეც გავრცელდა ანალოგიით<sup>3</sup>.

ამ შემთხვევაში ისეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როგორც ზან. \**სქეორ->* *სქურ-* || *სქირ-* ფორმაში, რომლის ამოსავალი \**შეერ-* ფორმა ისტორიულად დასტურდება ქართულში. მეგრ.-ჭან. *სქუდ-* || *სქიდ-* და სვანურ *სედ-* < \**სგედ*<sup>4</sup> ფორმებში წარმოდგენილი

<sup>1</sup> რეკონსტრუირებულ ფორმათა სემანტიკური დისტრიბუციისათვის შლრ. E. Benveniste, *Problèmes sémantiques de la reconstruction*: Linguistics Today, New York, 1954, გვ. 131 შმდ (Word, v. 10 n. 2–3).

<sup>2</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 316.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1929, გვ. 14 (303); შლრ. მისივე, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9, 1942, გვ. 968.

<sup>4</sup> თავკილური ს- სვანურ ფორმაში თავდაპირველი სგ- კომპლექსისაგან უნდა მომდინარეობდეს -გ- თანხმონის დაკარგვის შედეგად. ეს სავარაუდებელია უკვე იმ ფაქტის საფუძველზე, რომ სედ- არის ერთადერთი ფორმა სვანურში, რომელიც მეგრ.-ჭან. სქ- კომპლექსის შესატყვისად კანონზომიერი სგ- კომპლექსის ნაცვლად ს- სპირანტს წარმოგვიდგენს. იგი მით უფრო მოულოდნელია, რომ მეგრ.-ჭან. შქ- კომპლექსს სვანურში გამოუკლებლივ შგ-/სგ- კომპლექსი შეეფარდება. მეგრ.-ჭან. სქ-: სვან. ს- შესატყვისობა, რომელიც მხოლოდ ერთ

სქ/სგ- კომპლექსი ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად გვაგვარა-  
 ულებინებს ამ ფორმათათვის ამოსავალ \*შუედ- ფუძეს. ამ ფორმაში  
 ნაგვარაუდვეი ცვლილებები სქემატურად შემდეგ სახეს მიიღებდა:  
 \*შუედ- > ზან. \* შქუედ- > \* სქუოდ-. სვანურში ამავე ფორმას უნდა  
 მოეცა კანონზომიერი \*შგუედ- > \* სგუედ- > \* სგედ' - > სედ-. მაშასა-  
 ლამე, ამ ფორმაშიც სავარაუდებელია ძირმონაცვლე \*შუედ-/\*შედ-  
 ფუძეები. ულაბიალო ვარიანტი საფუძვლად დაედო ქართულ ფორ-  
 მას, ხოლო ლაბიალიზებული – სვანურსა და ზანურს. წინამავალი  
 ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით ქართული ჟ-ხმოვნის შესატყვისად არსე-  
 ბული ო- ხმოვანი ზანურში უ-ში გადავიდა, სავსებით ისე, როგორც  
 ეს სქურ- ფორმის შემთხვევაში გვქონდა: \*სქუოდ- > სქუდ- > სქიდ-.  
 აშკვარად მიღებული ზანური სქუდ- || სქიდ- ფორმის განვითარებაში  
 სრული პარალელიზმი შეინიშნება სქურ- || სქირ- ფორმასთან. შემ-  
 თხვევითობას უნდა მიეწეროს ის, რომ ქართულში არ შემოგვენახა  
 \*შედ- ფუძის ლაბიალიზებული \*შუედ- ვარიანტი, როგორც ეს  
 \*შუერ-/\*შერ- ფუძისათვის დასტურდება.

სქიდ- ფორმასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ  
 ქართ. \*შედ-, მეგრ.-ჭან. სქუდ- || სქიდ-, სვან. სედ- ფორმების შესატყ-  
 ვისი გარდამავალი ვარიანტები წარმოიქმნება არა კაუზატიური  
 წარმოების საშუალებით, რომელიც ამ ტიპის სხვა ფორმებისათვის  
 არის დამახასიათებელი (ე. ი. ისეთი ფორმებისათვის, რომელთაც  
 მხოლოდ გარდაუვალი ვარიანტი შერჩათ), არამედ სუპლექტიურად,  
 განსხვავებული ფუძის გამოყენებით: ძვ. ქართ. ტეჟ „დატოვება“  
 (...ჩუენ ყოველივე და უტევეთ; მ. E 19, 27); სვან. ლი-სედ „დარ-  
 ჩენა“, მაგრამ ლი-ცურ-ე „დატოვება“; მეგრ.-ჭან. სქუდ- || სქიდ „დარ-  
 ჩენა“, მაგრამ ტ-ალ || ტ-ეე „დატოვება“ (შდრ. მეგრ. ცუდეს ქოდიტუ  
 -შინ დატოვა“, ჭან. ქოდიტალეფან „დატოვებენ“)<sup>2</sup>. რით უნდა აიხ-  
 სნებოდეს ის გარემოება, რომ \*შუედ-/\*შედ- ფუძე გარდამავალ  
 ვარიანტს ყველა ქართველურ ენაში მხოლოდ სუპლექტიურად აწარ-

ფორმაში იჩენს თავს, ექვს გარეშეა, შედარებით გვიანდელ მოვლენას წარმოადგენს და  
 აიხსნება სვანურ ფორმაში თავდაპირველი კანონზომიერი სგ- კომპლექსის გამარტივებით  
 (შდრ. -ი ს გ ა: ლშხ. -ი ს ა).

<sup>1</sup> ფუძისული ჟ-ს დაკარგვისათვის სვანურში შდრ. ქართ. რ ვ ა, მეგრ. რ უ ო: სვან. ა რ ა;  
 ქართ. პ ი რ მ ო ო < \*შ-შ-ვ-ე; მეგრ. ს ქ უ-ა < \*შ-ს ქ უ-ა: სვან. ჯ მ ს გ ე; ს გ ე დ და სხვ.

<sup>2</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 320 შმდ.; შდრ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე,  
 ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954,  
 გვ. 312 შმდ.

მოებს; რატომ არა გვაქვს ამ შემთხვევაში კაუზატიური წარმოება, რომელსაც ამ ტიპის სხვა ფუძეები მიმართავენ?<sup>1</sup>

ამ გარემოებასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქართ. *შუღ-* მეგრ.-ჭან. *შქეიდ-* და სვან. *შუღ-* ფორმები, რომლებიც „ხრჩობას“ აღნიშნავენ: ძვ. ქართ. *ში-შუღ-ილ* (და დააგლო ვეცხლი იგი ტაძარსა მას და მივიდა და ში შუღ დილ-იბა; მ. C 27,5; შდრ. ბერძნ...  $\chi\alpha\iota\ \acute{\alpha}\pi\epsilon\lambda\mu\acute{\omega}\nu\ \acute{\alpha}\pi\acute{\rho}\chi\epsilon\alpha\tau\omicron$ ); ჭან. *ლოშქეიდუ* მეგრ. *დნშქეიდუ* „დაახრჩო“<sup>2</sup>; სვან. *ო-შუღ* „დავახრჩვე“; ლშხ. *ლუ-შუღ*, ბზ. *ლუ-შუჟიდ* „დამხრჩვალნი“. ქართულ *შუღ-* ფუძეში მომხდარი მეტათეზისის შედეგად ვიღებთ *შდფ-* ფორმას (შეადგეს იგი; მარკ. C 4,7), რომელშიც მჟღერი *-ღ-* თანხმოვანი ასიმილაციით შესატყვის ყრუ ფშენივიერში გადადიოდა (შეაშთვეს იგი; მარკ. DE 4,7). *შთფ-* ფუძეში *-ფ-* იკარგებოდა ბაგისმიერი ბგერის დართვის შედეგად (შეაშთობდა მას; მ. C 18,28)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შდრ. მაგ., თბ-ებ-ა: ა-თბ-ო-ბ-ს, მეგრ. *ო-ტ-ი-ბ-უ-ან-ს*; შრ-ე-ბ-ა: ა-შრ-ო-ბ-ს, მეგრ. *ო-ს-ქ-ი-რ-უ-ან-ს*; ხმ-ე-ბ-ა: ა-ხმ-ო-ბ-ს; მეგრ. *ო-ხ-ო-მ-უ-ან-ს* და სხვ. ს-ქ-ი-ღ- ფორმის გარდამავალი ვარიანტის წარმოსაქმნელად ტ-ე-ე || ტ-ა-ლ- ფუძის პარალელურად მეგრული კაუზატიურ წარმოებასაც მიმართავს: *ო-ს-ქ-ი-ღ-ი-ღ-უ-ან-ს* „არჩენს (ავადმყოფს); ტოვებს“ (შდრ. არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 317); შდრ. აგრეთვე ჭან. ბო-ს-ქ-ე-ღ-ი-ნ-ი „დავარჩინე (ვაცხოვრე)“, ქართ. *ა-რ-ჩ-ე-ნ-ს*. ამგვარი წარმოება მეორეული, შედარებით გვიანდელი ჩანს. საგულისხმო აქ ის არის, რომ, მიუხედავად კაუზატიური წარმოებისა, გარდამავალი ფორმის ფუძე არ არის იდენტური გარდაუვალი ვარიანტის ფუძისა: შდრ. გარდაუვ. მეგრ. *ს-ქ-ი-ღ-*, ჭან. *ს-ქ-უ-ღ-* || *ს-ქ-ი-ღ-* და გარდამ. *ს-ქ-ი-ღ-ი-ღ-*, ჭან. *ს-ქ-ე-ღ-*. ენამ ბაინც შეცვალა ის ფუძე, რომელიც შესატყვის გარდაუვალ ფორმაში იყო წარმოდგენილი. აქაც ერთგვარი სუბლექტივიზმი იჩენს თავს, რაც ამ ფორმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ყველა ქართველურ ენაში. *-ლი-* ელემენტი მეგრულ კაუზატიურ ფორმაში ისეთი ფორმების ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი, სადაც იგი კანონზომიერად არის წარმოდგენილი როგორც ფუძისეული ელემენტი: შდრ. მეგრ. *შ-არ-ას-გ-ე-ჩ-ი-რ-თ-უ* „გზას ასცდა“: *შ-არ-ას-გ-ი-ო-ჩ-ი-ღ-ი-ღ-თ-უ* „გზას ააცილინა“ (ლექსიკონი, გვ. 374); *გ-ა-ჭ-ყ-ო-რ-ღ-უ* „დაავიწყდა“: *გ-ა-ჭ-ყ-ო-ღ-ი-ღ-უ* „დაავიწყა“ და სხვ.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 367 შმდ.

<sup>3</sup> ვ. თოფურიძე, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, 1: „იმომხილველი“, თბილისი, 1926, გვ. 213 შმდ.; შდრ. მისი ვეგ, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 79;

ისტორიულად დამოწმებული *შუღ-* ფუძე ქართულში უფრო ადრინდელი \**შუგედ-* ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს, რომელშიც ენის განვითარების ჯერ კიდევ უმწერლობო პერიოდში მოხდა ე-ხმოვნის რედუცირება. სრულხმოვნია \**შუგედ-* ფორმის რეკონსტრუირება ქართულში გამართლებულია ზმნის ფუძის საერთო სტრუქტურული მოდელით. ისტორიულად დამოწმებულ *შუღ-* ფუძეში ე-ხმოვნის აღდგენა სრულ პარალელიზმს ამყარებს ამ ტიპის ზმნათა ფუძის ამოსავალ სტრუქტურაში. ამგვარად აღდგენილი გარდაუვალი \**შუგედ-* ფუძე ქართულში ზუსტი სტრუქტურული შესატყვისი იქნებოდა ისეთი ფორმებისა, როგორიცაა *წუღ-*, *ხუღ-* და *კუღ-* ფუძეები, რომლებიც შესაბამისად ისტორიულად დამოწმებული *წუღ-*, *ხუღ-*, და *კუღ-* ფორმების რედუცირებულ ვარიანტებს წარმოადგენენ: „*მიუ-წღ-ომელსა*“, მაგრამ „*მის-წუღ*“, „*შე-ზხუღ-ა*“, „*და-კხუღ-ა*“, მაგრამ „*შე-ზხუღ-ა მე*“, „*მო-ფკუღ-ებ-ი*“, მაგრამ „*მო-კუღ-ინ*“ და სხვ<sup>1</sup>. შდრ. აგრეთვე *ში-შუღ-იდ* < \**ში-შუღ-იდ* ფორმა, რომელიც იმავე წარმოებისაა, რაც *სი-კუღ-იდ* < \**სი-კუღ-იდ*.

ამგვარად აღდგენილ გარდაუვალ \**შუგედ-* ფუძეს უნდა ჰქონოდა შესატყვისი გარდამავალი ვარიანტი. ამ ქართველური ფუძის გარდამავალი ვარიანტის ოდინდელი არსებობა ჩანს სვანურში, სადაც იგი აორისტის ფორმებში რედუცირებული სახით არის წარმოდგენილი: ბზ. აორ. 1. *ო-შგუღ*, 2. *ა-შგუღ*, 3. *ა-შგუიღ*. ამ ფორმაში ხმოვნის რედუცირება უნდა მომხდარიყო ძალიან ადრე. მისი კვალი სვანურში აღარ შეინიშნება. ქართულში ამ ფუძის მხოლოდ გარდაუვალი ფორმები დასტურდება. შესატყვისი გარდამავალ ფორმათა წარმოსაქმნელად ქართულმა კაუზატიურ წარმოებებს მიმართა. აქედან ერთპირიანი ფორმების შესაქმნელად უკვე ვნებითის წარმოება იქნა გამოყენებული<sup>2</sup>: „*და ი თ ვ ე ბ ო დ ე ს ზღუასა შინა*“ (მარკ. C 5,13), ისე როგორც ამას სვანურში ჰქონდა ადგილი. ვნებითის *ხჟ-ი-შგუღ-ი* „ვიხრჩობი“ ფორმა აქ იწარმოება *ო-შგუღ* „დავახრჩვე“ ფორმის საპირისპიროდ, რომელიც მხოლოდ დროთა მეთრე ჯგუფში იჩენს

<sup>1</sup> ამ ფორმათა შესახებ იხ. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ნიშკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 535.

<sup>2</sup> აქტივ-პასივის ურთიერთობის შესახებ იხ. ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე., აქტივი და პასივი ურთიერთობის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV, № 4, 1943, გვ. 375 შმდ.

თავს. აწმყოში *ხჷ-ი-შეჷდ-ი* ფორმის გარდამავალი კორელატის წარმოსაქმნელად კაუზატიური წარმოება იქნა გამოყენებული: *ხჷ-ა-შეჷდ-ი*, რომელიც დაუპირისპირდა ეტიმოლოგიურად კანონზომიერ გარდამავალ *ო-შეჷდ* ფორმას.

ანალოგიურ ვითარებას უნდა ჰქონოდა აღგილი ზანურში. გარდაუვალი *შქეიდ-* ფუძისაგან, რომელიც *\*შუდ-* ფორმისაგან მომდინარეობს<sup>1</sup>, შესატყვისი გარდამავალი ფორმები მიღებულ იქნა კაუზატიური წარმოების საშუალებით: შდრ. მეგრ. *ვოშქეიდუანქ* „ვახრხობ“. ამ ფორმათა საპირისპიროდ ერთპირიანი ფორმების წარმოსაქმნელად პასიური წარმოება იქნა გამოყენებული: *დრშქეიდუ*, „დაიხრხო“.

მაშასადამე, ქართველურ ენებში აღდგება *\*შუედ-/\*შედ-* ფუძე, რომელიც „დარჩენის“ მნიშვნელობით იხმარებოდა. ამის პარალელურად გვქონდა ომონიმური *\*შუედ-/\*შედ-*, რომელიც „ხრხობას“ აღნიშნავდა. ამ უკანასკნელში ძალიან ადრე მოხდა *ე-ხმოვნის* რედუცირება და ფუძისეული ხმოვნის ფლექსიის საშუალებით გარდამავლობა-გარდაუვალობის დაპირისპირების მოშლა. ასეთ ვითარებაში გარდაუვალმა *\*შუედ-* ფუძემ შესატყვისი გარდამავალ ფორმათა წარმოსაქმნელად კაუზატიურ წარმოებას მიმართა. ეგვევ წარმოება, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა გამოყენებული ომონიმური *\*შუედ-* „დარჩენა“ ფუძის გარდამავალი ვარიანტების შესაქმნელად. ამგვარ პირობებში ენამ სუპლექტიურ წარმოებას მიმართა, რითაც თავიდან აიცილა ამ ფორმათა სრული დამთხვევა. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სუპლექტიური წარმოება ამ ფორმებში შედარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს, რამდენადაც სვანურში *ლი-სედ* ფორმის გარდამავალი ვარიანტის საწარმოებლად გამოყენებულია შესატყვისი ქართული და ზანური ფორმებისაგან განსხვავებული *ლი-ცჷრ-ე* ფუძე.

ამ ამოსავალმა *\*შუედ-* ფუძემ ზანურსა და სვანურში მოგვცა კანონზომიერი *\*შქეედ-/\*შქედ-* ფორმა. აქ მოხდა ერთგვარი ფონეტიკური ბიფურკაცია, რაც ამ სიტყვის ომონიმური ბუნებით იყო შეპირობებული.

<sup>1</sup> \*შუედ-/\*შუედ- > \*შქუედ- || \*შქუედ- > შქვიდ-; ვოკალიზმისათვის შდრ. მეგრ. ჩუ რ-უ ნ-ს – ჭან. ი-ნ-ჩ ვ ი რ ს „ცურავს“ (იხ. ლექსიკონი, გვ. 373 შმდ); მეგრ. შქუერ- || შქვირ-: დობ შქუერინდი || დოფ შქვირონდი „დავზინდი“ (И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка*. С.-Петербург, 1914, გვ. 360).

\**შქუედ*- ფუძემ „დარჩენის“ მნიშვნელობით მოგვცა \**სქუედ*- ფორმა, სადაც შიშინა *შქ* კომპლექსი მომდევნო ბაგისმიერი ზუს გაველენით კანონზომიერად გადავიდა შესატყვის სისინა *სქ* კომპლექსში. ეს ფონეტიკური პროცესი არ შეხებია \**შქუედ*/\**შქუედ* ფუძეს, რომელიც „ხრჩობის“ მნიშვნელობით იხმარებოდა. ამ შემთხვევაში აღვილი ჰქონდა კანონზომიერი ფონეტიკური პროცესის შეფერხებას, სემანტიკური სხვაობით შეპირობებულს.

ფუნქციონალური ან მაღიფერენცირებელი ანალოგია, რასაც სემანტიკური მიზეზები წარმოშობს, როგორც ცნობილია, ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც შემაფერხებლად მოქმედებს ენაში ფონეტიკური პროცესების თანმიმდევრულად გატარებაზე. სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმათა ერთმანეთისაგან გასარჩევად ხშირად ირღვევა ის ფონეტიკური ტენდენცია, რომელიც სხვა ვითარებაში განუხრელად ხორციელდება<sup>1</sup>.

ანალოგიური მიზეზით უნდა აიხსნებოდეს ზემოთ განხილული ფონეტიკური ტენდენციის შეფერხება მეგრ.-ჭან. *შქვ*- ფუძეში („გაშვება, მიტოვება“), რომელიც ქართულ *შე*- ფორმას შეესატყვისება: ჭან. *ნაშქუ ქანაშქუ* „მიატოვა, გაუშვა“; *მევაშქვი* „დავტოვე“; მეგრ. *გეიაშქუ* „აუშვა“ (მაგ. დაბმული ხარი); *ჯოდორქვა მანქუ* „დადღმა არ მოუშვა“<sup>2</sup>. შემაფერხებელ ფორმად აქ. როგორც ჩანს, *სქვ* ფუძე გვევლინება, რომელიც „დაბმას, შებმას“ (მეგრ. *სქუაფა, გო-სქუაფა*) აღნიშნავს და ქართულ *სკუენ*- ფუძეს [„გამოსკუნილი“, „მონასკუება“ (საბა) და სხვ.] შეესატყვისება: *თინა ხოჯეფს ურემს უსქუანს*

<sup>1</sup> ზოგადად ამის შესახებ იხ. H. Kronasser, *Handbuch der Semasiologie*, Heidelberg, 1952, გვ. 178 შმდ.; შდრ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 243 შმდ.; A. Martinet, *Économie des changements phonétiques*, Berne, 1955, გვ. 26 შმდ. ანალოგიური ვითარება გვაქვს თანამედროვე ასურულის *šintā* ფორმაში, რომელიც „ძილს“ ნიშნავს. ამ ფორმაში არ მომხდარა ასურულში რეგულარულად გატარებული ასიმილაცია -nt- > -tt-, რომელიც კანონზომიერად არის წარმოდგენილი *šintā* > *šittā* > *šittā* ფორმაში, რაც „წელიწადს“ აღნიშნავს. შემაფერხებელ ფაქტორად სწორედ ეს უკანასკნელი, სემანტიკურად განსხვავებული ფორმა გვევლინება (კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ნარკვევი თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა, თბილისი, 1958, გვ. 130).

<sup>2</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 366 შმდ.

„იგი ურემში აბამს ხარებს“; *სქუაფირი* „შებმული, დაბმული“<sup>1</sup>.

*შქე* კომპლექსის გასისინება არ განხორციელებულა აგრეთვე *შქვილ-* ფორმაში, რომელიც ქართ. *მ-შკლ-დ-ი*’ს კანონზომიერი შესატყვისია და რომელიც მეგრული ლექსიკის უძველეს კუთვნილებას წარმოადგენს (შდრ. ძველისძველი გამოთქმა *ქა-შქვილი დო ქა-საგანი* „რქა-შვილდი და რქა-ისარი“<sup>2</sup>). მიზეზი ამ ფორმაში კანონზომიერი ფონეტიკური პროცესის შეფერხებისა არ არის ნათელი<sup>3</sup>. შესაძლებელია აქაც მადიფერენცირებელი ანალოგია მოქმედებდა<sup>4</sup>.

ქართული *შვიდ-ი* რიცხვითი სახელის შესატყვისად მეგრულ-ჭანურში წარმოდგენილია *შქვით-ი* ფორმა, სვანურში – *ი-შგჷიდ*<sup>5</sup>. ამ ფორმებშიც მოსალოდნელი კანონზომიერი *სქე-* (სვან. *სგჷ*) კომპლექსის ნაცვლად გვაქვს თავდაპირველი შიშინა *შქე-* (სვან. *შგჷ*), რომელიც */\*შჷ-* კომპლექსის უშუალო რეფლექსს წარმოადგენს ზანურსა და სვანურში. *შქ* (resp. *შგ-*) კომპლექსის გადასვლა შესატყვისის სისინა *სქ* (resp. *სგ-*) კომპლექსში მომდევნო ბაგისმიერი ჴ-ს გავლენით არ განხორციელებულა ამ ფორმაში შიშინა – *შ* სპირანტის გამო, რომელიც ზანურსა და სვანურში *ქქესი*’ს აღმნიშვნელ ფორმებში იყო კანონზომიერად წარმოდგენილი: ზან. *\*ქქშე-ი* – *შქვით-ი*, სვან. *\*უქშუა* – *ი-შგჷიდ*.

რიცხვით სახელებში, ჩვეულებრივ ისეთ ფორმებში, რომლებიც თვლის დროს უშუალო მეზობლობაში არიან, განსაკუთრებით მძლავრად მოქმედებს ფონეტიკური ანალოგიის ფაქტორი. ამის კლასიკური მაგალითები გვაქვს გერმანულ *zwo* (შდრ. ინგლ. *two*) > *zwei* „ორი“ ფორმებში, *drei* „სამი“ ფორმის გავლენით, და ბალტიურ-სლავურ ფორმებში *девять* (ლიტ. *devyni*), ნაცვლად *\*невять*-ისა

<sup>1</sup> И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка*, С.-Петербург, 1914, გვ. 321.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 99.

<sup>3</sup> ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარ შეფერხებას შესაძლებელია ექსპრესიული საფუძველი გააჩნდეს.

<sup>4</sup> ამგვარი „ნარჩენი“ სიტყვების შესახებ (*Restwörter*), რომლებზედაც არ გავრცელებულა ენაში მოქმედი კანონზომიერი ფონეტიკური ტენდენცია, იხ. Э. Прокош, *Сравнительная грамматика германских языков*. Перевод с английского, Москва, 1954, გვ. 45 შმდ.

<sup>5</sup> იხ. ზემოთ.

(შდრ. ბერძნ. ἕννεα, ლათ. novem და სხვ.), десять (ლიტ. dešimt) ფორმის გავლენით, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთგვარ ანტიციპაციასთან. მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მოვლენაც – რეტარდაცია. ამ რიგისაა, მაგალითად ლონდონური [ˈθʌrənz], ნაცვლად ფორმისა [ˈθrɪpənz] „სამი პენსი“, (ˈtʌpənz) „ორი პენსი“ ფორმის გავლენით. ერთ-ერთ ახალ აბისინურ ენაში, ტიგრინაში, გვაქვს šommontè < \*šammantè „რვა“ šoˈattè „შვიდი“ ფორმის გავლენით<sup>1</sup>.

ქართველურ რიცხვით სახელებში ძირითადად მეორე რიგის მოვლენები შეინიშნება: შდრ. სვან. ჴრ̄შთხჷ „ოთხი“ – ჴრ̄-ხჷიშდ „ხუთი“; ქართ. თ-ოთხ-მეტ-ი – თ-ხუთ-მეტ-ი > თ-უთხ-მეტ-ი (ა. შ ა ნ - ი ძ ე); ჭან. *ოვრო* < \**ორვო* (შდრ. ქართ. *რვა*, მეგრ. *რუო*) – *ჩხოვრო* || *ჩხორო* (შდრ. მეგრ. *ჩხორო*, ქართ. *ცხრა*).

სწორედ ამ რიგისაა ზან. \**ექშე-ი* – *შქვით-ი*, სვან. \**ექშეა* – *ი-შევიდ*. მეტათეზისით მიღებული \**უშეჷა* ფორმა სვანურში, რომელიც მსგავსი აღმოჩნდა მომდევნო *ი-შეჷიდ* ფორმისა, განემსგავსა ამ უკანასკნელს მასში კანონზომიერი ფონეტიკური ტენდენციის გატარების შედეგად. ამ ფორმათა განმსგავსების აუცილებლობამ (*უსეჷა* – *იშეჷიდ*) შეაფერხა შემდგომ მომდევნო *ი-შეჷიდ* ფორმაში ამავე ფონეტიკური პროცესის განხორციელება.

ქართ. *ე-შე-ი* ფორმის შესატყვისად მეგრულში დასტურდება *ჩქვა*<sup>2</sup>. აქაც არ მომხდარა /შქვ/ კომპლექსის მოსალოდნელი გასისინება, რაც, საფიქრებელია, ზანურ ფორმაში წარმოდგენილი თავკიდური /შ/ ფონემის ადრეული აფრიკატიზაციით უნდა აიხსნებოდეს. ამისაგან განსხვავებით, ამავე /შქვ/ კომპლექსმა, ქართული *ე-შე-ი* ფორმის შესატყვისად წარმოდგენილმა ზანურში, *ოსქუ* < \**ო-სქე-უ* „საღორე“ ფორმაში კანონზომიერი გასისინება განიცადა (შდრ. ძვ. ქართ. *ეშუ* „გარეული ღორი, ტახი“; ე. ი. *ოსქუ* ~ \**სა-ე-შე-უ*) [ეტიმოლოგია ეკუთვნის გ. კლიძოვს].

ზემოთ განხილული რამდენიმე სიტყვა წარმოადგენს ე. წ. გამონაკლის ფორმებს, რომლებშიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ განხორციელებულა დასავლურ-ქართველურ არეალში რეგულარუ-

<sup>1</sup> Н. В. Юшманов, *Сибилитная аномалия в числительных тигринья*. „Africana“, М.–Л., 1937, გვ. 77 შშდ.

<sup>2</sup> ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., IX–X, 1958, გვ. 71.

ლად გატარებული გასისინების ტენდენცია<sup>1</sup>. მაგრამ /შქჟ/→/სქჟ/ პროცესის განხილვა, როგორც ზანურ-სვანურ არეალში მოქმედი კანონზომიერი ფონეტიკური ტენდენციისა, გამართლებულია იმით, რომ ეს პროცესი ზანურსა და სვანურში გატარებულია ისტორიულად /შქჟ/ კომპლექსიან ფორმათა უმრავლესობაში.

ენობრივი კანონზომიერებანი არ ატარებენ, როგორც წესი, აბსოლუტურ ხასიათს. ამგვარი კანონზომიერება ყოველთვის შემოიფარგლება დროით და ენობრივ სისტემაში გავრცელების არით; მასზე შემაფერხებლად მოქმედებს სხვადასხვა ენობრივი თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორები. ამით განისაზღვრება ის, რომ გარკვეული ენობრივი (განსაკუთრებით ფონეტიკური) კანონზომიერება ვერ მოიცავს სისტემაში არსებულ მთელ შესატყვის მასალას; ამით აიხსნება ენობრივი კანონზომიერების შეფარდებითი ხასიათი. ამიტომ ენაში უნდა გაირჩეოდეს კანონზომიერებათა ფარდობითი ხარისხები, რაც ლინგვისტურ ერთეულთა მხოლოდ სტატისტიკური, რაოდენობრივი ანალიზის შედეგად შეიძლება გაირკვეს. ენობრივი კანონზომიერების ხარისხი განისაზღვრება ენაში ამ კანონზომიერების განხორციელების ალბათობით, ანუ იმ ფორმათა ფარდობითი სიხშირით, რომლებშიც იგი განხორციელებულია<sup>2</sup>.

მეორეული გასისინების ტენდენციის უფრო მაღალი ხარისხი სვანურში, ზანურთან შედარებით, შეპირობებულია იმით, რომ ზანურ-სვანური არეალისათვის დამახასიათებელი ეს ფონეტიკური პროცესი გაგრძელდა შემდგომ დამოუკიდებლად სვანურში მისი იზოლირებული არსებობის გარკვეულ პერიოდშიც. ამ დროისათვის ეს პროცესი ზანურში აღარ მოქმედებდა.

§ 5. ჩვენ განვიხილეთ ყველა ჩვენთვის ცნობილი ქართველური ფორმა, რომელშიც წარმოდგენილია შესატყვისობა ქართ. /შ/ – ზან.

<sup>1</sup> აქ, ბუნებრივია, განხილვის სფეროში არ შემოდის ისეთი სვანური /შგჟ/ კომპლექსიანი ფორმები, რომელთაც არ ეძებნებათ ქართველური ეტიმოლოგიები; მაგ., შგჟიბ „რკო“, მჟ შგჟრი „სტუმარი“ და სხვ. ეს ფორმები, როგორც ჩანს, შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა.

<sup>2</sup> ენობრივ კანონზომიერებათა სტატისტიკური ხასიათისათვის შდრ. R. Jakobson, *Typological studies and their contribution to historical comparative linguistics*: „Reports for the Eighth International Congress of Linguists“, Suppl., Oslo, 1957, გვ. 6 შმდ.

/სქ/, სვან. /სგ<sup>1</sup>/. ირკვევა, რომ ქართულ /შ/ სპირანტს ზანურსა და სვანურში კანონზომიერად /შქ/ და /შგ/ კომპლექსი შეესატყვისება. ქართულს ამ შემთხვევაში უძველესი ვითარება აქვს დაცული. ქართველურმა შიშინა აფრიკატებმა და /შ/ სპირანტმა ქართულში შესატყვისი მარტივი შიშინა რეფლექსები მოგვცა, მაშინ როდესაც ზანურსა და სვანურში ამავე რიგის ფონემებმა უკანაენისმიერი ხშული თანხმოვანი განივითარა. ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად არსებული /სქ/ და /სგ/ კომპლექსები ზანურსა და სვანურში ამოსავალი შქ/სგ კომპლექსის კომბინატორულ სისინა ვარიანტს წარმოადგენს, რომელიც მიღებულ იქნა მომდევნო ბაგისმიერი /ჟ/-ს გავლენით. ეს რეგულარული ტენდენცია /შქ/ კომპლექსის კომბინატორული გასისინებისა წარმოიშვა საერთო ზანურ-სვანურ არეალში და გაგრძელდა დამოუკიდებლად სვანურში აქ ქართველურ თანხმოვანთა დეზაფრიკატიზაციის პროცესის დაწყებამდე.

/შქჟ/→/სქჟ/ პროცესის ფონეტიკური იმპლიკაცია გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ შიშინა [შ] სპირანტის არტიკულაციურ თვისებებს. შიშინა [შ] სპირანტის ერთ-ერთი დამახასიათებელი არტიკულაციური თავისებურება, რითაც იგი განსხვავდება შესატყვისი სისინა [ს] სპირანტისაგან, მდგომარეობს ბაგეების

<sup>1</sup> მეგრ. ს ქ ი ბ-უ, „წისქვილის ქვა“, ჭან. მ-ს ქ ი ბ-უ || ფ-ს ქ ი ბ-უ „წისქვილი“ ფორმების ეტიმოლოგიური დაკავშირება ქართ. შ ი ბ ი ფორმასთან მეტად საეჭვო ჩანს ამ სიტყვათა სემანტიკური სიშორის გამო (შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 153), შ ი ბ ი ქართულში ნიშნავს „კლდის ზურგს, წიბოს“ (შდრ. „მოყმემა პირ-შიშველამა შ ი ბ ნ გაიარან კლდისანი“, იხ. საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადი, 1, 1925; ბ. გ ა ბ უ რ ი, კვესურული მასალები, გვ.241<sub>111</sub>. „ჭიკვების გადალახულო შ ი ბ ო და შ ი ბ ო კლდისაო“, იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბილისი, 1931, გვ. 203). შ ი ბ ი ქართულში სპარსულიდან შემოსული ჩანს, სადაც იგი „ფერდობს“, „დაქანებს“ აღნიშნავს (شيب [šib], იხ. S. H a i m, *New Persian – English Dictionary*, II, Tehran, 1936, გვ. 235).

გასათვალისწინებელია აგრეთვე ამ სიტყვის წარმოშობის მეორე შესაძლებლობაც. იგი შესაძლებელია მეტაფორული ხმარების შედეგი იყოს „ში ბ ი“ სიტყვისა, რომელიც ქართულში „წნულ ძეწკვს, ქსოვილში გავლებულ წნულს“ აღნიშნავს (შდრ. საბას ლექსიკონი). ეს ფორმა ქართულში მეგრულიდან უნდა მომდინარეობდეს, სადაც შ ი ბ უ ა ზმნა დღესაც პროდუქტიულია და „წვნას“ აღნიშნავს: ვ შ ი ბ უ ნ ქ „წვნავ“, აორ. დ ო ვ შ ი ბ ი.

შესამჩნევ არტიკულაციაში. შიშინა სპირანტის წარმოსაქმნელად ბაგეები წინ წამოიწევიან და მომრგვალდებიან, როგორც ეს [ჟ] ან [უ] ბგერათა არტიკულაციის შემთხვევაში ხდება, რაც შიშინა სპირანტის არტიკულაციისათვის საჭირო რეზონატორის დაგრძელებას იწვევს<sup>1</sup>. [შქ] კომპლექსში წინამავალი შიშინა სპირანტის შესატყვის სისინაში გადასვლა შედეგი უნდა იყოს მომდევნო ბაგისმიერი ბგერის გავლენით შიშინა სპირანტისათვის დამახასიათებელი ლაბიალური არტიკულაციის მოშლისა. [შქჟ]→[სქჟ] ფონეტიკური პროცესი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დისიმილაციური დელაბიალიზაცია<sup>2</sup>. დისიმილაციურ დელაბიალიზაციას განიცდიდა მხოლოდ ისეთი [შ] სპირანტი, რომელიც უკანაენისმიერ ხშულ თანხმოვანთან დეცესიურ კომპლექსს ქმნიდა.

§ 6. შიშინა აფრიკატების რიგში გასისინების ტენდენცია არ არის რეგულარულად გატარებული. იგი შეეხო მხოლოდ /ჯგ/ კომპლექსს, რომელიც მომდევნო ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით სისინა /ძგჟ/ კომპლექსში გადავიდა<sup>3</sup>. /ჩქ/ და მკვეთრი /ჭკ/ კომპლექსები ამ-

<sup>1</sup> Ed. Sievers, *Grundzüge der Phonetik*, Leipzig, 1901, გვ. 131 შმდ.; Dr. G. Panconcelli-Calzia, *Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft*, Berlin, 1924, გვ. 79; O. Jespersen, *Lehrbuch der Phonetik*, L. u. B. 1913, გვ. 47; M. Grammont, *Traité de phonétique*, Paris, 1933, გვ. 70; Л. В. Щерба, *Фонетика французского языка*, Москва, 1953, გვ. 70.

<sup>2</sup> დისიმილაციური პროცესების შესახებ იხ. M. Grammont-ის ფუნდამენტალური გამოკვლევა „*La dissimilation consonantique dans les langues indo-européennes et dans les langues romanes*“, Dijon, 1895.

<sup>3</sup> ამ პროცესის საილუსტრაციოდ სულ ორიოდ მაგალითის მოყვანა შესაძლებელია, რაც ქართველურში /\*ჯ/ ფონემის მეტად შეზღუდული ხმარებით უნდა აიხსნებოდეს (შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში; თეზისები: თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის III სამეცნიერო სესია, 8-11 აპრილი, 1958, გვ. 12 შმდ).

სვანურში ამგვარი \*ძგჟ- დეზაფრიკატიზაციისა და დისიმილაციური დაყრუების შედეგად სგჟ- კომპლექსს იძლევა (იხ. ზემოთ). ამ რიგისაა სვანურში, ზემოთ გარჩეულ ფორმათა გარდა, ლ ი ს გ ჟ რ-ე „ჯდომა“ ზმნა (შდრ. ს გ უ რ, ლნტ. ს კ უ რ „ზის“; ა ს გ ჟ რ-ე, ლნტ. ა ს კ ჟ რ-ე „აჯენს“; ბზ. ლ ა ს გ ჟ რ-ა „საჯდომი, სკამი“ და სხვ.), რომელიც ეტიმოლოგიურად ქართ. ჯ ე დ- ფუძეს უკავშირდება. ქართ. ჯ ე დ-ფუძეში (დ ა ვ-ჯ ე დ, დ ა-შ-ჯ ე დ, დ ა-ჯ დ-ა) გამოიყოფა ძირი ჯ- და ზმნის ფუძის მაწარმოებელი -ე დ სუფიქსი (ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ენიმკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 534). ეგვერ ჯ- ძირი, ზმნის ფუძის მაწარმოე-

გვარ გასისინებას არ განიცდიან. აქ, როგორც ჩანს, დამატებითი ფონეტიკური ფაქტორები მოქმედებდა, რომელთაც შეაფერხეს შიშინა კომპლექსის შესატყვისი სისინაში გადასვლა: შდრ.

ქართ. ჩუენ: ჭან. ჩქუ || შქუ, მეგრ. ჩქი || ჩქ; ჩუენ-ი: ჭან. ჩქუნ-ი || შქუნ-ი, მეგრ. ჩქინ-ი || ჩქნ-ი; სვან. გუ-შგჷე-ე.

ქართ. \*ჩინჷ-ილ- (ძვ. ქართ. ჩჩელ-ი, ხევს. ჩეჩვილ-ი): ჭან. ჩუჩქუ || ჩინჩქუ, მეგრ. ჩქინჩქუ; სვან. მჷ-შგჷე (იხ. ზემოთ).

ქართ. მჩ-ე-ი: ჭან. მუნჩქ-ი || მუნჩკ-ი, მეგრ. მუნჩქ-ე-ი (ლექსიკონი, გვ. 90); შდრ. სვან. ლხმ. მინჩქჷ.

მომდევნო ბაგისმიერი ჷ-ს გავლენით /ჩქ/ კომპლექსის გასისინების საილუსტრაციოდ შეიძლება ქართ. არჩე-ი: მეგრ. ერცქეპ-ი; სვან. (ზანურიდან შესული?) ბზ. ძერსკან, ლშხ. ძერსკენ, ლხმ. პერსკენ ფორმების მოყვანა. მაგრამ ამ მაგალითში /ჩქ/→/ცქ/ პროცესი შესაძლებელია წინამავალი /ჩ/ს გავლენას მიეწეროს, ისე როგორც ეს მეგრ. ხირცქ (გარდამ.) „გაპობა, გახლეჩა“ (ხირცქუნ-ს) და ხორცქ (გარდაუგ.) „გლეჯა“, ჭან. ხროცქ || ხროსქ (რ-ს მეტათეზისით) „კვდომა ცხოველისა“ ფორმებშია სავარაუდებელი, რომლებიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართ. ხლეჩ-ხლიჩ-<sup>1</sup> \*ხელეჩ- ფორმის გარდამავალი და გარდაუვალი ვარიანტებისა<sup>1</sup>. ამ შემთხვევაშიც დისიმილაციურ პროცესთან გვაქვს საქმე, რომელიც ზანურში სპორადულ ხასიათს ატარებს<sup>2</sup>. ქართულში ანალოგიურ კომპლექსებში საპირისპირო ვითარება შეინიშნება: შდრ. ქართ. ფ-რ-ცხ-ილ-ი || ფ-რჩხ-ილ-ი: ჭან. ბუ-ცხ-ა, მეგრ. ბი-რ-ცხ-ა<ბუ-ცხ-ა

ბელი -ურ სუფიქსით გაფორმებული, უნდა იყოს წარმოდგენილი სვან. ს გ უ რ- ფორმაში: \*ჯ-უ რ > \*ჯ-უ რ. მომდევნო უ-ს გავლენით (შდრ. შ უ ბ-ლ-ი: სვან. \*შ გ უ ბ- > ს გ უ ბ || ს გ ო ბ-) მივიღეთ ჯგ- კომპლექსის სისინა ვარიანტი: \*ძ გ უ რ > ს გ უ რ. ზანურში ამ მნიშვნელობით მხოლოდ ს-ხ-ე-ღ- (ქართ. ს ხ დ-ა, ს ხ დ-ე ბ-ის) გამოიყოფა: ჭან. ხ-ე ღ || ხ-უნ, მეგრ. ხ-ო ღ- || ხ-უნ (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 421). მაშასადამე, „ჯდომის“ აღმნიშვნელი ჯ- და [ს]ხ ძირები, რომლებიც ქართულმა შემოგვინახა, ზანურსა და სვანურში პროპორციულად განაწილდა: ჯ- ძირი გავრცელდა მხოლოდ სვანურში, ხოლო [ს]ხ- ძირი – ჭანურსა და მეგრულში.

<sup>1</sup> ეტიმოლოგია ეკუთვნის გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ს.

<sup>2</sup> ჩქ/ კომპლექსი მეგრულ-ჭანურში არ განიცდის გასისინებას მეორეული წარმოშობის /ჩ/ს მეზობლობაში: შდრ. მეგრ. (რ)-ჩ-ქ: ჩ ქ-უნ(-ნ), ჭან. ჩ ქ-უნ: ქართ. ჩ-ა(-ნ)-ს (ლექსიკონი, გვ. 378); მეგრ. რ-ჩ ქ-ვ-ნ-ა: ქართ. ჩ ვ-ე-ვ-ა. (მეორეული რ თანხმონის განვითარების შესახებ მეგრულ-ჭანურში იხ. ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 70 შმდ).

(ლექსიკონი, გვ. 61); სვან. ცხა. ქართ. ნა-კვერ-ცხ-ალ-ი || ნა-კვერ-ჩხ-ალ-ი: ჭან. ნო-კა-ნჩხ-ულ-გ მეგრ. ნა-კვა-ჩხ-ირ-ი „მუგუხალი“ (ლექსიკონი, გვ. 159). -ცხ- კომპლექსის პირველადობას ქართულში -ჩხ- კომპლექსთან შედარებით შესატყვისი მეგრულ-ჭანური ფორმები ადასტურებენ. -ც- თანხმოვნის წინამავალ -რს-თან ასიმილაციით მივიღეთ შესატყვისი შიშინა -რჩხ-კომპლექსი.

ბაგისმიერი -ჭ- ფონემის გავლენით წინამავალი შიშინა აფრიკატის გასისინება არ შეინიშნება ზანურში არც მკვეთრ /ჭკ/ კომპლექსში, რომელიც შიშინა აფრიკატის მესამე წევრის, მკვეთრ /ჭ/ ფონემის კანონზომიერ რეფლექსს წარმოადგენს. ქართ. ჯი-ნ-ჭე-ელ-ი-ს შესატყვისად აქ ჭან. დუ-მ-ჭკუ || დი-მ-ჭკუ მეგრ. ჭკი-ჭკი-ტია || ჯგო-ჯგო-ტია გვაქვს. ძირეული -ჭე- ზანურში წარმოდგენილია -ჭკუ- >მეგრ. -ჭკო- კომპლექსის სახით<sup>1</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ დისიმილაციური გასისინება მომდევნო ბაგისმიერი წეს გავლენით გატარებულია რეგულარულად ზანურსა და სვანურში /შქ/ და /ჯგ/ კომპლექსებში. შიშინა აფრიკატთა რიგის დანარჩენ ფონემათა ზანურ-სვანური რეფლექსები /ჩქ/ და /ჭკ/ კომპლექსების სახით ამგვარ გასისინებას არ განიცდიან. აქ შეინიშნება შიშინა /ჩქ/ კომპლექსის დისიმილაციური გასისინება წინამავალი /რ/ თანხმოვნის გავლენით.

ამ დისიმილაციური კანონზომიერების საფუძველზე ირკვევა, რომ შიშინა რიგის ფონემათა თვალსაზრისით, ქართულ კონსონანტურ სისტემას უძველესი ვითარება აქვს დაცული. ქართველურ შიშინა რიგის ფონემათათვის დამახასიათებელი ველარიზებული არტიკულაციის შედეგად ზანურ-სვანურ არეალში მათ კანონზომიერ რეფლექსებად ჩამოყალიბდა შესატყვისი შიშინა-ხშულთანხმოვნის კომპლექსები, რომლებიც გარკვეულ პოზიციაში მეორეულ, კომბინატორულ გასისინებას განიცდიდნენ.

ქართული /შ/ სპირანტისა და შიშინა რიგის აფრიკატების ზანურ-სვანურ შესატყვისობათა კომპლექსი რთულ სისტემას ქმნის, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა კომბინატორული მიზეზებით შეპირობებული ფონეტიკური კანონზომიერების დართვის შედეგად პირვანდელ კანონზომიერ შეფარდებათა მოდელზე.

<sup>1</sup> ამ ფორმათა შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 114; მისივე, ფუძის აგებულება, გვ. 173 შმდ.

ქართველური შიშინა ფონემების ისტორიულად დამოწმებულ შეფარდებათა სისტემა შეიძლება სქემატურად ორგანოზომილებიანი განლაგების საშუალებით იქნეს წარმოდგენილი:

ქართ.	შ	ჟ	ჩ	ჭ	ზან.	სვან.
	*უ				შქ	შგ
	*უ-*ჟ				სქ-	სგ-
		*ჯ			ჯგ	-
		*ჯ-*ჟ			ღგ-	სგ-
			*ჩ		ჩქ	შგ
			*რ-*ჩ		-ცქ	-
				*ჭ	ჭკ	შკ

პორიზონტალურად ღერძზე განლაგებულია ქართული ფონემები, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე – მათი ზანური და სვანური შესატყვისები. ამ ერთეულთა გადაკვეთის წერტილებზე წარმოდგენილია ამოხაზული შიშინა ფონემები, რომელთა დისტრიბუციით შეპირობებულია მათ ზანურ და სვანურ რეფლექსთა სხვაობა.



შემოკლებანი და პირობითი ნიშნები

ენები და დიალექტები

არჩ.	-არჩიბული	ლნტ.	-ლენტესური
ბაცბ.	-ბაცბური	ლშხ.	-ლაშხური
ბერძნ.	-ბერძნული	ლხმ.	-ლახამულური
ბეჩ.	-ბეჩოური	მეგრ.	-მეგრული
ბზ.	-ბალს-ზემოური	რუს.	-რუსული
ბქვ.	-ბალს-ქვემოური	სვან.	-სვანური
გოთ.	-გოთური	სკრ.	-სანსკრიტი
ესტონ.	-ესტონური	სპარს.	-სპარსული
ეცრ.	-ეცერული	უშგ.	-უშგულური
ზან.	-ზანური	ფრანგ.	-ფრანგული
ზ. სვ.	-ზემო-სვანური	ქართ.	-ქართული
ი-ე.	-ინდოევროპული	ჩანჩ.	-ჩანჩური
ინგლ.	-ინგლისური	ჩზხ.	-ჩუბეხეური
ინგუშ.	-ინგუშური	ჩერქ.	-ჩერქეზული
ლათ.	-ლათინური	ძვ. სლავ.	-ძველი სლავური
ლიტ.	-ლიტვური	ხუნდ.	-ხუნძური

არჩ. ჩიქ.: არჩ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი,

ჭანური ტექსტები, II, თბილისი, 1936.

ი. ე. ბოლნ.: იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი. საეკლ.

მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1911.

მ.: მათე (იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი

შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა

აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945).

მარკ.: მარკოზ (იქვე).

ი ო ვ .: იოვანე (იქვე).

ლ უ კ .: ლუკა (იქვე).

// აღნიშნავს ფონემას ან ფონემათა კომპლექსს.

[ ] „ ბგერას ან ბგერათკომპლექსს.

{ } „ მორფემას.

~ „ ეკვივალენტობას.

> „ მომდევნო მორფემის (ფორმის) წარმომავლობას წინამავლისაგან.

< „ წინამავალი მორფემის (ფორმის) წარმომავლობას მომდევნოსაგან.

→ „ მომდევნო ფონემის (ან ფონემათა კომპლექსის) წარმომავლობას წინამავლისაგან.

\* „ რეკონსტრუირებულ (პოსტულირებულ) საერთო ქართველურ ან კონკრეტულ ქართველურ ენაში ისტორიულად დაუმოწმებელ ფორმას (ფონემას).

სიტყვათა საძიებელი

I. ქართული

პთ-ი 32  
ანწლ-ი 19  
არჩვი 81  
ას-ი 17  
ა-ჩ-ენ-ს 67

ბან-მ-გ-ე 62  
გან-ვემ 68  
გა-ქერ 68  
გა-წყერ 68  
გოვარი 55  
გუარი 55  
გუაქუს 47  
გუშ-ინ 33<sub>2</sub>

ღათვი 32  
-დამ 60<sub>2</sub>  
დაკსვა 21<sub>2</sub>  
დაკშვა 21<sub>2</sub>  
ღრეკ-ს/ღრიკ-ა 66<sub>1</sub>

ერთ-/ურთ- 31  
ეშვი 77  
ექვს-ი 30

ვაშლ-ი 20,25,30

ზე || ზე-და 18, 59<sub>2</sub>  
ზე-ნა 58

თაგვ 32  
თანა 59<sub>2</sub>

თბეზა/ათბობს 68<sub>1</sub>  
თეთრ-ი 31  
თთუე - 32  
თოთხმეტი-ი 77  
თუთხმეტი-ი 77  
თქუენ- 31,32,40,47  
თქუენ-ნა<sup>1</sup> 31,32,38<sub>3</sub>,40  
თხელ-ი 31  
თხილ-ი 32  
თხუთმეტი-ი 77

ჩსხარი 21<sub>2</sub>

ქაც-ი 18  
კუედ-/კუდ- 73

ლაში 20

მამა 56  
მამალი 68<sub>1</sub>  
მარჯუენე 28  
მატლ-ი 68<sub>1</sub>  
მაქუს 46  
მაჩვი-ი 68<sub>1</sub>, 81  
მგზავრ- 55  
-მდე || -მდის 60<sub>2</sub>  
მე 39, 46  
მე-ნა 46  
მზე 18  
მთოვარე 55  
მთუარე 55  
მო-კ-ალ 67

- მო-კუედ 67  
 შვილდი-ი 20, 76  
 მ-წიფე 62  
 მ-წყემს-ი 63<sub>4</sub>  
 მ-ჭედ-ელ-ი 20, 21, 63<sub>4</sub>  
 მჭლე 63<sub>4</sub>  
  
 ნაკვერჩხალ-ი 82  
 ნაკვერცხალ-ი 82  
 ნაშხირ-ი || ნახშირ-ი 20<sub>2</sub>  
 ნუსადია 64  
  
 პირმშოდ 62, 71<sub>1</sub>  
  
 რვა 56<sub>1</sub>, 71<sub>1</sub>, 77  
  
 სათნო 62  
 სანოვაგე 55  
 სანუაგე 55  
 სასო 62  
 საშოვალ 54  
 სე- || სუ-; სუ-მა, სუ-თ 17  
 სვან-ი 17  
 სველ- 18  
 სვენ-: განისუენე 17  
 სიკუდილ 73  
 სკვინჩა 21<sub>1</sub>  
 სკუენ- 75  
 სულ- 69  
 სხედ-: სხდების 80<sub>3</sub>  
  
 ტაა 56  
 ტა-: დაუტყვეო 71  
  
 უკუნასკნელ-ი 39<sub>1</sub>  
 უკუო 39<sub>1</sub>  
  
 უკვენ 58<sub>3</sub>  
 უკუან 58<sub>3</sub>  
 უკუნადსკნელ-ი 39<sub>1</sub>  
 უკუეთუ 39<sub>1</sub>  
 უჩ-ა(6)-ს 20  
  
 ფრჩხილ-ი 21<sub>2</sub>, 81  
 ფრცხილ-ი 21<sub>2</sub>, 81  
  
 ქარიშხალი 21<sub>2</sub>  
 ქუენ-ა 58  
  
 ლეჭა 21<sub>1</sub>  
  
 შა- 58  
 შაშვი 28  
 შდ- || შთ: და-შდ-ა || და-შთ-ა 70  
 შე- 57, 59  
 შე-დრკ-ა 65<sub>4</sub>  
 შენ- 26, 32<sub>3</sub>, 38, 39, 47  
 შე-ნა<sup>1</sup> 26<sub>1</sub>, 38, 39, 40, 41  
 შეშა 20  
 შე-: გა-შე-ებ-ა 20, 75  
 შეველ-ი 28  
 შვილ-ი 19, 76  
 შვილ- 28, 63, 64  
 ში-ა 20  
 შიბ-ი 79<sub>1</sub>  
 შინ-: ნუ გეშინინ 20  
 შინა 54, 57, 58  
 შიშუდილ 72, 73  
 შოვა 54, 57  
 შოვრის 55, 58<sub>1</sub>, 58<sub>5</sub>  
 შორის 55  
 შრ-: გან-შრ-ა 65, 65<sub>4</sub>, 68, 69  
 შრება/აშრობს 65<sub>4</sub>, 72<sub>1</sub>

შრეტ-/შრიტ- 69  
 შუა 20, 25, 32<sub>3</sub>, 54  
 შუბლ-ი 33, 80<sub>3</sub>  
 შუდ-: მო-ა-შო-ო, შე-ა-შდ-ე-ს 20, 72  
 შუ-ენ-: შუენ-ი-ს, შუენიერ- 28  
 შუერ-: და-ვ-შუერ 66, 67, 68, 69  
 შუვა 54, 57, 58

**ჩ**ალა 21<sub>1</sub>  
 ჩ-ან-ს 67  
 ჩაქოლვა 55  
 ჩემ- 20, 43, 44, 47  
 ჩევა 81<sub>2</sub>  
 ჩვიჩვილ-ი 81  
 ჩუენ- 40, 43, 44, 81  
 ჩუენ-ნა 38<sub>3</sub>, 44, 81  
 ჩუ-ენ-ებ-ა 67  
 ჩჩვლი 20, 44, 81

**ხ**ხოვარი 55  
 ცხრა 77  
 ცხუარი 55

**ძ**აგარ- 21<sub>2</sub>  
 ძადლი 18, 30  
 ძვალ- 18  
 ძველ-ი 18  
 ძმა 18, 56

**წ**ში-ი || აწში-ი 30

**ბ**უცხა 21<sub>2</sub>, 81

**გ**ე-შა- 60  
 გო-შა- 60

**ვ**აბლ-ი 19  
 ვიად- 60<sub>2</sub>  
 ვინაშე 58<sub>5</sub>  
 ვუედ/ვუდ- 73  
 ვყინდ- 69  
 ვყრთა 19

**ქ**ამა 21  
 ჭეღვა 20  
 ჭერ-|| ჭარ-: და-ვ-ჭერ || და-ვ-ჭარ-ი  
 21, 58<sub>3</sub>  
 ჭიპი- 21<sub>2</sub>  
 ჭირ-: მ-ჭირ-დ-ებ-ა 21<sub>1</sub>

**ხ**იწვი || ხიჭვი 21<sub>2</sub>  
 ხლენ- / ხლინ- 81  
 ხმება / ახმობს 72<sub>1</sub>  
 ხუედ- / ხუდ- 73  
 ხუცეს-ი 18, 33<sub>2</sub>

**ჯ**აგარ-ი 21<sub>2</sub>  
 ჯედ- 80<sub>3</sub>  
 ჯერ-: და-ი-ჯერ-ა 21<sub>1</sub>  
 ჯე- 28, 56<sub>1</sub>  
 ჯინჭველ-ი 82  
 ჯობნ- 20

## II. ჭანური

**ღ**ა – დალეფე 64  
 დასვეს 56  
 დიშქა || დიშკა 20  
 დოლობინუ 68  
 დუმჭკუ || დიმჭკუ 82

- კ**კა 61<sub>3</sub>  
 კ-მა- 61, 61<sub>3</sub>  
 კ-შკა 61, 61<sub>3</sub>
- ო**ითხუ 31  
 თუთა 32  
 თქვა-(6) 40  
 თქვან- 31, 32, 40
- ნ**ნვირ-ი 19
- ქ**ვინჩი 21<sub>1</sub>  
 კონ-ი 18
- ღ**შქ-ი 20
- შ**ა 40  
 შე-კა- 61<sub>2</sub>  
 შე-შა 61, 61<sub>2</sub>  
 შე-შკა- 61, 61<sub>2</sub>  
 შხესქუ 28  
 შთუთ-ი 32  
 შოთა – მოთაღეფე 64  
 შო-კა- 61<sub>2</sub>  
 შჟორა 18  
 შსქვა 28  
 შსქვერ-ი || მსკვერ-ი 28  
 შსქიბუ || ფსქიბუ 79<sub>1</sub>  
 შუნჩქ-ი || მუნჩკ-ი 81  
 შკეშ-ი 63<sub>4</sub>  
 შჯვეშ-ი || ნჯვეშ-ი 18
- წ**კანჩხულე 82  
 წოშქერ-ი 81<sub>2</sub>  
 წუსა – ნუსაღეფე 64  
 წურო 77
- ოშ-ი 17  
 ოშქენონ-ი || ოშქენან-ი 57  
 ოშქურ-ი || უშქურ-ი 20, 24, 30
- ქ**ი 18  
 (რ)ჯგინ-ი 20
- ს**ი-(6) 27<sub>1</sub>, 39, 40, 41  
 სქან- 24, 32<sub>3</sub>, 37, 38, 41<sub>1</sub>, 42, 47  
 სქედ-: ბოსქედინი 72<sub>1</sub>  
 სქე-: მეგომსქუ 28  
 სქე-: ქოდოსქუ 28  
 სქირ-ი || სკირ-ი 28, 63, 68  
 სქედ- || სქიდ-: დოსქედუ 70, 71  
 სქურ || სქირ-: მესქურუ; დოსქირი-  
 ნეს 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71
- ტ**ალ-: ქოდიტაღეფან 71  
 ტუბ-: დოტუბუნ 68<sub>1</sub>  
 ტუბუ 68<sub>1</sub>
- ქ**ამაფთი 56  
 ქამიყონეს 56  
 ქომალუ 56  
 ქორუ 68
- შ**ე-: ოშუ, ოშეეს 17  
 შვაჯ-: მოიშვაჯამან 17  
 შველ || შოლ-: შველარე; დოშო-  
 ლაფან 18  
 შონ-ი 17  
 შქ-: შქ-ირ-ონ-ს 20  
 შქა || შკა 20, 54, 57, 60  
 შქე-: მევაშქვი 20; ნაშქუ, ქანაშქუ 75  
 შქვიდ-: დოშქვიდუ 20, 72  
 შქვით-ი || შქით-ი 19, 76  
 შქ-ურ-: აშქურინუ 20

**ჩ**ვირ-: ი-ნ-ჩვირ-ს 74<sub>1</sub>  
 ჩუჩქუ || ჩიჩქუ 20, 44, 81  
 ჩქ-: უ-ჩქ-ი-ნ || უ-შქ-უ-ნ 20  
 ჩქიმ- || შქიმ- 20, 43, 44, 47  
 ჩქუ-(6) შქუ 40, 81  
 ჩქუნ- || შქუნ- 40, 43, 44, 68<sub>2</sub>, 81  
 ჩხოვრო 77  
 ჩხორო 77

**ძ**გვ- 28, 56<sub>1</sub>

„**ნიპა**“ 21<sub>2</sub>

წუტა || ჭუტა 21<sub>2</sub>

**ჭ**ირ- 21<sub>1</sub>

ჭკად-: ნოჭკადამან 20

ჭკინ-დ: დაჭკინდუ 69

ჭკომუ 21

ჭკორ- || ჭკირ-: დოჭკორუ 21

ჭუბურ-ი || ჭუბრ-ი 19

**ხ**ედ- || ხუნ-ი 80<sub>3</sub>

ხროცქ || ხროსქ- 81

**ჯ**ერ-: დიჯერუ 21<sub>1</sub>

ჯოდორ-ი 18

ჯუმა – ჯუმალეფე 18, 56, 63

### III. მეგრული

**ა**მშვი-ი 30

**ბ**ირცხა 21<sub>2</sub>, 81

ბუა 18

**ბ**აჭყორდუ – გაჭყოლიდუ 72<sub>1</sub>

გეირთუ – გიორილითუ 72<sub>1</sub>

გოსქუაფა 75

**ღ**ა – დალეფი 64

დიშქა 20

**კ**-კო- 61<sub>3</sub>

ერცქემ-ი 81

**ხ**ესქვი 28

**თ**უთა 32

თუნთ-ი 32

თქვა 40

თქვან- 31, 32, 40

თხითხუ 31

**ი**ნჭირია 18

**ქ**ალოშქი 21<sub>1</sub>

კვინჩა 21<sub>1</sub>

**ლ**ერქვი-ი 19

**მ**ა 40

მარტგვან-ი 28

მი-კო 61<sub>3</sub>

მოთა – მოთალეფი 64

მუ-კო- 61<sub>3</sub>

მუმა 56

მუმული 68<sub>1</sub>

მუნტური 68<sub>1</sub>

მუნჩქვი-ი 68<sub>1</sub>, 81

ნაკვანხირი-ი 82  
ნახალ-ი 21<sub>1</sub>  
ნოსა || ნისა – ნოსალევი | ნისალევი 64  
ნოშქერ-ი || ნოშქვერ-ი 20<sub>2</sub>

ნოსქუ 77  
ოშ-ი 17  
ოშქალ-ი || ოშქარ-ი 57

პაპა – პაპალევი 64

ჟი 18

რუო 56<sub>1</sub>, 71<sub>1</sub>, 77  
რჩქვანა 81<sub>2</sub>  
რჯგინ- 20

სასირი 40<sub>1</sub>  
სი 27<sub>1</sub>, 40, 41, 42  
სქან- 32, 38, 41<sub>1</sub>, 42, 47  
სქა-სერი 57, 57<sub>1</sub>  
სქა-სქერი 57<sub>1</sub>  
სქე-: მოსქუ(6) 28  
სქე-: ქოსქუ 28  
სქვამ-ი 28  
სქვერ-ი 28  
სქნ 28, 63, 64  
სქიბუ 79<sub>1</sub>  
სქიდ-: ქოდოსქიდუ 70, 71  
სქილიდ-: ოსქილიდუანს 72<sub>1</sub>  
სქირ- 64, 65, 67, 68, 69, 70, 71  
    დოსქირუ 64; ოსქირუანს 64, 72<sub>1</sub>  
სქუა 63, 64, 71<sub>1</sub>  
სქუალევი 63  
სქუაფა 74  
სქუაფირი 76

ტევ- || ტალ-: ქოდიტუ 71  
ტიბ-: ოტიბუანს 71<sub>1</sub>  
ტობა 56

უშქურ-ი 20, 24, 30  
უნაშ-ი 18, 33<sub>2</sub>

ღაჭუ 21<sub>1</sub>

შე-: გეშუ; შუ 17  
შე-ანდ- || სე-ანჯ- || სე-ანდ- 17  
შიბუა 79<sub>1</sub>  
შოლ-: დნშოლუ 18  
შონ-ი 17  
შულადა 69  
შურ/ლ-: დოშურდუ 69  
შქ-: შქირ-ენ-ს 20  
შქა 20, 25, 54, 56, 57, 60, 62  
შქა-დლა 57  
შქა-კითი 57  
შქა-სერი 57  
შქე-: გეიაშქუ 20, 75  
შქვილ-: დნშქვიდუ 20, 72, 74  
    ვოშქვიდუანქ; დნშქვიდუ 74  
შქვით-ი 19, 76  
შქვილ-: შქვილ-ან-ს 20  
შქვილ-ი 20, 76  
შქირიტი-: დოშქირიტი 69  
შქირტი-: დოშქირტი 69  
შქ-ურ-: დნშქურინუ 20  
შქურ- || შქვირ- 74<sub>1</sub>

ჩალა 21<sub>1</sub>  
ჩურ-: ჩურ-უნ-ს 74<sub>1</sub>  
ჩქ-: უ-ჩქ-უ-(6) 20  
ჩქვა 77

ჩქი || ჩქე 682, 81  
 ჩქიმ- || ჩქემ 20, 43, 47  
 ჩქინ- || ჩქენ- 43, 47, 682, 81  
 ჩქინქუ 20, 44, 81  
 ჩხორო 77

ძაგვარ-ი 21<sub>2</sub>  
 ძგვ- 28, 56<sub>1</sub>

ჭიპი 21<sub>2</sub>  
 ჭირ-: მოჭირუ(6) 21<sub>1</sub>  
 ჭკადლე 21, 63<sub>4</sub>  
 ჭკირ-: დოჭკირუ 21  
 ჭკიჭკიტი 82  
 ჭკოლა 63<sub>4</sub>  
 ჭკომუ 21  
 ჭუბურ-ი 19

ჭყეში-ი 63<sub>4</sub>  
 ჭყითა || ჭყირთა 19  
 ჭყორ-: გო-ჭყორ-ი 68

ხოდ- || ხუნ- 80<sub>3</sub>  
 ხომ-: გო-ხომ-ი 64;  
 ო-ხომ-უნ-ს 72<sub>1</sub>  
 ხომილა 68  
 ხორცქ-/ხირცქ- 81

ჯგიჯგიტი 82  
 ჯერ-: დოჯერუ 21<sub>1</sub>  
 ჯვეში 18  
 ჯიმა 18, 56, 63  
 ჯიმალევი 64  
 ჯოლორ-ი 18, 30

#### IV. სვანური

აბემ- აბამდა 34<sub>5</sub>  
 აგემ - აგამდა 34<sub>5</sub>  
 ამარ-: ხუამარ – ხამარ – ამარ-ა;  
 ხუამარ-ასგუ – ხამარ-ასგუ  
 – ამარ-ა 35  
 ანგლოზ 55  
 ან-ესგ-ი – ან-ასგ-და 34  
 არა 56<sub>1</sub>, 71<sub>1</sub>  
 არ-ი: ხუარ-დ; ხარ-დ; არ-დ-ა;  
 ხუარ-დ-ასგუ; ხარ-დ-ასგუ; არ-  
 დ-ა 36; ხუარი – ხუარი-დ 52  
 აშირ 17

ბანჭუ 19  
 გეხალ 63  
 გუ-ალბტ – ნ-ალბტ 49

გუ-აყა – ნ-აყა 49, 52  
 გუშგუე || გუიშგე 44, 47, 48, 49,  
 51, 52, 81  
 დ-: დ-უ-ესგ-ი – დ-უ-ასგ-დას;  
 ა-დ-ისგ-ა-დ-ასგუ 34;  
 ი-დ-ი – ი-დ-ესგ-ი 34  
 დანდუ 32  
 დედუანლ 55  
 დეშდუ 32  
 დომდულ 32  
 დგთხელ 31

ეშუ 30

ზაფსა 40<sub>1</sub>

მეთუნე || თუეთნე 31

ნთქ 31

იმჟნდ – უმჟნდ 30<sub>5</sub>

იმჟნდჟი – უმჟნდჟი 30<sub>5</sub>

-ისა 40<sub>1</sub>, 54, 56, 61

ისგ 54

ისგა 20, 25, 32<sub>3</sub>, 40<sub>1</sub>,

54, 56, 57, 61, 70<sub>4</sub>

ისგდნრობ 56

ისგლადდ 53

ისგლადედ 56

ისგლჟთ 53, 56

ისგუ || ისგჟი 24, 38, 42, 43, 44<sub>1</sub>, 47

ისგჟეჟ 30, 47

ისგგ/უნჟი 57

ისგგ/უნჟუ 57

იშგჟიდ 19, 77

იშჟმინე 17

ქოტროლ || კოწოლ || კოჭოლ 21<sub>2</sub>

ლასგარ 28

ლასგჟრა 80<sub>3</sub>

ლაშგომ 33<sub>4</sub>

ლანშისა 54

ლეგდმერდე 32<sub>2</sub>

ლეგმერდე 32<sub>2</sub>

ლერსგჟენ 28

ლიმსგან 63

ლიმსგანჟ 63

ლისგჟრე 80<sub>3</sub>

ლისედ 40<sub>1</sub>, 70, 71, 74

ლიშკადი 21

ლიშჟმინე 17

ლიცჟრე 71, 74

ლუშგუდ || ლუშგჟიდ 72

ლგმსგე 62

ლგმსგეჟ 62

ლგცლისგა 54

მალანტ – მალტგნ || მალტგნდა 36<sub>1</sub>

მასგჟა 28

მაცხჟნრ 55

მასჟში 18

მჟჟსგჟე 30

მჟშგჟე 20, 44, 81

მი 40

მიოქჟ 31

მინჟქჟ 81

მიჟ 18

მიშგუ || მიშგჟი 20, 43, 44, 44<sub>1</sub>, 47

მნშჟა 18

მუსგჟენ 28

მუშგჟრი 78<sub>1</sub>

მუშჟან 17

მგტხე 53

მგშკიდ 21, 63<sub>4</sub>

ნაბდნიერი 32<sub>2</sub>

ნანბნერი 32<sub>2</sub>

ნანთთჟენი 31

ნან 33, 40, 44<sub>1</sub>, 47, 48

ნანშჟ 18

ნესგა || ნესკა 54, 57

ნიშგჟეჟ 43, 44, 48, 51, 52

ღერსკან 81

ჟემლ 32

ქადუ 18, 30

ჟი 18

სგ- 27, 54

სგან 32, 40, 44<sub>1</sub>, 47

სგედ 58, 59, 60, 67<sub>1</sub>

სგობ-ინ 33

სგუებ-ინ || სგებ-ინ 33

სი 27<sub>1</sub>, 39, 41, 43

**ბ**ეხ-: ტეხ-ნი – ა-ტანხ;

ტიხ-ე – ა-ტიხ 65<sub>4</sub>

**ბ**ისგუ 20, 24, 30

ბრძთხუ 77

ბოხბიშდ 77

უსგუა 30, 31, 77

უსკუ 30

უშხუარ 30

უშხუდ 30

**ფ**ხულაფსა 54

**ქ**ალქისა 40<sub>1</sub>

ქორისა 40<sub>1</sub>

**შ**გომ-: იშგუმ – იშგომდა 33<sub>4</sub>

შგუდ-: ა-შგუიდ 20, 73;

ო-შგუდ 73; ხუ-ი-შგუდ-ი-

ხუ-ა-შგუდ-ი 71

შგუიბ 78<sub>1</sub>

შდის 32

შდუგუ 32

შუელ 18

**ც**ხა 82

ცხეისა 40<sub>1</sub>, 54

**ჭ**უშ 18

ჭითხ 19

ჭგუშისგა 54

**ხ**ასკურელ - ხასკურანდგნ | ხასკურ-  
რანდგნა 36<sub>1</sub>

ხანუ-დ-ესგ-ი – ხანუ-ანდ-და 34

ხესგუი 28

ხოდ-უშგ-ი – ოთ-დ-ე 33

ხოდ-უშგ-ი || ხოდ-ეშგ || ხოდ-უშ –  
– ხოდ-ანდ-და 34

ხოდ-ი || ხოდ-უშგ-ი 34

ხომა 18, 33<sub>1</sub>

ხუან-ესგ || ხუან-ისგ – ხუან-ასგ-უ 34

**ჭ**ან-: ა-ჭნი – ა-ჭან-და 37<sub>1</sub>

**ჯ**იჯუ 18

ჯუინელ 18

ჯგმილ 18

**კ**ერსკნ 81

კმსგე 62, 63, 64, 71<sub>1</sub>

კმსგოდ 62



**დეზაფრიკატიზაცია სვანურში. „გადაწერის წესები“  
დიაქრონიულ ფონოლოგიაში\***

*გივი მაჭავარიანის ხსოვნას*

**წინასიტყვაობა**

წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს ცდას დიაქრონიული ფონოლოგიური პროცესების (ფონემურ ცვლილებათა) ფორმულირებისა „გადაწერის წესების“ ტერმინებში.

„გადაწერის წესები“, თავდაპირველად გამოყენებული ენობრივი სისტემის სინქრონიულ კანონზომიერებათა გამოსახატავად ენის წარმომშობ მოდელებში, შესაძლებელია ეფექტური აღმოჩნდნენ აგრეთვე ენის დიაქრონიულ კანონზომიერებათა ფორმულირებისათვის, ანუ იმ ცვლილებათა აღსაწერად, რომლებსაც ენობრივი სისტემა დროში განიცდის.

ენის დიაქრონიულ პროცესთა (ე. ი. ენობრივი სისტემის სხვადასხვა ხასიათის – ფონოლოგიური, მორფონოლოგიური, მორფოლოგიური და სხვ. – ცვლილებათა) გამოსახვა „გადაწერის წესების“ საშუალებით მიზანშეწონილია არა მარტო გარკვეულ ენობრივ კანონზომიერებათა აღმწერი ერთი მეტა-ენიდან მეორე, უფრო ფორმალური მეტა-ენაზე გადასვლის, ამ კანონზომიერებათა ერთი მეტა-ენიდან მეორეზე „თარგმნის“ თვალსაზრისით, არამედ თვით ამ კანონზომიერებათა ხასიათისა და ბუნების უკეთ გარკვევისა და დადგენისათვის.

დიაქრონიული ენობრივი პროცესების (კერძოდ, ფონემურ ცვლილებათა) აღწერის შემთხვევაში ამ პროცესთა ფორმულირება „გადაწერის წესების“ ტერმინებში უფრო მკვეთრად წარმოაჩენს მათს სპეციფიკას და ადგენს მათს განშლადობას დროში (რელატიურ ქრონოლოგიას).

\* პირველად გამოქვეყნდა 1968 წელს: თ. გამყრელიძე, *დეზაფრიკატიზაცია სვანურში: „გადაწერის წესები“ დიაქრონიულ ფონოლოგიაში*: «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა», თბილისი, 1968.

ნიმუშად ენის დიაქრონიულ პროცესთა აღწერისა „გადაწერის წესების“ საშუალებით აქ გამოყენებულია სვანური ენობრივი სისტემის ერთი ფონოლოგიური კანონზომიერება: საერთო-ქართველური შუასიბილანტური (სისინ-შიშინა) რიგისაგან მომდინარე პრე-სვანური შიშინა /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ აფრიკატების სპირანტიზაცია ისტორიული ხანის სვანურში.

ამ ფონემური ცვლილების კომბინატორული (პოზიციური) შეპირობებულობის გამოვლენა სვანურში საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სვანურ ფონოლოგიურ სისტემაში მომხდარი მთელი რიგი ფონემური ცვლილებების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

ფონემურ ცვლილებათა ეს თანმიმდევრობა დროში აისახება „გადაწერის წესების“ სინქრონიული განლაგებით (რიგით). ამ წესებით აღიწერება პრე-სვანური შიშინა /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ ფონემების, როგორც დიფერენციალურ ნიშანთა სათანადო კონების, დიაქრონიული გარდაქმნები შესაბამისი სპირანტული ფონემების წარმომადგენელ დიფერენციალურ ნიშანთა კონებად.

### შემოკლებათა სია

- იკე = „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, თბილისი.  
 სონანტა სისტემა... = თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.  
 Опыт реконструкции... = Г. А. Климов, Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы (ИАН СССР, Отд. литературы и языка, 1960, т. 19).  
 Studien zur Rekonstruktion = K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.  
 გლოტალ. = გლოტალიზებული.  
 დაბ(ალი) ტონ. = დაბალი ტონალობის.  
 კონსონან. = კონსონანტური.  
 глоттализ. = глоттализированный.  
 прерван. = прерванный.

1. საერთო-ქართველური აფრიკატი ფონემების რეფლექსები სვანურში

1.1. საერთო-ქართველური წინასიბილანტური (სისინა) რიგის აფრიკატები /\*ძ/ /\*ც/ /\*წ/ წარმოდგენილია სვანურში შესაბამისი სისინა აფრიკატების სახით:

\*ძ: სვან. მეძიდ „მძაღვ“: ქართ. მძაღვ;

სვან. ლი-გძ-ენ-ე „გაწველა, გაჭიმვა“: ქართ. გრძელ-ი: მეგრ. გირძ-ე;

\*ც: სვან. ცა- (მღრ. ცაშ „ხუთშაბათი“, ეტიმ. „ცისა“), დუ-ც „ცა“: ქართ. ცა: მეგრ.-ჭან. ცა „id.“;

სვან. ნა-ცმ-უნ „ქონი, საცხი“: ძვ. ქართ. ცმ-ელ-ი: მეგრ. ციმ-უ;

სვან. ლი-ცჷ-ი „გაყრა, აცმა, ასხმა“: ქართ. ა-ცვა-მ-ს: მეგრ.

გუ-ცუნ-აფ-ა „გაყრა, შეჭრა, წამოგება“;

\*წ: სვან. წიფ-რა: ქართ. წიფ-ელ-ი: მეგრ.-ჭან. წიფ-ურ-ი;

1.2. ჰარმონიული /\*ძღ/, /\*ცხ/, /\*წყ/ თანხმოვანთჯგუფები წარმოდგენილია სვანურში სპირანტული კომპონენტის შემცველი /სხ/ და /სყ/ ჯგუფებით<sup>1</sup>, საპირისპიროდ ქართული და მეგრულ-ჭანური /ძღ/, /ცხ/ და /წყ/ ჯგუფებისა შესაბამის ფორმებში, რაც გვაგარაუდებინებს თავდაპირველი აფრიკატის შემცველი ჯგუფების სპირანტიზაციას (დეზაფრიკატიზაციას) საკუთრივ სვანურში<sup>2</sup>.

\*ცხ: სვან. (ბქვ.) ზესხ-რა: ქართ. ცაცხე-ი: ჭან. დუცხუ.

\*წყ: სვან. ზისყ: ქართ. გრწყილ-ი: მეგრ. წყირ-ი, ჭან. მწყირ-ი;

სვან. ა-სყ-ი „აკეთებს“, ღშხ. ხ-ა-სყ-ა „აწყვიდა“: ქართ. ა-წყ-ობ-ს: მეგრ. ო-ნწყ-უნ-ს;

სვან. ხ-ო-მსყ-ირ-ი „უყურებს“: ქართ. უ-წყ-ი-ს: მეგრ. ო-რწყ-

<sup>1</sup> \*ძღ ჯგუფის რეფლექსი არ დასტურდება ისტორიულ სვანურში წარმოდგენილ ფორმებში.

<sup>2</sup> იხ. გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები (იკე, IV, 1953, გვ. 46-47); ს. ულენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 180 შმდ.; ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი (იკე, XII, 1960, გვ. 151-155); გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 27 შმდ.

ე-(ნ) „უყურებს“, ჭან. *ო-წკ-ენ* „id“.

მაგრამ **/\*ცხ/** ჯგუფი აფრიკატი შენახულია სვანურში, თუ იგი სონანტურ ფონემას მოსდევდა (გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი): შდრ.

სვან. *ცხა* „ფრცხილი“: ქართ. *ფრცხილი*-ი: მეგრ. *ბირცხა*-ა, ჭან. *ბუცხა*-ა;

სვან. *ლი-ცხ-ენ-ე* „გარჩევა, ვარცხნა“, *ლა-ცხ-ნ-ნ-რ* „სავარცხელი“: ქართ. *სა-ვარცხელ*-ი: მეგრ. *ო-რცხ-ონჯ*-ი, ჭან. *ო-ცხოჯ*-ი.

ამგვარად, **/\*ცხ/** → სვან. **/სხ/**, მაგრამ **/\*სცხ/** → სვან. **/სცხ/** → **/ცხ/**. ზემოთ მოყვანილ სვანურ მაგალითებში **/რ/** სონანტი, რომელმაც, როგორც ჩანს, შეაფერხა თავდაპირველი სვან. **/\*ც/** ფონემის დეზაფრიკატიზაცია **/\*ცხ/** ჯგუფში, დაკარგულია (შდრ. ანალოგიური ვითარება შესაბამის ჭანურ ფორმებში). დეზაფრიკატიზაციის პროცესი **/\*ცხ/** ჯგუფში სვანურში აღარ მოქმედებდა წინამძველი სონანტის დაკარგვის შემდეგ.

1.3. ეგევე შეეხება უკანასიბილანტური (შიშინა) რიგის საერთო-ქართველურ **/\*ჯ \*ჩ \*ჭ/** ფონემათა რეფლექსებს სვანურში. ამ ს. ქართვ. ფონემათა სავარაუდო თავდაპირველი რეფლექსები **/\*ჯგ/**, **/\*ჩქ/**, **/\*ჭკ/** სვანურში შეცვლილია შესაბამისი შიშინა **/შ/** სპირანტის შემცველი **/შგ/**, **/შქ/**, **/შკ/** ჯგუფებით.

**/\*ჯგ/** ჯგუფისაგან მომდევნო **/\*ჟ/** სონანტის გავლენით წარმოქმნილი **/\*ძგ/**<sup>1</sup> გადადის შესაბამის სისინა **/სგ/** ჯგუფში<sup>2</sup>, ხოლო **/\*ჩქ/** ჯგუფისაგან მომდინარე ადრეული სვანური **/\*შქ/** წინაველარული კომპონენტის დისიმილაციური გამჟღერებით გვაძლევს პარამონიულ **/შგ/** ჯგუფს ისტორიული ხანის სვანურში<sup>3</sup>:

**\*ჯ**: სვან. *ლე-რსგჟენ* „მარჯვენა“: ძვ. ქართ. *მა-რჯუენ-ე*: მეგრ. *მა-რძგენ-ი*;

**\*ჩ**: სვან. *მი-შგუ* „ჩემი“: ქართ. *ჩემი*; მეგრ. - ჭან. *ჩქიმი*;

სვან. *გუ-შგჟე-მ* „ჩვენი“: ქართ. *ჩვენ*-ი: მეგრ. *ჩქინ*-ი, ჭან. *ჩქუნ*-ი;

<sup>1</sup> თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959, გვ. 21.

<sup>2</sup> რომელიც თავის მხრივ **\*ზგ** ჯგუფისაგან უნდა იყოს მიღებული **ზ** → **ჟ** დისიმილაციური დაყრუების გზით.

<sup>3</sup> გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 40.

\*ჳ: სვან. მგ-შეიდ „მჭედელი“: ქართ. მ-ჭედ-ელ-ი: მეგრ. ჳკად-უ.

1.4. უფრო რთულია ვითარება საერთო-ქართველური შუასიბილანტიური (სისინ-შიშინა) რიგის /\*ძ<sub>1</sub> \*ც<sub>1</sub> \*წ<sub>1</sub>/ ფონემათა სვანური რეფლექსების შემთხვევაში. აღნიშნული საერთო-ქართველური ფონემები, რომელნიც საერთო-ქართველურის დასავლურ დიალექტურ არეალში უკანასიბილანტიური (შიშინა) რიგის შესაბამის /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ ფონემებში გადავიდნენ, წარმოდგენილია თანამედროვე სვანურში როგორც /ჯ ჩ ჳ/ აფრიკატების, ისე შესაბამისი შიშინა /ჟ შ/ სპირანტების სახით. ეს უკანასკნელი სამართლიანადაა მიჩნეული სვანურში უფრო ადრეული აფრიკატებისაგან მიღებულად დეზაფრიკატიზაციის (სპირანტიზაციის) გზით: ჳ → ჟ,  $\left\{ \begin{matrix} ჳ \\ ჩ \end{matrix} \right\} \rightarrow შ$ . დასადგენი

და დასაზუსტებელია ოღონდ ის კომბინატორული პირობები, ის გარემოცვა, რომელშიც აღგილი უნდა ჰქონოდა ადრეულ აფრიკატთა ამგვარ სპირანტიზაციას სვანურში, განსხვავებით იმ შემთხვევებისაგან, სადაც არ განხორციელებულა დეზაფრიკატიზაციის პროცესი, რის შედეგადაც ისტორიული ხანის სვანურში საერთო-ქართველური შუასიბილანტიური რიგის /\*ძ<sub>1</sub> \*ც<sub>1</sub> \*წ<sub>1</sub>/ ფონემათა სხვადასხვა სახის რეფლექსებს ვადასტურებთ<sup>2</sup>: შიშინა /ჯ ჩ ჳ/ აფრიკატებს და შესაბამის /ჟ შ/ სპირანტებს.

## 2. საერთო-ქართველური აფრიკატების სპირანტიზაცია სვანურში

2.1. /\*ძ<sub>1</sub> \*ც<sub>1</sub> \*წ<sub>1</sub>/ ფონემათა შემცველი საერთო-ქართველური ფორმების დისტრიბუციული ფონემური ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამ ფონემათაგან პრე-სვანურში<sup>3</sup> მიღებული /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ აფრიკატები ინახებოდა სონანტურ /\*რ \*ლ \*მ \*ნ \*ჟ/ ფონემათა უშუალო მეზობლობაში, ამ უკანასკნელთა წინამავალ ან მომდევნო პოზიციაში. სხვა შემთხვევაში ადრეული სვანური /\*ჯ \*ჩ \*ჭ/

<sup>1</sup> ლიტერატურა იხ. ზემოთ, გვ. 97<sub>2</sub>.

<sup>2</sup> პირველი ცდა ამ მიმართულებით ეკუთვნის გ. მაჭავარიანს, რომლის მიხედვითაც აფრიკატთა სპირანტიზაცია არ განხორციელებულა უ (resp. ჟ) ელემენტის წინ (იხ. მისი „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“, გვ. 30).

<sup>3</sup> ანუ საერთო-ქართველური ენის იმ დიალექტურ არეალში, სადაც შემდგომ სვანური ენა ჩამოყალიბდა როგორც ამ დიალექტური არეალის უშუალო გაგრძელება.

ავრიკატები შესაბამის /ჟ შ/ და /ჰ/ სპირანტებში გადადიოდნენ: შდრ.

- სვან. *ჟაგ-ჟგ-* „მოწამლვა“; *ლი-ჟგ-ენ-ი*; *ოთ-ჟაგ-ა* „მოწამლა“: ქართ. *ძაგ-ებ-ა*: მეგრ.-ჭან. *ჯოგ-*, *წჯუგ-* „მოძულება“ (ს.-ქართვ. \**ძაგ*<sup>1</sup> > პრე-სვან. \**ჯაგ-*);
- სვან. *ჟელ* „ძაღლი“: ქართ. *ძაღლ-ი*: მეგრ.-ჭან. *ჯოღოთ-ი* (ს.-ქართვ. \**ძაღლ* > პრე-სვან. \**ჯაღლ-*);
- სვან. *ჭაშ* „ქმარი“: ქართ. *კაც-ი*: მეგრ.-ჭან. *კოხ-ი* (ს.-ქართვ. \**კაცი* > პრე-სვან. \**კაჩ-*);
- სვან. *ღაშ* „ჯიხვი“: ქართ. *ვაც-ი*: მეგრ. *ოხ-ი*, ჭან. *ბოხ-ი* (ს.-ქართვ. \**ვაცი* > პრე-სვან. \**ვაჩ-*);
- სვან. *ხ-ო-შა* „დიდი, უფროსი“: ქართ. *ხ-უ-ც-ე-ს-ი*: მეგრ.-ჭან. *უ-ჩ-ა-ში* „უფროსი“ (ს.-ქართვ. \**უ-უ-ცი-*);
- სვან. (ბ.ზ.) *ხ-ე-შან* „ასხია“. *მა-შან*, (ლშხ.) *მა-შენ* „ნაყოფი“: ქართ. *ალ-მო-ცენ-ებ-ა*; *მ-ცენ-არ-ე*: მეგრ. *ჩან-ს* „ხარობს“, ჭან. *ი-ჩან-ენ* „id“ (ს.-ქართვ. \**ციენ* > პრე-სვან. \**ჩენ-*);
- სვან. *ლი-რ-ში*: ქართ. *რეც-ე-ა*: მეგრ. *რჩ-აფ-ა* „დაგება“; *ნო-რჩ-აღ-ი* „სარეცელი“ (ს.-ქართვ. \**რეცი*+\**რცი* > პრე-სვან. \**რეჩ-*/*\*რჩ-*);
- სვან. *ა-შხ-ი* „წვავს“, *ა-შიხ* „დაწვა“; *შიხ* „ნახშირი“: ქართ. *ცხ-ელ-ი*, *სი-ცხ-ე*: მეგრ. *ჩხ-ე* „ცხელი“, ჭან. *ჩხ-ე* „ცხელება“ (ს.-ქართვ. \**ციეხ-*/*\*ციხ-*/*\*ცი ხ-* > პრე-სვან. \**ჩეხ-*/*\*ჩიხ-*/*\*ჩხ-*);

როგორც ვხედავთ, ადრეული სვანური (პრე-სვანური) /\*ჯ \*ჩ \*ჭ<sup>2</sup>/ ავრიკატები, მომდინარე საერთო-ქართველური შუასიბილანტური რიგის /\*ძი \*ცი \*წი/ ფონემებისაგან, დეზაფრიკატიზაციას განიცდიან და შესაბამის /ჟ/ და /შ/ სპირანტებს გვაძლევენ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> საერთო-ქართველური არქტიპების რეკონსტრუქციისათვის იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965; Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, Москва, 1964.

<sup>2</sup> პრე-სვან./\*ჟ/ ფონემის /ჰ/ რეფლექსის შესახებ ისტორიული ხანის სვანურში იხ. ქვემოთ, გვ. 105 შმდ.

<sup>3</sup> სვან. ჩო შ- „coire“ ფორმაში, რომელიც შესატყვისია ქართ. ცოლ-ი, მეგრ.-ჭან. ჩილ-ი „კოლი“ ფორმისა, თავკიდური ჩ/ აფრიკატი, მომდინარე ს.-ქართვ. \*ცი ფონემისაგან, შემონახულია ბოლოკიდური /შ/ ფონემის დისიმილაციური გავლენით (შდრ. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 33).

2.2. ამისგან განსხვავებით, ადრეული სვანური /**\*ჯ \*ჩ \*ჭ**/ აფრიკატები დაცულია ისტორიულ სონანტურ ფონემათა უშუალო მეზობლობაში: შდრ.

**\*ჯ**: სვან. *ჯუმ-ილ* || *ჯგმ-ილ* || *ჯიმ-ილ* „ძმა დისთვის“: ქართ. ძმა: მეგრ. *ჯიმა*, ჭან. *ჯუმა* „ძმა“ (ს.-ქართვ. *\*ძიმა* > პრე-სვან. *\*ჯი-*);

სვან. *ჯუინელ* „ძველი“: ქართ. *ძველ-ი*: მეგრ. *ჯვეში*, ჭან. *მჯვეში*, (ს.-ქართვ. *ძიველ-* > პრე-სვან. *\*ჯი-*);

სვან. *ჯიჯუი* „ძვალი“: ქართ. *ძვალი-ი* (ს.-ქართვ. *\*ძიძუალ* > პრე-სვან. *\*ჯიჯუი*);

სვან. *ლჯე* „რძე“: ქართ. *სძე*: მეგრ. *ბუა*, ჭან. *მჯა* „რძე“ (ს.-ქართვ. *\*სძიე* > პრეს-სვან. *\*ლჯე<sup>1</sup>*);

სვან. *ჯუუა* „ძუ“ (ძალდი): ქართ. *ძუ* (ს.-ქართვ. *\*ძიუ-* > პრე-სვან. *\*ჯუ-*);

**\*ჩ**: სვან. *მეჩი* „მოხუცი“ ქართ. *მეცე*: მეგრ. *ჩე*, ჭან. *ხე* „თეთრი“ (ს.-ქართვ. *\*მეციე* > პრე-სვან. *\*მეჩე* > *\*მე<sup>2</sup>*);

**\*ჭ**: სვან. *განჭუ* „ანწლი“: ქართ. *ანწლ-ი*: მეგრ.-ჭან. *ინჭირ-ი* (ს.-ქართვ. *\*განწილ-* > პრე-სვან. *\*განჭლ-*);

სვან. *პ-ჭ-ი* „აცხოვს“: ქართ. *წუ-ა-ვ-ს*: მეგრ. *ლო-ჭე-ი* „დაწვი, გამოაცხვე“, ჭან. *ი-ჭე-ენ* „იწვის, ცხვება“ (ს.-ქართვ. *\*წი-ე* > პრე-სვან. *\*ჭე-* > *\*ჭ-*);

სვან. *ჭუშ* „ძე, ვაჟიშვილი“: ქართ. *წულ-ი* (ს.-ქართვ. *\*წულ-* > პრე-სვან. *\*ჭულ* > *\*ჭუშ*);

სვან. *ჭითხ* „წყრთა“: ქართ. *წყრთა*: მეგრ. *ჭყირთა* „წყრთა“

სვან. *ჭ ა რ ლ უ* „ძარღვი“ ფორმაში მოსალოდნელი /*ჟ*/ ფონემის ნაცვლად თავკიდურ პოზიციაში ხმოვნის წინ წარმოდგენილია /*ჯ*/ სიტყვა ნასესხები უნდა იყოს გვიან პერიოდში მეგრულიდან კანონზომიერი /*ჯ*/ ფონემით, რომელმაც აღარ განიცადა სვანურში დეზაფრიკატიზაცია (შდრ. ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 308).

<sup>1</sup> თავკიდური *\*ს<sub>1</sub>* ფონემა *\*ძ<sub>1</sub>* > *\*ჯ* აფრიკატის წინამავალ პოზიციაში /*\*ლ*/ სონანტში არის გადასული პრე-სვანურში (იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 137 შმდ.).

<sup>2</sup> *\*ჭ* თანხმოვანი ამ ფორმაში ძალიან ადრეულ პერიოდში, უკვე პრე-სვანურში, უნდა ჩავარდნილიყო, რის შედეგადაც *\*ჩ* ფონემა *\*ჭ* სონანტის უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდებოდა.

(ს.-ქართვ. \*წრთხა<sup>1</sup> > პრე-სვან. \*ჭრთხა).

მოყვანილი ფორმების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შიშინა აფრიკატები სვანურში, მომდინარე საერთო-ქართველური შუასიბილანტური რიგის /\*ძ<sub>1</sub> \*ც<sub>1</sub> \*წ<sub>1</sub>/ ფონემებისაგან, შენახულია იმ შეთხვევაში, თუ ისინი სონანტურ ფონემებთან უშუალო მეზობლობაში იყვნენ წარმოდგენილი. ამასთანავე ანგარიში ეწევა ამ ფონემათა განაწილებას პრე-სვანურ მდგომარეობაში, ანუ სვანურის განვითარების უძველეს ეტაპზე, როდესაც არ იყო ჯერ მომხდარი მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაცია და არ იყო განხორციელებული მთელი რიგი შედარებით გვიანდელი ფონეტიკური პროცესები, რომელთაც თანამედროვე სვანური ფონოლოგიური სახე განსაზღვრეს<sup>2</sup>.

### 3. ფონემურ ცვლილებათა რელატიური ქრონოლოგია სვანურში

3.1. მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციის შედეგად მიღებული ხმოვნები გვიანდელ სვანურში ცვლიან პირვანდელი შიშინა

<sup>1</sup> საერთო-ქართველური ფორმა სვანურის მონაცემის მიხედვით უნდა აღდგეს როგორც \*წ<sub>1</sub> რთხა, მარცვლოვანი \*რ სონანტით \*წ<sub>1</sub> და \*თხ თანხმოვნებს შორის. სვანურში, ს.-ქართვ. \*წ<sub>1</sub> ფონემის კანონზომიერი რეფლექსი \*ჭ და ცუღ იქნა დეზაფრიკატიზაციისაგან მომდევნო \*რ სონანტის გავლენით, რომელმაც უფრო გვიან ვოკალიზაცია განიცადა: \*ჭ რთხა > ჭ რთხ (ბოლოკიდური ა-ხმოვნის მოკვეციტ მახვილის პირველ მარცვალზე გადატანის შედეგად, რაც გვიანდელი სვანურისათვის მეტად დამახასიათებელ ფონეტიკურ მოვლენას წარმოადგენდა).

ქართულსა და მეგრულ-ჭანურ ფორმებში \*თხ ჯგუფის დაშლისა და \*ხ თანხმოვნის წინ გადასმის შედეგად მივიღეთ ამ ენათათვის მეტად ბუნებრივი პარამონიული წყ და ჭყ კომპლექსები (შდრ. ქართ. ბ ა რ ტ ყ ი : ბ ლ ა რ ტ ი, იხ. ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, თბილისი, 1960, გვ. 86 შმდ.; გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 96).

<sup>2</sup> სვან. ჩ ი ე ე „სიძე“ ფორმაში, რომელიც შეეფარდება ქართულ სიძე, მეგრ.-ჭან. სინჯა ფორმებს (ს.-ქართვ. \*ს<sub>1</sub> ი ძ ე > პრე-სვან. \*ში ე ე) /\*ი/ სონანტის მომდევნო /\*ჯ/ აფრიკატის სპირანტიზაცია შედარებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს და აიხსნებოდეს ისტორიული სვანურისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური ტენდენციით სიტყვის ისეთი გაფორმებისა, რომ სიტყვის სტრუქტურაში აფრიკატი წინ უსწრებდეს სპირანტულ ფონემას: პრე-სვან. \*ში ე ე > სვან. ჩ ი ე ე (იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა., გვ. 133).

აფრიკატების გარემოცვას: ეს უკანასკნელი აღარ იმყოფებიან სონანტთა უშუალო მეზობლობაში; მათი გარემოცვა უკვე ემთხვევა არსებითად იმ გარემოცვას, რომელშიც პრე-სვანურ შიშინა /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ აფრიკატებს სპირანტიზაცია უნდა განეცადათ. შიშინა აფრიკატების შენარჩუნება ამგვარ პოზიციებში (ე.ი. პოზიციებში, სადაც ისტორიულად მათ უშუალო მეზობლობაში სონანტური ფონემა ივარაუდება) საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ შიშინა /\*ჯ \*ჩ (\*ჭ)/ აფრიკატთა სპირანტიზაციის რელატიური ქრონოლოგია: ეს პროცესი მოქმედებდა სვანურში მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციამდე; მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციისა და უკანასკნელთა ადგილას სრული წარმოების ხმოვანთა გაჩენის შემდეგ შიშინა /\*ჯ \*ჩ (\*ჭ) აფრიკატების სპირანტიზაციის პროცესს აღარ უნდა ჰქონოდა ადგილი სვანურში<sup>1</sup>. შიშინა /\*ჯ/ და /\*ჩ/ აფრიკატთა სპირანტიზაციის პროცესი ამდენად სვანური ენის განვითარების უძველესი ეტაპისათვის უნდა ვივარაუდოთ.

3.2. ამ დებულებას ადასტურებს გვიანდელი /ჯ ჩ ჭ/ აფრიკატების არსებობა სვანურში, რომელნიც წინაველარული რიგის შესაბამისი /\*გ \*ქ \*ყ/ ფონემებისაგან მომდინარეობენ ასიბილაციის გზით (პალატალურ ხმოვანთა მეზობლობაში).

ეს მეორეული, წინაველარული რიგის /\*გ \*ქ \*ყ/ ფონემებისგან მომდინარე შიშინა /ჯ ჩ ჭ/ აფრიკატები არ განიცდიან დეზაფრიკატიზაციას იმ შემთხვევაშიც, ისეთ გარემოცვაშიც, სადაც პირვანდელი, საერთო-ქართველური შუასიბილანტური რიგისგან მომდინარე /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ აფრიკატები წარმოდგენილია შესაბამისი სპირანტული /ჟ შ/ და /ჰ/ ფონემების სახით, პირვანდელ შიშინა აფრიკატთა დეზაფრიკატიზაციის შედეგად: შდრ.

სვან. ჯგა „ის, იგი“: ქართ. ეგე;

სვან. ჭ- (მეორე ობ. პ. ნიშანი): ქართ. გ-: მეგრ.-ჭან. გ- „id“.

<sup>1</sup> შდრ. სვან. \* მეჩეჲ > მეჩი „მოხუცი“, რომელიც ს.-ქართვ. მქცეჲ > პრე-სვან. \*მჩე-ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს. სვან. /\*ჩ/ აფრიკატი /\*ე/ ხმოვნის მომდევნო პოზიციაში, რომელიც მიღებულია მარცვლოვანი [\*ჲ] სონანტის ვოკალიზაციის შედეგად, აღარ განიცდის სპირანტიზაციას.

ეს დებულება არ ვრცელდება პრე-სვანურ შიშინა აფრიკატთა რიგის გლოტალიზებულ /\*ჭ/ ფონემაზე, რომელიც სპეციფიკურ ქცევას ავლენს ამავე რიგის /\*ჯ/ და /\*ჩ/ ფონემებთან შედარებით და ისტორიული ხანის სვანურში სპირანტული /ჰ/ რეფლექსით ხასიათდება (იხ. ქვემოთ, გვ. 105 შმდ.).

სვან. *ონ-ჯაბ* „მოვხარშე“: ძვ. ქართ. *გბ-ოლ-ე-ა*: ჭან. *ო-გუბ-უ*;  
 სვან. *ჩუ*: ქართ. *ქუე*: მეგრ.-ჭან. *ქო*;  
 სვან. *ი-ჩო*: ქართ. *ი-ქმ-ს*: მეგრ. *ი-ქუნ-ს*, ჭან. *ი-ქომ-ს*;  
 სვან. *ჭანშ* „ქმარი“: ქართ. *კაც-ი*: მეგრ.-ჭან. *კოჩ-ი*;  
 სვან. *ჭუნდ* „კედელი“: ქართ. *კედელ-ი*: მეგრ. *კიდალა*, ჭან. *კოდა* „id.“;  
 სვან. *ჭიშხ* „ფეხი“: მეგრ. *კუნჩხ-ი*, ჭან. *კუნჩხე* „ფეხი“ (შდრ. ქართ. *კუარ-ცხლობერკი, მკვრცხლ-ი* „ქვეითი“).

/ჯ ჩ ჭ/ აფრიკატთა შენარჩუნება მოყვანილ ფორმებში იმით აიხსნება, რომ ამ ფორმათა ჩამოყალიბებისას ასიბილაციის გზით სვანურში აღარ მოქმედებდა დეზაფრიკატიზაციის პროცესი, რომლის წყალობითაც სათანადო პირობებში პირვანდელი (ე. ი. ს.-ქართვ. /\*ძ<sub>1</sub> \*ც<sub>1</sub> \*წ<sub>1</sub>/ ფონემებისაგან მომდინარე) შიშინა აფრიკატები ისტორიულ სვანურში /ქ/, /შ/ და /ჭ/ სპირანტების სახით წარმოგვიდგა<sup>1</sup>.

3.3. სპეციფიკურ რეფლექსებს ავლენენ პრე-სვანური შიშინა /\*ჯ ჩ ჭ/ აფრიკატები ჰარმონიულ /\*ჯღ/, /\*ჩხ/, /\*ჭყ/ ჯგუფებში. სპირანტიზაცია (დეზაფრიკატიზაცია) ამგვარ ჯგუფებში შეეხო /\*ჯ/ და /\*ჭ/ თანხმოვნებს, მაშინ როდესაც /\*ჩ/ უცვლელად არის შემონახული:

\*ჯღ→ქღ: სვან. *ხ-ო-ქღუნ-ე* „უძღვანებს“: ძვ. ქართ. *მი-უ-ძღუნ-ა*: მეგრ. *ქი-მე-უ-ჯღონ-უ* „გაუგზავნა“, ჭან. *მო-გ-ი-ნჯღონ-უ* „გამოგიგზავნა“.

\*ჭყ→შყ: სვან. *ლი-შყედ* „ვარდნა“: ძვ. ქართ. *წყუედ-ა*: მეგრ. *ჭყვად-ილი-ი* „წყვეტილი, ამოწყვეტილი“, ჭან. *მე-ჭკვად-ერი-ი* „მოწყვეტილი“;

<sup>1</sup> ერთ შემთხვევაში წინაველარული \*ჯ ფონემისაგან ასიბილაციის გზით მომდინარე ჯ აფრიკატი სპირანტიზებული სახით არის წარმოდგენილი როგორც /ხ/ ფონემა: შდრ.

სვან. *ზისყ* „რწყილი“: ძვ. ქართ. *გრწყილ-ი*: მეგრ. *წყირ-ი*, ჭან. *მწყირ-ი* (ს.-ქართვ. \*გ რწყილ-).

თავდაპირველი \*ჯ სვანურში მარცვლოვანი \*რ სონანტის ვოკალიზაციის შედეგად მიღებული ი-ს წინ ჯ-ში უნდა გადასულიყო ასიბილაციის გზით. ამ უკანასკნელმა ბოლოკიდური სყ კომპლექსის გავლენით განიცადა ასიმილაციური დეზაფრიკატიზაცია და გაისინება: \*ჯისყ > ზისყ (შდრ. გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 65). ამდენად ჯ→ზ პროცესი მოყვანილ ფორმაში არ არის იმავე რიგისა, რაც ს.-ქართვ. \*ძ<sub>1</sub> ფონემისაგან მომდინარე \*ჯ აფრიკატის სპირანტიზაცია ზემოთ განხილულ შემთხვევებში.

სვან. *შყაჟუ* „მწყერი“: ქართ. *მწყერი*-ი: მეგრ. *ჭყორი*-ი;

სვან. *ნაშყუ* „ფურთხი“: ქართ. *ნერწყვი*-ი: მეგრ. *ღერჭყე*-ა, ჭან. *ღერჭყე*-ა;

\*ჩხ→ჩხ: სვან. *ჩხარა*: ქართ. *ცხრა*: მეგრ. -ჭან. *ჩხორო*;

სვან. *მეჩხიმი* „ცხიმი, ქონი“: ქართ. *ცხიმი*-ი: მეგრ.-ჭან. *ჩხომი* „თევზი“;

სვან. *ღი-რჩხ-ღნ-ე* „წყალში გაველება“: ძვ. ქართ. *რცხ*-ა: მეგრ. *გო-რჩხ-უ* „გარეცხა“, ჭან. *ო-ჩხ-უ* „id.“;

სვან. *ჩეჩხ*, *ჩჩხ* „ცოცხი“: ქართ. *ცოცხი*-ი (ს-ქართვ. \**ციოციხ*-ი) პრე-სვან. \**ჩოჩხი*-ი);

მოსალოდნელი /ჩხ/ ჯგუფის ნაცვლად /შხ/-ს დადასტურება რამდენსამე სვანურ ფორმაში აიხსნება გვიანდელი /ჩხ/→/შხ/ დისიმილაციური სპირანტიზაციით სიტყვის თავში წარმოდგენილი აფრიკატის გავლენით:

სვან. *ჭიშხ* „ფეხი“: მეგრ. *კუჩხი*-ი, ჭან. *კუჩხ-ე* „ფეხი“ (შდრ. ქართ. *მ-კურცხ-ღი* „ქვეითი“).

თავკიდური /ჭ/ სვანურ ფორმაში მიღებულია თავდაპირველი /კ/-საგან ასიბილაციის გზით. თავკიდური /ჭ/ დისიმილაციურ გავლენას ახდენს პირვანდელ /\*ჩხ/ კომპლექსზე და აქცევს მას /შხ/-დ. რამდენადაც /კ/→/ჭ/ სვანურში ქრონოლოგიურად დეზაფრიკატიზაციის მომდევნო პროცესია, /ჩხ/→/შხ/ ამ ფორმაში გვიანდელ კომბინატორულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ;

სვან. *ჟიშხე* „ლაფურთხა“: ქართ. *ციცხე*-ი<sup>1</sup> (ს-ქართვ. \**ძიციხე*→პრე-სვან. \**ჯიჩხე*).

სვანურ ფორმაში მოსალოდნელი /ჩხ/ შეცვლილია /შხ/ ჯგუფით თავდაპირველი თავკიდური /\*ჯ/ აფრიკატის გავლენით, რომელმაც შემდგომ თვით განიცადა სპირანტიზაცია /შხ/ ჯგუფთან ასიბილაციით: \**ჯიჩხე* > \**ჯიშხ*-> *ჟიშხ-ე*<sup>2</sup>.

3.4. როგორც ვხედავთ, ადრეულ სვანურ /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ თანხმოვანთა რეფლექსები ჰარმონიულ ჯგუფებში განსხვავებულია მათი რეფლექსებისაგან ხმოვნებთან და სონანტებთან კომბინაციაში. /ჩ/ ფონემა ჰარმონიულ /ჩხ/ ჯგუფში ისევე არ განიცდის დეზაფრიკატიზა-

<sup>1</sup> K. H. Schmidt, *Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache*, Wiesbaden, 1962, გვ. 150.

<sup>2</sup> გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 31.

ციას და შესაბამის /შ/ სპირანტში გადასვლას, როგორც სონანტებთან მეზობლობაში; მაშინ როდესაც /\*ჯღ/ და /\*ჭყ/ ჰარმონიული ჯგუფები სპირანტიზებულ /ჟღ/ და /შყ/ ჯგუფებით არის შეცვლილი.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ადრეული /\*ჭ/ ფონემა /\*ჭყ/ ჯგუფში, სადაც იგი დეზაფრიკატიზაციის შედეგად რეგულარულად სპირანტული /შ/ ფონემით არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც სხვა ფონემებთან კომბინაციაში იგი არ განიცდის ამავე სახის დეზაფრიკატიზაციას (/შ/ ფონემაში გადასვლას) და სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. /\*ჭ/ ფონემა, რომლის რეფლექსები ისტორიულ სვანურში განსხვავებულია ადრეულ /\*ჯღ/ და /\*ჩ/ ფონემათა რეფლექსებისაგან, განსაკუთრებულ ქცევას ამჟღავნებს საერთო-ქართველური შუასიბილანტური რიგის ფონემათაგან მომდინარე ადრეულ სვანურ /\*ჯღ ჩ \*ჭ/ სამეულში. ამგვარი /\*ჭ/ თავიკიდურ პოზიციაში /\*ა \*ე \*ო/ ხმოვნების წინ და პოზიციაში ხმოვნებს შორის /ჰ/ ფონემაში გადადიოდა (განსხვავებით /\*ჯღ/ და /\*ჩ/ ფონემებისაგან, რომელნიც ანალოგიურ პირობებში შესაბამისად /ჟ/ და /შ/ სპირანტებს გვაძლევენ)<sup>1</sup>:

სვან. *ჰებ* „ბალი“: ქართ. *წაბლ-ი*: მეგრ.-ჭან. *ჭებურ-ი* (ს.-ქართვ. \*წაბლ- > პრე-სვან. \*ჭაბლ-);

სვან. *ჰოდ* (ა-ჰოდ „გაყიდე“, ხ-ა-ჰოდ-ი „აძლევს“): ქართ. *წოდ* (ა-წოდ-ებ-ს, მი-ა-წოდ-ა) (ს.-ქართვ. \*წოდ- > პრე-სვან. \*ჭოდ-);

სვან. *ჰადჟ* „ნატვრა“: ქართ. *წად-ილ-ი* (ს.-ქართვ. \*წად- > პრე-სვან. \*ჭად-);

სვან. *ჰამ* „დილა“: მეგრ. *ჭუმ-ე*, *ჭუმ-ან-ი* „ხვალ“; ჭან. *ჭუმ-ან-ი* „დილა“ (ს.-ქართვ. \*წამ- > პრე-სვან. \*ჭამ-);

სვან. *ხ-ე-ჰ-ა* „ეწევა“, *ლი-ჰ-ი* „დაწევა“: ქართ. *ე-წევა*: მეგრ.: *ჭაფ-ა* „დაწევა, მიღწევა“ (ს.-ქართვ. \*წ- > პრე-სვან. \*ჭ-);

სვან. *ჰ-მ-რ-ი* „წერს“: ქართ. *წერ-ს*: მეგრ.-ჭან. *ჭარ-უმ-ს* (ს.-ქართვ. \*წერ- / \*წრ- > პრე-სვან. \*ჭერ- / \*ჭრ-)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შდრ. გ. მაჭავარიანი, იქვე, გვ. 37 შმდ.

<sup>2</sup> მოყვანილ ფორმათა დაკავშირებისათვის იხ. Н. Марр, *Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания*: Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, СПб., 1914, вып. I-II, გვ. 4, 14-15, 33-35; В. Топуриа, *Некоторые вопросы сравнительной фонетики картвельских языков*, Москва, 1960, გვ. 10 შმდ. Г. А. Климов, *Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы* (ИАН СССР, Отд. литературы и языка, 1960,

ამ უკანასკნელ ფორმაში მოსალოდნელი /ჰ/-ს ნაცვლად წარმოდგენილია /მ/. სვანურში ს.-ქართვ. \*წ<sub>1</sub>ერ- / \*წ<sub>1</sub>-ერ- / \*წ<sub>1</sub>რ- ფუძის ნულ-საფეხურიანი ვარიანტის \*ჭრ- გაბატონდა და განზოგადდა მთელს პარადიგმაზე. ამ პოზიციაში (/ \*რ/ სონანტის უშუალო მეზობლობაში) ადრეული შიშინა / \*ჭ/ აფრიკატი წარმოგვიდგა /მ/-ის სახით (განსხვავებით სავარაუდო სრულ-საფეხურიანი \*ჭერ- ფორმისაგან, სადაც იგი /ჰ/-ს უნდა შერწყმოდა: პრე-სვან. \*ჭერ- / \*ჭრ- სვან. \*ჭერ- / მრ-)<sup>1</sup>.

ერთადერთ მაგალითში საერთო-ქართველური \*წ<sub>1</sub> ფონემისაგან მომდინარე ქართ. /წ/ და მეგრ.-ჭან. /ჭ/ ფონემას სვანურში თითქოს ნული შეეფარდება; ამასთანვე დასტურდება მომდევნო ხმოვნის დაგრძელება;

სვან. მერ „ბუზი, მწერი“: ქართ. მწერი-ი: მეგრ. ჭანჯ-ი, ჭან. მჭანჯ-ი „ბუზი“<sup>2</sup>.

სვანურში დადასტურებული ფორმა მარტივად აიხსნება სვან. / \*ჭ/ თანხმოვნის ზემოთ განხილულ გარდაქმნათა გათვალისწინებით, ს.-ქართვ. \*მწ<sub>1</sub>ერ არქეტიპი მოგვცემდა პრე-სვანურში \*მჭერ-ფორმას, შიშინა / \*ჭ/ აფრიკატის კანონზომიერი შენარჩუნებით / \*მ / სონანტის მეზობლობაში. უფრო გვიან მარცვლოვანი (\*მ) სონანტის ვოკალიზაციის შედეგად უნდა მიგვეღო \*მეჭერ- ფორმა, ორ იდენ-

ტ. 19, გვ. 24); Г.А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, Москва, 1964; К. Н. Schmidt, *Studien zur Rekonstruktion...*, გვ. 55; 154 შმდ.

<sup>1</sup> შდრ. \*ჭ→ გადასვლა თანხმოვნის წინ ისეთ სვანურ ფორმებში, როგორიცაა ა-მცხ-უნ-ე „აღვიძებს“ < \*ა-ჭცხ-უნ-ე (ძვ. ქართ. მ-კუირცხ-ე „ფხიზელი, მღვიძარე“, ჭან. გო-კუცხ-უ „გაიღვიძა“, ე. ი. ს.-ქართვ. \*კ-სვან. \*ჭ→მ); შდრ. აგრეთვე ზოგ სვანურ დიალექტში ჭ→მ თანხმოვნის წინ: ა-ჭ-ტის > ლშხ. ა-მ-ტის „დაგაბრუნა“ (იხ. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 64 შმდ). ერთი და იმავე ფონემური ერთეულის რეფლექსთა სხვაობისათვის სვანურში ნულ-საფეხურიანი და სრულ-საფეხურიანი ფორმებში შდრ. ს.-ქართვ. \*ჭ ფონემის რეფლექსები სვანურში. როგორც ცნობილია, ს.-ქართვ. \*ჭ სვანურში წარმოდგენილია შკ ჯგუფის სახით; მაგრამ ნულ-საფეხურიანი ფორმებში, სადაც ს.-ქართვ. \*ჭ ფონემა უშუალოდ თანხმოვანს ან უმარცვლო სონანტს უსწრებდა წინ, იგი შეცვლილია ნულით (წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელებით): სვან. ხ-მ-მ-ნ-ე „აქმევს“: ქართ. ა-ჭმ-ევ-ს (სვან. მ- < \*ჭმ-); ლ-მ-რ-ე „სათიბი“ (ეტიმ. „საჭრელი“): ქართ. სა-ჭრ-ელ-ი (სვან. რ- < \*ჭრ-) (იხ. გ. მაჭავარიანი, ხს. ნაშრომი, გვ. 42).

<sup>2</sup> Г.А. Климов, *Опыт реконструкции...*, გვ. 22.

ტურ ხმოვანს შორის /\*ჭ/ აფრიკატი, რომელიც ამ პოზიციაში /ჰ/-ში უნდა გადასულიყო. ამ უკანასკნელის დაკარგვითა და ხმოვანთა შერწყმით მივიღეთ ისტორიულ სვანურში დადასტურებული გრძელ-ხმოვნისანი მურ-ფორმა<sup>1</sup>.

3.5. როგორც ვხედავთ, ადრეული სვანური /\*ჭ/ ფონემა, რომელიც უპირისპირდებოდა ამავე რიგის /\*ჯ/ და /\*ჩ/ აფრიკატებს როგორც მკვეთრი (გლოტალიზებული) არამკვეთრებს (არაგლოტალიზებულებს), განსხვავებულია ამ უკანასკნელთაგან იმ მხრივ, რომ იგი ისტორიული ხანის სვანურში სპეციფიკური რეფლექსების სახით წარმოგვიდგება.

საერთო-ქართველური შუასიბილანტური რიგის /\*ძი/ და /\*ცი/ ფონემათაგან მომდინარე პრე-სვან. /\*ჯ/ და /\*ჩ/ აფრიკატები გარკვეულ პირობებში განიცდიან დეზაფრიკატიზაციას და შესაბამის შიშინა /ჟ/ და /შ/ სპირანტებში გადადიან. ამათგან განსხვავებით, საერთო-ქართველური /\*წი/ ფონემისაგან მომდინარე მკვეთრი /\*ჭ/ აფრიკატი ადრეულ სვანურში ანალოგიურ პირობებში სპეციფიკურ სპირანტიზაციას განიცდის: /\*ა ე \*ო/ ხმოვნების წინა და ინტერვოკალურ პოზიციაში იგი /ჰ/ ფონემაში გადადის (მხოლოდ პარამონიულ /\*ჭყ/ ჯგუფში განიცდის /\*ჭ/ აფრიკატი /\*ჯ/ და /\*ჩ/ აფ-

<sup>1</sup> ერთადერთ მაგალითში მოსალოდნელი ჰ ფონემის ნაცვლად თავკიდურ პოზიციაში ხმოვნის წინ წარმოდგენილია ჰ: სვან. ჰემ „თივა“: მეგრ. (რ) ჰემ-ი „pubes“, ჰან. ჰამ-ი „წამალი“: ქართ. წამ-ალი (შდრ. გ. როგავა, წამალ-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 3, 1945). რამდენადაც /ჰ/ ფონემის შემონახვა ამ პოზიციაში კომბინატორულად ვერ აიხსნება, სვანური ფორმა მეგრულ-ჭანური დიალექტებიდან შემოსულ სიტყვად უნდა მივიჩნიოთ (იხ. გ. მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 38).

ამგვარი ფორმების აღმოჩენით, რომლებშიც შეინიშნება ერთგვარი გადახრები სვანურ ფონემათათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური ევოლუციისაგან, შეიძლება გამოიყოს უცხო ენობრივი ლექსიკური პლასტი სვანურში, მომდინარე ძირითადად მეგრული და ქართული დიალექტებიდან (შდრ. ზემოთ ჯჩრდლუ სიტყვის შემთხვევაში). მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ სვანურში „ზანური“ და „ქართული“ ფენების შესახებ. ეს „ფენები“ სვანურში სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული სიმრავლე მეგრულ-ჭანური, ქართული და სხვა დიალექტებიდან შესული ლექსიკური ერთეულებისა, რომელთა უცხო (არასვანური) წარმომავლობა ვლინდება მათში წარმოდგენილ ფონემათა სპეციფიკურ ქცევაში, რაც განსხვავებულია საკუთარივე პრე-სვანურიდან მომდინარე ფონემათა ქცევისაგან.

რიკატა ანალოგიურ სპირანტიზაციას და /მჟ/ ჯგუფის სახით წარმოგვიდგება). /\*ჭ/→/ჰ/ პროცესი უნდა გაგრძელებულიყო სონანტთა ვოკალიზაციის შემდეგაც, რამდენადაც ამ პროცესისათვის ჯერ კიდევ რელევანტურია ის პოზიციები, ის გარემოცვა, რომელიც მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციის შედეგად შეიქმნა<sup>1</sup>.

ადრეულ სვანურ თანხმოვანთა გარდაქმნის ყველაზე გვიანდელ აქტად უნდა მივიჩნიოთ წინაველარული რიგის /გ ქ კ/ თანხმოვანთა ასიბილაცია, რამდენადაც ამ უკანასკნელთაგან კომბინატორულად მიღებული /ჯ ჩ ჭ/ აფრიკატები აღარ განიცდიან პირველად /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ ფონემათათვის დამახასიათებელ ცვლილებებს, რომლებიც მათ სხვადასხვა სახის სპირანტიზაციაში გამოიხატა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შდრ. ზემოთ სვან. მჭო „ბუზი, მწერი“ ფორმის წარმომავლობა.

/\*ჭ/→/ჰ/ პროცესი, რომელიც მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციის შემდეგაც მოქმედებდა, არ შეეხო თავიკიდურ სვანურ /ჰ/ აფრიკატს ჭითხ „წყრთა“ ფორმაში (ს.-ქართვ. \*წყრთხა > პრე-სვან. \*ჰრთხა > სვან. ჭითხ. სადაც [ი] სეგმენტი მარცვლოვანი [\*რ] სონანტის ვოკალიზაციის შედეგად მიღებული ელემენტია, იხ. ზემოთ, გვ. 10), რამდენადაც ეს ფონემა აქ [ი] სეგმენტის მეზობლად არის წარმოდგენილი, რომელიც /\*ჭ/→/ჰ/ პროცესის მოქმედების პერიოდში /\*ჯ/ სონანტის მარცვლოვან ალოფონად (და არა საკუთრივ ხმოვან ფონემად) გვევლინებოდა.

სონანტთა მარცვლოვანი [\*რ, \*ღ \*მ \*წ] ალოფონების ვოკალიზაციის შედეგად სონანტურ ფონემათა კლასი არ ყოფილა მთლიანად ელიმინირებული სვანური ფონოლოგიური სისტემიდან. ფონემათა ამ კლასს ჯერ კიდევ განეკუთვნებოდა სვანურში [\*ღ] და [\*ჟ] ფონემები შესაბამისად [ი] და [ჲ], [უ] და [ჟ] ალოფონებით. სრული ელიმინაცია სონანტური ფონემებისა სვანური ფონოლოგიური სისტემიდან სვანურ დიალექტთა ისტორიულად დამოწმებული მდგომარეობის უშუალოდ წინამავალ პერიოდს უნდა მივაწეროთ. (შდრ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 25 შმდ).

<sup>2</sup> ამით განისაზღვრება /\*ჭ/→/ჰ/ სპირანტიზაციის პროცესის ქრონოლოგიური საზღვრები. /\*ჭ/→/ჰ/ პროცესი, განსხვავებით პრე-სვან. /\*ჯ/ და /\*ჩ/ ფონემათა დეზაფრიკატიზაციის პროცესისაგან, მოქმედებდა სვანურში მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციის შემდეგაც, იგი გაგრძელდა სვანურ ფონოლოგიურ სისტემაში წინაველარულ /გ ქ კ/ თანხმოვანთა ასიბილაციის პროცესის დაწყებამდე: სვან./ჰ/ მიღებული /\*კ/ ფონემის ასიბილაციის გზით, აღარ განიცდის პირველადი ს.-ქართვ. /\*წ<sub>1</sub>/ ფონემისაგან მომდინარე სვან. /\*კ/ აფრიკატისათვის სათანადო პირობებში დამახასიათებელ გადასვლას /ჰ/ სპირანტში (შდრ. სვან. ჭჰშ. „ქმარი“: ქართ. კაცი: მეგრ.-ჭან. კოჩი სვან. ჭჰშად „კედელი“: ქართ. კედელ-ი: მეგრ. კიდალა ჭან. კოდა, „id“ იხ. ზემოთ. გვ. 102 შმდ.).

3.6. ყველაზე ადრინდელ ცვლილებად სვანურში, რომელიც სვანურ არეალს ზანურ არეალთან ერთ საერთო დასავლურ-ქართველურ დიალექტურ არეალად აერთიანებს, იყო სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა რიგების სათანადო გადაწევა. ამათგან შუასიბილანტურმა /\*ძ<sub>1</sub> \*ც<sub>1</sub> \*წ<sub>1</sub>/ რიგმა მოგვცა პრე-სვანურში შესაბამისი შიშინა /\*ჯ<sub>1</sub> \*ჩ<sub>1</sub> \*ჭ<sub>1</sub>/ რიგი.

ამ პროცესს ადრეულ სვანურში (პრე-სვანურში) მოჰყვა აფრიკატების სპირანტიზაცია ჰარმონიულ ჯგუფებში, რასაც უნდა დართვოდა არამკვეთრ /\*ჯ/ და /\*ჩ/ ფონემათა დეზაფრიკატიზაცია სათანადო პირობებში და მკვეთრი /\*ჭ/ აფრიკატის გადასვლა /ჰ/ ფონემაში<sup>1</sup>.

/\*ჯ/ და /\*ჩ/ ფონემათა დეზაფრიკატიზაციის პროცესის დასრულების (შეწყვეტის) შემდეგ იწყება სვანურში სონანტთა ვოკალიზაციის პროცესი, რომელიც მარცვლოვან სონანტთა ადგილას სხვადასხვა ტემბრის სრული წარმოების ვოკალურ სემანტთა წარმოქმნაში გამოიხატა.

მკვეთრი /\*ჭ/ აფრიკატის სპირანტიზაციის პროცესი და მისი სათანადო პირობებში სპირანტულ /ჰ/ ფონემაში გადასვლა გრძელდება მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციის შემდეგაც, ვიდრე წინაველარულ თანხმოვანთა ასიმილაციის პროცესის დაწყებამდე. ამ თვალსაზრისით, გლოტალიზებული /\*ჭ/ აფრიკატი სვანურ ფონოლოგიურ სისტემაში მკვეთრად უპირისპირდება ამავე რიგის /\*ჯ/ და /\*ჩ/ აფრიკატებს, რომელთაც განსხვავებული ხასიათის სპირანტიზაცია (დეზაფრიკატიზაცია) განიცადეს.

<sup>1</sup> საერთო-ქართველური შუასიბილანტური (სისინ-შიშინა) რიგის /\*ძ<sub>1</sub>/ და /\*წ<sub>1</sub>/ ფონემათგან მომდინარე /\*ჯ/ და /\*ჭ/ აფრიკატთა ადრეულ სპირანტიზაციას ჰარმონიულ /\*ჯლ/ და /\*ჭყ/ ჯგუფებში (შესაძლებელია ჯერ კიდევ პრე-სვანურში) მხარს უჭერს საერთო-ქართველური უკანასიბილანტური (შიშინა) რიგის /\*ჯ<sub>1</sub> \*ჩ<sub>1</sub> \*ჭ<sub>1</sub>/ ფონემათა ქცევა სვანურში. ამ ფონემათა პრე-სვანური /\*ჯგ/ და /\*ჩქ/ და /\*ჭკ/ რეფლექსები, რომლებიც თანხმოვანთა ჰარმონიულ ჯგუფებს წარმოადგენენ, მეტად ადრეულ პერიოდში განიცდიან სპირანტიზაციას და შესაბამისად, /სგ/ (შიშინა აფრიკატის წინასწარი გასისინებით მომდევნო /\*ტ<sub>1</sub>-ს გავლენით და ამის შედეგად მიღებული /\*ზ/ ფონემის დისიმილაციური დაყრუებით), /\*შქ/→/\*შგ/ (წინაველარული კომპონენტის დისიმილაციური გამჟღერებით) და /შკ/ ჯგუფებს გვაძლევენ (იხ. ზემოთ გვ. 98); შდრ. აგრეთვე სვანურ სისინა აფრიკატთა სპირანტიზაცია ჰარმონიულ /\*ცხ/ და /\*წყ/ ჯგუფებში. (იხ. ზემოთ გვ. 97 შმდ.).

ამ პროცესებთან შედარებით ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელია კომბინატორული ფონეტიკური პროცესი წინაველარულ /გ ქ კ/ თანხმოვანთა ასიბილაციისა წინა რიგის ხმოვანთა მეზობლობაში.

რამდენადაც წინაველარული რიგის თანხმოვნებმა ასიბილაცია განიცადეს, აგრეთვე უმლაუტის შედეგად მიღებული პალატალური /წ თ ჯ/ ხმოვნების წინამავალ პოზიციაშიც,<sup>1</sup> უნდა დაეუშვათ, რომ ასიბილაციის პროცესი მოსდევდა ხმოვანთა უმლაუტს სვანურში (ან, ყოველ შემთხვევაში, მისი თანადროული პროცესი იყო).

აღნიშნულმა ფონეტიკურმა პროცესებმა არსებითად გარდაქმნეს საერთო-ქართველურიდან მომდინარე სიტყვის ფონემური შედგენილობა სვანურში და განსაზღვრეს სიტყვის ფონოლოგიური სახე, რომელსაც ჩვენ ისტორიული ხანის სვანურ დიალექტებში ვადასტურებთ.

#### 4. ფონემურ გარდაქმნათა ფორმულირება „გადაწერის წესების“ ტერმინებში

4.1. წარმოვადგინოთ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ფონემური გარდაქმნები სვანურში ე.წ. „გადაწერის წესების“ საშუალებით, რომელთაც აქვთ სახე:

$A \rightarrow B$  გარემ.  $X \xrightarrow{Z} Y$ , სადაც  $A, B, X, Y$  და  $Z$  გარკვეული სიმბოლოებია,

რომელნიც სხვადასხვანაირად შეიძლება იქნენ ინტერპრეტირებულნი (მაგ., როგორც ფონემური დიფერენციალური ნიშნები ან ცალკეული ბგერითი სეგმენტები, როგორც ფონემები ან მორფემები და სხვ.) ხოლო „ $\rightarrow$ “ ნიშნავს: „უნდა შეიცვალოს...“, „უნდა გადაიწეროს როგორც...“  $A \rightarrow B$  გარემ.  $X \xrightarrow{Z} Y$ , მაშასადამე, ნიშნავს:

„შეცვალე  $A$   $B$ -თი (ან: „გადაწერე  $A$  როგორც  $B$ “)  $X \xrightarrow{Z} Y$  გარემოცვაში, სადაც  $X, Y$  და  $Z$  სიმბოლოებმა შეიძლება ნულის მნიშვნელობაც

<sup>1</sup> შდრ. სვან. ჭწუ. „ჭმარი“ საპირისპიროდ ქართ. კაც-ი და მეგრ.-ჭან. კოჩ-ი ფორმებისა, (პრე-სვან. \*კაჩ-ი > \*კწუ > ჭწუ). სვან. ჭიშხ „ფეხი“ საპირისპიროდ ძვ. ქართ. მ-კვრცხ-ლ-, მეგრ. კუჩხ-ი, ჭან. კუჩხ-ე ფორმებისა (პრე-სვან. \*კუჩხ-ი > \*ჭუჩხ და აქედან თავკიდური შიშინა აფრიკატის დისიმილაციური გავლენით სვან. ჭიშხ).

მიიღონ.  $C \rightarrow D$  გარემ.  $X \xrightarrow{Z} Y$  ნიშნავს: „გადაწერე  $C$  როგორც  $D$  ასეთსავე

$X \xrightarrow{Z} Y$  გარემოცვაში“. ეს ორი ფორმულა შეიძლება ჩაიწეროს ერთი

საერთო ფორმულის სახით:  $\left\{ \begin{array}{l} A \rightarrow B \\ C \rightarrow D \end{array} \right\}$  გარემ.  $X \xrightarrow{Z} Y^1$

4.2. ყოველი ფონემური ერთეული უნდა განვიხილოთ როგორც გარკვეული კონა, ერთობლიობა დიფერენციალური ნიშნებისა, რომელნიც მინიმალურ დისკრეტულ სიგნალებს წარმოადგენენ.

ასე, მაგალითად, სვანური ფონემური სისტემის ის ერთეული, რომელსაც ჩვენ პირობით /ბ/ სიმბოლოთი აღვნიშნავთ, წარმოადგენს შემდეგი დიფერენციალური ნიშნების ერთობლიობას (ბინარულ აკუსტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა ტერმინებში):<sup>2</sup> [კონსონანტური, არავოკალური, დიფუზური, დაბალი ტონალობის, მუდერი, მეყსეული, არამძაფრი, არანაზალი]. ამგვარად, /ბ/ სიმბოლო სხვა არაფერია, თუ არა შემოკლებული ჩაწერა ბინარულ დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობისა, რომელნიც დადებით ან უარყოფით მნიშვნელობებს იღებენ:

- |                    |
|--------------------|
| + კონსონანტური     |
| - ვოკალური         |
| + დიფუზური         |
| + დაბალი ტონალობის |
| + მუდერი           |
| + მეყსეული         |
| - მძაფრი           |
| - ნაზალი           |

<sup>1</sup> იხ. Morris Halle, *Phonology in generative grammar* („Word“, 18, N 1-2, 1962, გვ. 54 შმდ).

<sup>2</sup> იხ. R. Jakobson, M. Fant, M. Halle. *Preliminaries to speech analysis. The distinctive features and their correlates*, Cambridge, Mass., 1955; რუსული თარგმანი: *Введение в анализ речи* („Новое в лингвистике“, II, Москва, 1962, გვ. 173 შმდ.); R. Jakobson and M. Halle. *Fundamentals of language*, The Hague, 1956.

საერთო-ქართველურ და სვანურ ფონემათა იდენტიფიკაციის მატრიცა\*

ფონემები	ძ	ც	წ	ძ <sub>1</sub>	ცი	წ <sub>1</sub>	ჭ	ჭ <sub>1</sub>	ს	ზ	ს <sub>1</sub>	ჟ	შ
ლოფერენ- ციალური ნიშნები													
კონსონანტური	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ვოკალური	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კომბაქტური	(-)	(-)	(-)	+	+	+	(+)	(+)	(-)	(-)	+	(+)	(+)
დიფუზური	+	+	+	+	+	+	-	-	+	+	-	-	-
დაბალი ტონალობის (პერიფერიული)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
მჟღერი	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	+	-
მეცხეული	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
მძიფრი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
გლოტალიზებული		-	+		-								

\* მატრიცაში დახასიათებულია მხოლოდ ის ფონემები, რომელთა გარდაქმნები სვანურ ფონოლოგიურ სისტემაში წარ-  
მოდგენილია „გადაწერის წესების“ სახით.

საერთო-ქართულურ და სვანურ ფონემათა იდენტიფიკაციის მატრიცი (გაგრძელება)

ფონემები	გ	ქ	კ	ღ	ხ	ყ	ჰ	რ	ლ	მ	ნ	ჟ	ა	ე	ი	ო	უ	ზ
ლიფერენ- ციალური ნიშნები																		
კონსონანტური	+	-	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ვოკალური	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კომბაქტური	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დიფუზიური	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დაბალი ტონილობის (პერიფერიული)	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ბემოლური	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
მჟღერი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
მექსეული	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
მძაფრი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გლტალიზებული	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ნაზალი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

ასევე, /ფ/ არის შემოკლებული ჩაწერა ბინარულ დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობისა:

- |                    |
|--------------------|
| + კონსონანტური     |
| - ეოკალური         |
| + დიფუზური         |
| + დაბალი ტონალობის |
| - მჟღერი           |
| + მეყსეული         |
| - მძაფრი           |
| - გლოტალიზებული    |
| - ნაზალი           |

ამის საპირისპიროდ,

- |                 |
|-----------------|
| + კონსონანტური  |
| - ეოკალური      |
| + დიფუზური      |
| + დაბალი ტონ.   |
| - მჟღერი        |
| + მეყსეული      |
| - მძაფრი        |
| + გლოტალიზებული |
| - ნაზალი        |

დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობა ასახავს სვანური ფონემური სისტემის ერთეულს, რომელიც შემოკლებულად /ჰ/ სიმბოლოთი აღინიშნება. (იხ. ფონემათა იდენტიფიკაციის მატრიცი).

რამდენადაც ხშულთა /ბ-ფ-ჰ/ სამეულში /ბ/ ფონემის „მჟღერიობიდან“ ავტომატურად გამოიყვანება მისი „არაგლოტალიზებულიობა“, ეს ნიშანი [-გლოტალიზებული] ჭარბია /ბ/ ფონემის დახასიათებისას. ამიტომ, იგი არ შედის /ბ/ ფონემისათვის დამახასიათებელ დიფერენციალურ ნიშანთა კონაში, განსხვავებით /ფ/ და /ჰ/ ფონემათაგან. ეგევე შეეხება ხშულთა და აფრიკატთა დანარჩენი სამეულების დიფერენციალურ ნიშანთა კონებს.

4.3. ამგვარივე დიფერენციალურ ნიშანთა კონების სახით შეიძლება წარმოვადგინოთ აფრიკატთა სისტემა ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური /\*ძ \*ც \*წ/, /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ და /\*ძი \*ცი \*წი/ აფრიკატები გარკვეული ფონოლოგიური ინტერპრეტაციის შედეგად<sup>1</sup> წარმოგვიდგება როგორც შემდეგ ბინარულ დიფერენციალურ ნიშანთა კონები:

*ძ	*ც	*წ
+ კონსონანტური -ვოკალური -კომპაქტური + დიფუზური -დაბალი ტონალობის + მჟღერი + მეყსეული + მძაფრი	+ კონსონანტური -ვოკალური -კომპაქტური + დიფუზური -დაბალი ტონალობის -მჟღერი + მეყსეული + მძაფრი -გლოტალიზებული	+ კონსონანტური -ვოკალური -კომპაქტური + დიფუზური -დაბალი ტონალობის -მჟღერი + მეყსეული + მძაფრი + გლოტალიზებული
*ჯ	*ჩ	*ჭ
+ კონსონანტური -ვოკალური + კომპაქტური -დიფუზური -დაბალი ტონალობის + მჟღერი + მეყსეული + მძაფრი	+ კონსონანტური -ვოკალური + კომპაქტური -დიფუზური -დაბალი ტონალობის -მჟღერი + მეყსეული + მძაფრი -გლოტალიზებული	+ კონსონანტური -ვოკალური + კომპაქტური -დიფუზური -დაბალი ტონალობის -მჟღერი + მეყსეული + მძაფრი + გლოტალიზებული

<sup>1</sup> თუ აღნიშნულ სამეულებს განვიხილავთ როგორც წინასიბილანტური (სისინა), უკანასიბილანტური (შიშინა) და შუასიბილანტური (სისინ-შიშინა) რიგის ფონემურ ერთეულებს.

*ძ <sub>1</sub>	*ც <sub>1</sub>	*წ <sub>1</sub>
+ კონსონანტური	+ კონსონანტური	+ კონსონანტური
- ვოკალური	- ვოკალური	- ვოკალური
+ კომპაქტური	+ კომპაქტური	+ კომპაქტური
+ დიფუზური	+ დიფუზური	+ დიფუზური
- დაბალი ტონალობის	- დაბალი ტონალობის	- დაბალი ტონალობის
+ მჟღერი	- მჟღერი	- მჟღერი
+ მეყსეული	+ მეყსეული	+ მეყსეული
+ მძაფრი	+ მძაფრი	+ მძაფრი
	- გლოტალიზებული	+ გლოტალიზებული

სვანურში /ჯ ჩ ჭ/ და /ძ ც წ/ აფრიკატები დახასიათდება „კომპაქტურობა-დიფუზურობით“ არა როგორც ორი დამოუკიდებელი ნიშნით (როგორც ეს შესაბამის საერთო-ქართველურ ფონემათათვის გვაქვს, რამდენადაც აქ წარმოდგენილია სიბილანტურ აფრიკატა მესამე რიგი, რომელიც ამ ორივე დიფერენციალური ნიშნის დადებითი მნიშვნელობით უნდა დახასიათდეს), არამედ ერთ-ერთი ამ ნიშნით, რომელსაც დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა მიეწერება. სვანური /ჯ ჩ ჭ/ ფონემები ხასიათდება [-დიფუზური] ნიშნით, ხოლო სისინა /ძ ც წ/ ფონემები - [+ დიფუზური] ნიშნით. ამიტომ ფონემათა იდენტიფიკაციის მატრიცში სვანური /ძ ც წ/ და /ჯ ჩ ჭ/ ფონემათათვის „კომპაქტური“ ნიშნის მნიშვნელობები ფრჩხილებშია ჩასმული; ეს ნიშანი დასახელებულ სვანურ ფონემათა მიმართ ირელევანტურია. მას ღირებულება აქვს საერთო-ქართველური წინასიბილანტური /\*ძ \*ც \*წ/ და უკანასიბილანტური /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ რიგებისათვის, რომლებიც უნდა დახასიათდნენ „კომპაქტური“ ~ „დიფუზური“ ნიშნების სხვადასხვა მნიშვნელობებით, საპირისპიროდ შუასიბილანტური რიგის /\*ძ<sub>1</sub> \*ც<sub>1</sub> \*წ<sub>1</sub>/ ფონემებისა.

აფრიკატთაგან განსხვავებით, შიშინა სპირანტები სვანურში შემდეგ დიფერენციალურ ნიშანთა კონების სახით წარმოგვიდგება:

შ	ჟ
+ კონსონანტური - ეოკალური + კომპაქტური - დაბალი ტონალობის - მჟღერი - მყესეული + მძაფრი	+ კონსონანტური - ეოკალური + კომპაქტური - დაბალი ტონალობის + მჟღერი - მყესეული + მძაფრი

4.4. ყოველი დიაქრონიული ფონემური გარდაქმნა შეიძლება გამოვხატოთ „გადაწერის წესის“ სახით, სადაც „→“ ნიშნის მარცხნივ წარმოდგენილი სიმბოლო ასახავს ენის ადრეული მდგომარეობის ფონემურ ერთეულს, ხოლო მის მარჯვნივ წარმოდგენილი – ამ ფონემის გარდაქმნის შედეგად მიღებულ ერთეულს ენის მომდევნო მდგომარეობაში. ასე მაგალითად, ს.-ქართვ. /\*ძ<sub>1</sub>/ → პრე-სვან. /\*ჯ/ ფორმულა არსებითად „გადაწერის წესის“ სახითაა წარმოდგენილი, რომელიც გვეუბნება, რომ საერთო-ქართველური ფონემა გამოხატული /\*ძ<sub>1</sub>/ სიმბოლოთი, უნდა შეიცვალოს /\*ჯ/ სიმბოლოთი გამოხატული ფონემით, რათა მივიღოთ პრე-სვანური ფონემური ერთეული, რომლითაც შეიცვალა გარკვეულ პერიოდში საერთო-ქართველური /\*ძ<sub>1</sub>/ ფონემა.

ამგვარად, დიაქრონიულად ინტერპრეტირებული „გადაწერის წესები“ გვიხასიათებს იმ ოპერაციებს, რომელნიც უნდა განხორციელდეს ენის ადრეული ეტაპიდან უფრო გვიანდელ ეტაპზე გადასვლისათვის სხვადასხვა სტრუქტურულ დონეზე.

ფონემურ ერთეულთა დიფერენციალურ ნიშანთა კონებად განხილვისას „გადაწერის წესები“ შეიძლება ისე იყოს ფორმულირებული, რომ გადაწერის ოპერაცია შეეხებოდეს დიფერენციალურ ნიშნებს, რაც მეტად ამარტივებს ფონემათა დიაქრონიული გარდაქმნების აღწერას. ამგვარი „გადაწერის წესების“ თანმიმდევრული (ე. ი. გარკვეული რიგის მიხედვით დალაგებული) განხორციელება გადაგვიყვანს ენის ამოსავალი ეტაპიდან (ე. ი. ისეთი ენობრივი მდგომარეობიდან, რომელიც მოცემული აღწერის თვალსაზრისით „ამო-

სავალ“ მდგომარეობად ითვლება – მაგალითად, „საერთო-ქართველური ენობრივი მდგომარეობა“, „საერთო-ინდოევროპული ენობრივი მდგომარეობა“ და სხვა). განვითარების უფრო გვიანდელ ეტაპზე ვიდრე „საბოლოო“ ეტაპამდე, რომელსაც ენის ისტორიულად დადასტურებული მდგომარეობა წარმოადგენს.

4.5. საერთო-ქართველური შუასიბილანტური რიგის ზემოთ ფორმულირებული გარდაქმნები სვანურში შემდეგი თანმიმდევრული „გადაწერის წესების“ საშუალებით შეიძლება იქნეს გამოსახული<sup>1</sup>:

(1) ს.-ქართვ. /\*ძ<sub>1</sub> \*ც<sub>1</sub> \*წ<sub>1</sub>/ → პრე-სვან. /\*ჯ \*ჩ \*ჭ/:

$$\begin{bmatrix} +\text{კომპაქტური} \\ +\text{დიფუზური} \\ +\text{მეყსეული} \\ +\text{მძაფრი} \end{bmatrix} \rightarrow \begin{bmatrix} -\text{დიფუზური} \\ +\text{მეყსეული} \\ +\text{მძაფრი} \end{bmatrix}$$

ეს წესი გულისხმობს, რომ ყველა ის ფონემა, რომელთაც საერთო აქვთ ნიშნები [+კომპაქტური, +დიფუზური, +მეყსეული, +მძაფრი], ხოლო დანარჩენი ნიშნები შეიძლება არ გავითვალისწინოთ (ასეთი ფონემები – ე. ი. ფონემები, რომელთათვისაც საერთოა ზემოთ დასახელებული ნიშნები – საერთო-ქართველურში მხოლოდ ის ფონემებია, რომლებიც შემოკლებით /\*ძ<sub>1</sub> \*ც<sub>1</sub> \*წ<sub>1</sub>/ სიმბოლოებით აღინიშნება), გარდაიქმნება პრე-სვანურში ფონემებად, რომელთათვისაც საერთოა ნიშნები [-დიფუზური, +მეყსეული, +მძაფრი], ხოლო დანარჩენი ნიშნები შეიძლება არ გავითვალისწინოთ (ასეთი ფონემები – ე. ი. ფონემები, რომელთათვისაც საერთოა ზემოთ დასახელებული ნიშნები – პრე-სვანურში მხოლოდ ის ფონემებია, რომლებიც შემოკლებით /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ სიმბოლოებით აღინიშნება). ამგვარად, პრე-სვანური შიშინა აფრიკატები მიიღება საერთო-ქართველური შუა რიგის (სისინ-შიშინა) შესაბამისი აფრიკატებისაგან მათთვის აუცილებელი საერთო დიფერენციალური ნიშნებიდან [+კომპაქტური] ნიშნის ამოგდებით და [+დიფუზური] ნიშნის [-დიფუზური] ნიშანზე შეცვლით. ეს წესი უფრო მარტივად შეიძლება შემდეგი სახით იქნეს წარმოდგენილი:

<sup>1</sup> დიფერენციალურ ნიშანთა ტერმინებში წარმოდგენილი „გადაწერის წესების“ პარალელურად მოგვეყვას ტრადიციული ფორმულებიც, რომელნიც ცალკეულ ფონემურ სიმბოლოებს შეიცავს, რათა მკითხველს გაუადვილდეს დიფერენციალურ ნიშანთა გარდაქმნების ოპერაციების გააზრება.

(1<sup>1</sup>)

$$\left[ \begin{array}{l} +\text{კომპაქტური} \\ +\text{დიფუზური} \end{array} \right] \rightarrow [-\text{დიფუზური}] \text{ გარემ.} \left[ \begin{array}{l} +\text{კონსონანტური} \\ -\text{ვოკალური} \\ -\text{დაბალი ტონალობის} \\ +\text{მეყსეული} \\ +\text{მძაფრი} \end{array} \right]$$

[+კომპაქტური, +დიფუზური] ნიშნები „გარემოცვის“ ნიშნებთან ერთად წარმოადგენს ს.-ქართვ. /\*d<sub>1</sub> \*C<sub>1</sub> \*V<sub>1</sub>/ ფონემათათვის საერთო დიფერენციალურ ნიშნებს (იხ. ფონემათა იდენტიფიკაციის მატრიცი); [+კომპაქტური, +დიფუზური] ნიშნების შეცვლა [-დიფუზური] ნიშნით ამავე „გარემოცვაში“ გვაძლევს დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობას, რომელიც საერთოა პრე-სვანური /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ აფრიკატებისათვის.

(2) პრე-სვან.  $\left\{ \begin{array}{l} /*ჯ, *ჩ, *ჭ/ +S \\ S+ /*ჯ, *ჩ, *ჭ/ \end{array} \right\} \rightarrow$  სვან. /ჯ, ჩ, ჭ/:

$$[X] \rightarrow [X] \text{ გარემ.} \left\{ \begin{array}{l} \left[ \begin{array}{l} -\text{დიფუზური} \\ +\text{მეყსეული} \\ +\text{მძაფრი} \end{array} \right] \left[ \begin{array}{l} +\text{კონსონანტური} \\ +\text{ვოკალური} \end{array} \right] \\ \left[ \begin{array}{l} +\text{კონსონანტური} \\ +\text{ვოკალური} \end{array} \right] \left[ \begin{array}{l} -\text{დიფუზური} \\ +\text{მეყსეული} \\ +\text{მძაფრი} \end{array} \right] \end{array} \right\}$$

ე. ი. რაღაც ერთობლიობა დიფერენციალური ნიშნებისა [X], წარმოდგენილი [-დიფუზური, +მეყსეული, +მძაფრი] ნიშნებთან ერთად<sup>1</sup>, უნდა შეიცვალოს დიფერენციალურ ნიშანთა ამავე [X] ერთობლიობით, თუ მას მოსდევს ან წინ უსწრებს დიფერენციალურ

<sup>1</sup> ადვილი დასაანხია, რომ დიფერენციალურ ნიშანთა კონები, რომლებიც შეიცავენ სხვა ნიშნებთან ერთად ნიშნებს [-დიფუზური, +მეყსეული, +მძაფრი], შიშინა აფრიკატებს წარმოადგენენ, რომელნიც შემოკლებით /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ სიმბოლოებით გამოიხატება.

ნიშანთა კონა, რომელიც შეიცავს ნიშნებს [+კონსონანტური, +ვოკალური]<sup>1</sup>.

(3) პრე-სვან. /**\*ჩხ**/ → სვან. /ჩხ/:

[-მჟღერი -გლოტალ.]	→	[-მჟღერი -გლოტალ.]	<i>გარემ.</i>	[+კონსონან. -ვოკალური -დიფთუზური -დაბალი ტონ. +მეყსეული +მძაფრი]	[+კონსონან. -ვოკალური -დიფთუზური -დაბალი ტონ. -მეყსეული -მჟღერი]
-----------------------	---	-----------------------	---------------	---	---

ნიშნები [-მჟღერი, -გლოტალიზებული] „გარემოცვის“ პირველ სვეტში წარმოდგენილ დიფერენციალურ ნიშნებთან ერთად გვაძლევს ნიშანთა კონას, დამახასიათებელს /ჩ/ ფონემისათვის, „გარემოცვის“ მეორე სვეტში წარმოდგენილი დიფერენციალური ნიშნები ქმნიან კონას, დამახასიათებელს სვანური ფონემისათვის, რომელიც შემოკლებით /ხ/ სიმბოლოთი გამოიხატება.

<sup>1</sup> დიფერენციალურ ნიშანთა ისეთი კონები, რომლებიც სხვა ნიშნებთან ერთად შეიცავენ ნიშნებს [+კონსონანტური +ვოკალური], სონანტურ ფონემებს წარმოადგენენ, ე. ი. არც ერთ სხვა ფონემას მოცემულ სისტემაში, გარდა სონანტური ფონემებისა, არ გააჩნია ერთდროულად ნიშნები [+კონსონანტური +ვოკალური]. ამდენად ეს ნიშნები აუცილებელი და საკმარისია სონანტურ ფონემათა კლასის დასახასიათებლად, თვით ამ კლასში შემავალ ფონემურ ერთეულთა განსხვავებების (დაპირისპირების) აღნიშვნის გარეშე.

ამ ფორმულაში, ისევე როგორც მომდევნო ფორმულებში, „გარემოცვის“ ქვეშ გაიგება დიფერენციალურ ნიშანთა გარკვეული კონები, წარმოდგენილი მოცემული ფონემის დიფერენციალურ ნიშნებთან როგორც „ვერტიკალურ“, ისე „ჰორიზონტალურ“ მიმდევრობაში. დიფერენციალურ ნიშანთა „ვერტიკალური“ მიმდევრობა გულისხმობს ნიშანთა გარკვეულ ერთობლიობას, რომელიც მოცემულ დიფერენციალურ ნიშნებთან ერთად (ე. ი. ნიშნებთან, რომლებიც წარმოდგენილია ფორმულაში „-“ სიმბოლოს მარცხნივ) კონკრეტული ფონემისათვის დამახასიათებელ დიფერენციალურ ნიშანთა კონას ქმნის, ხოლო დიფერენციალურ ნიშანთა „ჰორიზონტალური“ მიმდევრობა გულისხმობს ნიშანთა გარკვეულ კონას, დამახასიათებელს კონკრეტული ფონემისათვის, რომელიც წარმოდგენილია განსახილველი ფონემის მეზობლობაში, მის წინამავალ ან მომდევნო პოზიციაში.

(4) პრე-სვან. /*\*ჭყ*/ → სვან. /*შყ*/:

<table style="border-collapse: collapse;"> <tr><td style="padding: 2px 10px;">+მეყსეული</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">+ძძაფრი</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">+გლოტალ.</td></tr> </table>	+მეყსეული	+ძძაფრი	+გლოტალ.	→	<table style="border-collapse: collapse;"> <tr><td style="padding: 2px 10px;">[-მეყსეული]</td></tr> </table>	[-მეყსეული]	გარემ.	<table style="border-collapse: collapse;"> <tr><td style="padding: 2px 10px;">+კონსონან.</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">-ვოკალური</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">-დიფუზური</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">-დაბალი ტონ.</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">-მჟღერი</td></tr> </table>	+კონსონან.	-ვოკალური	-დიფუზური	-დაბალი ტონ.	-მჟღერი	<table style="border-collapse: collapse;"> <tr><td style="padding: 2px 10px;">+კონსონან.</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">-ვოკალური</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">-დიფუზური</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">+დაბალი ტონ.</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">+ბემოლური</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">+მეყსეული</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">+გლოტალ.</td></tr> </table>	+კონსონან.	-ვოკალური	-დიფუზური	+დაბალი ტონ.	+ბემოლური	+მეყსეული	+გლოტალ.
+მეყსეული																					
+ძძაფრი																					
+გლოტალ.																					
[-მეყსეული]																					
+კონსონან.																					
-ვოკალური																					
-დიფუზური																					
-დაბალი ტონ.																					
-მჟღერი																					
+კონსონან.																					
-ვოკალური																					
-დიფუზური																					
+დაბალი ტონ.																					
+ბემოლური																					
+მეყსეული																					
+გლოტალ.																					


ნიშნები [+მეყსეული, +ძძაფრი, +გლოტალიზებული] „გარემოცვის“ პირველ სვეტში წარმოდგენილ ნიშნებთან ერთად ქმნიან დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობას, დამახასიათებელს /*ჭ*/ ფონემისათვის. [+მეყსეული, +ძძაფრი, +გლოტალიზებული] ნიშნები ამ ერთობლიობაში უნდა შეიცვალოს ნიშნით [-მეყსეული], რაც გვაძლევს დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობას, დამახასიათებელს /*შ*/ ფონემისათვის. მომდევნო სვეტში წარმოდგენილია სვანური /*ყ*/ ფონემისათვის დამახასიათებელი დიფერენციალური ნიშნები.

(5) პრე-სვან. /*\*ჯ*/ → სვან. /*ჟ*/:


<table style="border-collapse: collapse;"> <tr><td style="padding: 2px 10px;">+მეყსეული</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">+ძძაფრი</td></tr> </table>	+მეყსეული	+ძძაფრი	→	<table style="border-collapse: collapse;"> <tr><td style="padding: 2px 10px;">[-მეყსეული]</td></tr> </table>	[-მეყსეული]	გარემ.	<table style="border-collapse: collapse;"> <tr><td style="padding: 2px 10px;">+კონსონანტური</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">-ვოკალური</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">-დიფუზური</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">-დაბალი ტონალობის</td></tr> <tr><td style="padding: 2px 10px;">+მჟღერი</td></tr> </table>	+კონსონანტური	-ვოკალური	-დიფუზური	-დაბალი ტონალობის	+მჟღერი
+მეყსეული												
+ძძაფრი												
[-მეყსეული]												
+კონსონანტური												
-ვოკალური												
-დიფუზური												
-დაბალი ტონალობის												
+მჟღერი												

ე. ი. ნიშნები [+მეყსეული, +ძძაფრი] გარემოცვაში [+კონსონანტური, -ვოკალური, -დიფუზური, -დაბალი ტონალობის, +მჟღერი], რაც ქმნის /*ჯ*/ ფონემისათვის დამახასიათებელ დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობას, უნდა შეიცვალოს [-მეყსეული] ნიშნით, რომელიც ზემოთ დასახელებულ ნიშნებთან ერთად ახასიათებს სვანურში ფონემურ ერთეულს, გამოხატულს შემოკლებით /*ჟ*/ სიმბოლოთი.

(6) პრე-სვან. /\*ჩ/ → სვან. /შ/:




(5) და (6) წესები შეიძლება საერთო (5<sup>1</sup>) წესის სახით ჩამოვაყალიბოთ:



მაგრამ (5<sup>1</sup>) წესი არ შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ არამჟღერი (ინტენსიური) აფრიკატი გარდაიქმნება არამჟღერ სპირანტად, ხოლო მჟღერი (არაინტენსიური) აფრიკატი შესაბამისად მჟღერ სპირანტად. ეს წესი გვეუბნება საზოგადოდ, რომ არაგლოტალიზებული აფრიკატი გარდაიქმნება შიშინა სპირანტად, საპირისპიროდ გლოტალიზებული აფრიკატისა, რომლის გარდაქმნა (7) წესით ხასიათდება:

(7) პრე-სვან. /\*ჭ/ → სვან. /ჰ/:



ნიშნები [+კონსონანტური, -დიფუზური, -დაბალი ტონალობის, -მჟღერი, +მეყსეული, +მძაფრი, +გლოტალიზებული] [-ვოკალური] ნიშანთან „ვერტიკალურ მიმდევრობაში“ ქმნიან გლოტალიზებული აფრიკატი ფონემისათვის დამახასიათებელ ნიშანთა კონას, რომელიც შემოკლებით /ჟ/ სიმბოლოთი გამოიხატება.

დიფერენციალურ ნიშანთა ამ ერთობლიობის შეცვლა [-კონსონანტური] ნიშნით გვაძლევს [-კონსონანტური, -ვოკალური] ნიშანთა კონას, რომელიც წარმოადგენს /ჟ/ ფონემას (იხ. ფონემათა იდენტიფიკაციის მატრიცი).

(8) სვან. /გ V/ → /ჯ/:

$\begin{bmatrix} -\text{მძაფრი} \\ +\text{დაბ. ტონ.} \end{bmatrix}$	→	$\begin{bmatrix} +\text{მძაფრი} \\ -\text{დაბ. ტონ.} \end{bmatrix}$	გარემ.	$\begin{bmatrix} +\text{კონსონან.} \\ -\text{ვოკალური} \\ -\text{დიფუზური} \\ +\text{მეყსეული} \\ +\text{მჟღერი} \end{bmatrix}$	$\begin{bmatrix} -\text{კონსონან.} \\ +\text{ვოკალური} \\ -\text{დაბ. ტონ.} \end{bmatrix}$
---	---	---	--------	---	--


წესი (8) გულისხმობს /გ/ ფონემის შენაცვლებას /ჯ/ აფრიკატით პალატალური (წინა რიგის) V<sub>i</sub> ხმოვნის წინამავალ პოზიციაში.

[-მძაფრი, +დაბალი ტონალობის] დიფერენციალური ნიშნები „გარემოცვის“ პირველი სვეტის დიფერენციალურ ნიშნებთან ერთად (ე. ი. ამ ნიშნებთან „ვერტიკალურ მიმდევრობაში“) ქმნიან სვან. /გ/ ფონემისათვის დამახასიათებელ დიფერენციალურ ნიშანთა კონას. [-მძაფრი, +დაბალი ტონალობის] ნიშნების შენაცვლება [+მძაფრი, -დაბალი ტონალობის] ნიშნებით გვაძლევს დიფერენციალურ ნიშანთა კონას, რომელიც წარმოადგენს სვან. /ჯ/ ფონემას (იხ. ფონემათა იდენტიფიკაციის მატრიცი).


„გარემოცვის“ მეორე სვეტში წარმოდგენილია მინიმალური ნიშნები [-კონსონანტური, +ვოკალური, -დაბალი ტონალობის], დამახასიათებელი სვანური წინა რიგის (პალატალური) ხმოვნებისათვის.

ანალოგიური ხასიათისაა მომდევნო, (9) და (10) წესები:

(9) სვან. /ქ V:/ → /ჩ/:



(10) სვან. /კ V:/ → /ჭ/:



წესები (8), (9) და (10) გვიხასიათებს წინაველარულ /გ ქ კ/ თანხმოვანთა ასიბილაციის პროცესს სვანურში წინა რიგის (პალატალურ) /წ ო ჟ ი ე/ ხმოვანთა წინამავალ პოზიციაში.

„გადაწერის წესებში“ არ შედის ცალკე ოპერაციის სახით წესი: პრე-სვან. /\*ჯღ/ → სვან. /ჟღ/ [შდრ. წესები (3) და (4)], რამდენადაც /\*ჯღ/ ფონემის დეზაფრიკატიზაცია პარმონიულ ჯგუფში (ისევე როგორც სხვა ფონემებთან კომბინაციაში) აღიწერება სრულად (5) წესით გათვალისწინებული ოპერაციით.

4.6. ზემოთ ფორმულირებული „გადაწერის წესები“ წარმოდგენილი იყო გარკვეული თანმიმდევრობით, რომლის დაცვა აუცილებელია, რათა განხორციელდეს ფონემურ გარდაქმნათა ამ წესებით ნაგულისხმევი ოპერაციები, რომელთა შედეგად საერთო-ქართველური და პრე-სვანური ფონემური ერთეულებისაგან (resp. დიფერენციალურ ნიშანთა კონებისაგან) ისტორიულ სვანურში დადასტურებულ ფონემურ ერთეულებს (resp. შესატყვის დიფერენციალურ

ნიშანთა კონებს) ვიღებთ (ან, უფრო ზუსტად, რომელთაც ს-ქართვ. და პრე-სვანური ერთეულებიდან ისტორიულ სვანურ ფონემურ ერთეულებზე გადაყვავართ). ასე, მაგალითად, (2), (3) და (4) წესების განხორციელება აუცილებლობით წინ უნდა უსწრებდეს (5), (6) და (7) წესების განხორციელებას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში [თუ, დაეუშვათ, წესები (5), (6) და (7) განხორციელდა (2), (3) ან (4) წესების განხორციელებამდე] „გადაწერის წესები“ ვერ აღგვიწერს ისეთ ფონემურ გარდაქმნებს სვანურში, როგორცაა

პრე-სვან.  $\left\{ \begin{array}{l} *ჟ, *ჩ, *ჭ+S \\ S+*ჟ, *ჩ, *ჭ \end{array} \right\} \rightarrow$  სვან. /ჟ, ჩ, ჭ/; პრე-სვან. /ჩხ/  $\rightarrow$  სვან.

/ჩხ/; პრე-სვან. /\*ჭყ/  $\rightarrow$  სვან. /შყ/ (ასეთ შემთხვევაში წესები (2), (3) და (4) „ზედმეტი“ იქნებოდა და ზემოთ განხილული ფონემური გარდაქმნები სვანურში მიიღებდა სახეს:

პრე-სვან.  $\left\{ \begin{array}{l} *ჟ, *ჩ, *ჭ+S \\ S+*ჟ, *ჩ, *ჭ \end{array} \right\} \rightarrow$  სვან.  $\left\{ \begin{array}{l} შ, შ, ჰ+S \\ S+შ, შ, ჰ \end{array} \right\}$ ; პრე-სვან. /ჩხ/  $\rightarrow$  სვან.

/შხ/; პრე-სვან. /\*ჭყ/  $\rightarrow$  სვან. /ჰყ/, რაც ეწინააღმდეგება სვანურში დადასტურებულ ფაქტობრივ ვითარებას.

ასევე, წესები (8), (9) და (10) უნდა განხორციელდეს (5), (6) და (7) წესების შემდეგ, რათა წინაველარულ /გ ქ კ ხშულთა ასიბილაციის გზით მიღებული /ჯ ჩ ჭ/ აფრიკატები სვანურში არ გარდაიქმნას შესაბამისად /ჟ შ ჰ/ სპირანტებად, რასაც (5), (6) და (7) წესებით გათვალისწინებული ოპერაციები გულისხმობს.

მეორეს მხრივ, წარმოდგენილ „გადაწერის წესებში“ არის ოპერაციები, რომელთა განხორციელების რიგი (თანმიმდევრობა) ფაქულტატურია. ასე, მაგალითად, წესები (2), (3) და (4) ინდიფერენტულია მათი თანმიმდევრობის თვალსაზრისით; წესი (4) შეიძლება განხორციელდეს (2) და (3) წესების წინ, ან წესი (3) ჩვენი სიის (2) წესამდე. ამით არ დაირღვევა ნავარაუდევ ფონემურ გარდაქმნათა საერთო სურათი სვანურში, რომელთა შედეგად პრე-სვანურ ფონემურ ერთეულთა (სახელდობრ, /\*ჯ \*ჩ \*ჭ/ აფრიკატების) ისტორიულად დადასტურებული რეფლექსები უნდა მიგვედო. ასეთივე ფაქულტატური ხასიათისაა ერთმანეთის მიმართ თანმიმდევრობის თვალსაზრისით წესები (5), (6), (7) და წესები (8), (9), (10); მათი ერთმანეთში გადასმა არ არღვევს ოპერაციათა განხორციელების საერთო კანონზომიერებას.

4.7. ფონემურ გარდაქმნათა „გადაწერის წესების“ სახით წარმოდგენილი ოპერაციების რიგი (თანმიმდევრობა) განისაზღვრებოდა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ აღნიშნულ ოპერაციათა განხორციელებას მოცემული თანმიმდევრობით, ერთიმეორის მიყოლებით, წარმოექმნა საბოლოო ანგარიშში ისტორიული სვანურის ფონემური ერთეულები (resp. დიფერენციალურ ნიშანთა შესაბამისი კონები), მომდინარე გარკვეული ფონემური არქეტიპებისაგან (ჩვენს შემთხვევაში, პრე-სვანური ფონემური ერთეულებისაგან); ამავე დროს ივარაუდება, რომ წარმოდგენილი წესები და მათი განხორციელების თანმიმდევრობა ოპტიმალურია სიმარტივის თვალსაზრისით; ე. ი. ოპერაციათა რაოდენობა მინიმალურია და მათი განხორციელების რიგი ყველაზე ეკონომიური საბოლოო შედეგის (დიფერენციალურ ნიშანთა გარკვეული კონების) მისაღებად. ეს არის ერთგვარი აღგორითში „წარმომშობი მოწყობილობისა“, „მანქანის“, რომლის შესასვლელზეა პრე-სვანური ფონემური ერთეულები დიფერენციალურ ნიშანთა კონების სახით და რომელიც მინიმალური რაოდენობა ოპერაციების განხორციელების შედეგად გამოსასვლელზე ისტორიული ხანის სვანურისათვის დამახასიათებელ დიფერენციალურ ნიშანთა შესაბამის კონებს წარმოშობს.

4.8. ამ თვალსაზრისით შემოღებული „გადაწერის წესები“ და მათი განხორციელების რიგი, დამყარებული ფონემურ გარდაქმნათა აღწერის სიმარტივის კრიტერიუმზე, ერთს განსაკუთრებულ თვისებას ამჟღავნებს მათი შედარებისას სვანურში ისტორიულად მომხდარ ფონემურ ცვლილებათა რელატიურ ქრონოლოგიასთან: „გადაწერის წესების“ სახით წარმოდგენილ განსახორციელებელ ოპერაციათა სინქრონიული რიგი (თანმიმდევრობა) ასახავს არსებითად სვანურ ფონოლოგიურ სისტემაში ისტორიულად მომხდარ შესაბამის ფონემურ გარდაქმნათა თანმიმდევრობას დროში.

მართლაც, პრე-სვანურ /\*ჯ/, /\*ჩ/ და /\*ჭ/ ფონემათა დეზაფრიკატიზაციის პროცესი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა სვანურში პრეველარული /გ ქ კ/ ხშულების ასიბილაციას [შდრ. წესები (5), (6), (7) და წესები (8), (9), (10)].

პარმონიულ /\*ჯღ/ და /\*ჭყ/ ჯგუფებში პრე-სვანური /\*ჯ/ და /\*ჭ/ აფრიკატები ძალიან ადრეულ პერიოდში (შესაძლებელია, უკვე პრე-სვანურში) განიცდიან სპირანტიზაციას და შესაბამის /\*ჟ/ და /\*შ/ სპირანტებს ერწყმიან: /\*ჯღ/ → /ჟღ/, /\*ჭყ/ → /შყ/. როგორც ჩანს, პრე-სვანური /\*ჯ/ და /\*ჭ/ აფრიკატების სპირანტიზაცია /\*ჯღ/ და

/\*ჳყ/ ჯგუფებში უნდა მომხდარიყო უფრო ადრე, ვიდრე მათი (და აგრეთვე /\*ჩ/ აფრიკატის) სპირანტიზაცია დანარჩენ პოზიციებში [შდრ. წესები (4) (5<sup>1</sup>)].

ამისგან განსხვავებით, ის ფონემური ცვლილებები სვანურში, რომლებიც ერთდროულად უნდა მომხდარიყო, რომელთა თანადროული განხორციელება უნდა ვივარაუდოთ სვანურ ფონოლოგიურ სისტემაში<sup>1</sup>, გამოიხატა ჩვენს „გადაწერის წესებში“ ისეთი ოპერაციების სახით, რომელნიც ფაკულტატურნი არიან მათი განხორციელების თანმიმდევრობის თვალსაზრისით [შდრ. წესები (2), (3), (4); წესები (5), (6), (7); წესები (8), (9), (10)]. გარკვეული წესების ინდიფერენტობა თანმიმდევრობის თვალსაზრისით შეესაბამება ამ წესებით ნავარაუდევ ფონემურ ცვლილებათა (დიაქრონიული ფონოლოგიური პროცესების) თანადროულობას სვანურ ფონოლოგიურ სისტემაში.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი „გადაწერის წესების“ თანმიმდევრობა, რომელიც განისაზღვრებოდა განსახორციელებელ ოპერაციათა სიმარტივით და ეკონომიურობით, გარკვეული აზრით ასახავს აღწერილ ფონოლოგიურ ცვლილებათა რელატიურ ქრონოლოგიას სვანურში.

ამით ერთგვარი შესაბამისობა მყარდება ენის ფონემურ გარდაქმნათა აღმწერი „გადაწერის წესების“ რიგსა (თანმიმდევრობასა) და ენობრივ სისტემაში მომხდარ ფონემურ გარდაქმნათა რელატიურ ქრონოლოგიას (ე. ი. მათს დროში არსებულ თანმიმდევრობას) შორის. სიმარტივისა და ეკონომიურობის კრიტერიუმის მიხედვით დალაგებული „გადაწერის წესები“ ასახავენ ენის ფონემურ გარდაქმნათა თანმიმდევრობას დროში. „გადაწერის წესებისათვის“ დადგენილი რიგის მიხედვით შეიძლება აღდგენილ იქნას აღსაწერ ფონოლოგიურ ცვლილებათა ისტორიული თანმიმდევრობა.



<sup>1</sup> თანადროულ ფონემურ ცვლილებებზე სვანურში უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, პრე-სვანური /\*ჯ ჩჳ/ აფრიკატების სპირანტიზაცია სათანადო პირობებში (ამათგან /\*ჳ/ აფრიკატის სპირანტიზაციის პროცესი /\*ჳ/→/ჳ/ უფრო დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო /\*ჯ/ და /\*ჩ/ ფონემათა სპირანტიზაციასთან შედარებით); პრე-სვანური /\*ჯ/ და /\*ჳ/ ფონემათა დეზაფრიკატიზაცია ჰარმონიულ /\*ჯლ/ და /\*ჳყ/ ჯგუფებში; სვანურ პრეველარულ /გ ქ კ/ ზშულთა ასიბილაცია და შესაბამის /ჯ ჩ ჳ/ აფრიკატებში გადასვლა და სხვა.

სიტყვა-ზოგადი საძიებელი

სვანური	მიშგუ 98	ბეჰა 106
აშიხ 100	მეშკიდ 99	ხომსყირი 97
აჯტიხ 107 <sub>1</sub>	მეჩხიმ 105	ხოჟღუნე 104
აჰოდ 106	მეძიდ 97	ხოშა 100
ადტიხ 107 <sub>1</sub>	ნაშყუ 105	ჯარღუ 100 <sub>3</sub> , 108 <sub>1</sub>
ანსი 97	ნაცმუნ 97	ჯიმილ 100
ანში 100	ოთჟაგა 100	ჯიჯუ 100
ანჭი 101	ონჯაბ 104	ჯუმილ 100
ანრი 106	ჟაგ-ჟგ- 100	ჯუშა 100
ანცხუნე 107 <sub>1</sub>	ჟელ 100	ჯუინელ 100
განჭუ 101	ჟიშხე 105	ჯემილ 100
გუშგუე 98	ცანუ 97	ჰადუ 106
დეც 97	ცხა 97	ჰამ 106
ეჯა 103	ღუაშ 100	ჰებ 106
ზესხრა 97	ჩანხ 105	ჰოდ- 106
ზისყ 97, 104 <sub>1</sub>	ჩეჩხ 105	
იხო 104	ჩიჟე 102 <sub>2</sub>	
ღარე 107 <sub>1</sub>	ჩოშ- 100 <sub>3</sub>	
ღაცხნორ 98	ჩუ 104	
ღერსგუენ 98	ჩხარა 105	
ლიგძენე 97	შიხ 100	
ლიჟგენი 100	შყანუ 105	
ლირში 100	წიფრა 97	
ლირჩხენე 105	ჭანუ 100, 104, 109 <sub>2</sub> , 111 <sub>1</sub>	
ლიშყედ 104	ჭემ 108 <sub>1</sub>	
ლიცუი 97	ჭითხ 101, 102 <sub>1</sub> , 109 <sub>2</sub>	
ლიცხენე 98	ჭიშხ 104, 105, 111 <sub>1</sub>	
ლიჰი 106	ჭუნდ 104, 109 <sub>2</sub>	
ლჯჯე 101	ჭუშ 101	
მაშან 100	ხანგე 107 <sub>1</sub>	
მაშენ 100	ხასყა 97	
მერ 107, 108, 109 <sub>1</sub>	ხაჟღი 106	
მეჩი 101, 103 <sub>1</sub>	ხეშან 100	
		<b>ქართული</b>
		ანწლი 101
		აღმოცენება 100
		აცვამს 97
		აწოდებს 106
		აწყობს 97
		აჭმევს 107 <sub>1</sub>
		ბარტყი 102 <sub>1</sub>
		ბლარტი 102 <sub>1</sub>
		გბოლვა 104
		გრძელი 97
		გრწყილი 97, 104 <sub>1</sub>
		ეგე 103
		ეწევა 106
		ვაცი 100
		იქმს 104
		კაცი 100, 104, 109 <sub>2</sub> , 111 <sub>1</sub>

კედელი 104, 109<sub>2</sub>  
 კუარცხლბერკი  
 104  
 მარჯუნე 98  
 მიაწოდა 106  
 მიუძღუნა 104  
 მკუირცხე 107<sub>1</sub>  
 მკვრცხელი 104, 105,  
 111<sub>1</sub>  
 მძაღე 97  
 მცენარე 100  
 მწერი 107  
 მწყერი 105  
 მჭედელი 99  
 მჭცე 101  
 ნერწყვი 105  
 რეცვა 100  
 რცხა 105  
 სავარცხელი 98  
 საჭრელი 107<sub>1</sub>  
 სიძე 102<sub>2</sub>  
 სიცხე 100  
 სძე 101  
 უწყის 97  
 ფრცხილი 98  
 ქუე 104  
 ჩანს 100  
 ჩემი 98  
 ჩენი 98  
 ცა 97  
 ცაცხვი 97  
 ციცხვი 105  
 ცმელი 87  
 ცოლი 100<sub>3</sub>  
 ცოცხი 105

ცხელი 100  
 ცხიმი 105  
 ცხრა 105  
 ძაგება 100  
 ძაღლი 100  
 ძმა 101  
 ძუ 101  
 ძუალი 101  
 ძუელი 101  
 წაბლი 106  
 წადილი 106  
 წამალი 108<sub>1</sub>  
 წერს 106  
 წიფელი 97  
 წოდ- 106  
 წუავს 101  
 წული 101  
 წერთა 101  
 წყუედა 104  
 ხუცესი 100

**მეგრულ-ჭანური**

ბირცხა 98  
 ბოჩი 100  
 ბუა 101  
 ბუცხა 98  
 გეცუნაფა 97  
 გირძე 97  
 გოკუცხე 107<sub>1</sub>  
 გორჩხე 105  
 დოჭვი 101  
 დუცხე 97

ინჭირი 101  
 იქომს 103  
 იქუნს 103  
 იჩანენ 100  
 იჭვენ 101  
 კიდალა 104, 109<sub>2</sub>  
 კოდა 104, 109<sub>2</sub>  
 კოჩი 100, 104,  
 109<sub>2</sub>, 111<sub>1</sub>  
 კუნხე 104, 105, 111<sub>1</sub>  
 კუნხი 104, 105, 111<sub>1</sub>  
 ლემჭკვა 105  
 ლერჭყვა 105  
 მარბგვანი 98  
 მეჭკუადერი 104  
 მოგინჯლონუ 104  
 მწკირი 97, 104<sub>1</sub>  
 მჭაჯი 107  
 მჯა 101  
 მჯვეში 101  
 ნორჩალი 100  
 წჯუგ- 100  
 ოგუბუ 104  
 ონწყუნს 97  
 ორცხონჯი 98  
 ორწყენ 97  
 ოჩი 100  
 ოჩხუ 105  
 ოცხოჯი 98  
 ოწყენ 98  
 რჩაფა 100  
 რჭემი 108<sub>1</sub>  
 სინჯა 102<sub>2</sub>  
 უჩაში 100  
 ქიმეუჯლონუ 104

ქო 104	ციმუ 97	ჭუმე 106
ჩე 101	წიფური 97	ჭყადილი 104
ჩილი 100 <sub>3</sub>	წყირი 97, 104 <sub>1</sub>	ჭყირთა 101
ჩქიმი 98	ჭამი 108 <sub>1</sub>	ჭყორი 105
ჩქინი 98	ჭანჯი 107	ხჩე 101
ჩქუნი 98	ჭარუმს 106	ჯვეში 11
ჩხე 100	ჭაფა 106	ჯიმა 101
ჩხომი 105	ჭკადუ 99	ჯოგ- 100
ჩხორო 105	ჭუბური 106	ჯოდორი 100
ცა 97	ჭუმანი 106	ჯუმა 101



## ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“\*

1 ენობრივი სისტემა წარმოადგენს ორი ძირითადი დონისაგან შემდგარ ოდენობას – შინაარსისა და გამოხატულების პლანისაგან, ანუ ლოგიკურ-სემანტიკური და გრამატიკული დონისაგან, რომელთა შორის გარკვეული შესაბამისობა არსებობს: სემანტიკური დონის ერთეულები გამოიხატება ამა თუ იმ წესის საშუალებით გრამატიკულ დონეზე, გრამატიკული დონის ერთეულებით – მორფოლოგიური ელემენტებით თუ სინტაქსური საშუალებებით.

შინაარსის პლანის, ანუ ენის ლოგიკურ-სემანტიკური დონის ისეთი ერთეულები, როგორცაა პრედიკატი P, სუბიექტი S, ობიექტი O, ანუ მოქმედების, მდგომარეობისა თუ თვისების (უფრო ზოგადად: პროცესის ან სიტუაციის) გამომხატველი და ამ პროცესის ან სიტუაციის მონაწილე ოდენობები – სუბიექტი და ობიექტი – უნივერსალური კატეგორიებია, რომლებიც რაღაც სახით, სხვადასხვა გრამატიკული საშუალებებით გამოხატულია ნებისმიერ ენობრივ სისტემაში. ენები განსხვავდება ერთმანეთისაგან არა ამ კატეგორიათა არსებობა-არარსებობით, არამედ ამ უნივერსალურ ლოგიკურ-სემანტიკურ კატეგორიათა განსხვავებული გამოხატვით გარკვეული მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური საშუალებებით. მაშასადამე, განსხვავებები ამ თვალსაზრისით ენებს შორის შეეხება ენათა ე. წ. „ზედაპირულ სტრუქტურებს“ და არა „სიღრმისეულ სტრუქტურებს“, რომლებიც ზოგადობით და უნივერსალობით ხასიათდებიან.

სუბიექტი S და ობიექტი O, როგორც სიტუაციის ან პროცესის მონაწილენი, წარმოდგენილია ყველა ენის შინაარსეულ სისტემაში.

ობიექტი, როგორც სემანტიკური კატეგორია, შესაძლებელია დიფერენცირებულ იქნეს როგორც „პირდაპირი ობიექტი“ O<sup>d</sup>, ანუ ობიექტი, რომელზედაც უშუალოდ გადადის სუბიექტის – Agents'-ის მიერ ჩადენილი მოქმედება, ან რომელიც ამ მოქმედების შედეგს წარ-

\* პირველად გამოქვეყნდა 1979 წელს: თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“: «საენათმეცნიერო კრებული». გივი შაქავარიანის ხსოვნას: «მეცნიერება», თბილისი, 1979, გვ. 33-51.

მოადგენს, და „ირიბი ობიექტი“  $O^{ind}$ , ანუ ობიექტი, რომელიც სხვადასხვა როლს ასრულებს პროცესსა ან სიტუაციაში და შესაძლებელია დახასიათდეს როგორც ადრესატი<sup>1</sup>  $C^A$ , დესიგნატი<sup>2</sup>  $O^D$ , ექსექუტორი<sup>3</sup>  $O^{Exs}$ , ლოკატიური ობიექტი<sup>4</sup>  $O^L$  და სხვ.<sup>5</sup>

2. აღნიშნული სემანტიკური ერთეულები გამოიხატება ენის გრამატიკულ სტრუქტურაში ზმნა-პრედიკატთან დაკავშირებული სახელების თუ ნაცვალსახელების საშუალებით, რომელთაც შესაძლებელია გარკვეული მორფოლოგიური გაფორმება ჰქონდეთ (სპეციფიკურ ბრუნვის ნიშანთა სახით).

ამგვარად, ენის ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურის ყოველ სემანტიკურ ერთეულს შეესაბამება ენის გამოხატულების პლანის, ენის გრამატიკული სტრუქტურის გარკვეული ერთეული; სემანტიკური ერთეულები გამოხატულების პლანში შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულებით არის წარმოდგენილი; ლოგიკურ-სემანტიკური სუბიექტი  $S$  და პირდაპირი  $O^d$  და ირიბი ობიექტი  $O^{ind}$  წარმოდგენილია ენის გამოხატულების პლანში შესაბამისად გრამატიკული სუბიექტით  $\{S\}$  (ანუ „ქვემდებარით“) და გრამატიკული პირდაპირი  $\{O^d\}$  და ირიბი ობიექტით  $\{O^{ind}\}$  (ანუ პირდაპირი და ირიბი „დამატებით“). სემანტიკურ ერთეულთა ეს შესატყვისი გრამატიკული  $\{S\}$ ,  $\{O^d\}$  და  $\{O^{ind}\}$  ერთეულები მორფოლოგიურად სახელს ან ნაცვალსახელს წარმოადგენენ.

გარკვეულ შემთხვევებში პირველადი შესაბამისობა ენის ლოგიკურ-სემანტიკური და გრამატიკული დონის ერთეულებს შორის შეიძლება დაირღვეს და „პირდაპირი შესაბამისობის“ ნაცვლად:  $S \rightarrow \{S\}$ ,  $O \rightarrow \{O\}$ , რაც დამახასიათებელია „სიღრმისეული სტრუქტურ“

<sup>1</sup> ირიბი ობიექტის ეს სემანტიკური ფუნქცია გამოხატულია ისეთ ქართულ წინადადებაში, როგორიცაა, მაგალითად, „ბავშვი წერილს სწერს მ ა მ ა ს“.

<sup>2</sup> შდრ. „დედა წერილს უწერს ბ ა ვ შ ვ ს“.

<sup>3</sup> შდრ. „დედა წერილს აწერინებს ბ ა ვ შ ვ ს“.

<sup>4</sup> შდრ. „დედა ქუდს ახურავს ბ ა ვ შ ვ ს“.

<sup>5</sup> შესაძლებელია გამოიყოს ირიბი ობიექტის, როგორც უნივერსალური სემანტიკური კატეგორიის, კიდევ უფრო მეტი სახეობა. სემანტიკურ კატეგორიათა ამგვარი ზოგადი კლასიფიკაცია უნივერსალური გრამატიკის ამოცანაა, რომელიც შეისწავლის ზოგად სემანტიკურ კატეგორიებს და მათ გამოვლენას ენის „სიღრმისეულ სტრუქტურაში“.

რისათვის“, გარკვეული გარდაქმნების შედეგად ენის „ხედაპირულ სტრუქტურაში“ განსხვავებული სახის შესაბამისობას ვიღებთ (მაგალითად, „შებრუნებულ შესაბამისობას“:  $S \rightarrow \{O\}$ ,  $O \rightarrow \{S\}$ ; შდრ. „ინვერსიული წყობა“, „პასიური კონსტრუქცია“ და სხვ.)<sup>6</sup>.

3. სახელთან და ნაცვალსახელთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ ენის სემანტიკური დონის ერთეულთა – სუბიექტისა და ობიექტის – რეპრეზენტანტებს გრამატიკულ დონეზე, დგება საკითხი პირის კატეგორიისა და ამ კატეგორიის გამოხატვის შესახებ ენობრივ სისტემაში.

პირის კატეგორია ერთ-ერთი უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც სხვადასხვა სახით გამოხატულებას პოუვებს ენობრივ სისტემაში. იგი უშუალოდ გამომდინარეობს ენობრივი კომუნიკაციის აქტიდან და აღნიშნავს ამ აქტის მონაწილეთა დამოკიდებულებას ენობრივი კომუნიკაციისადმი.

ენობრივი კომუნიკაციის აქტი გულისხმობს „მეტყველს“, ანუ სამეტყველო აქტის ავტორს, „მსმენელს“, სამეტყველო აქტის ადრესატს, და რაღაც მესამე ოდენობას, რასაც შეეხება სამეტყველო კომუნიკაცია, მაგრამ რაც არ იღებს მასში უშუალო მონაწილეობას როგორც „მეტყველი“ ან „მსმენელი“. ჩვეულებრივ ეს სამი ოდენობა სამეტყველო კომუნიკაციისა ხასიათდება შესაბამისად როგორც პირველი, მეორე და მესამე პირი, რაც ბერძნული გრამატიკული ტრადიციიდან მომდინარეობს: შდრ.  $\pi\rho\tau\sigma\alpha\upsilon\upsilon$   $\pi\rho\acute{\alpha}\tau\upsilon\varsigma$ ,  $\delta\epsilon\acute{\upsilon}\tau\epsilon\rho\upsilon\varsigma$ ,  $\tau\epsilon\tau\iota\sigma\upsilon$ . სემანტიკურად დაპირისპირებულ სამ ოდენობას, სამ „პირს“ შორის რთული ბინარული კორელაციები არსებობს, რომლებიც ერთმანეთს ფარავენ. ერთი მხრივ, „მეტყველი“, ანუ პირველი, „ჩემუელი“ პირი, ეგდ უპირისპირდება იმას, რაც „ჩემს“ გარეშეა – კორელაცია სუბიექტურისა და არასუბიექტურის; ხოლო, მეორე მხრივ, „მეტყველი“ და „მსმენელი“, პირველი და მეორე, ანუ „ჩე-

<sup>6</sup> შდრ. მაგალითად, ქართულში: (1) კაცი დათვს კლავს და (2) კაცს დათვი მოუკლავს, სადაც (1) წინადადებაში წარმოდგენილია სემანტიკურ-გრამატიკულ ელემენტთა „პირდაპირი შესაბამისობა“:

S O P  
↓ ↓ ↓  
{S} {O} {P}

ხოლო (2) წინადადება, სადაც „შებრუნებული შესაბამისობა“ გვაქვს, არის შედეგი „ინვერსიული ტრანსფორმაციისა“.

მეული“ და „შენეული“ პირი უპირისპირდება იმას, რაც არც „მეტყველია“ და არც „მსმენელი“ – კორელაცია პერსონალურისა და არაპერსონალურის.

პირის კატეგორია, როგორც უნივერსალური სემანტიკური კატეგორია, გამოიხატება ენობრივ სისტემაში სპეციფიკური ნაცვალსახელების სახით, რომლებიც განარჩევენ მინიმუმ სამ ფორმას – პირველი, მეორე და მესამე პირისა – შესაბამისად სამეტყველო კომუნიკაციით შეპირობებული სამი ოდენობისა.

პირის კატეგორია ურთიერთკავშირშია სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიასთან იმ აზრით, რომ ეს კატეგორიები ენის სემანტიკურ დონეზე არ ვლინდება ცალ-ცალკე და ყოველთვის ერთმანეთთან კომბინაციაშია მოცემული. არ არსებობს საზოგადოდ  $S$  სუბიექტი ან  $O$  ობიექტი, არამედ პირის კატეგორიის თვალსაზრისით განსაზღვრული სუბიექტი –  $S_1, S_2, S_3$  – და ობიექტი –  $O_1, O_2, O_3$ . ამ კატეგორიათა გამომხატველი ოდენობები ენის გრამატიკულ დონეზე – შესაბამისად  $\{S_1\}, \{S_2\}, \{S_3\}$  და  $\{O_1\}, \{O_2\}, \{O_3\}$  საკუთრივ სახელებს ან ნაცვალსახელებს წარმოადგენენ. კერძოდ,  $\{S_1\}, \{S_2\}$  და  $\{O_1\}, \{O_2\}$  ყოველთვის ნაცვალსახელებია, ხოლო  $\{S_3\}$  და  $\{O_3\}$ , ნაცვალსახელთან ერთად, შესაძლებელია საკუთრივ სახელის სახით იყოს გამოხატული. ამგვარად, სახელი შესაძლებელია მხოლოდ  $S_3$  და  $O_3$  სემანტიკურ ოდენობებს წარმოგვიდგენდეს ენის გამოხატულების სტრუქტურაში, მაშინ როდესაც  $S_1, S_2$  და  $O_1, O_2$  სემანტიკური კატეგორიები მხოლოდ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა სახით გამოიხატება.

4. სუბიექტისა და ობიექტის სხვადასხვა სახეობათა აღმნიშვნელი სახელები ან ნაცვალსახელები გარკვეული ფორმით უკავშირდებიან პროცესის ან სიტუაციის გამომხატველ გრამატიკულ ერთეულს – ზმნა-შემასმენელს – და ქმნიან სინტაქსურ ერთიანობას, რომელსაც შეიძლება „წინადადების ბირთვი“ ეწოდოს. მაშასადამე, წინადადების ბირთვი განისაზღვრება როგორც ზმნური ფორმა მასთან გარკვეული წესით დაკავშირებული სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებით ან ნაცვალსახელებით. იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ზმნა, რა სემანტიკური შინაარსისა და სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველია იგი, ზმნური ფორმა შეიძლება წარმოგვიდგეს წინადადების ბირთვში უსახელოდ (ე. ი. მას სტრუქტურულად არავითარი სახელი არ შეეწყოს: შდრ.

ქართ. თოვს, წვიმს, ქუხს; ლათ. pluit და სხვ.), ან მას ერთი, ორი ან მეტი სახელი (resp. ნაცვალსახელი) დაუკავშირდეს, რითაც იქმნება სინტაქსური სტრუქტურული მთლიანობა, რასაც „წინადადების ბირთვი“ ეწოდება. წინადადების ბირთვი ამდენად შეიძლება განვიხილოთ როგორც ზმნური ფორმა, განსაზღვრული რაოდენობა ცარიელი სინტაქსური უჯრედებით, რომლებიც შესაძლებელია გარკვეული ფორმის სახელებით (resp. ნაცვალსახელებით) შეივსოს გრამატიკულად სწორი წინადადების მისაღებად.

წინადადების ბირთვის ცენტრალურ სინტაქსურ ელემენტად ამ თვალსაზრისით გვევლინება ზმნა-შემასმენელი, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით შეეწყობა სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი ოდენობები – სახელები ან ნაცვალსახელები.

ზმნური ფორმის უნარს შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა) ანუ „აქტანტების“ განსაზღვრული რაოდენობა შეიძლება ზმნის „ვალენტობა“ ეწოდოს (L. Tesnière). მაშასადამე, მოცემულ ზმნური ფორმის „სინტაქსური ვალენტობა“ განისაზღვრება წინადადების ბირთვში თავისუფალ უჯრედთა რაოდენობით. ამის მიხედვით ზმნა შეიძლება იყოს ნულვალენტიანი („თოვს“), ერთვალენტიანი („წვივს“), ორვალენტიანი („— — კლავს“), სამვალენტიანი („— — — სწერს“) და ა. შ.<sup>7</sup>

სინტაქსური უჯრედების რაოდენობა წინადადების ბირთვში განისაზღვრება ზმნური ფორმის სტრუქტურით: შდრ., მაგალითად, შემდეგი სტრუქტურის წინადადებები: ქართ. თოვს, — წვივს, — — კლავს, — — — სწერს; რუს. — иждѣт, — — нѣтъ, — — — даѣт და მისთ. აქტუალურად წარმოდგენილ გრამატიკულად სწორ წინადადებაში შეიძლება ყველა სინტაქსური უჯრედი შევსებულიც არ იყოს სათანადო სახელებით (resp. ნაცვალსახელებით). მაგრამ ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა ამგვარი სინტაქსური კონსტრუქციის „შევსებისა“ სრულ ბირთვამდე.

<sup>7</sup> ქართული ზმნა ვალენტობის თვალსაზრისით მოთავსდება დიაპაზონში 0...4, ე. ი. ზმნური ფორმა ქართულში შეიძლება იყოს როგორც უაქტანტო (შდრ. თოვს, წვიმს, ქუხს და სხვ. — ნულვალენტიანი ზმნები ქართულში, ისე როგორც სხვა ენებში, ძირითადად მეტეოროლოგიურ მოვლენებს გამოხატავს), ისე ერთ-, ორ-, სამ- და ოთხაქტანტიანი, ანუ მაქსიმალური რაოდენობა სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებისა (resp. ნაცვალსახელებისა), რომლებიც შეიძლება ზმნურ ფორმას შეეწყოს წინადადების ბირთვში, არის ოთხი.

5. სხვადასხვა ტრანსფორმაციული წესების შემოღებით შესაძლებელია აღიწეროს ენის სინტაქსურ კონსტრუქციათა გარდაქმნები ზმნური ფორმის ვალენტობის გარდაქმნისდა შესაბამისად. ასე, მაგალითად, ორვალენტიანი ზმნური ფორმა (ე. ი. ზმნური კონსტრუქცია ქვემდებარით და პირდაპირი დამატებით) ქართულში გარდაიქმნება სამვალენტიან ზმნურ კონსტრუქციად ზმნური ფორმის ტრანსფორმაციით კაუზატიური ან ვერსიის (სათავისო, სასხვისო ან საზედაო)<sup>8</sup> კატეგორიის მიხედვით:

$$(1) \begin{matrix} T_{caus.} \\ \{S\} \{O^d\} \end{matrix} V_{tr} \Rightarrow \begin{matrix} \text{მამა ბავშვს წერილს ა-წერ-ინ-ებს-ს} \\ \{S\} \{O^{Exs.}\} \{O^d\} \end{matrix} V_{caus.}$$

$$(2) \begin{matrix} T_{Vob.} \\ \{S\} \{O^D\} \end{matrix} V_{tr} \Rightarrow \begin{matrix} \text{მამა ბავშვს წერილს უ-წერ-ს} \\ \{S\} \{O^D\} \{O^d\} \end{matrix} V_{Vob.}$$

$$(3) \begin{matrix} T_{Vsup.} \\ \{S\} \{O^L\} \end{matrix} V_{tr} \Rightarrow \begin{matrix} \text{მამა წერილს მისამართს ა-წერ-ს} \\ \{S\} \{O^L\} \{O^d\} \end{matrix} V_{Vsup.}$$

სამვალენტიანი ზმნური ფორმა (ე. ი. ზმნური კონსტრუქცია ქვემდებარით და პირდაპირი და ირიბი დამატებით) ამავე ტრანსფორმაციებით გარდაიქმნება ოთხვალენტიან ზმნურ კონსტრუქციად ირიბი ობიექტის გამომხატველი სახელის ბრუნვის შეცვლით:

$$(1) \begin{matrix} T_{caus.} \\ \{S\} \{O^A\} \end{matrix} V_{tr} \Rightarrow (1)' \begin{matrix} \text{მამა დედას ბავშვთან} \\ \{S\} \{O^{Exs.}\} \{O^A\} \\ \text{წერილს ა-წერ-ინ-ებს-ს} \\ \{O^d\} \end{matrix} V_{caus.}$$

$$(2) \begin{matrix} T_{Vob.} \\ \{S\} \{O^D\} \end{matrix} V_{tr} \Rightarrow (2)' \begin{matrix} \text{მამა დედას ბავშვთან} \\ \{S\} \{O^D\} \{O^A\} \\ \text{წერილს უ-წერ-ს} \\ \{O^d\} \end{matrix} V_{Vob.}$$

<sup>8</sup> ქცევა და სიტუაცია როგორც ცალკეულ სტრუქტურაში ერთმანეთთან შეუთავსებელი კატეგორიები შეიძლება ერთი საერთო კატეგორიის ვარიანტებად მივიჩნიოთ და „ვერსიის“ კატეგორიაში გავავრთიანოთ: სუბიექტური, ობიექტური და საზედაო (სუპერესიული).

ამოსავალი კონსტრუქციის  $O^A$  კატეგორიის გამომხატველი ირი-  
ბი დამატება, რომელიც მიცემით ბრუნვაშია, ტრანსფორმირებულ  
(1)' და (2)' სინტაქსურ კონსტრუქციებში თანდებულებიან ბრუნვაში  
წარმოგვიდგება, ხოლო მიცემითი ბრუნვის ფორმას კონსტრუქციის  
დამატებითი წევრი იღებს. ტრანსფორმირებულ კონსტრუქციებში  
ირიბი ობიექტის გამომხატველი თანდებულბრუნვიანი სახელი, რო-  
მელიც ამოსავალი კონსტრუქციის შესაბამისი უთანდებულ მიცე-  
მითბრუნვიანი სახელის გარდაქმნას წარმოადგენს, წინადადების  
ბირთვის ისეთივე აქტანტად უნდა იქნეს განხილული, როგორც  
ამავე კონსტრუქციის ზმნურ ფორმასთან დაკავშირებული დანარ-  
ჩენი უთანდებულბრუნვიანი წევრები.

ამ თვალსაზრისით ინვერსიული ტრანსფორმაცია არ ცვლის  
ზმნური კონსტრუქციის ვალენტობას:

$$(3) \text{ მამა } \text{ბავშვს} \text{ წერილს } \text{სწერს} \xrightarrow{T_{inv.}} (3)' \text{ მამას } \text{ბავშვისთვის} \text{ წერილი} \\ \{S\} \quad \{O^A\} \quad \{O^d\} \quad V_{ur}^{III} \quad \text{მი-უ-წერ-ია}$$

ინვერსიული ტრანსფორმი (3)' ვედარ გარდაიქმნება ქცევის  
კატეგორიის მიხედვით (მსგავსად I და II სერიის ზმნური ფორმე-  
ბისა), რამდენადაც III სერიის ზმნური პარადიგმები წარმოშობით I  
სერიის სასხვისო ქცევის ფორმები უნდა იყოს (ე. ი. I სერიის ზმნურ  
პარადიგმათა სასხვისო ქცევის ტრანსფორმები), რომელთაც და-  
კარგეს ვერსიის გაგება და ახალი ფუნქციონალური შინაარსით  
დაიტვირთნენ. ამდენად, ინვერსიული ტრანსფორმაცია წარმოშო-  
ბით შეიძლება განვიხილოთ როგორც I სერიის ზმნურ კონსტრუქ-  
ციათა ობიექტური ვერსიის ტრანსფორმაცია.

6. წინადადების ბირთვში ზმნასთან დაკავშირებულ სახელსა თუ  
ნაცვალსახელს, სუბიექტისა ან ობიექტის გამომხატველს, შეუძლია  
ზმნურ ფორმაში თავისი ნიშანი გააჩინოს, რითაც ეს სინტაქსური  
კავშირი – „კონექსია“ – ზმნურ და სახელურ ფორმას შორის მატე-  
რიალურ გამოხატულებას იძენს. ეს ნიშნები ზმნურ ფორმაში ერთ-  
გვარი რეპრეზენტანტები, „ექსპონენტებია“ სუბიექტ-ობიექტურ მი-  
მართებათა გამომხატველი სახელებისა ან ნაცვალსახელების, რომ-  
ლებიც ზმნას წინადადების ბირთვში გარკვეული ფორმით უკავშირ-  
დება; ე. ი.  $\{S\} \{O\} V$  წინადადების ბირთვში ზმნური სტრუქტურა  $V$   
შესაძლებელია შეიცავდეს  $\{S\}$  და/ან  $\{O\}$  სახელის გამომხატველ  $/S/$

და/ან /O/ ნიშნებს აფიქსების სახით. ამით S და O კატეგორიათა ამსახველ სახელებსა (resp. ნაცვალსახელებსა) და ზმნურ ფორმას შორის არსებული სინტაქსური კავშირი – კონექსია – მორფოლოგიურ გამოხატულებას იძენს.

სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა ამსახველ სახელთან ან ნაცვალსახელთან დაკავშირებული ამგვარი /S/ და /O/ ნიშნები ზმნურ ფორმაში შესაძლებელია ამ ერთეულთა სხვადასხვა კატეგორიებს გამოხატავდნენ:

1) ნაცვალსახელის (resp. სახელის) პირს – ასეთ შემთხვევაში ზმნურ ფორმაში წარმოდგენილი სახელური ნიშნები იცვლება ზმნასთან დაკავშირებული ნაცვალსახელის პირის მიხედვით ცვლის შესაბამისად;

2) სახელის (resp. ნაცვალსახელის) კლასს – ასეთ შემთხვევაში ზმნურ ფორმაში წარმოდგენილი სახელური ნიშნები იცვლება გარკვეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით კლასიფიცირებულ სახელთა შესაბამისად.

პირველ შემთხვევაში გვაქვს ზმნის სისტემა პიროვანი უღვლილებით;

მეორე შემთხვევაში – ზმნის სისტემა კლასოვანი უღვლილებით.<sup>9</sup> შესაძლებელია მესამე, შერეული ტიპიც – ზმნის სისტემა პიროვან-კლასოვანი უღვლილებით.

7. ქართული ენის ზმნური სისტემა წარმოადგენს სტრუქტურულ ტიპს მკვეთრად გამოხატული პიროვანი უღვლილებით. ზმნური ფორმა წინადადების ბირთვში არა მხოლოდ შეიწყობს გარკვეული რაოდენობის სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველ სახელებს – რაც განისაზღვრება ზმნური ფორმის სინტაქსური ვალენტობით, არამედ წარმოგვიდგენს ზმნურ სტრუქტურაში ამ სახელთა რეპრეზენტანტ ნიშნებს, რომლებიც მოცემული სახელების (resp. ნაცვალსახელების) პირის კატეგორიას გამოხატავენ.

ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთაგან (resp. ნაცვალსახელთაგან) სათანადო ნიშანს ზმნურ ფორმაში

<sup>9</sup> შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კლასოვანი უღვლილების ენებში არ არის გამოხატული პირის კატეგორია. პირის კატეგორია, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, გამოიხატება ამ ტიპის ენებში ზმნურ ფორმასთან სინტაქსურად დაკავშირებული ნაცვალსახელების საშუალებით, რომლებიც სამი პირის ფორმას განარჩევენ.

აჩენს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის გამომხატველი სახელები (resp. ნაცვალსახელები), ე. ი. {S}, {O<sup>d</sup>} და {O<sup>ind.</sup>} – გრამატიკული სუბიექტი (ქვემდებარე) და გრამატიკული პირდაპირი და (მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი) ირიბი ობიექტი, რომლებიც პირებისდა მიხედვით ცვლის შესაბამისად სამ ნიშანს განარჩევენ:

/S<sub>1</sub>/→ჟ-, /S<sub>2</sub>/→ხ-, /S<sub>3</sub>/→-ს;  
 /O<sub>1</sub><sup>d</sup>/→მ-, /O<sub>2</sub><sup>d</sup>/→გ-, /O<sub>3</sub><sup>d</sup>/→ხ-//Ø-;  
 /O<sub>1</sub><sup>ind.</sup>/→მ-, /O<sub>2</sub><sup>ind.</sup>/→გ-, /O<sub>3</sub><sup>ind.</sup>/→ხ-

ქართული ზმნური სტრუქტურა ამ მხრივ განსხვავდება მორფოლოგიურად ისეთი ენების ზმნური სტრუქტურისაგან, როგორიცაა, მაგალითად, ბერძნული, ლათინური, გერმანული, რუსული და სხვ., სადაც ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთაგან (resp. ნაცვალსახელთაგან) სათანადო ნიშანს ზმნურ ფორმაში მხოლოდ გრამატიკული სუბიექტი აჩენს, ხოლო გრამატიკული ობიექტი ზმნაში აღუნიშნავი რჩება<sup>10</sup>.

ამ თვალსაზრისით ქართული ზმნა შესაძლებელია როგორც სუბიექტ-ობიექტური წყობის ზმნად დახასიათდეს, განსხვავებით სუბიექტური წყობის ზმნური სტრუქტურისაგან, რომელიც ზმნურ ფორმაში მხოლოდ სუბიექტურ ნიშანს წარმოაჩენს.

მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული მახასიათებელი სუბიექტ-ობიექტური წყობის ქართული ზმნისა ის არის, რომ არა ყველა სახელი (resp. ნაცვალსახელი), წინადადების ბირთვში ზმნას-

<sup>10</sup> ამ მხრივ განსხვავებულ სტრუქტურას გვიჩვენებს, მაგალითად, თანამედროვე ფრანგული, რომელშიც ჩამოყალიბდა როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის მაჩვენებელი პრეფიქსული ნიშნები ზმნაში. ისეთ კონსტრუქციებში, როგორიცაა je le lui donne „მე მას მას ვაძლევ“, je-le-lui- ერთეულები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ნაცვალსახელებს და ზმნურ კონსტრუქციაში სათანადო სუბიექტ-ობიექტური აქტანტების მარკერებად გვევლინებიან.

ანალოგიური სტრუქტურა გვაქვს აგრეთვე უნგრულში, სადაც ზმნურ ფორმაში გამოხატულია მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა (resp. ნაცვალსახელთა) როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ნიშანი. შდრ. უნგრული სუბიექტური და ობიექტური ულგილიების სტრუქტურები:

სუბიექტური	ობიექტური
1. én lát-ok „მე ვხედავ“	1. én lát-om „მე მას ვხედავ“
2. te lát-sz „შენ ხედავ“	2. te lát-od „შენ მას ხედავ“
3. ő lát „იგი ხედავს“	3. ő lát-ja „იგი მას ხედავს“

თან სინტაქსურად დაკავშირებული, ავლენს ერთდროულად შესაბამის მორფოლოგიურ ნიშანს ზმნურ ფორმაში. რამდენი სახელიც არ უნდა იყოს წარმოდგენილი წინადადების ბირთვში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული (მაქსიმალური რაოდენობა ასეთი სახელებისა ქართულში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ოთხს უდრის – ოთხვალენტიანი ზმნის შემთხვევაში), აქტუალურად გამოვლენილ მორფოლოგიურ ნიშანთა რაოდენობა ზმნურ სტრუქტურაში არ აღემატება ორს.

ამგვარად, „პირიანობის“ თვალსაზრისით, ე. ი. ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა (ნაცვალსახელთა) პირის გამომხატველი ნიშნების რაოდენობის თვალსაზრისით ზმნურ ფორმაში, ქართული ზმნა შეიძლება დახასიათდეს როგორც ერთპირიანი („მონოპერსონალური“) ან – გარკვეულ შემთხვევებში – ორპირიანი („ბიპერსონალური“) სტრუქტურა.

არსებობს გარკვეული სტრუქტურული წესები იმისა, თუ ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან (resp. ნაცვალსახელთაგან) კონკრეტულად რომელი ერთეული გამოავლენს ზმნურ ფორმაში შესაბამის მორფოლოგიურ ნიშანს და რომელი ერთეულები რჩება ზმნაში მორფოლოგიური გამოხატულების გარეშე (ა. შანიძე).<sup>11</sup>

<sup>11</sup> არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ზმნის სინტაქსური „ვალენტობა“, ანუ ზმნური ფორმის უნარი შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამოხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელების) გარკვეული რაოდენობა, და ზმნის „პირიანობა“, ანუ ზმნურ ფორმაში ამ სახელთა (resp. ნაცვალსახელთა) პირის გამოხატველი მორფოლოგიური ნიშნის წარმოდგენა.

ის, რაც „პირიანობად“ გაიგებოდა, უნდა გულისხმობდეს არა პირის ნიშანთა გამოვლენას ზმნურ ფორმაში, არამედ ზმნური ფორმის სინტაქსურ უნარს, შეიწყოს წინადადებაში გარკვეული რაოდენობა სახელებისა თუ ნაცვალსახელების, რომელნიც სუბიექტ-ობიექტურ მიმართებას გამოხატავენ, ე. ი. ზმნის სინტაქსურ „ვალენტობას“.

ამას ემყარება ქართული ზმნის დახასიათება როგორც „მრავალპირიანი“ (ორ-, სამ-, და ოთხპირიანი) ზმნისა: მაგ., ვ ა ძ ლ ე ვ მე მას მას. მაგრამ ამ თვალსაზრისით რომელიმე რუსული — — — даю, ან გერმანული — — — gebe სტრუქტურები, რომელთაც სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამოხატველი სამი ნაცვალსახელი შეეწყობა (я-emy-то; ich-es-ihm), დახასიათებოდა აგრეთვე როგორც „მრავალპირიანი“.

საქმე ისაა, რომ ყველა ეს ზმნური ფორმა (როგორც ქართული, ისე რუსული და გერმანული) ს ა მ ვ ა ლ ე ნ ტ ი ა ნ ი ა (ზმნურ ფორმასთან სუბიექტ-ობიექტური

ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ენათა ტიპოლოგიური დაჯგუფება მოვახდინოთ, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება აქტანტთა მორფოლოგიური ასახვა ზმნურ ფორმაში; ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს სუბიექტური, სუბიექტურ-ობიექტური და ობიექტური წყობის ენები (შდრ. ზემოთ).

სუბიექტ-ობიექტური წყობის ენათა ჯგუფში შესაძლებელია გაირჩეს ენათა რამდენიმე ქვეკლასი იმის მიხედვით, თუ რა შესაბამისობა არსებობს ზმნის ისეთ ურთიერთდამოკიდებულ კატეგორიებს შორის, როგორცაა ზმნის სინტაქსური „ვალენტობა“ და ზმნის მორფოლოგიური „პირიანობა“, „ნაწილობრივია“ ეს შესაბამისობა თუ „სრული“.

ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ა შესაბამისობა იმ შემთხვევაში, როდესაც არა ყველა პოტენციურად შესაძლებელი სუბიექტ-ობიექტური აქტანტის ნიშანია აქტუალურად წარმოდგენილი ზმნურ ფორმაში (შდრ. ქართული ენობრივი სისტემა);

ს რ უ ლ ი ა შესაბამისობა ზმნის ვალენტობასა და ზმნის პირიანობას შორის საზოგადოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადების ბირთვში ზმნასთან პოტენციურად დაკავშირებული ყოველი

მიმართებების გამომხატველ აქტანტთა შეწყობის თვალსაზრისით), მაგრამ ე რ თ - პ ი რ ი ა ნ ი (ზმნურ ფორმაში პირის ნიშანთა გამოვლენის თვალსაზრისით). საზოგადოდ ქართული ზმნა განსხვავდება რუსულისა ან გერმანულისაგან არა იმით, რომ ქართული ზმნა მრავალპირიანია, ხოლო რუსული და გერმანული – ერთპირიანი, არამედ იმით, რომ ქართული ზმნა სუბიექტ-ობიექტური წყობისაა (ე. ი. ქართულ ზმნურ ფორმაში წარმოდგენილია ერთ-ერთი პირის ნიშანი – სუბიექტისა ან ობიექტის, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში – ორივესი ერთად), ხოლო რუსული და გერმანული ზმნა – სუბიექტური წყობის (ე. ი. ზმნურ ფორმაში წარმოდგენილია მხოლოდ სუბიექტის ნიშანი).

ამ თვალსაზრისით ზმნის „პირიანობა“ და ზმნის „ვალენტობა“ არსებითად განსხვავებულ სტრუქტურულ მახასიათებლებს წარმოადგენს, რომლებიც ასახავენ ზმნური კონსტრუქციის შესაბამისად მორფოლოგიურ აგებულებას და სინტაქსურ კავშირებს. მაგრამ ამ მახასიათებლებს შორის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება არსებობს, რომელიც განსაზღვრავს მათ შორის შესაბამისობის ხასიათს სხვადასხვა ენათა ზმნურ სისტემაში.

სახელი (resp. ნაცვალსახელი) თავის წარმომადგენელ მორფოლოგიურ ნიშანს აჩენს ზმნურ ფორმაში<sup>12</sup>.

8. ყოველი მორფემა ზმნურ სტრუქტურაში მკაცრად განსაზღვრულ ადგილს იკავებს ზმნური ძირისა და სხვა მორფემების მიმართ, რაც ქმნის ზმნური ფორმის მორფემათა „რანგობრივ სტრუქტურას“.

ზმნური სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ზმნის ძირი -R- განსაზღვრული რაოდენობა ცარიელი მორფოლოგიური უჯრედებით ძირის წინ და მის მომდევნოდ. თითოეული ასეთი უჯრედი შეივსება მხოლოდ ერთი განსაზღვრული პრეფიქსული თუ სუფიქსური მორფემით, რის შედეგადაც წარმოიქმნება ენის ზედაპირულ სტრუქტურაში ესა თუ ის ზმნური ფორმა სრული მორფოლოგიური გაფორმებით.

პირის პრეფიქსული მორფემები ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში, როგორც წესი, მხოლოდ ერთ უჯრედს იკავებენ, რომელიც მოთავსებულია ქცევის, კაუზატივისა და ვნებითის მაწარმოებელ

<sup>12</sup> ენათა ასეთ სტრუქტურულ ტიპს უახლოვდება აფხაზური, სადაც წინადადების ყოველი პოტენციური აქტანტი სათანადო მარკერით არის წარმოდგენილი ზმნურ კონსტრუქციაში: შდრ. ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა და-უ-ზ-ლ-ს-თოფტ „მივცემ“ (რაღაცას შენთვის მას მე); და-უ-ზ-ლ-რ-თოფტ „მისცემენ“ (რაღაცას შენთვის მას ისინი) და მისთ.

აქტანტთა გამომხატველ ნიშნებს აფხაზურ ზმნურ ფორმაში ძირისა და ერთმანეთის მიმართ მკაცრად განსაზღვრული ადგილი უჭირავთ, რაც აისახება პრეფიქსულ მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაში. ერთი და იმავე ფონემური შედგენილობის მორფემები სულ სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობისა (სუბიექტური ან ობიექტური პირის გამომხატველია), ე. ი. არსებითად განსხვავებული გრამატიკული ერთეულებია, პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში მათი ადგილისდა შესაბამისად; მათი შინაარსობლივი სხვაობა ძირითადად განსხვავებულ რანგობრივ სტრუქტურაში გამოიხატება. ამდენად, „მორფემა“ საზოგადოდ უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ მისი გრამატიკული მნიშვნელობისა და ფონემური შედგენილობის საფუძველზე, არამედ აგრეთვე „რანგობრივი“ სტრუქტურის გათვალისწინებით. ამგვარ დეფინიციებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ შემთხვევებში, როდესაც გარკვეულ გრამატიკულ მიმართებათა გამომხატველი ერთეულები ემთხვევა ერთმანეთს ფონემური შედგენილობის მხრივ.

სუფიქსთა უჯრედის წინ.<sup>13</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ პრეფიქსული პირის ნიშნები სტრუქტურულად შეუთავსებელია ერთმანეთთან პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში. რამდენი სახელიც არ უნდა დაუკავშირდეს სინტაქსურად ზმნას წინადადების ბირთვში, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის ნიშანი ჩაჯდება ზმნურ სტრუქტურაში პირის პრეფიქსულ მორფემათათვის განკუთვნილ მორფოლოგიურ უჯრედში. ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში შეინიშნება მკაცრად განსაზღვრული იერარქია ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა (resp. ნაცვალსახელთა) პრეფიქსული ნიშნების აქტუალურად გამოვლენისა ზმნურ ფორმაში; ზმნურ სტრუქტურაში მხოლოდ ის აქტანტები აჩვენებენ სათანადო ნიშანს, რომლებიც წარმოადგენენ წინადადების ბირთვში შესაბამისად გრამატიკულ სუბიექტს, პირდაპირ ობიექტს ან ირიბ ობიექტს (მიცემით ბრუნვაში დასმულს).

მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი ირიბი ობიექტი თავისი ფუნქციით შეიძლება იყოს ადრესატი, დესიგანტი, ექსეკუტორი ან ლოკატიური ობიექტი. წინადადების ბირთვში ამავე ფუნქციით ნახმარი თანდებულბრუნვიანი სახელი, რომელიც მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი ირიბი ობიექტის ტრანსფორმს წარმოადგენს და აქტანტად უნდა ჩაითვალოს, ზმნურ ფორმაში ნიშანს არ აჩენს და, ამდენად, არავითარ მონაწილეობას არ იღებს ზმნური სტრუქტურის გაფორმებაში. ამიტომ, რომ სამ- და ოთხვალენტიან ზმნებში, რომელთა ერთ-ერთი აქტანტი თანდებულბრუნვიან ფორმაშია წარმოდგენილი, ივარაუდება მხოლოდ იმ აქტანტების ნიშანთა კომბინირება, რომლებიც წარმოგვიდგენენ გრამატიკულ სუბიექტს, პირდაპირ ობიექტსა და (უთანდებულო) მიცემით ბრუნვაში დასმულ ირიბ ობიექტს.

<sup>13</sup> ქართული ზმნის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს სამი პრეფიქსული უჯრედი: ჰ ჰ ო R.

პირველი უჯრედი არის უჯრედი ვერსიისა და ვნებითის მაწარმოებელი პრეფიქსებისა. მეორე უჯრედი პირის ნიშნის უჯრედი, ხოლო მესამე უჯრედს – ე. ი. ყველაზე დაცილებულს ძირისაგან იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე უჯრედი შევსებულია – იკავებენ პრევერბები. თუ ამგვარ უჯრედებს განვსაზღვრავთ, როგორც მორფემათა რანგებს, შესაბამისი მორფოლოგიური ერთეულები დახასიათდება როგორც პირველი, მეორე და მესამე პრეფიქსული რანგის მორფემები.

ნიშანთა კომბინირების ეს წესები სქემატურად შემდეგი სახით ჩამოვალბდება:

A: ო რ ვ ა ლ ე ნ ტ ი ა ნ ზ მ ნ უ რ ს ტ რ უ ქ ტ უ რ ე ბ შ ი :

- (1)  $/S_1//O_2^d/ \Rightarrow /O_2^d/-R \rightarrow \text{გ}-R$
- (2)  $/S_2//O_1^d/ \Rightarrow /O_1^d/-R \rightarrow \text{მ}-R$
- (3)  $/S_2//O_3^d/ \Rightarrow /S_2/-R \rightarrow \text{ბ}-R$
- (4)  $/S_3//O_1^d/ \Rightarrow /O_1^d/-R/-S_3/ \rightarrow \text{მ}-R-ს$
- (5)  $/S_3//O_2^d/ \Rightarrow /O_2^d/-R/-S_3/ \rightarrow \text{გ}-R-ს$
- (6)  $/S_3//O_3^d/ \Rightarrow /O_3^d/-R/-S_3/ \rightarrow \text{ბ}-\emptyset-R-ს$

B: ს ა მ ვ ა ლ ე ნ ტ ი ა ნ ზ მ ნ უ რ ს ტ რ უ ქ ტ უ რ ე ბ შ ი :

- (1)  $/S_1//O_2^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /O_2^{ind}/-R \rightarrow \text{გ}-R$
- (2)  $/S_2//O_1^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /O_1^{ind}/-R \rightarrow \text{მ}-R$
- (3)  $/S_2//O_3^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /S_2/-R \rightarrow \text{ბ}-R$
- (4)  $/S_3//O_1^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /O_1^{ind}/-R/-S_3/ \rightarrow \text{მ}-R-ს$
- (5)  $/S_3//O_2^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /O_2^{ind}/-R/-S_3/ \rightarrow \text{გ}-R-ს$
- (6)  $/S_3//O_3^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /O_3^{ind}/-R/-S_3/ \rightarrow \text{ბ}-R-ს$

ამგვარად, ზმნასთან დაკავშირებული აქტანტების პირის ნიშანთა აქტუალურად გამოვლენის თვალსაზრისით ქართული ზმნა უნდა დახასიათდეს ძირითადად როგორც მ ო ნ ო კ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი (ერთპირიანი) ზმნური სტრუქტურა. ბიპერსონალურია (ორპირიანია) იგი იმ შემთხვევაში, თუ  $\{S_3\}$  აქტანტი, რომელიც სუფიქსური ნიშნით გამოიხატება, კომბინირებს წინადადების ბირთვში პრეფიქსული ნიშნით გამოხატულ ობიექტურ პირთან, შდრ. (4), (5), (6) სტრუქტურები.


ამ შეზღუდვით შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული ზმნის „პრეფიქსულ მონოპერსონალიზმზე“. ამ პრინციპის შესაბამისად ზმნასთან დაკავშირებულ აქტანტთა პოტენციურად შესაძლებელ პრეფიქსულ ნიშანთაგან ზმნურ ფორმაში აქტუალურად გამოვლინდება მხოლოდ ერთი ნიშანი.

პრეფიქსულ ნიშანთა მიმდევრობიდან გარკვეული პრეფიქსის ზმნურ ფორმაში აქტუალურად წარმოჩენის თვალსაზრისით შეიძლება შემოვიტანოთ სუბიექტ-ობიექტური პირის ნიშანთა „სიმძლავრის“ ცნება.

ამ მხრივ გრამატიკული სუბიექტისა და ობიექტის გამომხატველი პრეფიქსები ზმნურ კონსტრუქციაში განისაზღვრება როგორც ერთი და იმავე „სიმძლავრის“ მქონე ნიშნები, რამდენადაც ამ ნიშანთა კომბინირებისას გარკვეულ კონსტრუქციებში ვლინდება მხოლოდ სუბიექტური ნიშნები, ხოლო სხვა კონსტრუქციებში – მხოლოდ ობიექტური პირის ნიშნები ( $\{O_1\}$  და  $\{O_2\}$  აქტანტთა სუბიექტურ  $\{S_{1,2}\}$  აქტანტთან კომბინირების შემთხვევაში).

ერთგვარი განსხვავება იჩენს თავს „სიმძლავრის“ თვალსაზრისით პირდაპირი და ირიბი ობიექტის ამსახველ აქტანტებსა და მათ შესაბამის პრეფიქსულ ნიშნებს შორის. ირიბი ობიექტი ამ მხრივ უფრო „მძლავრია“ პირდაპირ ობიექტთან შედარებით, რამდენადაც მათი კომბინირება წარმოაჩენს ზმნურ ფორმაში მხოლოდ ირიბი ობიექტის პრეფიქსულ ნიშანს.

ისეთ სინტაქსურ სტრუქტურებში, სადაც  $O_3^d$  ობიექტის ამსახველი აქტანტი კომბინირებს  $O_3^{ind}$  ობიექტის ამსახველ აქტანტთან, ზმნის სტრუქტურაში აისახება აქტუალურად მხოლოდ  $\{O_3^{ind}\}$  ხ-პრეფიქსის სახით, ხოლო  $/O_3^d/$  ნიშანი არ წარმოიდგინება:



ამგვარ კონსტრუქციებს უნდა შეეწყოს ხელი  $/O_3^d/$  ნიშნის (ე. ი. მესამე პირდაპირ-ობიექტური /ხ-/ პრეფიქსის) ნულთან გათანაბრებისათვის ( $/O_3^d/\rightarrow \emptyset$ ) ისეთ კონსტრუქციებშიც, სადაც იგი არ კომბინირდება მესამე ირიბ-ობიექტურ პირთან და სადაც იგი, ამდენად, კანონზომიერად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი /ხ-/ პრეფიქსის სახით. ამით დაირღვა მანამდე სისტემაში არსებული სტრუქტურული პარალელიზმი პირდაპირ- და ირიბ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველ აქტანტებს შორის, რომლებიც პირველ, მეორე და მესამე პირის ფორმებში მათთვის საერთო /მ-/, /გ-/ და /ხ-/ პრეფიქსებით გამოიხატებოდა.

ძველი ქართული ზმნის იმ სისტემაში, რომელიც ასახულია „ხანმეტ“ ძეგლებში, გაბატონებულ ნორმად შეიძლება ჩაითვალოს უკვე  $\{O_3^d\}$  აქტანტის ნიშნად ზმნაში  $\emptyset$ - მორფემის ხმარება.

მაგრამ ძველი სისტემა  $/O_3^d/\rightarrow x-$  პრეფიქსით ჯერ კიდევ თავს იჩენს გარკვეულ კონსტრუქციებში<sup>14</sup>.

<sup>14</sup> ამგვარი ევოლუცია პირდაპირი ობიექტის ნიშნისა (ე. ი.  $/O_3^d/x\rightarrow \emptyset$ ), რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს  $/O_3^d/ /O_3^{ind}/ \Rightarrow /O_3^{ind}/-R$  კონსტრუქციებს, არ შეეხება პირველი

/ხ-/ პრეფიქსის ოდინდელი არსებობა მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნად, როდესაც /O<sub>3</sub><sup>d</sup>/ → ხ- ქართული ზმნის სტრუქტურაში ნორმა უნდა ყოფილიყო, შეიძლება დავინახოთ ი-ნიანი ვნებითის ფორმებში, რომლებიც პასიურ ტრანსფორმებს წარმოადგენენ შესაბამისი აქტიური კონსტრუქციებისა მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის გამომხატველი /ხ-/ პრეფიქსით. ი-ნიანი ვნებითის კონსტრუქციებში ეს ხ-პრეფიქსი (წარმოშობით მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის გამომხატველი ნიშანი) არ გაუთანაბრდა ნულს, რამდენადაც /O<sub>3</sub><sup>d</sup>/ ხ → ∅- პროცესის განხორციელების დროს აქტიურ კონსტრუქციებში მორფოლოგიური კავშირი ი-ნიანი ვნებითის გარკვეულ ფორმებსა და შესაბამისი მოქმედებითი გვარის პირდაპირ-დამატებთან კონსტრუქციებს შორის გაწყვეტილი უნდა ყოფილიყო; აქტიურ კონსტრუქციებში /O<sub>3</sub><sup>d</sup>/ ხ → ∅ პროცესის დაწყებისათვის შესაბამის პასიურ კონსტრუქციათა /ხ-/ პრეფიქსი აღარ გაიგებოდა როგორც /O<sub>3</sub><sup>d</sup>/ ნიშანი.

9. სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი აქტანტებისა და მათ შესაბამის ნიშანთა შეპირისპირება ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთი შინაგანი რეკონსტრუქცია მოვახდინოთ სტრუქტურათა უნიფიცირებულ ტიპებზე დაყვანით. ამ შემთხვევაში საკითხი შეეხება სუბიექტ-ობიექტურ მიმართებებს პირველი სუბიექტური პირის გამომხატველ ორ- და სამვალენტო ზმნურ სტრუქტურებში.

ძველი ქართული ზმნის პრეფიქსული მონოპერსონალიზმის პრინციპი, რომელიც გატარებულია უცილობლად ზმნური სტრუქტურის ყველა პარადიგმატული ერთეულის მიმართ, ირღვევა ზოგიერთს ზმნურ ფორმაში, სადაც წინადადების ბირთვში მესამე ობიექტური პირის ამსახველი სახელი უკავშირდება პირველ სუბიექტურ პირს. ასეთ შემთხვევაში ორივე ეს აქტანტი სათანადო აქტუალურად გამოვლენილი პრეფიქსული ნიშნით არის წარმოდგენილი

და მეორე პირდაპირ-ობიექტური პირის /მ-/ და /გ-/ ნიშნებს, რამდენადაც გამორიცხული იყო სტრუქტურულად პირველი და მეორე პირის შემთხვევაში (განსხვავებით მესამე პირისაგან) პირდაპირ- და ირიბ-ობიექტურ ნიშანთა კომბინირება (წინადადების ბირთვში ზმნას არ უკავშირდება ერთსა და იმავე კონსტრუქციაში {O<sub>1</sub><sup>d</sup>} {O<sub>1</sub><sup>ind</sup>} და {O<sub>2</sub><sup>d</sup>} {O<sub>2</sub><sup>ind</sup>} აქტანტები).

ზმნურ ფორმაში: შდრ. „ხანმეტი“ ფორმები შ ე - ხ - ჭ - ა ბ თ , ა ღ - ხ - ჭ - მ ა რ თ ე და მისთ.

ამ ფორმებში წარმოდგენილია, წინააღმდეგ „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპისა, როგორც {S<sub>1</sub>}, ისე {O<sub>3</sub>} აქტანტთა გამომხატველი პრეფიქსული ელემენტები /ჭ-/ და /ხ-, რაც /ხ- ჭ-/ მიმდევრობას გვაძლევს: /O<sub>3</sub>//S<sub>1</sub>/.

ამგვარი სტრუქტურული შეუსაბამობის ელიმინირება და უძველესი ქართული ზმნური სტრუქტურის სუბიექტ-ობიექტურ ნიშანთა აქტუალურად გამოვლენის თვალსაზრისით უნიფიცირებულ ტიპზე დაყვანა შესაძლებელი ხდება /ხ-ჭ-/ მიმდევრობის ერთიან მორფემად განხილვის შემთხვევაში, სახელდობრ /ხ-ჭ-/ ელემენტად, რომელიც უნდა განიხილებოდეს როგორც პირველი სუბიექტური პირის გამომხატველი /S<sub>1</sub>/ ნიშანი. მაშასადამე, მიმდევრობები /S<sub>1</sub>//O<sub>3</sub><sup>i</sup>/ და /S<sub>1</sub>//O<sub>3</sub><sup>d</sup>//O<sub>3</sub><sup>ind</sup>/, ისე როგორც მიმდევრობები /S<sub>2</sub>//O<sub>3</sub><sup>d</sup>/ და /S<sub>2</sub>//O<sub>3</sub><sup>d</sup>//O<sub>3</sub><sup>ind</sup>/ (იხ. ზემოთ), უნდა გამოხატულიყო აქტუალურ სტრუქტურაში – თანახმად „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპისა – მხოლოდ სუბიექტური პირის /S<sub>1</sub>/ და /S<sub>2</sub>/ ნიშნების სახით.

ამგვარი დაშვების შედეგად ზმნურ ფორმაში მივიღებდით პირის ნიშანთა აქტუალურად გამოვლენის შემდეგ სქემას, რომელშიც სრულად აისახება ზმნის „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი:

$$A: /S_1//O_2^d/ \Rightarrow /O_2^d/-R \rightarrow \text{გ-R}$$

$$/S_2//O_1^d/ \Rightarrow /O_1^d/-R \rightarrow \text{მ-R}$$

$$/S_1//O_3^d/ \Rightarrow /S_1/-R \rightarrow \text{ხ-ჭ-R}$$

$$/S_2//O_3^d/ \Rightarrow /S_2/-R \rightarrow \text{ხ-R}$$

$$B: /S_1//O_2^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /O_2^{ind}/-R \rightarrow \text{გ-R}$$

$$/S_1//O_3^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /S_1/-R \rightarrow \text{ხ-ჭ-R}$$

$$/S_2//O_1^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /O_1^{ind}/-R \rightarrow \text{მ-R}$$

$$/S_2//O_3^{ind}//O_3^d/ \Rightarrow /S_2/-R \rightarrow \text{ხ-R}$$

ამგვარად, პირველი სუბიექტური პირის გამომხატველი /S<sub>1</sub>/ ნიშანი უძველესი ქართული ზმნის სტრუქტურაში აღდგება შინაგანად როგორც /ხ-ჭ-/ (და არა /\*ჭ-/ პრეფიქსი (ივ. ჯავახიშვილი). იგი შემდგომ დაიშალა /ხ-/ და /ჭ-/ ნიშნებად, ე. ი. გაგებულ იქნა როგორც {O<sub>3</sub>} და {S<sub>1</sub>} აქტანტთა გამომხატველი ნიშნები ზმნაში, რითაც დაირღვა ქართული ზმნური სტრუქტურისათვის თავდაპირველად

დამახასიათებელი პრეფიქსული მონოპერსონალიზმი, რომელიც ჯერ კიდევ „ხანმეტ“ ძეგლებში ასახული ძველი ქართულის დონეზე უცილობლად გატარებულია ყველა დანარჩენ სუბიექტ-ობიექტურ პირთა კომბინირებისას.<sup>15</sup>

პრექართულისათვის, ე. ი. ქართული ენის განვითარების იმ ეტაპისათვის, რომელიც წინ უსწრებს უძველეს წერილობით ძეგლებში ასახულ ენობრივ მდგომარეობას, შესაძლებელია ვივარაუდოთ პრეფიქსული მონოპერსონალიზმის შესაბამისი ზმნური სტრუქტურა პირველი სუბიექტური პირის /S<sub>1</sub>/ → \*ხჷ- მარკერით.

ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე უნდა მომხდარიყო ამგვარ სტრუქტურათა პირველი სუბიექტური პირის ხჷ-R ფორმის გააზრინება როგორც ზმნური ფორმისა, რომელშიც გამოხატულია აგრეთვე მესამე ობიექტური პირი O<sub>3</sub>/ხ-/ პრეფიქსის სახით; 1. \*მ ი - ხ ჷ - ე ც - ~ 3. \*მ ი - ხ - ც - ა ტიპის პარადიგმებში ხდება მ ი - ხ ჷ - ე ც - ფორმის დაშლა მ ი - ხ - ჷ - ე ც სტრუქტურად; წარმოშობით ერთიანი პირველი სუბიექტური პირის /\*ხჷ-/ პრეფიქსი რეინტერპრეტირებულ იქნა როგორც O<sub>3</sub><sup>ind</sup> /ხ-/ და S<sub>1</sub> /ჷ-/ პრეფიქსთა კომბინაცია.

რომელიმე \*მ ი - ხ ჷ - ე ც სტრუქტურა (წინადადების ბირთვი: {S<sub>1</sub>} {O<sub>3</sub><sup>ind</sup>} {O<sub>3</sub><sup>d</sup>} V) მესამე ობიექტური პირის მ ი - ხ - ც - ა სტრუქტურის გავლენით, სადაც კანონზომიერად წარმოდგენილია O<sub>3</sub><sup>ind</sup> /ხ-/ პრეფიქსი, გააზრინებულ იქნა როგორც მ ი - ხ - ჷ - ე ც სტრუქტურა, ე. ი. როგორც ისეთი ზმნური ფორმა, რომელშიც /\*ხჷ-/ პრეფიქსის /\*ხ-/ ელემენტი მიჩნეულია {O<sub>3</sub>} სახელის გამომხატველ ნიშნად, მსგავსად /ხ-/ პრეფიქსისა მი-ხ-ც-ა ტიპის სტრუქტურებში, სადაც იგი კანონზომიერად {O<sub>3</sub>} სახელის (resp. ნაცვალსახელის) გამომხატველია. ამით ერთგვარად დაირღვა ზმნურ ფორმათა პრეფიქსული მონოპერსონალიზმის აბსოლუტური ხასიათი ძველი ქართული ზმნის სისტემაში.

<sup>15</sup> შდრ. აგრეთვე შინაგანად რეკონსტრუირებული S<sub>1</sub> /\*ხჷ-/ ნიშნის ფონემური მიმართება S<sub>2</sub> /\*ხ-/ ნიშნთან, რომელიც ანალოგიურია O<sub>1</sub><sup>pl</sup> /\*გჷ-/ ნიშნის ფონემური მიმართებისა O<sub>2</sub> /\*გ-/ ნიშნთან, ე. ი. S<sub>1</sub>: \*ხჷ-კლავ ~ S<sub>2</sub>: \*ხ-კლავ და O<sub>1</sub><sup>pl</sup>: \*გჷ-კლავ ~ O<sub>2</sub>: \*გ-კლავ.

პირველი სუბიექტური პირის /*\*ხჷ-*/ პრეფიქსის ამგვარ გააზრიანებას მესამე პირის ობიექტურ-პრეფიქსიან ფორმათა გავლენით, მის მიხედვას  $O_3$  /*\*ხ-*/ ელემენტის შემცველ მიმდევრობად უნდა გამოეწვია თავდაპირველი  $S_1$  /*\*ხჷ-*/ პრეფიქსის /*\*ჷ-*/ პრეფიქსად გამარტივება იმ პარადიგმებშიც, სადაც არ იყო წარმოდგენილი მესამე სუბიექტური პირის ფორმაში ობიექტის გამომხატველი  $O_3^{ind}$  /*ხ-*/ პრეფიქსი (ე. ი. ერთვალენტიან სუბიექტური წყობის ზმნებში, აგრეთვე ნაწილობრივ ორვალენტიან ზმნებში პირდაპირი ობიექტის ამსახველი სახელით); *\*ხჷ-*არ ტიპის სტრუქტურას უნდა მოეცა *\*ჷ-*არ, ხოლო *ხჷ-*კ და ე ტიპის სტრუქტურა უნდა გარდაქმნილიყო  $S_1$ : *\*ჷ-*კლავ ფორმად.

/ $S_1$ / პრეფიქსის ამგვარი გამარტივება /*\*ხჷ-*/→/*\*ჷ-*/ აღნიშნულ პარადიგმებში შეიძლება დავახასიათოთ როგორც /*ხ-*/ ელემენტის „მორფოლოგიური დაკარგვა“ თავდაპირველად ერთიანი /*\*ხჷ-*/ პრეფიქსის გააზრიანების გამო გარკვეულ სტრუქტურებში როგორც / $O_3$ // $S_1$ /→/*\*ხ*·*\*ჷ-*/ პრეფიქსთა მიმდევრობისა<sup>16</sup>. ეს ეტაპი ქართული ზმნის განვითარებისა ასახულია უკვე „ხანმეტი“ ძეგლების ენაში, სადაც { $S_1$ } ნაცვალსახელის გამომხატველი ნიშანი ზმნის სტრუქტურაში რეგულარულად ვ/ჷ პრეფიქსის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო პრეფიქსული /*ხ*·*ჷ-*/ წარმოადგენს / $O_3$ / / $S_1$ / ნიშანთა მიმდევრობას ზმნურ ფორმაში.



<sup>16</sup> ანალოგიური დაკარგვა გ- ელემენტისა  $O_1^{pl}$  /*\*გჷ-*/ პრეფიქსში  $O_2$  /*გ-*/ პრეფიქსის გავლენით არ უნდა მომხდარიყო იმის გამო, რომ  $O_1$  და  $O_2$  ობიექტები ვერ შეეწყობა ერთმანეთს საერთო პრედიკატთან, და ამდენად გამოირიცხება { $O_1$ } და { $O_2$ } ნაცვალსახელთა ნიშნების ზმნურ ფორმაში კომბინირების შესაძლებლობა.

† ტოგო გუდავა, თამაზ გამყრელიძე

## თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში\*

**1.0.** მეგრული ფონემური სისტემა განარჩევს ფონემათა ორ კლასს – თანხმოვნებსა და ხმოვნებს. თანხმოვანია ფონემა, რომელიც უმარცველოა მისთვის დამახასიათებელ ყველა პოზიციაში; ხმოვანია ფონემა, რომელიც მარცველოვანია მისთვის დამახასიათებელ ყველა პოზიციაში.

კომპლექსი განისაზღვრება როგორც ერთი და იმავე კლასის ფონემათა სინტაგმატური გაერთიანება, ერთი და იმავე კლასის ფონემათა შეერთება მიმდევრობაში.

კომპლექსის სიგრძე განისაზღვრება როგორც ელემენტთა რაოდენობა ფონემურ მიმდევრობაში. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა თანხმოვანთა (ან ხმოვანთა) ორწევრა, სამწევრა, ოთხწევრა და ა. შ. კომპლექსები.

**1.1.** მეგრულში მაქსიმალური სიგრძის თანხმოვანთკომპლექსი მორფემის ფარგლებში უდრის ოთხს, ე. ი. თანხმოვანთა მიმდევრობაში დასაშვებ ერთეულთა რაოდენობა არ აღემატება ოთხს (ივარაუდება მორფემაში თანხმოვანთმიმდევრობა  $\#-V, V-V$  და  $V-\#$  პოზიციებში).

აღვნიშნათ ოთხთანხმოვნიან კომპლექსში თითოეული თანხმოვნის ადგილი მარცხნიდან მარჯვნივ სიმბოლოებით **a, b, c, d**, ე. ი. **a** არის პირველი პოზიცია თანხმოვანთკომპლექსში, **b** – მეორე პოზიცია, **c** – მესამე პოზიცია, **d** – მეოთხე პოზიცია.

ოთხთანხმოვნიან კომპლექსში **a** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ორი თანხმოვანი:

**a:** რ, ნ;

**b** პოზიციაში ოთხთანხმოვნიან კომპლექსში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი თანხმოვნები:

**b:** დ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ, ზ ს ე შ;

**c** პოზიციაში ოთხთანხმოვნიან კომპლექსში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი თანხმოვნები:

**c:** გ ქ კ ღ ხ ყ

\* პირველად გამოქვეყნდა 1981 წელს: ტოგო გუდავა, თამაზ გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში: «თბილისის უნივერსიტეტი აკაკი შანიძეს», თბილისი, 1981.

**d** პოზიციაში ოთხთანხმოვნიან კომპლექსში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ *g* თანხმოვანი:

**d:** *g*

ამგვარად, მეგრული ოთხთანხმოვნიანი (ამ ენისათვის მაქსიმალური სიგრძის) კომპლექსის სტრუქტურიდან ამოსვლით ვიღებთ გარკვეულ თანხმოვანთრიგებს, რომლებიც აერთიანებს მაქსიმალური სიგრძის კომპლექსის თითოეულ პოზიციაში დასაშვებ ერთეულებს. ეს რიგები მთლიანი სახით ასეთ სქემას წარმოგვიდგენს:

**a:** *რ ნ*

**b:** *დ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ, ზ ს, ჟ შ*

**c:** *გ ქ ჭ, ღ ხ ყ*

**d:** *g*

ამ რიგებში წარმოდგენილია თანხმოვანი ფონემები, რომელთაც ოთხთანხმოვნიან კომპლექსში შეუძლიათ დაიკავონ შესაბამისად პირველი (**a**), მეორე (**b**), მესამე (**c**) და მეოთხე (**d**) ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ თანხმოვანთკომპლექსში შეიძლება გვექნოდეს კომბინირება სხვადასხვა რიგების ერთეულებს შორის, მაგრამ არა თითოეული რიგის ერთეულებს შორის (რიგს შიგნით), ე. ი. დასაშვებია **abcd**, **acd**, **bc** და მისთ. მიმდევრობები, მაგრამ დაუშვებელია **abbc**, **abcc**, **bb**, **cc** და მისთ. მიმდევრობანი.

1.2. არა ყოველი თანხმოვანი თითოეული ამ რიგიდან შედის კომბინაციაში დანარჩენი რიგების ნებისმიერ თანხმოვანთან სათანადო პოზიციაში. კონკრეტული თანხმოვანი ფონემა გარკვეული რიგიდან შეუერთდება დანარჩენი რიგების მხოლოდ განსაზღვრულ ერთეულებს. ამ მხრივ თანხმოვანთრიგები დაიყოფა ქვეკლასებად თანხმოვანთკომპლექსში ერთმანეთთან შეერთების თვალსაზრისით. ამ ქვეკლასებს განსაზღვრავს თანხმოვანთა გარკვეული დიფერენციალური ნიშნები, სახელდობრ *მჟღერობა*, *სიყრუე* (ფშვინვიერობა) და *სიმკვეთრე* (აბრუპტიულობა, გლოტალიზაცია). თანხმოვნები ერთმანეთს უერთდებიან და ქმნიან კომპლექსს ამ ნიშანთა თვალსაზრისით ჰომოგენურობის მიხედვით, ე. ი. *მჟღერი* უერთდება მხოლოდ *მჟღერს*, *ყრუ* (ფშვინვიერი) – *ყრუს* (ფშვინვიერს), *მკვეთრი* – *მკვეთრს*, რის შედეგადაც ვიღებთ თანხმოვანთა ერთგვარ „გრძელ კომპონენტებს“. ის თანხმოვანი ფონემები, რომელთათვისაც მითითებული დიფერენციალური ნიშნები ფონოლოგიურად ღირებული არ არის (კერძოდ, სონორი *რ*, *ნ* და *g* ფონემები), შეიძლება დაუკავ-

შირდნენ დანარჩენი რიგების როგორც *მუღერებს*, ისე *ყრუებს* და *მკვეთრებს*:

- a: რ ნ  
 b: დჟ ზუ თცნ სშ ტწჭ  
 c: გ ღ ქხ კყ<sup>1</sup>  
 d: გ

როგორც სქემიდან ჩანს, **b** რიგს ქმნიან ანტერიორული (წინა წარმოების) თანხმოვნები, ხოლო **c** რიგს – პოსტერიორული (უკანა წარმოების) თანხმოვნები, თავკიდურ და ბოლოკიდურ ელემენტებად ოთხთანხმოვნიან კომპლექსებში გვაქვს **რ ან ნ (a რიგი)** და **გ (d რიგი)**. თანხმოვანთა მიმდევრობა კომპლექსში მკაცრად განსაზღვრულია: თანხმოვანთა შეერთება შეიძლება მოხდეს მხოლოდ **a-b-c-d** რიგით (კომპლექსში რიგების გადასმა დაუშვებელია).

1.3. უფრო დაბალი რიგის (სამ- და ორწევრიანი) თანხმოვანთკომპლექსები მიიღება ამავე ოთხწევრიანი **a-b-c-d** სქემიდან შესაბამისად ერთი ან ორი წევრის ამოღებით:

$$a - b - c - d \Rightarrow \begin{bmatrix} a - b - c \\ a - c - d \\ a - b - d \\ b - c - d \end{bmatrix} \begin{array}{l} \text{სამწევრიანი} \\ \text{კომპლექსები} \end{array}$$

$$a - b - c - d \Rightarrow \begin{bmatrix} a - b \\ a - c \\ b - c \\ b - d \\ c - d \end{bmatrix} \begin{array}{l} \text{ორწევრიანი} \\ \text{კომპლექსები} \end{array}$$

1.4. ერთადერთი შეზღუდვა, რაც ორწევრიან კომპლექსებს ახასიათებს, არის უკიდურესი რიგების (**a - d**) შეუთავსებლობა, ე. ი.

<sup>1</sup> /ყ/ ფონემა აერთიანებს ორ პოზიციურ ვარიანტს [ყ]ა და [ყ]ს. ხც შედგენილობის კომპლექსებში მკვეთრი თანხმოვნის მომდევნოდ წარმოადგენილია ყ ვარიანტი. კომპლექსის შემადგენლობაში ყ გვხვდება მხოლოდ ვ-ს წინ.

**b** რიგის ხშულ თანხმოვანთა გაერთიანებას **c** რიგის პოპოგენურ თანხმოვნებთან ეძახიან პარმონიულ კომპლექსებს.

დაუშვებელია ორწევრიან კომპლექსში **a** რიგის უშუალო შეერთება **d** რიგთან (\*რვ, \*ნვ). რიგებს შიგნით თანხმოვანთა შეერთებისას სამწევრიან და ორწევრიან კომპლექსებში მოქმედებს ზემოთ მითითებული ჰომოგენურობის პრინციპი, რომელიც აუცილებელი კომბინატორული წესია ნებისმიერი სიგრძის თანხმოვანთა კომპლექსში.

ოთხწევრიან **a-b-c-d** და სამწევრინ **a-b-c**, **a-b-d** სტრუქტურის კომპლექსებში **b** რიგის თანხმოვანთაგან გამოირიცხება ნაპრალოვანი თანხმოვნები, განსაკუთრებით მჟღერი სპირანტები. ამრიგად, ოთხწევრიან კომპლექსებში დაუშვებელია *-რჟღე- -ნზღე- -რშქე- -ნსქე-* და მისთ., ხოლო სამწევრიან კომპლექსებში – *-რჟღ-, -ნზღ-, რჟვ-, -რზვ-, -ნშქ-, -ნსქ-* და მისთ. მიმდევრობანი. სპორადულად (ძირითადად ხმაბაძვით სიტყვებში) გვხვდება *-რშბ-* (*რშხიპუა* „ხვრეპა“), *-რსხ-* (*რსხია* „წივილ-კივილი“, *რსხება* „ხსნა“) და მისთ.

1.5. ერთგვარ გამონაკლისს ჰომოგენურობის პრინციპიდან წარმოადგენს **b** რიგის ყრუ სპირანტთა შეერთების შესაძლებლობა **c** რიგის მკვეთრ **კ** ფონემასთან: **-სკ-, -შკ-**. ყველა ასეთ შემთხვევაში ეს კომპლექსები წარმოადგენს თავისუფლად მონაცვლე ვარიანტს კანონზომიერი **-სქ-, -შქ-** კომპლექსებისას, შდრ. *სქუა* || *სკუა* „შვილი“, *სქანი* || *სკანი* „შენი“, *დიშქა* || *დიშკა* „შეშა“, *შქა* || *შკა* „შუა“ და სხვ.

**-სქ- || -სკ-, -შქ- || შკ-** თავისუფალი მონაცვლეობა უნდა აიხსნებოდეს ყრუ სპირანტთა მომდევნოდ გლოტალიზაციის დაპირისპირების ნეიტრალიზაციით<sup>1</sup>.

1.6. მაქსიმალური სიგრძის **a-b-c-d** კომპლექსებიდან უფრო დაბალი რიგის კომპლექსების გამოყვანა დახასიათებული წესების მიხედვით ემყარება „თანხმოვანთა კომპლექსთა დაშლადობის“ ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვით ყოველი **n** სიგრძის თანხმოვანთა მიმდევრობა შეიცავს თუნდაც ერთ მიმდევრობას **n-1** სიგრძისას (*ლ. პიელმსლევეი*).

აკრძალულია ისეთი თანხმოვანთა შეერთებანი, რომლებიც გულისხმობენ **a-b-c-d** მიმდევრობაში (და შესაბამისად ყველა უფრო დაბალი რიგის მიმდევრობაში) ერთ-ერთი რიგის გადასმას, ე. ი. და-

<sup>1</sup> დაპირისპირება ყრუ *ს, შ, ხ/* სპირანტთა მომდევნოდ მოხსნილია მკვეთრსა და ყრუ-ფშვინვიერს შორის ნასესხებ სიტყვებშიც: **ხტ** || **ხთ** (ვახტანგი || ვახთანგი), **სტ** || **სთ** (სტოლი || სთოლი „მაგიდა“), **შტ** || **შთ** (შტრაფი || შთრაფი „ჰარიმა“), **სპ** || **სფ** (სპირიდონი || სფირიდონი), **შპ** || **შფ** (შპიონი || შფიონი).

საშეგებია მიმდევრობა **a-b-c-d** ან მისი გარდაქმნა ერთი ან ორი წევრის ამოღებით, მაგრამ დაუშვებელია რიგების აღრევა, ერთ-ერთი რიგის გადაადგილება: ეს რიგები, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამის თანხმოვანთა პოზიციას თანხმოვანთკომპლექსში, ფიქსირებულია თანმიმდევრობის თვალსაზრისით, ე. ი. გვაქვს **a-b-c-d, a-c-d, a-c** და ა.შ., მაგრამ გამორიცხულია **a-c-b-d, a-d-c, b-a, d-c** და მისთ. მიმდევრობები.

1.7. ზემოთ მოყვანილი სქემის საშუალებით და ფორმულირებული პრინციპების დაცვით ვიღებთ ჩამოთვლას მეგრულში არსებულ (ან თეორიულად დასაშვებ, ე. ი. მეგრულ თანხმოვანთა ფონოტაქტიკის თვალსაზრისით სტრუქტურულად შესაძლებელ) ოთხ-, სამ- და ორწევრიან ყველა კომპლექსს, რაც მორფემის ფარგლებში შეიძლება შეგვხვდეს. ამ თვალსაზრისით ეს მოდელი შეიძლება ჩაითვალოს თანხმოვანთკომპლექსთა წარმომშობ მოდელად მეგრულში.

### მაგალითები

#### ოთხწევრიანი კომპლექსები

რძგვ	მარძგვანი	„მარჯვენა“	ნღღვ	ლანღღვირი	„ამღვრეული“
რჩქვ	მერჩქვანა	„მიჩვევა“	ნძგვ	ნინძგვი	„ნისკარტი“
რჩხვ	რხჩვიანს	„ჩხავის“	ნღგვ	ღგვინღგვი	„ფისი“
რცხვ	ნორცხვა	„ნაკვერცხალი“	ნჯღვ	მანჯღვერი	„მოძღვარი, წინამძღოლი“
რჭყვ	ლერჭყვა	„ნერწყვი“	ნჩქვ	მუნჩქვი	„მაჩვი“
რწკვ	წკვარწკვალი	„წურწური“	ნწყვ	ნწყვირი	„დაქცეული“

#### სამწევრიანი კომპლექსები

რღგ	არღგილი	„ადგილი“	ნწყ	გონწყუ	„გახსნა“
რძგ	გომორძგუა	„გამარჯვება“	რღვ	დარღვი	„დაყარე“
რჯგ	ორჯგინუ	„აჯობა“	რქვ	მარქვალი	„კვერცი“
რღღ	ბარღღალი	„ბურტყუნის“	რხვ	რხვილი	„გახვრეტილი“
რძღ	რძღელი	„მძღარი“	ნქვ	მინქვალუ	„მოისპო“
რჯღ	რჯღია	„ჩხავილი“	ღღვ	ქედნადღვაბუ	„ტყაპუნით ჩავარდა“
რთქ	რთქაფუნს	„თქელეფს“	ჯღვ	ჯღვალიკი	„ჭანგი“
რცქ	ხორცქუ	„სკდება“			

რჩქ	არჩქილე	„ემის“	ზღვ	ზღვინდუ	„გადაუჭირა“ (შოლტი)
რცხ	რცხონუა	„ვარცხნა“	ჟღვ	ჟღვინტი	„წკინტილი“
რსხ	რსხება	„ხსნა“	თქვ	თქვა	„თქვენ“
რშხ	რშხიპუნს	„ხვრეპს“	ცქვ	ოცქვანს	„აქებს“
რწყ	რწყინუნს	„ბრწყინავს“	ცხვ	ცხვანტი	„მოუსვენარი“
რტყ	ორტყაფუ	„სარტყელი“	სქვ	სქვერი	„შველი“
რწყ	ორწყე	„ხედავს“	ტყვ	ტყვაცი	„მეხი“
ნძვ	გიონძგილუ	„გაჩრილია“	წკვ	წკვარამი	„ქვესკნელი“
ნჯვ	ფენჯგირე	„ცოცხი“	ჭკვ	ჭკვერი	„ჭკვიანი“
ნდლ	ნდლულუ	„დნება“	ჭყვ	ჭყვადირი	„გაწყვეტილი“
ნძლ	ბანძლი	„ხათაბალა“	რთვ	ორთვალი	„სახურავი“
ნჯლ	ონჯლორე	„სირცხვილი“	რცვ	გორცვი	„გაქუცე“
ნთხ	უნთხუ	„უსუნა“	რჩვ	გორჩვი	„გადარცვე“
ნჩხ	სინჩხე	„სიცხე“	რშვ	რშვინი	„სტვენა“
ნტკ	ონტკა	„არაყი“	რწყ	მარწყენი	„მაწონი“
ნწყ	ღვანწყი	„ლოყა“	ნღვ	ღინღვი	„ჩაიძირე“
ნტყ	მონტყორი	„მატყლი“			

ორწვერიანი კომპლექსები

რდ	რდულა	„ზრდა“	თხ	თხირი	„თხილი“
რძ	არძა	„ყველა“	ცქ	ცქუმუნტური	„ზღმარტლი“
რჯ	ებორჯუ	„აიბნა“	ცხ	ცხაცხუ	„ცაცხვი“
რზ	დარზება	„დანთება“	ჩქ	ჩქიმი	„ჩემი“
რჟ	ირჟიოლუ	„ჟრიალებს“	ჩხ	ჩხუ	„ძროხა“
რთ	რთულა	„გაყოფა“	სქ	სქანი	„მენი“
რც	რცულა	„ჩაცვენა“	სხ	სხული	„მსხალი“
რჩ	რჩინუ	„მოხუცი“	შქ	შქირენს	„შია“
რს	რსიოლი	„სრიალი“	შხ	შხუ	„მსხვილი“
რშ	გნჯრშუმჯუ	„ღრძობა“	ტკ	ტკუ	„მტკაველი“
რტ	ირტუ	„გაიქცა“	ტყ	ტყა	„ტყე“
რწყ	ფერწყ	„ლოკოკინა“	წკ	წკა	„კურკა“
რჭ	ბურჭი	„ბერწყი“	წყ	წყუ	„ჭა“
ნღ	ონღეთ	„ოდნავ“	ჭკ	ჭკომუ	„ჭამა“

ნძ	გინძე	„გრძელი“	ჭყ	ჭყორი	„მწყერი“
ნჯ	დინჯირუ	„დაწვა“	ღვ	ღვანს	„ღვბს“
ნთ	თუნთი	„დათვი“	ძვ	ძვალი	„ძვალი“
ნც	მენცარი	„მეცნიერი“	წვ	წვეში	„ძველი“
ნჩ	უნჩაში	„უფროსი“	ზვ	მოზვერი	„მოზვერი“
ნტ	ონტუ	„უკიდია“	ჟვ	ჟვეპური	„ქაფი“
ნწ	ონწე	„აკვანი“	თვ	თვალუა	„მოთქმით ტირილი“
ნჭ	ინჭირია	„ანწლი“	ცვ	იცვიცვინანს	„ვატრეცილია“
რგ	მარგალი	„მეგრელი“	ჩვ	ჩვარა	„ჩუჭი“ (თხილი)
რლ	არლია	„ლალღა“	სვ	მოსვანჯა	„მოსვენება“
რქ	ირქენს	„ქრის“	შვ	გეშვი	„დალიე“
რხ	მორხინუ	„შემართა“	ტვ	ტვინი	„ტვინი“
რკ	რკიანს	„კივის“	წვ	წვანჯი	„წვერი“
ღგ	ღგუ	„ღგას“	ჭვ	მოჭვა	„ქრუხი“
ღღ	ღღა	„ღღე“	გვ	გვერი	„გველი“
ძგ	ძგა	„კიდე“	ღვ	ღვანწკი	„ლოყა“
ძღ	ძღაბი	„გოგო“	ქვ	ქვირა	„კვიცი“
ჭგ	ჭგირი	„ქარგი“	ხვ	ხვამა	„ლოცვა“
ჭღ	მეჭღონა	„გაგზავნა“	კვ	ფოკვა	„ობი“
ზღ	ზღოდაფა	„მოსრა“	ყვ	ყვაყვალანს	„ყიყინებს“
ჟგ	ჟგართუ	„აგღია“	[წვ	წვალი	„ყველი“]
თქ	თქუანს	„იტყვის“			

1.8. მოდელის მიხედვით თეორიულად დასაშვებ კომპლექსთაგან დადასტურებულია მხოლოდ ერთი ნაწილი.

თეორიულად დასაშვები კომპლექსი გულისხმობს ისეთ კომპლექსებს, რომლებიც მეგრულ თანხმოვანთა ფონოტაქტიკის თვალსაზრისით სტრუქტურულად დასაშვებია, თუმცა რეალურად შეიძლება არც დასტურდებოდეს. ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა ამგვარ კომპლექსთა წარმოქმნისა ან რომელიმე ენიდან ნასესხებ სიტყვაში ამგვარი კომპლექსების შენარჩუნებისა. ასეთი (თეორიულად დასაშვები) კომპლექსის შემცველი ნასესხები სიტყვა მეგრულში არ გარდაიქმნება, განსხვავებით იმ ნასესხები თანხმოვანთკომპლექსებისაგან, რომლებიც ჩვენს სქემაში არ აისახება და დაუშვებელია მეგრულ თანხმოვანთა ფონოტაქტიკის თვალსაზრისით.

„თეორიულად დასაშვები“ კომპლექსი ისეთი კომპლექსებია, რომლებიც ჩვენი სქემიდან გამომდინარეობს მითითებული წესების დაცვით და ამდენად შეესაბამება თანხმობანთკომპლექსთა სტრუქტურულ კანონზომიერებებს მეგრულში. ამგვარად მიღებულ კომპლექსებს მეგრულ თანხმობანთა ფონოტაქტიკის თვალსაზრისით კ ა ნ ო - ნ ი კ უ რ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი შეიძლება ეწოდოს. კანონიკური კომპლექსები ნასესხებ სიტყვებში (ცვლილებებს არ განიცდიან, მაშინ როდესაც სხვა კომპლექსები გარდაიქმნებიან დასაშვებ კანონიკურ კომპლექსებად (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

1.9. ლაბიალური თანხმობენები **ბ, ფ, პ** და **მ**, რომლებიც შედიან გარკვეული კომპლექსის შემადგენლობაში როგორც პირველი ელემენტი, ჩვენი სქემის გარეთ რჩება, ვინაიდან ეს თანხმობენები ისეთ ორ- და იშვიათად სამწევრ სტრუქტურის კომპლექსებში მონაწილეობენ, რომლებიც არ გამოიყვანება ზემოთ აღწერილი მოდელიდან. ამ თვალსაზრისით მათ შეიძლება ვუწოდოთ **არაკანონიკური კომპლექსები**. ეს კომპლექსებია<sup>1</sup>:

<b>ბჟ:</b> ბუა	„მზე“	<b>ფრ:</b> ფრიმული	„წვერი“
ბუა	„რძე“	ფრევალი	„თებერვალი“
ბუაკე	„წვერები“	<b>პრ:</b> პროლი	„იატაკი“
<b>ბზ:</b> ბზაკალი	„ბზა“	აპრილი	„იატაკი“
ბზარხული	„ზაფხული“	<b>მშვ:</b> ამშივი	„ექვსი“
ბზითი	„მზითვი“	<b>მცვ:</b> ციმცვა	„მარწვევი“
<b>ბრ:</b> ბრულა	„რბენა“	<b>მჩ:</b> ოჩამჩირე	(ქალაქის სახელი)
ბრუს	„რვა“	<b>მხ:</b> ხემხე	(ეურძნის ჯიში)
<b>ფშ:</b> ფშაფა	„გსება“	<b>მფ:</b> ჯამფეზია	(ბალახის სახელი)
ეფშა	„სავსე“	ლამფა	„ლამფა“
ლაფშა	„ლაფშა“ (ცხენი)	<b>მპ:</b> ლამპა	„ლამპა“
მაფშალია	„ბუღბული“	<b>მრ:</b> წიმრატი	„წიწმატი“
აფშილაფა	(გვარი)		(ი. ყიფშიძე)
ლეფში	„ნემსი“	ხუმრა	„ხუმრა“
<b>ფხ:</b> ფხუმა	„დასველება“	<b>მგ:</b> შამგონა	(სოფლის სახელი)
<b>ფხ:</b> აფხა	„მხარი“		
აფხაზა	„აფხაზი“		

<sup>1</sup> მოგვეყვას ჩვენთვის ცნობილი ყველა მაგალითი.

უფრო ხშირია კომპლექსი ამ ორი ლაბიალური თანხმოვნის, მ-სა და ბ-ს, გაერთიანებით:

მბ:	ამბე	„ამბავი“
	ბამბე	„ბამბა“
	კამბენი	„კამენი“
	ომბაღე	„ომბაღო“
	ომბოღი	„ობოღი“
	ტომბა	„ღრმა“
	მბარუა	„ბერვა“

მ ელემენტის შემცველი კომპლექსები საკმაოდ სტაბილურია, მაშინ როდესაც კომპლექსები თავიკიდური ბ, ფ, ჰ ელემენტებით მერყევია და აქვთ ტენდენცია გარდაიქმნან კანონიკურ კომპლექსებად, ძირითადად კომპლექსის გამარტივების გზით (დიალექტების მიხედვით):

**ბC→C**

- ბჟა „რძე“, შდრ. ჟა-ჟუ „რძე“ (ბავშვის ენაზე)<sup>1</sup>
- ბზაკალი „ბზა“, შდრ. ზაკალი
- ბზითი „მზითვი“, შდრ. ზითი
- ბზარხული „ზაფხული“, შდრ. ზარხული
- ბრულა „რბენა“, შდრ. რულა
- ბრუო „რვა“, შდრ. რუო
- ბზადუა „შეკაზმვა; შეგებება“, შდრ. ზადუა.

საინტერესოა, რომ ასეთ მერყეობას არ გვინგენებს ბC კომპლექსი ბჟა „მზე“ ფორმაში<sup>2</sup>.

ანალოგიურ ტენდენციას ავლენს ფC კომპლექსიც:

- ფC→C:**
- ფფშა „სავსე“, შდრ. ფშა
  - ლფფში „ნემსი“, შდრ. ლეში
  - ფსუმა „დასველება“, შდრ. სუმა

<sup>1</sup> შდრ. ბავშვის ენაში რედუბლიკაციის ანალოგიური შემთხვევები: ხე „ხელი“ = ხე-ხუ; პიჯი „პირი“ = პი-პუ.

<sup>2</sup> ჟაშზა „კვირა“ (ეტიმოლოგიურად „მზის დღე“) ფორმის შესახებ, რომელიც თავიკიდურა ბ-ს გარეშე გვხვდება, იხ. ქვემოთ.

**ფხ→რხ:** ზაფხული „ზაფხული“ შდრ. ზარხული  
დანარჩენი ფც კომპლექსები შედარებით სტაბილურია.

მოდელის გარეთ რჩება აგრეთვე ლ თანხმოვანი, რომელიც მეგრულში არ მონაწილეობს თანხმოვანთკომპლექსებში. ცლ და ლც მიმდევრობები შეიძლება შეგვხვდეს ცალკეულ უახლეს ნასესხობებში (კლასი, პლატოკი, გამრეკლია...). ასეთ შემთხვევებშიც იგი განიცდის გარდაქმნას არსებული მოდელის მიხედვით (იხ. ქვემოთ).

1.10. თანხმოვანთკომპლექსთა ზემოთ განხილული მოდელი აღწერს მეგრულ თანხმოვანთკომპლექსებს მორფემის ფარგლებში. გარკვეული შეზღუდვებით იგივე წესები მოქმედებს სიტყვა-ფორმის ფარგლებშიც, სადაც თავს იჩენს მორფემათა საზღვრებისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური კანონზომიერებანი.

თანხმოვანთმიმდევრობა, წარმოქმნილი ფუძეზე სუფიქსური მორფემების დართვით, მთლიანად ექვემდებარება თანხმოვანთა გაერთიანების ზემოთ ფორმულირებულ კანონზომიერებებს, ე. ი. მოდელის მიხედვით დაშვებული თანხმოვანთმიმდევრობა უცვლელი რჩება, ხოლო დაუშვებელი თანხმოვანთმიმდევრობანი გარდაიქმნება მოდელის თვალსაზრისით დასაშვებ (resp. კანონიკურ) მიმდევრობებად.

პრეფიქსულ მორფემებში წარმოქმნილ თანხმოვანთმიმდევრობებში დამატებითი კანონზომიერება მოქმედებს, რაშიც ვლინდება ფუნქციური განსხვავებანი სიტყვა-ფორმის ფარგლებში პრეფიქსულ და სუფიქსურ მორფემათა შორის.

2.0. თანხმოვანთმიმდევრობები, რომლებიც წარმოიქმნება სახელებში სუფიქსური მორფემების დართვით, გვაქვს ბრუნების პარადიგმაში, როდესაც თანხმოვანფუძიან სახელს დაერთვის თანხმოვანიანი სუფიქსები – მთხრობითი ბრუნვის ნიშანი -ქ, მიცემითისა -ს. ასეთ ფორმებში არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსები გარდაიქმნება კანონიკურად:

### სახელური ბრუნება კანონიკური კომპლექსებით

სახ.	გურ-ი	„ბული“	გინ-ი	„ხბო“	ჩხომ-ი „თევზი“
მოთხ.	გურ-ქ		გინ-ქ		ჩხომ-ქ

მიც.	გურ-ს		გინ-ს	ჩხომ-ს <sup>1</sup>
სახ.	კონ-ი	„კაცი“	ღორონთ-ი	„ღმერთი“
მოთხ.	კონ-ქ		ღორონთ-ქ	

### სახელური ბრუნება არაკანონიკური კომპლექსით

ასეთი კომპლექსი გარდაიქმნება კანონიკურ კომპლექსად:

სახ.	კონ-ი	„კაცი“	ღორონთ-ი	„ღმერთი“
მიც.	კონ+ს	→ კონ-ს	ღორონთ+ს	→ ღორონ-ს
სახ.	ღეჯ-ი	„ღორი“	ღუდ-ი	„თავი“
მოთხ.	ღეჯ+ქ	→ ღენ-ქ	ღუდ+ქ	→ დუთ-ქ
მიც.	ღეჯ+ს	→ ღე-ს	ღუდ+ს	→ დუ-ს <sup>2</sup>

2.1. აქ მოქმედებს როგორც კომპლექსთა გარდაქმნა თანხმოვანთა ჰომოგენურობის თვალსაზრისით (ასიმილაცია *ღუდ-ქ* → *დუთ-ქ* „თავი“), ისე არაკანონიკური ხხ სტრუქტურის კომპლექსის გამარტივება წინამავალი წევრის ჩაგდებით (*ღუდ-ხ* → *დუ-ხ* „თავს“)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> მ-ზე დაბლორებულ ფუძეებთან წარმოშობილ მქ, მს კომპლექსებს პირობითად ვთვლით კანონიკურებად, რამდენადაც მ ჩვენი სქემის გარეთაა.

<sup>2</sup> თანხმოვნის მომდევნო ბოლოკიდური მორფემისეული -ს (ამ შემთხვევაში მიცემითის ნიშანი) დიალექტურად მონაცვლეობს ც თანხმოვანთან: ზუგდიდურში - C+ს# → C+ც#, შღრ. სენაკ. ჯოღორ-ს ~ ზუგდ. ჯოღორ-ც „ძალს“, სენაკ. ცხენ-ს ~ ზუგდ. ცხენ-ც „ცხენს“ (ხმოვნის მომდევნოდ -ს უცვლელია: ზუგდ., სენაკ. დიდა-ს „დედას“, კოტო-ს „ქოთანს“). საინტერესოა, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბოლოკიდური -ს-ს წინამავალი თანხმოვანი აქტუალურად წარმოდგენილი არ არის (მაგრამ პარადიგმატულად ივარაუდება), ზუგდიდურში იგივე ს → ც პროცესი ხდება ზემოთ მითითებული მოდელის შესაბამისად (მაგ. დუ-ც „თავს“). ანალოგიურადვე S<sub>3</sub>-ის მორფემა -ს ზუგდიდურში ც-ში გადადის თანხმოვნის მომდევნოდ: ქარუნ+ს → ქარუნ-ც „წერს“ (შღრ. დოქარა-ს „წეროს“), იბირ-ს → იბირ-ც „მღერის“ (შღრ. იბირა-ს „იმღეროს“).

<sup>3</sup> არაკანონიკური კომპლექსის თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალება ბრუნების პარადიგმაში არის ჩქამიერ თანხმოვანზე დაბლორებულ ფუძეთა მომდევნოდ ი-ხმოვნის გაჩენა:

სახ.	კუჩხ-ი	„ფეხი“	ღუყ-ი	„იდაყვი“
მოთხ.	კუჩხ-ი-ქ		ღუყ-ი-ქ	
მიც.	კუჩხ-ი-ს		ღუყ-ი-ს	

ლ-ზე დაბოლოებული ფუძეები ბრუნების პარადიგმაში ქმნიან მიმდევრობებს **-ლ-ქ** (მოთხრ. ბრ.) და **-ლ-ს** (მიც. ბრ.), რომლებიც გარდაიქმნებიან კანონზომიერ **რ-ქ** და **რ-ს** მიმდევრობებად.

ს ა ხ .	ლუღ-ი „თავი“	ტორონჯი	„მტრედი“
მ ო თ ხ რ .	ლუღ+ქ→ლუღ-ი-ქ    დუთ-ქ	ტორონჯ+ქ→ტორონჯ-ქ    ტორონჯ-ი-ქ	
მ ი ც .	ლუღ+ს→ლუღ-ის    დუ-ს	ტორონჯ+ს→ტორონჯ-ს    ტორონჯ-ის	

ზოგიერთ ჩქამიერ თანხმოვანზე დაბოლოებული სახელური ფუძე არაკანონიკურ კომპლექსს ბრუნების პარადიგმაში მხოლოდ ხმოვნის ჩართვით იცილებს თავიდან, მაგ.:

ს ა ხ .	მენჯ-ი	(აღვილის სახელი)
მ ო თ ხ რ .	მენჯ-ი-ქ	
მ ი ც .	მენჯ-ის	

რიგ თანხმოვანფუძიან სახელებში, რომლებიც მიცემითი ბრუნვის ფორმაში არაკანონიკურ კომპლექსს **-ი-** ხმოვნით თიშავენ, ამგავრი **-ი-** ხმოვნიანი „ფუძე“ საფუძვლად ედება მოთხრობითი ბრუნვის ფორმას, სადაც მოთხრობითის **-ქ-ს** დართვის შედეგად კანონიკური თანხმოვანთკომპლექსი უნდა წარმოქმნილიყო. ასეთი კომპლექსი ზოგ სიტყვაში დასტურდება კიდევ **-ი-** ხმოვანჩართული მოთხრობითი ბრუნვის პარალელურად:

ს ა ხ .	კოჩ-ი	„კაცი“	თუნთ-ი	„დათვი“
მ ო თ ხ რ .	კოჩ-ქ    კოჩ-ი-ქ		თუნთ-ქ    თუნთ-ი-ქ	
მ ი ც .	კო-ს    კოჩ-ის		თუნთ-ს    თუნთ-ის	

ს ა ხ .	კიც-ი	„კეცი“	ეჩ-ი	„ოცი“
მ ო თ ხ .	კიც-ი-ქ		ეჩ-ი-ქ	
მ ი ც .	კიც-ის		ეჩ-ის	

ბრუნების პარადიგმაში **-ი-** ხმოვნის საშუალებით არაკანონიკური კომპლექსის გათიშვა მეგრულში შედარებით ახალი მოვლენა ჩანს, რომელსაც წინ უსწრებდა არაკანონიკურ თანხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნა კანონიკურად. ამ მხრივ ნიშანდობლივია წ უ ნ ს ფორმა (აკა წუნს „ერთ წუთას“, შდრ. აკა წანს „ერთ წამს“), რომელიც წარმოშობით მიცემითი ბრუნვის ფორმაა: წუთ+ს. არაკანონიკური **-თ+ს**→**ნ+ს**. ეგვევ სიტყვა სრული მნიშვნელობით („წუთი“) ბრუნების დროს არაკანონიკურ კომპლექსს თიშავს **-ი-** ხმოვნით: სახ. წ უ თ -ი, მიც. წ უ თ -ის, აქედან მოთხრობითი წ უ თ -ი-ქ. ამავე რიგისაა თ ო ლ -ქ „თვალმა“, თ ო ლ -ს „თვალს“ პარადიგმა თ ო რ -ქ, თ ო რ -ს პარადიგმის პარალელურად (იხ. ქვემოთ).

სახ.	თოლი	„თვალი“
მოთხრ.	თოლ-ქ    თორ-ქ	
მიც.	თოლ-ს    თორ-ს <sup>1</sup>	

მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილ არაკანონიკურ თანხმოვანთ-კომპლექსთა გარდაქმნები წარმოადგენს საფუძველს სახელის ფუძის მონაცვლეობისა პარადიგმაში, შდრ. სახელური პარადიგმის მონაცვლე ფუძეები: კოჩ- ~ კო- „კაცი“, დუდ- ~ დუთ- ~ დუ- „თავი“, თოლ- ~ თორ- „თვალი“, ლეჯ- ~ ლეჩ- ~ ლე- „ლორი“ და მისთ. (იხ. ზემოთ).

კომპლექსი თავიკიდური ლაბიალური თანხმოვნით წარმოიქმნება სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ -ეფ- სუფიქსზე მოთხრობითის -ქ და მიცემითის -ს ნიშნების დართვისას: ფ+ქ, ფ+ს. ეს კომპლექსები იჩენენ ტენდენციას კანონიკურ -ნ-ქ და -ნ-ს კომპლექსებად გარდაქმნისა<sup>2</sup>, რასაც ემყარება მრავლობითის {-ეფ-} მორფემის ფონოლოგიურად მონაცვლე [-ეფ-] და [-ენ-] ვარიანტები<sup>3</sup>:

სახ.	კოჩ-ეფ-ი	„კაცები“
მოთხრ.	კოჩ-ეფ-ქ→კოჩ-ენ-ქ	
მიც.	კოჩ-ეფ-ს→კოჩ-ენ-ს	
ნათ.	კოჩ-ეფ-იშ	

<sup>1</sup> თავს იჩენს პარადიგმატული გასწორება (ძირითადად ახალგაზრდათა მეტყველებაში): კანონზომიერ რქ, რს-ს ნაცვლად ლქ, ლს მიმდევრობათა ხმარება (თოლ-ქ, თოლ-ს და მისთ).

<sup>2</sup> -ნ-ს დიალექტურად მონაცვლეობს -ნ-ც-სთან ზუგდიდურში: კოჩ-ენ-ც „კაცებს“ (თანხმოვნის მომდევნოდ -ს მორფემის ც-ში გადასვლის შესახებ იხ. ზემოთ).

<sup>3</sup> ზუგდიდურში ბრუნების პარადიგმაში დასტურდება აგრეთვე პირველადი ფ+ქ, ფ+ს (→ფ+ც) კანონიკურ კომპლექსებად გარდაქმნის გარეშე, რითაც თავიდანაა აცილებული მრავლობითის მორფემის ვარიანტთა მონაცვლეობა პარადიგმაში (მაგ. სახ. კოჩ-ეფ-ი, მოთხრ. კოჩ-ეფ-ქ, მიც. კოჩ-ეფ-ს/ც). ასეთი ფორმები, მაგალითად, სისტემატურია კ. სამუშაის მიერ გამოცემულ მეგრულ ტექსტებში („ქართული ხალხური პოეზიის მასალები“, თბილისი, 1971 წ.): შხუჩ-ეფ-ც „ცხვრებს“ (გვ. 68), ჯოლორ-ეფ-ქ „ძაღვებს“ (გვ. 77), მათხოზინ-ეფ-ქ „მდევნელებს“ (გვ. 70).

2.2. ანალოგიური თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც გარდაიქმნება კანონიკურ კომპლექსებად აღწერილი წესის მიხედვით, წარმოიქმნება აგრეთვე ზმნის უღველილების პარადიგმაში, თანხმონით დაბოლოებულ ზმნურ ფუძეზე თანხმოვნიანი მაწარმოებლის დართვისას. ეს მაწარმოებლებია: [ს] – III სუბიექტური პირის ნიშანი<sup>1</sup>, [-თ] – მრავლობითის ნიშანი, [-ქ] – I ~ II პირის ფორმათა მორფოლოგიური დანართი მხ. რიცხვში<sup>2</sup>.

ზმნური სიტყვა-ფორმის ბოლოკიდურ პოზიციაში ამგვარად წარმოქმნილი თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც მორფემათა მიჯნას შეიცავენ, გარდაიქმნებიან კანონიკურ კომპლექსებად უფრო მეტი რეგულარობით, ვიდრე მორფემის ფარგლებში წარმოდგენილი ანალოგიური კომპლექსები. ეს პირველ რიგში შეეხება ლაბიალური [ბ, ფ, მ] ელემენტით დაწყებულ კომპლექსებს (შდრ. ზემოთ ამგვარი კომპლექსების შესახებ).

ეს კომპლექსები ასე გარდაიქმნიან:

$$მ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix} \rightarrow ნ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix} \quad ბ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix} \rightarrow ნ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix} \quad ლ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix} \rightarrow რ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix}$$

ანუ

$$მ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix} \rightarrow ნ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix} \quad და \quad ლ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix} \rightarrow რ \begin{bmatrix} ს \\ ქ \\ თ \end{bmatrix}$$

ამრიგად, ბაგისმიერები მითითებულ თანხმოვანთა წინ გარდაიქმნიან ნ-დ, ხოლო ლ გარდაიქმნება რ-დ.

<sup>1</sup> C+ს→C+ც ზუგდიდურში: ქ ვ ინ +ს→ქ ვ ინ +ც „წვიმს“, მე უ რ +ს→ მე უ რ +ც „მიდის“ და მისთ., იხ. ზემოთ.

<sup>2</sup> ეს [-ქ] გვაქვს აწმყო-მყოფადის ფორმებში, ეგევე [-ქ] გვაქვს თურმეობითი I-ის ფორმებშიც, ოღონდ ის აქ თანხმოვანთკომპლექსს არ ქმნის, რამდენადაც მის წინ მუდამ ხმოვნით დაბოლოებული ფუძეა.

მაგალიტები:

ჭვიმ+ს→ჭვინ-ს „წვიმს“, შდრ. ჭვიმა „წვიმა“, ლოჭვიმუ „იწვიმა“;  
მეულ+ს→მეურ-ს „მიდის“, შდრ. ულა „სელა“, მეულა „მიდიან“;  
მეულ+თ→მეურ-თ „მივდივართ“, შდრ. ზემოთ.

მეულ+ქ→მეურ-ქ „მივდივარ“, შდრ. ზემოთ.

2.3. კომპლექსთა ამ ტიპის ტრანსფორმაციები იწვევს ზმნური ფუძის მონაცვლეობას უღვლილების პარადიგმაში, შდრ. ჭვიმ- ~ ჭვინ-, ულ- ~ ურ-.

ამ გზით წარმოქმნილი მორფემული ხასიათის მონაცვლეობა განსაკუთრებით გავრცელებულია ზმნურ თემის ნიშნებში, რომელთა ბიცი თანხმოვანთა შედგენილობისდა მიხედვით სხვადასხვა ფონოლოგიურ ვარიანტებს გვიჩვენებენ. ეს თემის ნიშნებია: {-უმ-}, {-ამ-}, {-ებ-}, {-აფ-}.

მაგალიტები:

ღგ-უმ+ს→ღგ-უნ-ს „დგამს“, ვ-ღგ-უმ+ქ→ვ-ღგ-უნ-ქ „ვდგამ“, ვ-ღგ-უმ+თ→ვ-ღგ-უნ-თ „ვდგამთ“, შდრ. ღღგ-უმ-ა „ღღგამა“, ღუ-ღგ-უმ-უ(ნ) „ღღგამს“;

მე-ჩამ+ს→მეჩ-ან-ს „მისცემს“, მე-ფ-ჩ-ამ+ქ→მე-ფ-ჩ-ან-ქ „მივცემ“, მე-ფ-ჩ-ამ+თ→მე-ფ-ჩ-ან-თ „მივცემთ“, შდრ. მე-ჩ-ამ-ა „მიცემა“, მე-უ-ჩ-ამ-უ(ნ) „მიუცია“;

მი-ო-გ-ამ+ს→მი-ო-გ-ან-ს „დაარტყამს“, „დაუკრავს“, მი-ვ-ო-გ-ამ+ქ→მი-ვ-ო-გ-ან-ქ „დავარტყამ“, მი-ვ-ო-გ-ამ+თ→მი-ვ-ო-გ-ან-თ „დავარტყამ“, შდრ. მე-გ-ამ-ა „დარტყმა, დაკვრა“; მე-უ-გ-ამ-უ(ნ) „დაურტყამს, დაუკრავს“;

ო-გორ-აფ+ს→ო-გორ-ან-ს „ლანძღავს, აგინებს“, ვ-ო-გორ-აფ+ქ→ვ-ო-გორ-ან-ქ „ვაგინებ“, ვ-ო-გორ-აფ-თ→ვ-ო-გორ-ან-თ „ვაგინებთ“, შდრ. გორ-აფ-ა „გინება, ლანძღვა“, უ-გორ-აფ-უ(ნ) „უგინებია, ულანძღავს“;

ი-ჭყ-აფ+ს→ი-ჭყ-ან-ს „იწყებ“, ვ-ი-ჭყ-აფ-ქ→ვ-ი-ჭყ-ან-ქ „ვიწყებ“, ვ-ი-ჭყ-აფ-თ→ვ-ი-ჭყ-ან-თ „ვიწყებთ“, შდრ. ღო-ჭყ-აფ-ა „ღაწყება“, ღუ-ჭყ-აფ-უ(ნ) „ღაუწყია“;

აკეთ-ებ+ს→აკეთ-ენ-ს „აკეთებს“, ვ-აკეთ-ებ+ქ→ვ-აკეთ-ენ-ქ „ვაკეთებ“, ვ-აკეთ-ებ+თ→ვ-აკეთ-ენ-თ „ვაკეთებთ“, შდრ. კეთ-ებ-ა „კეთება“, უ-კეთ-ებ-უ(ნ) „უკეთებია“ (ზმნა ნასესხებია ქართულიდან).

თანხმოვანთკომპლექსთა ამგვარ გარდაქმნებს ემყარება {-უმ-}, {-ამ-}, {-აფ-} და ქართულიდან შესული {-ებ-} თემის ნიშანთა [-უმ-]-[-უნ-], [-აფ-] ~ [-ან-], და [-ებ-] ~ [-ენ-] პარადიგმატულად მონაცვლე ვარიანტების წარმოქმნა.

ქართული -ევ- თემის ნიშანი (*ადღ-ევ-ს*, *არბ-ევ-ს* და მისთ.) მეგრულში შეთვისებულია -ენ- ფორმის სახით მომდევნო თანხმოვნის მეზობლობაში არაკანონიკური  $ვ+C \rightarrow ნ+C$  გარდაქმნის შედეგად;

ქართ. *ადღ-ევ-ს* → მეგრ. *არბ-ენ-ს*

ზემოთ განხილული {-უმ-}, {-ამ-}, {-აფ-} თემის ნიშნები საკუთრივ მეგრული მორფემებია, რომელთაც ქართულში ზუსტი შესატყვისი მოუპოვება {-ამ-} (*ვ-დგ-ამ*), {-ემ-} (*მი-ვ-ც-ემ*), {-ებ-} (*ვ-ა-ვინ-ებ*) ერთეულთა სახით, ხოლო {-ებ-} თემის ნიშანი მეგრულში შედარებით გვიანდელია და უშუალოდ ქართულიდანაა შეთვისებული:

ქ ა რ თ უ ლ ი მ ე გ რ უ ლ ი

-ამ-	:	{-უმ-} <sup>1</sup>	ვარიანტებით	[-უმ-] და [-უნ-]
-ემ-	:	{-ამ-}	„	[-ამ-] და [-ან-]
-ებ-	:	{-ეფ-}	„	[-აფ-] და [-ან-]
-ებ-	→	{-ებ-} <sup>2</sup>	„	[-ებ-] და [-ენ-]
-ენ-	→	{-ენ-} <sup>3</sup>		

ამგვარად, თანხმოვანთმიმდევრობათა ფარგლებში გარკვეული გარდაქმნების შედეგად მეგრულში ჩამოყალიბდა გრამატიკული ომონიმია მორფემათა დონეზე: სხვადასხვა ზმნური თემის ნიშნის განსაზღვრული ვარიანტები ერთმანეთს დაემთხვა ფონემური შედგენილობით. რომელიმე -ან- თემის ნიშანი *ოგორ-ან-ს* „ავინებს“ ფორმაში არ არის მორფოლოგიურად იგივე, რაც -ან- თემის ნიშანი *მეხ-ან-ს* „მისცემს“ ფორმაში, რამდენადაც პირველს ენაცვლება -აფ- ვარიანტი (შდრ. *უგორ-აფ-უ* „უგინებია“), ხოლო მეორეს – -ამ- (*მეურ-ამ-უ* „მიუცია“). ამდენად ეს ერთეულები სხვადასხვა მორფე-

<sup>1</sup> ქართული -ამ- თემის ნიშნის შესატყვისად მეგრული -უმ- აიხსნება უფრო ადრინდელი მეგრ. \*-ომ- ერთეულის გადასვლით -უმ- ფორმაში (ო → უ მომდევნო მ-ს გავლენით).

<sup>2</sup> შდრ. ამ ნიშანს, რომელიც ქართულიდანაა ნასესხები (და არ გვიჩვენებს ამ ენათათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ შესატყვისობას), თემის ნიშანი -აფ-, რომელიც ქართული -ებ-ის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია.

<sup>3</sup> ამ ნიშნის სხვადასხვა ვარიანტის შესახებ მეგრულში იხ. ქვემოთ.

მის ელემენტებს წარმოადგენენ.

3.0. მორფემათა საზღვრის შემცველ ბოლოკიდურ კომპლექსთაგან განსხვავებით, სადაც, როგორც წესი, რეგულარულად არის გატარებული თანხმოვანთა კანონიკურ მიმდევრობებად გაერთიანების პრინციპი, მორფემული საზღვრის შემცველი თავიკიდურა კომპლექსები გარკვეული აზრით დამატებით კანონზომიერებებს გვიჩვენებს. ამასთანავე გვაქვს ნაწილობრივი გადახრები იმ კანონზომიერებათაგან, რომელთაც თანხმოვანთკომპლექსები მორფემის ფარგლებში ავლენენ.

3.1. მორფემის საზღვრის შემცველი თავიკიდურა კომპლექსები მეგრულში იქმნება ზმნურ ფუძეზე პირის ნიშნებისა და სხვადასხვა პრეფერებისა და ნაწილაკების დართვის შედეგად.

პრეფიქსულ პირის ნიშანთა დართვა თანხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძეზე გვაძლევს თანხმოვანთმიმდევრობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია თანხმოვანთა კომბინირების საერთო წესების გარკვეული მოდიფიკაცია.

პირის ნიშნებია:

$S_1 \Rightarrow \{ვ-\},$  ვარიანტებით  $[ვ-], [ბ-], [ფ-], [პ-]$

$O_1 \Rightarrow \{მ-\},$  ვარიანტებით  $[მ-], [ბ-], [ფ-], [პ-]$

$O_2 \Rightarrow \{გ-\},$  ვარიანტებით  $[გ-], [რ-].$

ამ პრეფიქსულ ნიშანთა დართვა თანხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძეზე იწვევს თანხმოვანთმიმდევრობის სიგრძის გაზრდას ერთით:  $n$  სიგრძის თანხმოვანთმიმდევრობა გარდაიქმნება  $n+1$  სიგრძის მიმდევრობად. ამდენად, პრეფიქსული მორფემის დართვის შემთხვევაში შეიძლება გვექნოდეს ხუთი ელემენტისაგან შემდგარი კომპლექსი (შდრ. მორფემის ფარგლებში შესაძლებელი სიგრძე თანხმოვანთმიმდევრობისა, რომელიც ოთხს უდრის), მაგ. *ბ-რჩხვიანქ* „ჩხხავი“, *რ-ნწყვი* „დაგაქციე“, *ფ-თქვი* „ვთქვი“, *პ-ჭყვიდუნქ* „ვწყვეტ“ და მისთ.

3.2. პირველი სუბიექტური პირის  $\{ვ-\}$  ნიშნის დართვა თანხმოვნით დაწყებულ ფუძეზე იწვევს მიღებული თანხმოვანთმიმდევრობის გარდაქმნას იმ თვალსაზრისით, რომ ვ თანხმოვანი იცვლება ლაბი-ალური ჩქამიერი თანხმოვნით. ეს გარდაქმნა ეთანხმება იმ თავისებურებას, რომლის მიხედვით მეგრულისათვის ვ+C არაკანონიკურია.

S<sub>1</sub> მორფემის [ვ-] ვარიანტი გვხვდება მხოლოდ ხმოვნის წინ: *ვ-ორექ* „ვარ“, *ვ-ეჩიებუქ* „ვესაუბრები“, *ვ-ირცხონქ* „ვივარცხნი“, *ვ-ათასუქ* „ვეთესები“, *ვ-უჭარუნქ* „ვუჭერ“<sup>1</sup>.

თანხმოვნის წინ S<sub>1</sub>-ის ნიშანი ვლინდება ჩქამიერ ლაბიალურ ბ, ფ, პ თანხმოვანთა სახით პომოგენურობის პრინციპის შესაბამისად:

ვ+C <sup>მჟღერი</sup>	→	ბ+C <sup>მჟღერი</sup>
ვ+C <sup>ფშინე</sup>	→	ფ+C <sup>ფშინე</sup>
ვ+C <sup>მკვეთრი</sup>	→	პ+C <sup>მკვეთრი</sup>

მაგალითები:

ვ+-გორუნქ	→	ბ-გორუნქ	„ვეძებ“
ვ+-თასუნქ	→	ფ-თასუნქ	„ვეთესავ“
ვ+-ჭარუნქ	→	პ-ჭარუნქ	„ვჭერ“

ამ გზითაა მიღებული S<sub>1</sub> მორფემის [ვ-], [ბ-], [ფ-], [პ-] ვარიანტები. აქედან ზოგ შემთხვევაში განზოგადდება [ვ-] ალომორფი:

ბ-გორუნქ		ვ-გორუნქ
ფ-თასუნქ		ვ-თასუნქ
პ-ჭარუნქ		ვ-ჭარუნქ

შესაძლებელია აგრეთვე პარალელურად [ბ-] ალომორფის განზოგადებაც<sup>2</sup>:

ფ-თასუნქ		ვ-თასუნქ		ბ-თასუნქ
პ-ჭარუნქ		ვ-ჭარუნქ		ბ-ჭარუნქ

მკვეთრი ც თანხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძეებში ივარაუდება ვ+ც→პ-ც, ც თანხმოვნის შემდგომი დაკარგვით:

ვ-ციდულენქ	→	*პ-ციდულენქ	→	პ-იდულენქ	„ვეიდულობ“		
ვ-ცივილუნქ	→	*პ-ცივილუნქ	→	*პ-ვილუნქ	→	პ-ილუნქ	„ვეკლაფ“.

<sup>1</sup> უ ხმოვნის წინ დასაშვებია ვ-ს დაკარგვა: *ვ-უჭარუნქ* || *უჭარუნქ*.

<sup>2</sup> ჭანურში [ბ-] ალომორფის განზოგადება უფრო შორსაა წასული და ხმოვნის წინაც გვაქვს: ბ-ორე „ვარ“, შღრ. მეგრ. ვ-ორექ, სადაც პირველადი ვ ხმოვნის წინ შენარჩუნებულია.

რ, ლ, ნ თანხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფუძეებში დასტურდება S<sub>1</sub>-ის ნიშნების ვ- || ბ-, ვ- || ფ-, ვ- || პ- თავისუფალი მონაცვლეობა შესაბამისად თავიკიდურა კომპლექსში შემავალ ჩქამიერ თანხმოვანთა მჟღერობა - სიყრუე - სიმკვეთრისა: ოდენ რ, ლ, ნ სონორებით დაწყებულ ზმნურ ფუძეებთან მონაცვლეობს მჟღერები ვ- || ბ-, ხოლო თუ ზმნის ფუძე იწყება კომპლექსით რ (ან ლ, ნ) პლუს ჩქამიერი თანხმოვანი, S<sub>1</sub>-ის ნიშანი მჟღერობა-სიყრუის მიხედვით ეფარდება ხსენებულ ჩქამიერ თანხმოვანს, შდრ.:

ვ-ლასუნქ		ბ-ლასუნქ	„ვშილი“
ვ-ლალუნქ		ბ-ლალუნქ	„ვეყვ“
ვ-რაგადანქ		ბ-რაგადანქ	„ვლაპარაკობ“
ვ-ნახუნქ		ბ-ნახუნქ	„ვრეცხავ (სარეცხს)“
მაგრამ:			
ვ-რდუნქ		ბ-რდუნქ	„ვზრდი“
ვ-რჩხუნქ		ფ-რჩხუნქ	„ვრეცხავ“
ვ-რწყუნქ		პ-რწყუნქ	„ვრწყავ“
ვ-ნდღულუქ		ბ-ნდღულუქ	„ვდნები“
ვ-ნწყუნქ		პ-ნწყუნქ	„ვხსნი“ <sup>1</sup>

მარტივ მ (ასევე ნ) სონორით დაწყებულ ზმნურ ფუძეებთან S<sub>1</sub> წარმოდგენილია, როგორც წესი, ვ- თანხმოვნის სახით (თუმცა, ნ-სთან დასაშვებია ბ-ც):

ვ-მუშენქ		„ემუშაობ“	
ვ-ნახუნქ		ბ-ნახუნქ	„ვრეცხავ (სარეცხს)“

ლაბიალური ბ, ფ, პ, მ თანხმოვნებით დაწყებული ზმნური ფუძეების წინ S<sub>1</sub> მორფემა წარმოდგენილია როგორც [ვ]:

ვ-ბარუნქ	„ვბარავ“
ვ-ფორუნქ	„ვფარავ“ <sup>2</sup>
ვ-პუტუნქ	„ვპუტავ“
ვ-მუშენქ	„ემუშაობ“

<sup>1</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთს შემთხვევებში დასაშვებია ბ - ალომორფის გავრცელებაც.

<sup>2</sup> გამოთქმაში ფ-ს წინ [ფ] ისმის (გ-ს ნაცვლად).

ყველა ასეთ ფორმაში (ბ, ფ, პ, მ ბაგისმიერი თანხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფუძეებში) S<sub>1</sub>-ის მორფემა ვ შეიძლება ფაკულტატურად გადაისვას ფუძის შიგნით მეორე თანხმოვნის წინ: S<sub>1</sub>-CVC...→CV-S<sub>1</sub>-C..., რის შედეგადაც წარმოიქმნება პარალელური ფორმები I პირის ინფიქსური მაჩვენებლით (გადასმული [ვ-], ცხადია, მჟღერობა-სიყრუის მიხედვით შეიძლება შეეწყოს იმ თანხმოვანს, რომლის წინაც ის აღმოჩნდება მეტათეზისის შედეგად, იხ. ზემოთ):

ვ-მუშენქ		მუ-ფ-შენქ	„ვმუშაობ“
ვ-ბარუნქ		ბა-ფ-რუნქ	„ვბარავ“
ვ-ბაზუნქ		ბა-ბ-ზუნქ	„ვცემ“
ვ-ფორუნქ		ფო-ფ-რუნქ	„ვფარავ“
ვ-ფაჩუნქ		ფა-ფ-ჩუნქ	„ვწლი“
ვ-ფიქრენქ		ფი-ფ-ქრენქ	„ვფიქრობ“
ვ-პუტუნქ		პუ-პ-ტუნქ	„ვპუტავ“
ვ-პურტოლუნქ		პუ-ფ-რტოლუნქ	„ვამსხვრევ“

S<sub>1</sub>-ის ვ- ნიშნის მეტათეზისი დამახასიათებელია ფაკულტატურად აგრეთვე ი- პრეფიქსიან ზმნურ ფორმათათვის<sup>1</sup>: ვ-ი-C...→ი-ვ-C... ამგვარი გადასული -ვ- ფუძისეული თანხმოვნის წინ მონაცვლეობს ფაკულტატურად -ბ-, -ფ-, -პ- ვარიანტებთან, იმის მიხედვით, თუ როგორია ის თანხმოვანი, რომლის წინაც გადასმული -ვ- აღმოჩნდა (მდრ. ანალოგიური მონაცვლეობანი ზემოთ):

ვ-ი-რდუქ	→	ი-ვ-რდუქ		ი-ბ-რდუქ	„ვიზრდები“
ვ-ი-გარქ	→	ი-ვ-გარქ		ი-ბ-გარქ	„ვტირი“
ვ-ი-თოლუნქ	→	ი-ვ-თოლუნქ		ი-ფ-თოლუნქ	„ვითვლი“
ვ-ი-ტიბუნანქ	→	ი-ვ-ტიბუნანქ		ი-პ-ტიბუნანქ	„ვითობ“
ვ-ი-კოროფუნქ	→	ი-ვ-კოროფუნქ		ი-პ-კოროფუნქ	„ვიკრებ“
ვ-ი-შერებუქ	→	ი-ვ-შერებუქ		ი-ფ-შერებუქ	„ვგიჟდები“

<sup>1</sup> ეს ი შეიძლება იყოს ქცევის ნიშანი, ვნებითის ნიშანი.

S<sub>1</sub> მორფემის პოზიციური განაწილების ტაბულა

პოზიცია მორფემა	-V	-C <sup>მფლ</sup>	-C <sup>ფშფ</sup>	-C <sup>მკვ</sup>	$\begin{bmatrix} ბ \\ ფ \\ კ \\ მ \end{bmatrix}$
{ვ-}	ვ-	ბ-    ვ <sup>-1</sup>	ფ-    ვ <sup>-1</sup> კ <sup>2-</sup>	პ-    ვ <sup>-1</sup> კ <sup>2-</sup>	ვ-
პოზიცია მორფემა	$\begin{bmatrix} რ \\ ლ \\ ნ \end{bmatrix} V$	$\begin{bmatrix} რ \\ ნ \end{bmatrix} C^{მფლ}$	$\begin{bmatrix} რ \\ ნ \end{bmatrix} C^{ფშფ}$	$\begin{bmatrix} რ \\ ნ \end{bmatrix} C^{მკვ}$	$\begin{bmatrix} მ \\ ბ \\ ფ \\ კ \end{bmatrix} VC...$
{ვ-}	ვ-    ბ-	ვ-    ბ-	ვ-    ფ-	ვ-    კ-	$\begin{bmatrix} მ \\ ბ \\ ფ \\ კ \end{bmatrix} V-ვ^3-C$

3.3. პირველი ობიექტური პირის (O<sub>1</sub>-ის) მორფემა, რომელიც ხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძეებში წარმოდგენილია მ- თანხმოვნის სახით (მ-არძენს „მაძღვეს“, მ-აჭარე „შემიძლია დავწერო“, მ-ოკო „მინდა“, მ-იღუ „მაქვს“, მ-იჭარუნს „მიწერს“ და სხვ.), თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ ვლინდება ბაგისმიერ ჩქამიერ -ბ-, -ფ-, -პ- თანხმოვანთა სახით, რითაც წარმოიქმნება კომოგენური

<sup>1</sup> ამ პოზიციაში მორფოლოგიური ანალოგიით შეიძლება განზოგადდეს [-ვ-].  
<sup>2</sup> ამ პოზიციაში შესაძლებელია განზოგადდეს [ბ-] – C<sup>მფლ</sup> პოზიციაში კანონზომიერი [ბ-] ალომორფის ანალოგიით.  
<sup>3</sup> ასეთი ვ შეიძლება შემდგომ გარდაიქმნას -ბ-, -ფ-, -პ- ვარიანტებად მომდევნო თანხმოვნის რაგვარობის მიხედვით.

როდესაც V არის ი ხმოვანი, S<sub>1</sub>-ი-C... (ე. ი. ვ-ი-C...) მიმდევრობა შეიძლება გარდაიქმნას მეტათეზისით ი-ვ-C... მიმდევრობად; გადასმული -ვ- შემდგომ შეიძლება გარდაიქმნას -ბ-, -ფ-, -პ- ვარიანტებად C თანხმოვნის რაგვარობის შესაბამისად.

თანხმოვანთმიმდევრობები. ამ თვალსაზრისით  $O_1$ -ის {მ-} მორფემის ქცევა ანალოგიურია  $S_1$ -ის {ვ-} მორფემის ქცევისა:

$მ+C^{მ_{\text{ფლ}}}\rightarrow\text{ბ}+C^{მ_{\text{ფლ}}}$

$მ+C^{ფ_{\text{შე}}}\rightarrow\text{ფ}+C^{ფ_{\text{შე}}}$

$მ+C^{მ_{\text{მე}}}\rightarrow\text{პ}+C^{მ_{\text{მე}}}$

*მაგალითები:*

ბ-გორუნქ „მეძებ“ (შდრ. ბ-გორუნქ || ვ-გორუნქ „ვეძებ“)

ფ-თხორუნქ „მმარხავ“ (შდრ. ფ-თხორუნქ || ვ-თხორუნქ „ვმარხავ“)

პ-ჭარუნქ „მწერ“ (შდრ. პ-ჭარუნქ || ვ-ჭარუნქ „ვწერ“)

პ-ჭყენქ „მწყეველი“ (შდრ. პ-ჭყენქ || ვ-ჭყენქ „ვწყეველი“)

ჩქამიერ თანხმოვანთა წინ შეინიშნება ტენდენცია  $O_1$ -ის ნიშნად [ბ-] ვარიანტის გაბატონებისა (შდრ. ანალოგიური ტენდენცია  $S_1$ -ის მორფემის შემთხვევაში):

პ-ჭარუნქ || ბ-ჭარუნქ „მწერ“

ფ-თხორუნქ || ბ-თხორუნქ „მმარხავ“

გარეგანი დამთხვევა  $S_1$  და  $O_1$  ზმნურ ფორმათა შორის მეგრულში არ გვაძლევს სრულ გრამატიკულ ომონიმიას, რამდენადაც  $S_1$  და  $O_2$  ფორმები სხვადასხვა სტრუქტურათა გარდაქმნას წარმოადგენს:  $O_1$  რიგის ბ-გორუნქ „მეძებ“ და მისთ. ფორმები ემყარება მ-გორუნქ და მისთ. სტრუქტურებს, ხოლო  $S_1$  რიგის ბ-გორუნქ „ვეძებ“ და მისთ. ფორმები ემყარება ვ-გორუნქ და მისთ. სტრუქტურებს, რომლებიც (მ-გორუნქ ვ-გორუნქ) აქტუალურად დასტურდება კიდევც ბ-გორუნქ და მისთ. ფორმათა პარალელურად.

მარტივი სონორი თანხმოვნების წინ  $O_1$  {მ-} წარმოდგენილია ერთმანეთთან თავისუფლად მონაცვლელ [ბ-] || [მ-] ვარიანტების სახით:

ბ-რეფუ || მ-რეფუ „მთხლიშა“

ბ-ლურს || მ-ლურს „მძინავს“

ბ-ლახუნს || მ-ლახუნს „მცემს“

ბ-ნახუნს || მ-ნახუნს „მრეცხავს“

ბ-მორსენს || მ-მორსენს „მცდის“

როდესაც ზმნური ფუძე იწყება თანხმოვანთკომპლექსით, რომელშიც პირველ ადგილზეა სონორი თანხმოვანი,  $O_1$ -ის ნიშნებში გვაქვს მონაცვლეობა მ-/ბ-, მ-/ფ-, მ-/პ- იმის მიხედვით, თუ როგორი თანხმოვანი მოსდევს თავკიდურა სონორს (მჟღერი, ფშვინიერი თუ

მკვეთრი), შდრ. ანალოგიური ვითარება  $S_1$  მორფემის ვარიანტთა მონაცვლეობისა მსგავს პოზიციაში:

მ-რდუნქ		ბ-რდუნქ	„მზრდი“
მ-რჩხუნქ		ბ-რჩხუნქ	„მრეცხავ“
მ-რწყუნქ		პ-რწყუნქ	„მრწყავ“
მ-ნწყუნქ		პ-ნწყუნქ	„მხსნი“

ლაბიალური ბ, ფ, პ, მ თანხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფუძეებში  $O_1$ -ის მორფემა წარმოდგენილია როგორც [მ-]:

მ-ბარუნს	„მბერავს“
მ-ფორუნს	„მფარავს“
მ-ფულუნს	„მმალავს“
მ-პუტუნს	„მპუტავს“

ამგვარ ფორმებში დასაშვებია  $O_1$ -ის მორფემის გადასმა ფუძეში მეორე თანხმოვნის წინ, რის შედეგადაც  $O_1$ -ის მორფემა -ფ- და -ბ- (-ფ-, -პ-) ინფიქსის სახეს იღებს (შესაბამისად მომდევნო თანხმოვნის რავგარობისა):

მ-ბარუნს	→	ბა-ფ-რუნს		ბა-ბ-რუნს	„მბერავს“
მ-ფორუნს	→	ფო-ფ-რუნს		ფო-ბ-რუნს	„მფარავს“
მ-ფულუნს	→	ფუ-ფ-ლუნს		ფუ-ბ-ლუნს	„მმალავს“
მ-პუტუნს	→	პუ-ფ-ტუნს		პუ-პ-ტუნს	„მპუტავს“

როგორც აღვნიშნეთ,  $S_1$  {ვ-} და  $O_1$  {მ-} მორფემათა ფონეტიკური მონაცვლეობების შედეგად ვიღებთ ამ მორფემათა გარკვეული პოზიციური ვარიანტების ფონემურ დამთხვევას. ეს მორფემები კონტრასტულად განირჩევა მხოლოდ ხმოვნისწინა პოზიციაში, სადაც  $S_1$  წარმოდგენილია როგორც [ვ-], ხოლო  $O_1$  – როგორც [მ-].

**$O_1$  მორფემის პოზიციური განაწილების ტაბულა**

პოზიცია მორფემა	-VC	-C <sup>მფლ.</sup>	-C <sup>ფშფ.</sup>	-C <sup>მ.ფ.</sup>
	{მ-}	მ-	ბ-	ფ-

პოზიცია	$-\begin{bmatrix} \text{რ} \\ \text{ლ} \\ \text{ნ} \end{bmatrix} V$	$-\begin{bmatrix} \text{რ} \\ \text{ნ} \end{bmatrix} C^{\text{მფლ.}}$	$-\begin{bmatrix} \text{რ} \\ \text{ნ} \end{bmatrix} C^{\text{ფშფ.}}$	$-\begin{bmatrix} \text{რ} \\ \text{ნ} \end{bmatrix} C^{\text{მფვ.}}$	-ბ -ფ -კ
მორფემა					
{მ-}	მ- II ბ-	მ- II ბ-	მ- II ფ-	მ- II კ-	მ-

$S_1$  და  $O_1$  ნიშანთა ამგვარი დამთხვევა თანხმონისწინა პოზიციაში აიხსნება **ფ-** და **მ-** თანხმონთან ანალოგიური გარდაქმნებით თანხმონთკომპლექსში ზემოთ დახასიათებულ ფონოლოგიურ კანონზომიერებათა მიხედვით. კომპლექსის თავიკიდურ ელემენტად ფონოლოგიურად დაუშვებელი **ფ-** და **მ-** თანხმონები იცვლება ბილაბიალური ჩქამიერი თანხმონებით, რითაც წარმოიქმნება მეგრულისათვის უფრო ბუნებრივი თანხმონთმიმდევრობა.

ყველა ის გადახრა თანხმონთან არანჭირების ზემოთ განხილული სქემიდან, რაც დამახასიათებელია პრეფიქსული მორფემის საზღვრის შემცველი კომპლექსებისათვის, რომლებსაც  $S_1$  და  $O_2$  პირის მორფემათა ვარიანტები ქმნიან ფუძისეულ თანხმონებთან, გამოწვეულია მორფოლოგიური ფაქტორებით, კერძოდ, ტენდენციით შენარჩუნებულ იქნეს დიდი ფუნქციონალური დატვირთვის მქონე მორფოლოგიური მაჩვენებლები.

3.4. მეორე ობიექტური  $O_2$  პირის მორფემა მეგრულში წარმოდგენილია რამდენიმე ალომორფის სახით. ხმონისწინა პოზიციაში  $O_2$  გამოხატულია **გ-** თანხმონით:

გ-აწყუნუ      „გეტკინა“      გ-იცორს      „გიყვარს“  
 გ-ეჩიებუ      „გესაუბრება“      გ-ოკო      „გინდა“

ჩქამიერ თანხმონთან წინ **რ** ალომორფი ვლინდება:

რ-გორუნს      „გეტებს“      რ-ჩილითუნს      „გაცდენს“  
 რ-ბონს      „გბანს“      რ-ცირუნს      „გცრის“  
 რ-დვანს      „გდებს“      რ-ხირუნს      „გპარავს“  
 რ-ჯოგუ      „გტულს“      რ-სოფუნს      „გხევეს“  
 რ-ძირუ      „გნახა“      რ-შინანს      „გახსენებს“  
 რ-ღაფუნს      „გღებავს“      რ-კირუნს      „გკრავს“

რ-ზინდუნს	„გჭიმავს“	რ-პატიუნს	„გპატიუებს“
რ-ქუნს	„გფქვავს“	რ-ტახუნს	„გტეხს“
რ-ფორუნს	„გფარავს“	რ-ჭკირუნს	„გჭრის“
რ-თირანს	„გცვლის“	რ-წიკუნს	„გსვრის“
		რ-ცვილუნს	„გკლავს“

სონორ მ, ნ, ლ თანხმოვანთა წინ O<sub>2</sub> აგრეთვე რ- ალომორფითაა გადმოცემული:

რ-ნახუნს	„გრეცხავს“
რ-ლახუნს	„გცემს“
რ-მორსენს	„გცდის“

სონორი რ-ს წინ (resp. როდესაც ზმნური ფუძე რ-თი იწყება) რყევას აქვს ადგილი: O<sub>2</sub>-ის ნიშნად აქ უპირატესად გ- გვაქვს, თუმცა პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს რ-ც და ნულიც:

გ-რეფუნს (   რ-რეფუნს    Ø-რეფუნს)	„გთხლიშავს“
გ-რაცუნს (   რ-რაცუნს    Ø-რაცუნს)	„გაგრეკავს“
გ-რიცხენს (   რ-რიცხენს    Ø-რიცხენს)	„გრიცხავს“.

როდესაც ზმნის ფუძის თავიიდურ რ-ს მოსდევს თანხმოვანი (ან თანხმოვანთა კომპლექსი), მაშინ გ- მორფემა *მულერობა-სიყრუე-სიმკვეთრის* მხრივ შეიძლება შეეგუოს ფუძისეული თავიიდურა რ-ს მომდევნო თანხმოვანს (ასიმილაციის გზით), ე. ი. გ-ს ნაცვლად ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით შეიძლება გექონდეს ქ და კ.

გ-რდუნს	„გზრდის“
გ-რთუნს    ქ-რთუნს	„გყოფს“, „[გადა]გხურავს“
გ-რჩხუნს    ქ-რჩხუნს	„გრეცხავს“
გ-რცხონს    ქ-რცხონს	„გვარცხნის“
გ-რჭიპუნს    კ-რჭიპუნს	„გჭიმავს, გწელავს“

ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ი ხმოვნის წინ O<sub>2</sub>-ის მორფემა გ- ფაკულტატურად შეიძლება Ø-ის სახით იყოს წარმოდგენილი, ე. ი. გ- იკარგება: V-გ-ი → V-Ø-ი<sup>1</sup>:

<sup>1</sup> შდრ. გ-ს დაკარგვა გურულში V- ი პოზიციაში: აგი → აი, იგი → იი. ველარი თანხმოვნის ამგვარი დაკარგვა წინა რიგის ხმოვნის წინ, რასაც ანალოგია სხვა ენებშიც დაეძებნება, შეიძლება აიხსნას უკანა წარმოების (ველარული) თანხმოვნის შეუთავსებლობით მომდევნო პალატალურ ხმოვანთან.

მო-გ-ილუ	→	მო-ილუ	„მოგაქვს“
ვა-გ-იფორს	→	ვა-იფორს	„არ გიყვარს“
ქო-გ-იძირუ	→	ქო-იძირუ	„გინახულა“
მე-გ-ინამუ	→	მე-ინამუ	„მიგიცია“

**V-გ-ი** პოზიციაში  $O_2$ -ის ნიშნის **გ**-ს გადასვლა **ღ**-ში ქმნის ხმოვანთმიმდევრობებს, რომლებიც უნდა გარდაქმნილიყო მეგრულში მოქმედი ხმოვანთკონტრაქციის წესების მიხედვით. ამ შემთხვევაში ამგვარ გარდაქმნებს არა აქვს ადგილი და ხმოვანთმიმდევრობა შენარჩუნებულია პირვანდელი სახით, რამდენადაც ხმოვანთა შორის ასეთ ფორმებში ივარაუდება პირის ნიშანი ნულოვანი ფონემური შედგენილობისა, რომლის პარალელურად ყოველთვის დასტურდება იგივე პირის ნიშანი **-გ**-ს სახით. ამგვარად, არაკონტრაპირებული ხმოვანთმიმდევრობა ამ ფორმებში ერთგვარი სიგნალია ნიშნის ნულოვანი სახით ფუნქციონირებისა:

შდრ. ვა-გ-ილუ → ვაილუ (ე. ი. ვა-ღ-ილუ) „არა გაქვს“, მაგრამ ვაილუ → ველუ <ვა-ილუ „არ წაიღო“.

თანხმოვანთა წინ **რ** ალომორფის გამოვლინება, რაც **გ**-ს **რ**-ში გადასვლის შედეგია<sup>1</sup>, აიხსნება არაკანონიკური კომპლექსის კანონიკური კომპლექსით შეცვლით ჩვენი ძირითადი სქემის მიხედვით (იხ. სქემა).

**გ** თანხმოვანი **c** რიგის წევრია, ამდენად ის არ შეიძლება წინ უძღოდეს **a, b, c** რიგის წევრებს, ე. ი. სქემაში შემავალ არცერთ თანხმოვანს, გარდა **გ**-სი (რომელიც **d** რიგის ერთადერთი წარმომადგენელია). ამდენად **გ**, როგორც  $O_2$ -ის ნიშანი ან უნდა დაკარგულიყო (რაც მეტად ძნელი იქნებოდა ამ მორფემის დიდი მორ-

<sup>1</sup>  $gC \rightarrow rC$  მეგრული ინოვაციაა, რაც განხორციელებულია როგორც მორფემათა საზღვარზე, ისე მორფემის ფარგლებშიც. ქანურში ამოსავალი ვითარება დაცულია: შდრ. მეგრ. \*გ-ზიმუნს → რ-ზიმუნს „გზომავს“, \*ო-გზ-ოლ-ი → რ-რზ-ოლ-ი „საგზალი“, \*დო-გზ-ამა → დო-რზ-ამა „დაგზნება, დანთება (ცეცხლისა)“ და ქან. გზუმუნ „გზომა“, ი-გზ-ალ-უ „იარა, იმგზავრა“; ამავე რიგისაა \* $gC \rightarrow rC$  მეგრულში (\* $gC_1 \rightarrow rC_1$ ; მკვე: რჩე „თეთრი“, კდ → რთ: მოკდა: მორთუ „მოვიდა“; შდრ. ქან. ხჩე „თეთრი“, მოხთუ „მოვიდა“, ე. ი.  $gC \rightarrow rC$  მეგრულში, ხოლო ეგვევ  $gC \rightarrow rC$  ქანურში; სხვა პოზიციაში \* $g \rightarrow r$  როგორც მეგრულში, ისე ქანურში).

ფოლოგიური ფუნქციის გამო), ან უნდა შეცვლილიყო მაქსიმალურად მაღალი *a* რიგის თანხმონით (*რ*-თი ან *ნ*-თი), რათა შესაძლებელი გამხდარიყო *O<sub>2</sub>*-ის აღნიშვნა მეგრულისათვის დამახასიათებელი კანონიკური თანხმოვანთკომპლექსების წესის დაცვით.

***O<sub>2</sub>* მორფემის პოზიციური განაწილების ტაბულა**

პოზიცია მორფემა	-V	-C	-რV	-რC	V-ი
{გ-}	გ-	რ-	გ-(   რ-   Ø-)	გ-, ქ-, კ <sup>-1</sup>	-გ-   Ø-

4.0. აღწერილი თანხმოვანთკომპლექსებისაგან განსხვავებულ სტრუქტურას გვიჩვენებს თანხმოვანთა მიმდევრობანი, რომლებიც წარმოიქმნებიან ხმოვანთა რედუქციის შედეგად. ენაში მოქმედი ხმოვანთრედუქციის მექანიზმი წარმოშობს თანხმოვანთმიმდევრობებს, რომლებიც აგებულებით განსხვავებულია სტაბილური სტრუქტურის თანხმოვანთკომპლექსებისაგან. ამგვარი თანხმოვანთმიმდევრობანი პარადიგმატულად ითიშება სხვადასხვა ხმოვნებით კომპლექსის ფონეტიკური გარემოს შეცვლის შესაბამისად, აღნიშნული ტიპის თანხმოვანთმიმდევრობანი წარმოიქმნება ძირითადად პრევერბებში ხმოვანთა რედუქციის შედეგად, აგრეთვე ფუძეში ვიწრო *ი*, *უ* ხმოვანთა ჩავარდნით.

4.1. სიტყვის ფარგლებში თანხმოვანთკომპლექსთა განაწილების თვალსაზრისით შემდეგი მკაცრად განსაზღვრული წესები ყალიბდება:

(1) სიტყვის ფარგლებში დაუშვებელია ორი არაიდენტური *bc* სტრუქტურის კომპლექსი, ე. ი. გამოირიცხება ისეთი თანხმოვანთმიმდევრობები, როგორიცაა: *ცხ-ჯღ*, *სკ-შხ*, *დღ-თხ*, *ტკ-ტყ* და მისთ. *bc* რიგის კომპლექსი, გართულებული *a* და *d* რიგის

<sup>1</sup> -რC პოზიციაში გამოვლენილ ალომორფთა განაწილება დამოკიდებულია C თანხმონის რავგარობაზე - მკლერი C-ის წინ გვექნება გ-, ხოლო ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა წინ - შესაბამისად ქ- და კ-.

ერთეულებით, სიტყვა-ფორმის ფარგლებში მხოლოდ ერთი შეიძლება შეგვხვდეს;

(2) ლაბიალური კომპლექსი (bd, cd რიგისა) შესაძლებელია შეგვხვდეს სიტყვის ფარგლებში მომდევნო bc რიგის კომპლექსთან ერთად, მაგ. კვარჩხი „მარცხიანი“ (cd-abc), ღვანჭკი (cd-abc), ნაკვარჩხი (cd-bc); პირუკუ წყობა კომპლექსისა (ე. ი. bc-cd) მეგრულისათვის ნიშანდობლივი არ არის;

(3) თუ სიტყვა-ფორმა შეიცავს bc რიგის თანხმოვანთკომპლექსს, დაუშვებელია ამავე ფორმაში b რიგის იდენტური თანხმოვანი მომდევნო რიგის თანხმოვნის გარეშე, ე. ი. დაუშვებელია  $C^a C^b - C^a$  ან  $C^a - C^a C^b$  თანხმოვანთა კომბინირება სიტყვა-ფორმის ფარგლებში, სადაც  $C^a$  და  $C^b$  შესაბამისად a და b რიგის კონკრეტული თანხმოვნებია. მაშასადამე, bc რიგის ორი თანხმოვანთკომპლექსი სიტყვა-ფორმის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სტრუქტურის თანხმოვანთკომპლექსი იდენტურ თანხმოვნებს შეიცავს:

ჩქიჩქუ „ჩვილი“, წყანწყუა, ჭყანჭყუა „ჭეჭყვა“, ჯღანჯღავა „ჯანჯღავა“ (გვარია), ძვაძვუნს, ცქაცქუნს, წკაწკუნს „ღეჭავს, ჭეჭკავს“, ცხვაცხვირი „დაჩხვლეტილი“, ბუტყატყია „რბილი რამ“, ჯგიჯგონუნს „ჯიჯგნის“, დოჩქაჩქუ „დაჩქაჩქა“, ქოღაღგუ „სცემა, დაარტყა“, ითქართქალუ „თქრიალით ჩამოდის“, ტყუტყუბირო „ტყუბ-ტყუბად (ისკუბა)“, იჩხირჩხინანს „აჩოჩხილია“ და მისთ.

(1) წესის თანახმად კომპოზიტებში, რომელთა შემადგენლობაში მოხვდა ცალ-ცალკე ორი bc რიგის არაიდენტური კომპლექსი, უნდა მოველოდეთ ერთ-ერთი კომპლექსის გამარტივებას, რათა შედგენილი სიტყვა-ფორმის ფარგლებში აღმოჩნდეს მხოლოდ ერთი bc რიგის თანხმოვანთკომპლექსი. ამგვარი გარდაქმნა, როგორც წესი, ხდება პირველ კომპლექსში c რიგის ელემენტის დაკარგვით:

წყარჩხურია → წაჩხურია<sup>1</sup> - მდინარის სახელია,  
შდრ. წყარი „წყალი“, ჩხურუ „ცივი“;

წყარ+კურთხია → წა-კურთხია<sup>1</sup> „წყლისკურთხევა“  
(რელიგიური დღესასწაული),  
შდრ. წყარი „წყალი“, კურთხია „კურთხევა“<sup>2</sup>;

<sup>1</sup> აქ დაკარგულია აგრეთვე რ-ც დისიმილაციურად, მომდევნო რ-ს გავლენით.

<sup>2</sup> კურთხია ← კურთხევა (ქართ.): -ევა → -ია მეგრულისათვის კანონია: ევა → \*ეა → ია, შდრ. სხვა მაგალითები: რევა → რია, ძღევა → რზია, მწვეარი → წიარი, დაღევა → დალია (ზოთონჯიშ დალიას „ზამთრის დამღევა“) და მისთ.

ბჟა+შხა (←ბჟაშ+დღა „მზის დღე“)→ჯაშხა „კვირა(დღე)“.

(3) წესის თანახმად, თუ ნასესხები სიტყვის ფუძეში გვაქვს bc რიგის კომპლექსი, ხოლო ფუძე იწყება b რიგის იდენტური თანხმოვნით, ფუძის თავში b რიგის თანხმოვნის მომდევნოდ მეგრულში განმეორდება c რიგის იგივე თანხმოვანი, ე. ი. სიტყვის ფუძეში აღმოჩნდება ორი იდენტური კომპლექსი bc სტრუქტურისა:

ქ ა რ თ უ ლ ი → მ ე გ რ უ ლ ი

ცაცხვი	ცხაცხუ
ცოცხალი	ცხორცხალი
შაშხი	შხაშხი
ძიძგ-ნ(ის)	ძგიძგ-ონ(უნს)
ჯიჯგ-ნ(ის)	ჯგიჯგ-ონ(უნს)
თითხ-ნ(ის)	თხითხ-ონ(უნს)
ჩონჩხი	ჩხონჩხი <sup>1</sup>

ანალოგიური ტიპის გარდაქმნას განიცდიან ნასესხები სიტყვები, რომლებიც ლაბიალურ კომპლექსს შეიცავენ. ასეთ შემთხვევაში ლაბიალური ვ ელემენტი განმეორდება კომპლექსის თავიდან იდენტური თანხმოვნის მომდევნოდ:

ქ ა რ თ უ ლ ი → მ ე გ რ უ ლ ი

კაკვი	კვაკვი
ხახვი	ხვა(რ)ხვი
ჩხიკვი	ჩხვიკვი <sup>2</sup>

მ ე გ რ უ ლ ი : ქ ა რ თ უ ლ ი

სინჯა	სიძე
ჭანჯი	მწერი
ისინჯი	ისარი
ჯინჯი	ძირი
ცუნჯი	ცვარი
ზოთონჯი	ზამთარი

<sup>1</sup> ასევე ისტორიულ შესატყვისებშიც: ქართ. თთხელ-: მეგრ. თითხუ→თხითხუ.

<sup>2</sup> აქედანაა მიღებული ჩხვიკი მომდევნო ვ ელემენტის დისიმილაციური დაკარგვით.

ჯგუნჯგი	სარი
ჩხვინდი	ცხვირი

ამ წესებს უკავშირდება გარკვეული ტიპის თანხმოვანთა ასიმილაციური გარდაქმნა, რომელიც შეეხება ძირითადად სიბილანტურ თანხმოვანთა შემცველ ფუძეებს:

სქა+სერი „შუა+ლამე“ → სქასერი (შქ → სქ გარდაქმნა მომდევნო სისინა ს თანხმოვნის გავლენით – რეგრესული ასიმილაცია, შდრ. ქართ. ჭირისუფალი → მეგრ. წირს(უ)ფალი. ასიმილაციით მიღებული სქა-სერი უდევს საფუძვლად ველარი თანხმოვნით გართულეულ მეგრ. სქა-სქერი ფორმას, რომლის წარმომავლობა (3) წესით გათვალისწინებულ გარდაქმნას ემყარება.

4.2. მეგრულში შეინიშნება ტენდენცია სიტყვა-ფორმაში ხმოვნის მომდევნოდ ნც კომპლექსის წარმოდგენისა, თუ სიტყვის თავკიდური (ფუძისეული) თანხმოვანი არის ლაბიალური მ ან სიბილანტი ფონემა:

1. მო-ნ-კა „მძიმე“  
მე-ნ-ჯი „მენჯი (აღვ. სახ.)“  
მუ-ნ-ჩქვი „მაჩვი“  
მუ-ნ-ტური „მატლი“  
მო-ნ-ტყორი „მატყელი“  
მა-ნ-გარი „მაგარი“
2. სი-ნ-ჯა || სი-ნ-და „სიძე“<sup>1</sup>  
ჭა-ნ-ჯი || ჭა-ნ-დი „ბუზი“  
ისი-ნ-ჯი || ისი-ნ-დი „ისარი“  
სუ-ნ-ჯი || სუ-ნ-დი „ნამი, ცვარი“  
ჯი-ნ-ჯი || ჯი-ნ-დი „ძირი“  
ზოთო-ნ-ჯი „ზამთარი“  
ჯგუნ-ნ-ჯგი „სარი“  
ჩხვი-ნ-დი „ცხვირი“

ყველა ამ მაგალითში (როგორც პირველი, ისე მეორე წყებისა) -ნ თანხმოვანი ისტორიულად განვითარებულია, რაც ჩანს მეგრულის ფორმათა შესატყვის ქართულ ფორმებთან შეპირისპირებით:

<sup>1</sup> დ ← ჯ თავკიდური სიბილანტის დისიმილაციური გავლენით.

მ ე გ რ უ ლ ი : ქ ა რ თ უ ლ ი

მონკა	მაკე
მენჯი	ვეძა
მუნჩქვი	მაჩვი
მუნტური	მატლი
მონტყორი	მატყლი <sup>1</sup>

ამ ფორმათა შეპირისპირებით გამოიყვანება დიაქრონული წესი მეგრულისათვის: (1) **ნ** თანხმოვანი ვითარდება  $VC^{ჩაშ}$  პოზიციაში ლაბიალით დაწყებულ ფორმაში<sup>2</sup>.

ამ ფორმათა შეპირისპირებით გამოიყვანება (2) დიაქრონული წესი მეგრულში:

(2) სილაბანტურ ფონემაზე დაწყებულ ფუძეში **ნ** თანხმოვანი ვითარდება ჯ შიშინა აფრიკატის წინამავალ პოზიციაში.

ამგვარი **ნ** შეიძლება დადასტურდეს ისეთი **დ**-ს წინაც, რომელიც ჯ-სგან მოდის დისიმილაციით: შდრ. მეგრული დიალექტური ფორმები: სინჯა || სინდა „სიძე“, ჭანჯი || ჭანდი „ბუზი“; ჩხვინდი „ცხვირი“ ფორმა ვარაუდობს ჩხვინჯო-ს არსებობას (რომელიც დაკარგული ჩანს).

ამ წესის თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი ჯ-ს შემცველი ფორმები, რომლებშიც ჯ-ს წინ **ნ** არ განვითარებულა, რამდენადაც სიტყვა არ იწყება სიბილანტური ფორმით: პიჯი „პირი“, ხუჯი „მხარი“, ღუჯი „ღორი“, ცუჯი „ყური“, ცვაჯი „ყვერი“. ამ წესიდან ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი გამონაკლისია ჭკუჯი || ჭკუდი „საწყაო“ (შდრ. ქართ. ჭური).

ჩვენ მიერ ფორმულირებული წესები სრულად ვერ მოიცავს **ნ**-ს განვითარების ყველა შემთხვევას მეგრულში. ამ წესების გარეთ რჩება ისეთი მაგალითები, როგორიცაა მაგ. ხანტუა „ხატვა“, უნთო „უთო“ და მისთ.

<sup>1</sup> ამ წესს ემორჩილება ქართულიდან ნასესხები სიტყვებიც (მეგრ. მანგარი←ქართ. მაგარი, მეგრ. მუნჭი←ქართ. მუჭი და სხვ.).

<sup>2</sup> ამ წესიდან არ გამომდინარეობს, რომ **ნ** მხოლოდ ასეთ პოზიციაში ვითარდება (შდრ. მეგრ. ქომონჯი „ქმარი“ და კონჭი „კოჭი“ და სხვ.).

4.3. მეგრულ თანხმოვანთა სინტაგმატური სტრუქტურა ერთ არსებით თვისებას ავლენს, რითაც ის განსხვავდება ქართულის კონსონანტური სინტაგმატიკისაგან. მეგრულის ეს თავისებურება კონსონანტურ კომპლექსთა დეცესიურ ხასიათში მდგომარეობს: თანხმოვანთ-მიმდევრობანი მეგრულში, როგორც ეს ჩანს ზემოთ განხილული სქემიდან, მორფემის ფარგლებში მუდამ დეცესიური რიგისაა.

ამ ტიპის კონსონანტური სტრუქტურა მეგრულში ჩამოყალიბდა იმ აქცესიურ კომპლექსთა გარდაქმნის (სუპერაციის) შედეგად, რომლებიც საერთო-ქართველურიდან მომდინარეობენ. ამ პროცესმა გამოიწვია აქცესიურ მიმდევრობათა სრული ელიმინაცია მორფემის ფარგლებში.

შეინიშნება გარკვეული კანონზომიერებანი ამა თუ იმ ტიპის აქცესიურ კომპლექსთა დაძლევისა.

როდესაც თანხმოვანთა კომპლექსის მეორე წევრი ბაგისმიერია, კომპლექსი გაითიშება ანაპტიქური ხმოვნის ჩართვით, სქემატურად:  $C+C^{ბაგისმ} \rightarrow C+V+C^{ბაგისმ}$

ს. - ქ ა რ თ ვ . ქ ა რ თ უ ლ ი : მ ე გ რ უ ლ ი

*ტფ	ტფილი    თბილი	ტიბუ    ტუბუ
*ტბ	ტბა	ტობა
*გბ	გბობა	გიბუა
*კბ	კბილი	კიბირი

როდესაც თანხმოვანთა კომპლექსის პირველი წევრი ველარული თანხმოვანია, იგი მომდევნო ჩქამიერი თანხმოვნის წინ რ-ში გადავა, სქემატურად:  $C^{ველარ}+C \rightarrow რ+C$ :

ს. - ქ ა რ თ ვ . ქ ა რ თ უ ლ ი : მ ე გ რ უ ლ ი

*ქს <sub>1</sub>	ქსოვს	რშუნს
*გზ	საგზაღ-ი	ორზოღ-ი
*ჭც <sub>1</sub>	მჭცე	რჩე
*ჭღ	მო-ჭღ-ა	მო-რთ-უ

ამგვარი გარდაქმნის შედეგად აქცესიური კომპლექსი *cb* სტრუქტურისა გადაიქცა მეგრულისათვის ბუნებრივ *ab* მიმდევრო-

ბად (პირველი წევრია რ). ამავე წესის მიხედვითაა გარდაქმნილი მეორე ობიექტური პირის {გ-} მორფემა, როდესაც ის თანხმოვნის წინ ხვდება: შდრ.

[გ-] ხმოვნის წინ:	[რ-] თანხმოვნის წინ:
გ-ოკო „გინდა“	გ-ჭარუნს→რ-ჭარუნს „გწერს“
გ-იღუ „გაქვს“	გ-გორუნს→რ-გორუნს „გეძებს“

ამავე წესის მოქმედებით აიხსნება ნასესხებ სიტყვებში ველარულ თანხმოვანთა რ-ში გადასვლა ჩქამიერ თანხმოვანთა წინ:

ქართ. ა გ დ ე ბ ა → მეგრ. ა რ დ ე ბ ა

ქართ. ლ ე ქ ს ი → მეგრ. ლ ე რ ს ი

შეუთავსებელია კომპლექსში ერთი და იმავე რიგის თანხმოვნები, მაგ. ხ რიგის თანხმოვნები. ამ ტიპის კომპლექსები ნასესხებ სიტყვებში გარდაიქმნება კომპლექსის გამარტივების გზით, ერთ-ერთი თანხმოვნის ჩავარდნით. ამ რიგისაა კომპლექსი სტ, რომელიც მეგრულში კარგავს ტ ელემენტს:

ქ ა რ თ უ ლ ი → მ ე გ რ უ ლ ი

სტუმარი სუმარი (აქედან გასურება „გასტუმრება“)

აგვისტო არგუსო

ქრისტე ქირსე

ვC მიმდევრობა, დაუშვებელი მეგრულ თანხმოვანთა სინტაგმატიკაში (იხ. სქემა), ინლაუტში გარდაიქმნება ბაგისმიერი ხშული+C მიმდევრობად. მიღებული ბაგისმიერი მუღერობა-სიყრუის მიხედვით შეგუებულია მომდევნო თანხმოვანთან: ვC→ბC, ფC:

ქართ. კოვზი→მეგრ. კობზი

ნავთი → ნაფთი

ნავსი → ნაფსი

ეგვევ ვC კომპლექსი შეიძლება გამარტივდეს ვ-ს ჩავარდნით:

ქართ. ვნება→მეგრ. ნება

ჯავრი → ჯარი

4.4. განსაკუთრებულ თავისებურებებს ავლენს მეგრული თანხმოვანთმიმდევრობები სონორ რ, ლ, მ, ნ თანხმოვანთა მონაწილეო-

ბის თვალსაზრისით. არც ერთი სონორი არ გვხვდება თანხმოვნის მომდევნოდ, ე. ი. დაუშვებელია **CR, Cლ, Cმ, CN**. სონორ თანხმოვანთაგან **ლ** სხვა თანხმოვნის მეზობლად საერთოდ არ გვხვდება არცერთ პოზიციაში (გამორიცხულია როგორც **ლC**, ისე **Cლ**, იხ. ზემოთ). კომპლექსის თავიკიდურ ელემენტად გვხვდება **რ** ან **ნ** (იხ. სქემა), იშვიათად აგრეთვე **მ**. ასეთი ვითარება მეგრულში შეიქმნა იმის გამო, რომ სონორი თანხმოვნები ჩქამიერთა მომდევნოდ ყოველთვის მარცვლოვანი იყო (**Cწ**). მარცვლოვან [რ, ლ, მ, ნ] სონანტთა ვოკალიზაციის შედეგად წარმოიქმნა მიმდევრობა **CVS(< Cწ) – ხმოვანი ელემენტით ჩქამიერ თანხმოვანსა და სონორს შორის:**

- ს.-ქართვ. \***ძადლ-** → მეგრ. ჯოდორ-  
 \***ქმა-** → ჯიმა  
 \***თაფლ-** → თოფურ-

ამდენად მეგრულში ელიმინირებულ იქნა მიმდევრობა **C+S** (სონორი დასაშვებია მხოლოდ თანხმოვნის წინა პოზიციაში **SC**). ისტორიულად ამ პოზიციაში, როგორც ცნობილია, წარმოდგენილი იყო სონანტთა უმარცვლო ვარიანტები, ამათგან **/\*ლ/** სონანტი ყოველთვის გარდაიქმნება **რ**-დ ჩქამიერი თანხმოვნის მეზობლად. ეს ვითარებაა ასახული დღევანდელ მეგრულში, სადაც თანხმოვნის მეზობლად **ლ** არ დასტურდება:

\***ლC** → **რC**

\***Cლ** → **Cვრ**

ყოველივე ამის შემდეგ მეგრულში ჩამოყალიბდა სინტაგმატური მოდელი, რომელშიც სონორი თანხმოვნები არ გვხვდება ჩქამიერთა მომდევნოდ, ხოლო ჩქამიერის წინ წარმოდგენილია მხოლოდ **რ, ნ** (იშვიათად აგრეთვე **მ**) სონორი.

სონორ თანხმოვანთა ამ სინტაგმატური მოდელის მიხედვით გარდაიქმნება მეგრულში როგორც საკუთარი, ისე ნასესხები სიტყვა, სადაც გვხვდება მეგრულისათვის არაბუნებრივი მიმდევრობა **CS** ან **ლC**. ამ გარდაქმნას თავისი წესები აქვს:

(1) **Cლ** → **Cილ**

ქართული → მეგრული

ბოთლი

ბოთილი

„ბოთლი“

პლატონი

პილა(ტონი)

„პლატონი“ (საკ. სახ.)

კლასი	კილასი	„კლასი“
გლახა	გილახა	„გლახა“
მკლავი	კილე	„მკლავი“
კლიტე	კირტე	„ყრონტი“

(1a) ლC → რC

ქართული → მეგრული

კალთა	კართე		ბელტი ბერტი
ფილტვი	ფირტვი		ჩელტი ჩერტი

(1b) Cლ → რC<sup>1</sup>

ქართული → მეგრული

მადლი	მარდი		ნისლი	ნირსი
აქლემი	არქემი		ბეთლემი	ბერთემი <sup>2</sup>
ქუსლი	ქურსი		იგლოვა	ირგუუ

(1) წესი მოქმედებს ძირითადად თავკიდურა კომპლექსებში, ხოლო (1b) მაშინ, როდესაც Cლ კომპლექსი V-V პოზიციაშია;

(2) Cr → Cირ

ქართული → მეგრული

ქრისტე	ქირსე		კიტრი	კინტირი
მაკრინე	მაკირინე		პრასა	პურასქია

(2a) Cr → რC

ქართული → მეგრული

პეტრე	პერტე
ოქრო	ორქო

<sup>1</sup> ეს გარდაქმნა შეიძლება ორ ეტაპად წარმოვიდგინოთ: ქართ. Cლ → მეგრ. ლC → რC (1a წესის თანახმად).

<sup>2</sup> ბ ე რ თ ე მ ი (<ბეთლემი) სოფლის სახელია სამეგრელოში. ხალხური ეტიმოლოგიით ბ ე რ თ ე მ ი < „ბერ(ების)+თემი“; რაც სრულებით უსაფუძვლოა.

ფიქრობს	ფირქენს
ქვრივი	რქეიი
შრიალი	რშიალი
გრილი	რგილი
მათრახი	მართახი

(3) Cნ → Cინ

ქართული → მეგრული

პიტნა	პიტინა
წყინარი	წყინარი

(4) Cმ → Cიმ

ქართული → მეგრული

ეშმაკი	ეშიმაკი
ჭეშმარიტი	ჭეშიმარიტი


(4a) Cმ → Cვ

ქართული → მეგრული

უქმე	უქვი
------	------

5.0. აღწერილი თანხმოვანთკომპლექსებისაგან განსხვავებულ სტრუქტურას გვიჩვენებენ თანხმოვანთმიმდევრობანი, რომლებიც წარმოიქმნებიან ხმოვანთა რედუქციის შედეგად. ენაში მოქმედი ხმოვანთრედუქციის მექანიზმი წარმოშობს თანხმოვანთა მიმდევრობებს, რომლებიც აგებულებით განსხვავებულია სტაბილური სტრუქტურის თანხმოვანთკომპლექსებისაგან. ამგვარი თანხმოვანთმიმდევრობები პარადიგმატულად ითიშება სხვადასხვა ხმოვნებით კომპლექსის ფონეტიკური გარემოს შეცვლის შესაბამისად. ასეთი ტიპის კომპლექსები წარმოიქმნება ძირითადად პრევერბებში ხმოვანთა რედუქციის შედეგად, აგრეთვე ფუქეში ვიწრო ი, უ ხმოვანთა ჩავარდნით.

5.1. პრეფიქსთა (პრევერბებისა და ნაწილაკების) მიმდევრობაში უკიდურესი წევრები ხმოვნიანი ვარიანტებით უცვლელი რჩება, ხოლო შუაში მოთავსებული ერთეულები კარგავენ ხმოვნებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება სხვადასხვა ხასიათის თანხმოვანთმიმდევრობები. ამ მიმდევრობებს შემდეგი სქემა წარმოგვიდგენს:



ვიღებთ ოთხწევრთა თანხმოვანთმიმდევრობებს, რომელთაგან პირველ ადგილზეა მ, ბ ან ღ, მეორე ადგილზე – ერთ-ერთი თანხმოვანი ნ, თ, ლ, შ, წ, ქ ან ღ, მესამე ადგილზეა მ, ხოლო მეოთხეზე – ვ, მ ან გ: მნმე-, მლმე-, მქმე-, მთმე... მშმე-, მწმე... გლმე-, გშმე-, ღნმე-, ღთმე-, ღშმე-, ღნმე-, ღშმე- და ა. შ. სქემის მიხედვით დასაშვებ კომპლექსთაგან რეალურად შეიძლება დავადასტუროთ ყველა, გარდა ისეთი კომპლექსებისა, სადაც I და I ადგილზე ღ თანხმოვანი, ხოლო III და IV ადგილას მ თანხმოვანი უნდა გვექონოდა. ერთ-ერთი მ ასეთ შემთხვევაში ჩავარდნილია. უფრო ხშირია ამ ტიპის სამწევრთა კომპლექსები III ადგილას წარმოდგენილი მ-ს გარეშე: მნვ, ღთვ, ღლვ, ღთვ, ღშვ, გშვ, მკვ, გნვ, გლმ, გწვ, გშმ, ღნვ, ღთვ, ღლვ, ღთვ, ღშვ და ა. შ.

სქემის მიხედვით დასაშვები სამწევრთა კომბინაციები.<sup>1</sup> ამ კომპლექსებში დაცულია თანხმოვანთა ჰომოგენურობის პრინციპი, მაგ. გშვ → || ქშქ, გწვ → || კწკ და მისთ.

5.2. ერთი ჯგუფი ამ ტიპის თანხმოვანთმიმდევრობებისა წარმოიქმნება ზემორე ტაბულაში მეორე სვეტის ამოღებით და მესამე სვეტში თმ მიმდევრობის ჩასმით:

<sup>1</sup> შეზღუდვა ედება გკმ და გკგ კომბინაციებს, სადაც პირველი წევრი გ ჩვეულებრივ ჩავარდნილია: გკმ → კკმ, გკგ → კკგ.

1	2	3	4	
$\begin{bmatrix} მ \\ ზ \\ ღ \end{bmatrix}$	$\begin{bmatrix} \phantom{მ} \\ \phantom{ზ} \\ \phantom{ღ} \end{bmatrix}$	[თმ]	$\begin{bmatrix} მ \\ მ \\ ზ \end{bmatrix}$	—C

ასე წარმოიქმნება მთმგ, გთმგ, ღთმგ, გთმგ და მისთ; ორწევრა კომპლექსები (მესამე სვეტის ამოღებით): მგ, მმ, მგ, გმ, გგ, ღგ და მისთ.

წარმოდგენილ სქემათა ბოლო სვეტის ვ, მ, გ თანხმოვნები, რომლებიც პირის ნიშნებს წარმოადგენენ, შესაძლებელია შემდგომში გარდაიქმნან ზმნურ ფორმაში მომდევნო ფონემის (თანხმოვნის ან ხმოვნის) რაგვარობისდა შესაბამისად, თანახმად იმ წესებისა, რაც ზემოთ იყო ფორმულირებული.

ამგვარი თანხმოვანთმიმდევრობები წარმოიქმნება პრევერებისა და ნაწილაკების ჯაჭვში გარკვეულ ხმოვანთა რედუქციის შედეგად. მორფემათა მიმდევრობის ეს ჯაჭვი ასეა შედგენილი:

(1). უკიდურესი მარცხენა (დასაწყისი) ელემენტია ვა- (უარყოფითი ნაწილაკი), ქო- (მტკიცების ნაწილაკი) ან გა-;

(2). აღნიშნულ ნაწილაკთა მომდევნოდ წარმოდგენილია ერთ-ერთი რთული პრევერბი: მი-ნო, მი-თო, მი-ლა, მი-შა, მი-წო, მი-კო-, მი-და; გი-ნო, გი-თო, გი-ლა, გი-შა, გი-წო-, გი-კო-, [გი-და-], რომელთა პირველი შემადგენელია მარტივი პრევერბი მი-, გი-, დი-, ხოლო მეორე შემადგენელი – ლოკალურ მიმართებათა გამოხატველი ნაწილაკი, რომელიც ყოველთვის მარტივი პრევერბის მომდევნოდ გვაქვს (და ცალკე არ იხმარება). ამ ელემენტთა ძირითადი მნიშვნელობებია: -ნო-, „ზე“, -თო- „ქვეშ“, -ლა- „შიგ“, -შა- „შუა, შორის“, -წო- „წინ“<sup>1</sup>, -კო- „გვერდით“, -და-<sup>2</sup>.

რთულ პრევერბთა ეს მეორე ელემენტები (-ნო-, -თო-, -ლა-, -შა-, -წო-, -კო-, -და) ერთმანეთის გვერდით მიმდევრობაში არ გვხვდება, არ გვხვდება ისინი პირველი ელემენტის (მარტივი პრე-

<sup>1</sup> რთული პრევერბი მი-წო- შეიძლება ფაკულტატურად შეგვხვდეს მეტათეზისით როგორც წი-მო-: მი-წო-ხე || წი-მო-ხე „ზის რისამე წინ“.

<sup>2</sup> -ლა- ელემენტი იხმარება საიქითო მიმართულების მი- პრევერბის მომდევნოდ მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან: მი-ლა-რთუ „წავიდა“, \*ში-ლა-ი-ლუ → მიდელუ „წაილა“, მი-ლა-ი-ღონუ → მიდღონუ „წაიყვანა“, მი-ლა-ჩქუ „გაგზავნა, მიუგზავნა“. სააქეთო მიმართულების შემთხვევაში მი-ლა- იცვლება მო-ლა- პრევერბით: მო-ლა-რთუ „აქეთ წამოვიდა“, მო-ლე-ლუ „წამოილა“ და მისთ.



5.3. პრეფიქსულ მორფემათა ამგვარი დალაგებით ვიღებთ პრეფიქსთა რანგობრივ სტრუქტურას: -R ძირის წინ უშუალოდ შეიძლება წარმოდგენილი იყოს ხმოვანი (I რანგის პრეფიქსული მორფემები); ამ უკანასკნელის წინ – პირის ნიშნები (II რანგის მორფემები); პრეფიქსულ მორფემათა III რანგი წარმოდგენილია ერთადერთი – [თ]მV- მორფემით (აწმყოს ჯგუფის აღმნიშვნელი ელემენტით); IV რანგის მორფემებს ქმნიან რთული პრევერბები, რომლებიც, როგორც ვთქვით, ორი კომპონენტისაგან შედგება: ე. წ. მარტივი პრევერბებისაგან – a რიგი<sup>1</sup>, და ლოკალური ნაწილაკებისაგან – b რიგი; უკიდურესი V პრეფიქსული რანგი წარმოდგენილია ვა-, გა-, ქო- ნაწილაკებით.

თითოეული რანგის მორფემები შეუთავსებელია ერთმანეთთან სინტაგმატურად<sup>2</sup>. მაშასადამე, უდიდესი სიგრძის პრეფიქსული მიმდევრობა ზმნურ ფორმაში შედგება ხუთი ელემენტისაგან. ერთი ან რამდენიმე რანგის ამოღებით ამ მიმდევრობებიდან ვიღებთ ზმნურ ფორმას პრეფიქსთა უფრო დაბალი რიგით (ვიდრე ნოლამდე – უპრეფიქსო ზმნურ ფორმებში).

ნებისმიერი რანგის მორფემის ამოღება პრეფიქსთა მიმდევრობიდან იწვევს სხვადასხვა რანგის მორფემათა უშუალო კონტაქტირებას. ერთადერთი შეზღუდვა ედება III რანგის -[თ]მV- მორფემას, რომელიც შეკრულია IV რანგის მორფემასთან, ე. ი. იგი ამოვარდება ავტომატურად, თუ IV რანგის მორფემები (რთული პრევერბები) მორფემათა მიმდევრობაში არა გვაქვს (მაგრამ არა პირუკუ: III რანგის ამოღება არ იწვევს IV რანგის მორფემის გაუქმებას). ამასთანავე, თუ IV რანგის მორფემა წარმოდგენილია რთული პრევერბით a-b, მაშინ III რანგის მორფემა ვლინდება -მV-

<sup>1</sup> CV აგებულების მარტივი პრევერბი, როდესაც ის რთული პრევერბის პირველ კომპონენტად გამოდის, რეგულარულად ი გახმოვანებითაა წარმოდგენილი: მი-, გი-, დი-, შდრ. სათანადო მარტივი პრევერბები ლოკალურ ნაწილაკთა გარეშე: მე-, გო-, დო- (მაგ., მე-ღალა „მიტანა“, მაგრამ მი-თო-ღალა „ქვეშ შეტანა“, დო-დვალა „დადება“, მაგრამ დი-ნო-დვალა „შიგ ჩადება“).

<sup>2</sup> გე-ზე „ზის“, გე-რე „დგას“ და მისთ. ზმნურ ფორმებში წარმოდგენილი პრეფიქსი, რომელსაც შესაძლებელია წინ უსწრებდეს უარყოფითი ვა- ან მტკიცებითი ქო- ნაწილაკი, ვერ ჩაითვლება იმავე მორფემად, რაც V რანგის გა-, მაგ. ფორმაში გა-მი-კო-ლუ-გამკოლუ „ჩამოვარდა“ (შდრ. უარყოფითი ვა-მკოლუ „არ ჩამოვარდა“, და არა \*ვა-გმკოლუ), რაც ვა- და გა- ნაწილაკთა სინტაგმატურ შეუთავსებლობაზე მიუთითებს.

ვარიანტის სახით, ხოლო მარტივი პრევერბის მომდევნოდ III რანგის მორფემა წარმოდგენილია როგორც [-ტ]მV- { -თმV- } პრეფიქსის გახმოვანება დამოკიდებულია წინა, IV რანგის პრეფიქსის ხმოვანზე; [ტ]მV- პრეფიქსის გახმოვანება იმეორებს უშუალოდ წინამავალი მორფემის ხმოვანს, შდრ. მაგ., ე-თმე-ჭარუნს „აღ-წერს“ (აწმეო), დო-თმო-დირთუ „დგება“, მილა-მა-იდვანს → მილ-მედვანს „იდებს“ (მაგ. უბემი).

5.4. პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობის ამ წესების ილუსტრაცია შეიძლება წარმოვადგინოთ გაშლილი მაგალითების სახით, რომლებიც ასახავენ მეგრულში არსებულ სიღრმისეულ პრეფიქსულ მექანიზმს (პრეფიქსულ მორფემათა კომბინაციურ შესაძლებლობებს) (იხ. გვ. 192 – 193).


V რანგის ქო- მტკიცებითი ნაწილაკი შეიძლება წარმოგვიდგეს ქუ-, ქე-, ქი- (იშვიათად) ვარიანტების სახით, რაც დამოკიდებულია მომდევნო მორფემის ხმოვნის რაობაზე. პრევერბისეული ი-ს წინ ქო- შეიძლება გადავიდეს ქე- (მეტწილად), ქე- ან ქი- (იშვიათად) ვარიანტებში:

ქო-მითო-ხე → ქემთოხე || ქემთოხე || ქიმთოხე „ქვეშ (კი) ზის“;

შდრ. ქო-მი-ღუ „(ქე) მაქვს“ (სადაც ი ქვევისაა და ამიტომ ქოს თ ხმოვანს ვერ ცვლის) და ომონიმური ქო-მი-ღუ „მოიტანა“ (<ქო-მო-ი-ღუ), სადაც ი ქო- ნაწილაკის თ ხმოვანს ცვლის: ქო-მი-ღუ || → ქემიღუ || ქიმიღუ „მოიტანა“.

ო ხმოვნის წინ ქო → || ქუ || ქე || ქი:

ქო-მო-რთუ → || ქუმორთუ || ქემორთუ (იშვ. ქიმორთუ, სამურზაყანოში ასევე იშვ. ქმორთუ) „მოვიდა“. უშუალოდ ხმოვნის წინ ქო მრავალგვარ ცვლილებას განიცდის, რაც დამოკიდებულია ო+V მიმდევრობის ცვლილებათა წესებზე. ამრიგად:




ასეთივე ცვლილებები ახასიათებს ამავე V რანგის ვა- და ვა-ელემენტებს: ვა → || ვე, განსაკუთრებით ი-ს წინ, როცა ეს ი პრევერბისეულია:

ვა-მი-ღუ „არა მაქვს“ (-ი- ქვევისაა);

ვა-მი-ღუ (< ვა-მო-ი-ღუ) „არ მოიტანა“ → || ვემიღუ.


ზმნური ფორმები / რანგები	V	IV	III	II	I	R	თარგმანი
ვემწმგადვინე	ვა	მი-წო	მო	გ	ა	ღვინე	წინ ვერ დებ
ვემწვადვინე	ვა	მი-წო	—	გ	ა	ღვინე	წინ ვერ დადებ
ვემწმადვინე	ვა	მი-წო	მო	—	ა	ღვინე	წინ ვერ დებს
მიწმგადვინე	—	მი-წო	მო	გ	ა	ღვინე	წინ დადება შეგიძლია
ვემწმორღვანს	ვა	მი-წო	მო	გ	—	ღვანს	წინ ვერ გიდებს
ვაბადვინე	ვა	მო	—	—	ა	ღვინე	ვერ ჩიცვამს (ფეხსაცმელს)
მუგადვინე	—	მო	—	გ	ა	ღვინე	ჩაცმა შეგიძლია (ფეხსაცმლის)
მილმადვინე	—	მი-ლა	მა	—	ა	ღვინე	შიგ (ოთახში) დადება შეუძლია
მიშმგადვინე	—	მი-შა	მა	გ	ა	ღვინე	შეგიძლია, ახერხებ რისიმე შორის ჩადო
გემწილუ	გა	მი-წო	—	—	ი	ლუ	წინ გამოიტანა
ვემწმორღვანს	ვა	მი-წო	მო	—	—	ღვანს	წინ არ დებს
გადვინე	—	—	—	გ	ა	ღვინე	დადება შეგიძლია
ვედიღვინე	ვა	ღო	—	—	ი	ღვინე	დადება შეუძლებელია
მილაძე	—	მი-ლა	—	—	—	ძე	შიგ დევს
გემთოლუ	გა	მი-თო	—	—	—	ლუ	ქვეშ შევარდა
ვაუჩქეუ	ვა	—	—	—	უ	ჩქეუ	არ იცის
ქობრღუნს	ქო	—	—	მ	—	რღუნს	(კი) მზრდის
მინობღვი	—	მი-ნო	—	ვ	—	ღვი	ზედ დავადე
მილეღუ	—	მი-ლა	—	—	ი	ღუ	ჩაიღო (მაგ. უბეში)
ქოჩანს	ქო	—	—	—	—	ჩანს	თესია
მიკოჩანს	—	მი-კო	—	—	—	ჩანს	ასხია (მაგ. ხეს ხილი)
ეთმიაღვინე	—	ე	თმე	—	ა	ღვინე	შეუძლია ამოსდოს (მაგ. ლაგამი)
მიწადვალაფუ	—	მი-წო	—	—	ო	ღვალაფუ	წინ დაადებინა
მიშუძე	—	მი-შა	—	—	უ	ძე	შიგ (რისამე შორის) უღევს
ეთმორღვანს	—	ე	თმე	—	ო	რღვანს	ზევით ყრის



ისეთ კითხვით-რიტორიკულ კონსტრუქციებში (რომლებიც არ მოითხოვენ პასუხს „ჰო“ ან „არა“), როგორცაა *ვა-ქომორთუ?* „ქე არ მოვიდა?“, *ვა-გემკოლუო?* „ქე არ ჩამოვარდა?“ და მისთ., სადაც ვა „არ“ წინ უსწრებს მტკიცებითის ქო ნაწილაკს, ვა ელემენტი უნდა განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, უარყოფის ნაწილაკი, რომელიც არ წარმოადგენს პრეფიქსულ მორფემას და არ შედის პრეფიქსთა ჯგუფში. ასეთი ვა არ ექვემდებარება რედუქციის წესებს და არც ასიმილაციას განიცდის.

რედუქციის მექანიზმი ამგვარ პრეფიქსულ მიმდევრობებში ასეთ წესს აგლენს:

პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში რედუქციას განიცდის (ე. ი. ამოიღება) ყველა ხმოვანი, გარდა მიმდევრობის თავიკიდური და ბოლოკიდური მორფემის ხმოვნებისა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბოლოკიდური მორფემის - I რანგის - ხმოვანი არის ი):



ამგვარ მიმდევრობაში, თუ  $V_1$  არის ა (მაგ. ნაწილაკებში ვა, გა), ხოლო მომდევნო პრეფერბი შეიცავს ი ან ე ხმოვანს, რედუცირებულ მიმდევრობაში ეს  $V_1$  (-ა) ხმოვანი შეიძლება შენაცვლებულ იქნეს ე ხმოვნით, ე.ი. მომდევნო პალატალური ი ან ე ხმოვანი, რომელიც რედუქციას განიცდის, გადასცემს პალატალიზაციის ნიშანს წინამავალ (ნაწილაკისეულ) ა ხმოვანს, რის შედეგადაც ა→ე: ვა-მი+წო-ძუ „წინ არ ძევს“ → ვე-მ+წო-ძუ || ვა-მ-წო-ძუ; გა-მი+კო-ლუ „ჩამოვარდა (ვერტიკალური სიბრტყიდან)“ → გე-მ+კო-ლუ || გა-მ+კო-ლუ. ეგევე შეეხება ქო მტკიცებითი ნაწილაკის ო ხმოვანს, რომელიც ანალოგიურ პოზიციაში გარდაიქმნება ე ხმოვნად: ქო-მი+თოდუ → ქე-მ+თოდუ „რისიმე ქვეშ შედო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> პარალელური ფორმები ქუმთოდუ || ქმთოდუ || ქიმთოდუ წარმოადგენს ქო ნაწილაკის პოზიციური ცვლილებების სხვადასხვა საფეხურს (იხ. ზემოთ).

5.6. ფორმულირებული წესი ეხება არა მხოლოდ მაქსიმალური სიგრძის (ხუთმორფემიან) პრეფიქსულ მიმდევრობებს, არამედ უფრო მცირე მიმდევრობებსაც, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი ერთი ან რამდენიმე რანგის პრეფიქსი:

მაგალითები:

V IV III R

ვა-მი+წო-გ-ა-დგინე → ვე-მ+წ-გ-ა-დგინე „ვერ წამოდგები“

IV II I R

მი+შა-გ-ა-ხუნე → მი+შ-გ-ა-ხუნე „შეგიძლია ჩაჯდე“

V IV II I R

ვა-მი+წო-მ-ო-ხუნე → ვე-მ+წ-მ-ო-ხუნე „წინ არ დამსვა“

IV R

მი+წო-ხე „წინ ზის“ (მაგ. აივანზე)

V IV R

ვა-მი+წო-ხე → ვე-მ-წო-ხე „წინ არ ზის“

5.7. მესამე რანგის აწმყოს მაწარმოებელი [-**თ**]მV- პრეფიქსის<sup>1</sup> ხმოვანი, როგორც აღვნიშნეთ, განისაზღვრება უშუალოდ წინამავალი პრეფიქსის ხმოვნით. კერძოდ, იმ ხმოვნით, რომელიც ივარაუდება სრული სახის (რელუციამდელ) წინამავალ მორფემაში:

IV III R

მი+ლ-მა-დვანს ← \*მი+ლა-მა-დვანს „შიგ (მაგ. ოთახში) დებს“.

შდრ. აგრეთვე ისეთი ფორმები, როგორიცაა ვა-მ+წ-მო-დვანს „წინ არ დებს“, მი-შ-მა-დვანს „რისამე შორის დებს“, მი+კ-მო-დვანს „რისამე კიდზე დებს“ და მისთ., რომლებშიც [-**თ**]მV- მორფემის ხმოვანი ასახავს წინა მორფემის რელუციამდელ ვოკალს, ე. ი. შესაბამისად:

V IV III R

IV III R

IV III R

\*ვა-მი+წო-მო-დვანს, \*მი+შა-მა-დვანს, მი+კო-მო-დვანს და ა. შ.

<sup>1</sup> [-**თ**]მV ელემენტი იხარება მხოლოდ პრევერბთა მომდევნოდ აწმყოში და საშუალებას იძლევა პრევერბიანი ფორმა აწმყოდვე დარჩეს და მომავლის გაგება არ მიიღოს (რაც ქართულში ვერ ხერხდება). ამ ელემენტის გარეშე ფორმას მყოფადის მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც, რომ ქართულად აღვიღად ითარგმნება რუს. переписал როგორც გადაწერა, ასევე переписшет – გადაწერს, მაგრამ ძნელდება პრევერბიანი აწმყო переписывает ფორმის თარგმნა (შდრ. მეგრ. გინმოჭარუნ < გი+ნო-მო-ჭა-რუნს переписывает, გი+ნო-ჭარუნს переписшет, გი-ნო-ჭარუ переписал). [-**თ**]მV- მორფემის თ მხოლოდ მაშინ ჩანს, როცა წინამავალი პრევერბი ხმოვანიანია, მაგ., ე-თმე-ჭარუნს „აღწერს“ (აწმყო), ე-თმე-ჭოფუნს „იღებს“.

როდესაც პრეფიქსულ მორფემათა ჯაჭვში არ არის წარმოდგენილი II რანგის მორფემა (ე. ი. პირის ნიშნები ვ-, გ-, მ-), I რანგის ოდენხმოვნის პრეფიქსი (მაქცევიარი -ა-, -ი-, -უ-, -ო-, ან ვნებითის -ა-, -ი-, -ე-) უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდება წინამავალი მორფემის ხმოვანთან. ამგვარ ხმოვანთა კონტაქტირება იწვევს ხმოვანთა შერწყმას, ორი მეზობელი ხმოვნისაგან ერთი ხმოვნის წარმოქმნას<sup>1</sup>. მორფემათა თავდაპირველი მიმდევრობა გარდაიქმნება მეგრულისათვის დამახასიათებელი ხმოვანთშერწყმის შემდეგი წესების თანახმად<sup>2</sup>:

